ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით

ფასი: 1 ლარი

№20

15-21.V 2013

რას ურჩევს დედა ნინო მუმლაძეს

გვ.14

„მთავარია, სიძემ ოჯახი არ აგვირიოს“

„მაკა ჩიჩუა ძალიან კარგი, საინტერესო, ერუდირებული, ოქროს გოგოა! კარგი მეგობრობა და გვერდით დგომა იცის“

გვ.20

„როცა თუთაშხიობა არ გამომდის, თავის მოკვლა მინდა“

ოთარ მეღვინეთუხუცესის სამოთხე და ჯოჯოხეთი

„სკამს რომ გააკეთებ, პურს გამოაცხობ, ყველს ამოიყვან, სერიოზულ ფსიქიკურ კმაყოფილებას განიცდი“

გვ.6

რა ანიჭებს ბედნიერებას გიორგი მარგველაშვილს და ვინ არის მისი საყვარელი ქალი

გვ.9

ნაციონალების ცემის ღამე — დეტალები ჩხუბის მონაწილეებისაგან

სარკე + ჩეხური ზღაპრები 6 ლარი

გვ.27

გიგი გაჩეჩილაძე და სალომე ჭაჭუა — 8 წლიანი სიყვარულის დასასრული

ჟურნალ სარკის მე-19 ნომერთან ერთად იყიდება „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ პირველი ტომი ჰომეროსის „ილიადა“ ნიგნი 1

ფასი ჟურნალთან ერთად 10 ლარი

22 მაისიდან გაიყიდება მე-2 ტომი - „ილიადა“. ნიგნი 2.

ISSN 1987-9369

„დედამ დამაშორა შეყვარებულს, რომლის ერთადერთი ნაკლი ის იყო, რომ გარეგნობით მამაჩემს ჰგავდა“

გვ.46

რატომ დაარტყეს ერთმანეთს ნიკა გრიგოლიამ და მიშა ანდღულაძემ

რატი გოგატიშვილი: „ძნელია, როცა დედა შეყვარებულია...“

ოთო ნემსაძე უკრაინელებმა რინგების მეფედ აღიარეს

ჰქონდათ თუ არა რომანი ნინა სუბლატსა და ბერა ივანიშვილს

ჯანეტ ქერდიყოშვილი: „არა მგონია, რომ სექსუალური გოგო ვიყო, უფრო საყვარელი ვარ“

შალვა რამიშვილი ქეთი კეკელიას სტუმრებს აშინებს

ნატო გელაშვილი: „მეკითხებიან, ბაჩო ახალაიას შემოთავაზებას რობერ დათანხმდიო...“

გიორგი ნაზღაიძემ პიროგითი სასჯელი მოიხადა

ირაკლი ფუტკარაძე: „ვბარავ, ვთესავ, შეშას ვჩეხ, მშობლებს ვეხმარები“

ნიკო ბერიძის გამო მისი ძმა დასაჯეს

ნომერში

მთავრობის სახე

- რა ანიჭებს ბედნიერებას გიორგი მარგველაშვილს და ვინ არის მისი საყვარელი ქალი 6
- გიორგი მარგველაშვილი: „ჩემი თავი მინისტრადაც არ წარმომედგინა“ 7

სკანდალი

ნაციონალების ცემის ღამე — დეტალები ჩხუბის მონაწილეებისაგან 9

ტანდემი

შალვა რამიშვილი ქეთი კეკელიას სტუმრებს აშინებს 11

გულახდილი საუბრები 12-13

მათი მშობლები

რას ურჩევს დედა ნინო მუმლაძეს 14

პოლიტიკა

- კახი კახიშვილი: „საკაშვილის ხელისუფლება საკუთარ ცოლებს და საყვარლებს უსმენდა“ 16
- დავით დარჩიაშვილი: „მარგველაშვილმა ივანიშვილი ფილოსოფიური საუბრებით მოხიბლა“ 18

დანაკარგი

ოთარ მელვინეთუხუცესის სამოთხე და ჯოჯოხეთი 20

სცენის მიღმა

ქართველი ბალერინასა და ინგლისელი ბალერინის სიყვარულის ამბავი 23

შოუმენი

რატომ დაარტყეს ერთმანეთს ნიკა გრიგოლიამ და მიშა ანდღულაძემ 24

ნაცნობი სახე

გიორგი ნაზღაიძემ პირობითი სასჯელი მოიხადა 25

ჭორ-მართალი

ვიგი გაჩეჩილაძე და სალომე ჭაჭუა — 8 წლიანი სიყვარულის დასასრული 27

მოზარდები 28-29

კონკურსანტი

- ჰქონდათ თუ არა რომანი ნინა სუბლატსა და ბერა ივანიშვილს 30
- ირაკლი ფუტკარაძე: „ვბარავ, ვთესავ, შეშას ვჩეხ, მშობლებს ვეხმარები“ 31
- ნიკო ბერიძის გამო მისი ძმა დასაჯეს 32

ცოლ-ქმრის კლუბი

რა შეტევებს უძლებს დათო ქაცარავას ცოლი ქმრის თაყვანისმცემლებისგან 34

სერიალის გმირები

რატი ვოგატიშვილი: „ძნელია, როცა დედა შეყვარებულია...“ 35

ფავორიტი

ოთო ნემსაძე უკრაინელებმა რინგების მეფედ აღიარეს 36

ეტაპი

ნატო გელაშვილი: „მეკითხებიან, ბაჩო ახალაიას შემოთავაზებას როგორ დათანხმდიო...“ 37

სამოსი

ჯანეტ ქერდიყოშვილი: „არა მგონია, რომ სექსუალური ვიყო, უფრო საყვარელი ვარ“ 39

მეგზური

მონტე კარლო — კურორტი ფუფუნებისთვის 44

მხოლოდ ქალებისთვის 48

დედიკოების სკოლა 49

მამაკაცური მეგობრობა

ვოგა ბარბაქაძე პაატა გულიაშვილს „თანამდებობას“ ართმევს 50

სპორტის მიღმა 51

ადამიანის ინსტიტუტი 52

ცოტ-ცოტა ყველაფერზე 53

ალეკო ელისაშვილის აღმოჩენები კონსტანტინოპოლში, რომაული არდადეგები და სტრასბურგული ველოსიპედი

ჟურნალისტმა ალეკო ელისაშვილმა გასულ ზამთარს ცოლის სახით ყველაზე კომფორტული თანამგზავრი აღმოაჩინა. სამოგზაუროდ ერთად პირველად იყვნენ და ფეხით მოიარეს სტამბული — ისტორიული კონსტანტინოპოლი, რამაც ორივეს დაუვიწყარი შთაბეჭდილებები დაუტოვა. მას შემდეგ ამ მრავალისმნახველ ქალაქზე ბევრს კითხულობს.



უცხოეთთან სულ პირველი შეხება კი რომში ჰქონდა. მერე იყო სტრასბურგი. მაშინ 22 წლის გახლდათ და ისეთი შთაბეჭდილებებით დაიტვირთა, იმ მოგზაურობაზე დღესაც ემოციურად საუბრობს.

ერთი სიტყვით, ჩვენს რესპონდენტს „სარკის“ მკითხველებისთვის ბევრი საინტერესო რამ აქვს მოსაყოლი.

გვ.43

შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო 54-55

სახალისო 56-57

იყავით ჯანმრთელი 58-59

ქალური მოთხრობები

- თინათინ ბონი — „ეიფორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-19) 66
- ლელა ცუცქირიძე — „ნეო“ 68

კითხვები მოძღვარს

„ბავშვებში ძალადობას აჩერებს სიყვარული და არა — დამსჯელი ღონისძიებები!“ 72

გზა ტაძრისაკენ

მამა გიორგი: „წლევანდელი საადგომო ლიტანიობა ნამდვილი საოცრება იყო!“ 74

საბავშვო გვერდი 76

კულინარიული შედევრები 77

ხელსაქმე 78

№20(785) 15 — 21 მაისი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 13.05.2013, 21.00 სთ-ზე.

მიხეილ სააკაშვილმა ბოდიში მოიხადა

მიხეილ სააკაშვილმა დაშვებული შეცდომის გამო ბოდიში „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე მოიხადა. შეცდომა კი მარგველაშვილის კანდიდატად დასახელების კომენტირებისას დაუშვა. მან აღნიშნა, რომ პრემიერმინისტრი აზრს ხშირად იცვლის და არ არის გამორიცხული, საპრეზიდენტო კანდიდატურასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებაც შეცვალოს. სწორედ ამ კონტექსტში პრეზიდენტმა მაგალითად ისტორიული ფაქტი მოიყვანა კალიგულას ცხოვრებიდან, მაგრამ კალიგულას ნაცვლად ნერონი ახსენა.

— კონკრეტულად ამ კანდიდატურაზე მე არაფერს ვიტყვი, მაგრამ თავის დროზე, როდესაც რომის იმპერატორმა ნერონმა გადაწყვიტა, რომის საზოგადოებაზე საკუთარი თავის დომინირების დემონსტრაცია მოეხდინა, თავისი ცხენი აირჩია სენატში. ყველამ თავისი დასკვნა გამოიტანოს, ჩვენი საზოგადოება არის ანგარიშგასაწევი ძალა, ის იმსახურებს პატივისცემას და ღირსეულად მოპყრობას. პრემიერმინისტრი ხშირად იცვლის აზრს, არჩევნებამდე რამდენიმე თვეა და არ გამოვრიცხავ, ამ კანდიდატურასთან დაკავშირებით კიდევ შეიცვალოს აზრი, — განაცხადა სააკაშვილმა.

საბოდიშო ტექსტი კი ასეთია:

„მომიტევეთ, თუ რომის იმპერატორის ცხენზე საუბრისას უნებლიეთ ნერონის სახელი წამომცდა კალიგულას ნაცვლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ლაფსუსზე მეტად შინაარსია გადამწყვეტი და სრულიად არ მახარებს ამ მაგალითის ჩვენი ქვეყნის კონტექსტთან დაკავშირება. მაინც ღრმად მწამს, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება“.

პრეზიდენტმა ბათუმის მერია კანიბალიზმში დაადანაშაულა

მთავრობა ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საკითხს თუ არ გადახედავს, მიხეილ სააკაშვილი ადრე თუ გვიან თავად გაასახლებს იქიდან მერიას. ამის შესახებ მან თავად განაცხადა ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ყოფილი შენობის დათვალიერებისას და დასძინა, რომ ამ ულამაზეს შენობაში მერიისა და დასუფთავების სამსახურის განთავსება დაუშვებელია.

■ პრეზიდენტი ბათუმის უნივერსიტეტის შენობასთან

— არ მესმის, როგორ შეიძლება ამ ულამაზეს შენობაში მერიის განთავსება და სტუდენტების გამოსახლება. რისი სიმბოლოა ეს, როგორ უნდა მოხდეს ამის გამართლება?.. მერიამ გაასახლა უნივერსიტეტი და სახლდება თვითონ, თან მხოლოდ მერია კი არა, შპს-ების განთავსებაც იგეგმება. დასუფთავების შპს ამ ლამაზ შენობაში ალბათ თავისი ინვენტარით, თავისი ინსტრუმენტებით და მოწყობილობებით უნდა განთავსდეს. სამწუხაროდ, ამას კანიბალიზმის გარდა ვერაფერს ვუწოდებ. მინდა, კიდევ ერთხელ ვუთხრა საქართველოს მთავრობას და პრემიერმინისტრს, გადახედოს ამ გადაწყვეტილებას. თუ ის არ გადახედავს, ადრე თუ გვიან მაინც გადავხედავთ და აქედან მერიას გავუშვებთ და უნივერსიტეტს დავაბრუნებთ, მაგრამ დავკარგავთ ძალიან ბევრ ფულს! — განაცხადა სააკაშვილმა.

გამოძიების დამთავრებამდე გია ხუხაშვილმა დუმილი გამოაცხადა

■ გია ხუხაშვილი

ჟურნალისტ გიორგი ფარესაშვილის პირადი ცხოვრებიდან ფარული ვიდეოჩანაწერების ინტერნეტით გავრცელების გამო შს მინისტრის პირველი მოადგილე, გელა ხვედელიძე დაკავებულია. ფარესაშვილი ამ ფაქტს სამართლიანობის გამარჯვების დასაწყისად აფასებს და მოითხოვს, მთავარი პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილმაც აგოს პასუხი.

— გელა ხვედელიძის დაკავება სამართლიანობის გამარჯვების დასაწყისია. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გაირკვევა. მოვითხოვ, ლაშა ნაცვლიშვილმა ნარკოლოგიური შემოწმება გაიაროს, რადგან დარწმუნებული ვარ, ისიც უნდა მიჰყვეს გელა ხვედელიძეს. ეს იქნება სამართლიანობის ზეიმის მეორე ეტაპი, — აცხადებს ფარესაშვილი. ის აპირებს, გამოძიებას გადასცეს მასალები, რომლებსაც ის გია ხუხაშვილის, გელა ხვედელიძის და ლაშა ნაცვლიშვილის წინააღმდეგ ფლობს.

ჟურნალისტი ელისო კილაძე კი შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, გელა ხვედელიძის ფარულ სატელეფონო საუბარს ასაჯაროებს, რომელიც პრემიერის მრჩევლის, გია ხუხაშვილის ბიზნესგეგმებს შეეხება.

— კვერცხის ბიზნესი მთლიანად უნდა ხუხაშვილს. მას უნდა, ქართული წარმოება მთლიანად „დაბრიდოს“ კვერცხზე იმპორტის რეჟიმით, — აცხადებს ჩანაწერში გელა ხვედელიძე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ დადგენილი არ არის, ეს ჩანაწერი ფაბრიკაციაა თუ არა.

პრემიერის მრჩეველი გია ხუხაშვილი საპასუხოდ საგანგებო განცხადებას ავრცელებს.

„გამოძიებულ უნდა იქნეს როგორც ჩემი შემხებლობა ამ ბინძური ჩანაწერის გავრცელებასთან, ასევე ყველა იმ და სხვა ბრალდების გარემოებები, რომლებიც ჩემი მისამართით ისმოდა მთელი ამ კამპანიის განმავლობაში. გამოძიებულ უნდა იქნეს ჩემი მხრიდან ბიზნესთან შესაძლო გარიგებების და მასზე ზეწოლის ყველა ფაქტი, რაზეც იყო საუბარი ამ ხნის განმავლობაში და შესაძლოა იყოს მომავალშიც. ბიზნესზე ვამბობ და არა — სახელისუფლებო ბერკეტების ბოროტად გამოყენებით სახელმწიფო რესურსების პირადი ან პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე მითვისებაზე. ამ მიმართულებით მუშაობას გავაგრძელებ, რამდენადაც უნდა აწუხებდეს ეს ნაციონალურ მოძრაობას თუ სხვა ინტერესჯგუფებს“, — წერს პრემიერის მრჩეველი.

ხუხაშვილი ბოდიშს უხდის ყველა ჟურნალისტს იმის გამო, რომ გამოძიების დამთავრებამდე პრესასთან ურთიერთობას წყვეტს.

„ბოდიშს მოვუხდი ყველა ჟურნალისტს, მაგრამ ამ მომენტიდან გამოძიების დასრულებამდე თავს შევიკავებ საკითხის კომენტირებისგან, რათა ეს არ იყოს აღქმული გამოძიებაზე ზეწოლად, ჩემი „ლეგენდარული“ შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მივმართავ იმ ჯგუფებს, რომლებიც საუბრობდნენ ჩემზე, არა მხოლოდ ითანამშრომლონ გამოძიებასთან, არამედ გაასაჯაროვონ ყველა ის ფაქტი, რომელიც ჩემ შესახებ მათ აქვთ, რათა საზოგადოებას აღარ დარჩეს პასუხგაუცემელი კითხვები“, — აცხადებს ხუხაშვილი.

მისი აზრით, რადგან ბრალდებები გასცდა იმ ფარგლებს, რაც საჯარო პირის მხრიდან თმენის ვალდებულებას ითვალისწინებს, გამოძიების დასრულების შემდეგ იტოვებს უფლებას, ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს, რომელიც შესაძლოა ცრუ წყაროს წარმოადგენდა მთელ ამ ისტორიაში.

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე“
მედეა სანაია
ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან აღვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა – აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი – მარინა ჟღენტი, მია ფიფია. კორექტურა – ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარეკლამო სამსახური – მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდივანი – იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

Cyan Magenta Yellow Black

ზურაბ ადეიშვილს ადვოკატთა უფლებები გაახსენდა

ევროპაში გაქცეული იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ახალ ცვლილებებს აკრიტიკებს. მიიჩნევს, რომ ის სერიოზულად შეზღუდავს ადვოკატების უფლებებს, სამაგიეროდ ოცნება აუხდებათ პროკურორებს. ყოფილი ძალოვანისგან ეს განცხადება ცოტა უცნაურია, მაგრამ ფაქტია.

ზურაბ ადეიშვილი

„პარლამენტში მეორე მოსმენის დროს მოულოდნელად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ახალი ცვლილებები მოხვდა, რომელიც პროკურატურის მხრიდან არის ინიცირებული. აღნიშნული ცვლილებების თანახმად, დაცვის მხარეს მნიშვნელოვანი უფლებები ეზღუდება, რაც მოქმედი კანონით გარანტირებული იყო. კერძოდ, ადვოკატს ეზღუდება წვდომა საჯარო ინფორმაციაზე, ხოლო თუ ის თვლის, რომ პროკურატურის მიერ სასამართლოზე წარმოდგენილი მტკიცებულებები საფუძველს მოკლებულია, მათი გაუქმების მოთხოვნის უფლებაც აღარ აქვს. ბუნებრივია, ეს პროკურორების ოცნებაა, რადგან, თუ გავითვალისწინებთ უკანასკნელ გახმაურებულ პროცესებს, პროკურატურას არადამაჯერებელი მტკიცებულებების საკმაოდ დიდი ნუსხა დაუგროვდა და პოლიტიკურად მოტივირებული დაკავების გამოძიებით განმტკიცებას ვეღარ ახერხებენ, შესაბამისად ახალი ხელისუფლება პირდაპირ და მოურიდებლად გადავიდა დაცვის მხარის კანონით „დასჯის“ სტრატეგიაზე და პარლამენტში ისეთი ცვლილებები წარადგინა, რომლებიც დემოკრატიულობის ხარისხით ვერ დაიკვეხნის. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ცვლილებები ინიცირებულია იმ ადამიანების მიერ, რომელთა მხრიდან ჩემი იუსტიციის მინისტრობის და გენპროკურორობის დროს მოდიოდა უწყვეტი კრიტიკა“, — წერს ადეიშვილი.

ყოფილი მინისტრი დასძენს, რომ თუ სამოქალაქო საზოგადოებამ არ გააპროტესტა და ახალმა ხელისუფლებამ წარმატებით მოახდინა კანონში შესული ცვლილებების იმპლემენტაცია, შესაძლებელია ამას პოლიტიკურად მოტივირებული დაჭერების ახალი ტალღა მოჰყვეს.

„აუცილებელია, ინფორმაცია ცვლილებებზე მიეწოდოს დიპლომატებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა მათ, თავის მხრივ, ზეწოლა მოახდინონ ხელისუფლებაზე და აღნიშნული ცვლილებების რეალურად ამოქმედება არ დაუშვან. ბოლოს და ბოლოს, აღნიშნული ცვლილებების ინიცირება იმ დუნდისგან, რომელიც საზოგადოებას ნაციონალური მოძრაობის მიერ შემუშავებულ საპროცესო კოდექსში ლიბერალურ გარდაქმნებს ჰპირდებოდა, უბრალოდ საზოგადოების და საკუთარი ამომრჩევლის დაცინვაა“, — წერს ადეიშვილი.

გოკა გაბაშვილი ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების ნიშნებს ხედავს

საპარლამენტო ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე გოკა გაბაშვილი მიიჩნევს, რომ თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე რესტორანში 11 მაისს, ღამით მომხდარი ჩხუბი ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების ნიშანია.

რესტორანში მყოფ ნაციონალებსა და მამუკა ბაკურიას თანმხლებ პირებს შორის მომხდარ ჩხუბში დაშავდნენ დეპუტატები — დავით საყვარელიძე, გიორგი ვაშაძე და სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი ზაზა გოროზია.

— ეს არის მწვანე შუქის ანთება, რომ შეიძლება ოპონენტების წინააღმდეგ ანგარიშის გასწორება; ეს არის ელემენტარული სამოქალაქო დაპირისპირების ნიშნების გაჩენა ქვეყანაში, სადაც გარკვეული აგრესიული ჯგუფები და კონკრეტული პარტიების აქტივისტები თვლიან, რომ შეუძლიათ, ნებისმიერ ვითარებაში გამოიყენონ ფიზიკური ძალა მათთვის მიუღებელი ადამიანების წინააღმდეგ, — განაცხადა გაბაშვილმა.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია თვლის, რომ მომხდარი აუცილებლად უნდა იქნეს სამართლიანად გამოძიებული. ამასთან, ის გამოთქვამს თავის მოსაზრებას ინციდენტთან დაკავშირებით, რომ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები უნდა აცნობიერებდნენ, რომ ქვეყანაში არსებობენ წარსულში მათ მიერ შევიწროებული, დევნილი ადამიანები, რომლებსაც ისინი შეიძლება ნებისმიერ ადგილას გადაეყარონ.


თემურ იაკობაშვილი

თემურ იაკობაშვილი: „ჩემი მეუღლე არასოდეს ყოფილა ალასკაზე!“

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შიდა აუდიტის შედეგად დიპლომატიურ მისიებში ფინანსური დარღვევები გამოვლინდა, მათ შორის აშშ-სა და საფრანგეთში. ფანჯიკიძის თქმით, დარღვევების ნაწილი შესაძლოა უწყებების შიგნით მოგვარდეს, ნაწილი კი სამართალდამცავ ორგანოებს გადაეგზავნოს.

მინისტრის განცხადებას აშშ-ში საქართველოს ყოფილი ელჩი თემურ იაკობაშვილი „ფეისბუქით“ გამოეხმაურა. ყოფილი ელჩი ირწმუნება, რომ სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

„ბოლო დღეების განმავლობაში ზოგიერთი ქართული მედიასაშუალება ავრცელებს ინფორმაციას ამერიკაში ჩემი ელჩობის პერიოდში საელჩოში არსებული „გადახარჯვების“ შესახებ. სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემთვის კომენტარი არ უთხოვია. მით უმეტეს, რომ პირველი პუბლიკაციის დროს მე თბილისში ვიმყოფებოდი.

მინდა, დაინტერესებული პირებისა და ზოგადად საზოგადოებისთვის განმარტება გავაკეთო: 2012 წელს საელჩოში ჩატარდა გეგმური, შიდაუწყებრივი აუდიტი, რომელსაც არანაირი დარღვევა არ აღმოუჩენია...

სამწუხაროა, რომ მედიასაშუალებებით გადაუმოწმებელი ინფორმაცია ვრცელდება. იმედს ვიტოვებ, რომ ეს მხოლოდ მცირე გაუგებრობა იყო და არა — მიზანმიმართული ქმედება. მზად ვარ, გავცე პასუხი ყველა კითხვას, რომელიც აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით გაჩნდება. ასევე ჩემი მეუღლე არასოდეს ყოფილა ალასკაზე, როგორც ამას ზოგიერთი მედიასაშუალება სტატიის სათაურიდან გვაუწყებდა“, — აღნიშნავს იაკობაშვილი თავის განცხადებაში.

ეთნოჯაზი და მონატრებული „ეგარი“ საქართველოში

8-11 მაისს თბილისსა და რაჭაში ჯაზისა და ქართული ეთნოჯაზის საღამოები მოეწყო. სამი დღის განმავლობაში საქართველოს შვედური ჯაზტრიო „MUSICMUSICMUSIC“ და ევროპაში ცნობილი საქსაფონისტი ნილს ბერგი ეწვივნენ, რომლებმაც ქართველ მსმენელებს დაუვიწყარი შთაბეჭდილებები აჩუქეს.

შვედების მასპინძელი ქართული ჯგუფი „ეგარი“ იყო, რომელიც ქართველ მსმენელებს კონცერტებით ნამდვილად ვერ ანებივრებს. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჯგუფმა სოლო კონცერტი ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ-მუსიკალურ ცენტრში გამართა. კონცერტი თბილისში ევროპის კვირეულს დაემთხვა და ამიტომ საღამო ერთგვარი მიძღვნაც გამოვიდა ევროპული კვირეულისთვის. კონცერტი ძველი, კარგად ნაცნობი და სრულიად ახალი კომპოზიციებისგან შედგებოდა. ქართველი მსმენელი „ეგარს“ სცენიდან კარგა ხანი ვერ ელეოდა.

თბილისურ კონცერტამდე ჯგუფი „ეგარი“ სტუმრებიანად ამბროლაურს ეწვია. ამბროლაურის კულტურის სახლში შეკრებილი მსმენელი „ეგარის“ შემოქმედებას კარგად იცნობდა, შვედი მუსიკოსების მიმართ კი ოვაციები არ დაიშურა.

ქართულ-შვედური ერთობლივი პროექტის ორგანიზატორებმა არც კლუბური სივრცე დატოვეს უყურადღებოდ. 8 მაისს კლუბ „ურბანში“ შვედმა ჯაზშემსრულებლებმა კლუბური ცხოვრების მოყვარულებს საინტერესო საღამო აჩუქეს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ქართველი და უცხოელი შემსრულებლები ყველანაირ სივრცეში მსმენელს სასიამოვნო კომპოზიციებს სთავაზობდნენ.

პროექტი სამთავრობო სააგენტო „შვედური ინსტიტუტის“, „შვედეთის მუსიკალური განვითარებისა და მემკვიდრეობის ორგანიზაციის“ და შვედეთში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა. ამ პროექტის ფარგლებში ქართულმა ჯგუფმა „ეგარმა“ კონცერტები შვედეთში მარტში ჩაატარა, მაისში კი შვედ მუსიკოსებს საქართველოში უმასპინძლა.

პროექტი საკმაოდ საინტერესო გამოვიდა, ამიტომ, როგორც ორგანიზატორები ირწმუნებიან, ის მომავალშიც გაგრძელდება.

Cyan Magenta Yellow Black

რა ანიჭებს ბედნიერებას გიორგი მარგველაშვილს და ვინ არის მისი საყვარელი ქალი

„სკამს რომ გააკეთებ, ჰურს გამოაცხობ, ველს ამოიევან, სერიოზულ ფსიქიკურ კმაყოფილებას განიცდი“

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, რომლის დასახელებასაც კოალიცია „ქართული ოცნებისგან“ ასეთი დიდი ინტერესითა და ვარაუდებით ელოდა საქართველოს მოსახლეობა, უკვე გარკვეულია. ის დღევანდელი განათლების მინისტრი და ამავე დროს ვიცეპრემიერი გიორგი მარგველაშვილი გახლავთ, რომელიც სექტემბრამდე დარჩება ამ პოსტზე და ბოლო მომენტამდე არც დაცვა ჰყოლია, არც პირადი მძღოლი.

მისი პერსონის მიმართ ინტერესი აქამდეც საკმაოდ იყო, მაგრამ ახლა, როცა ის უკვე ქვეყნის პირველ პირად არჩევისთვის ემზადება, ეს ინტერესი, რა თქმა უნდა, გაასკეცდა. ბატონ კანდიდატსაც, რომელსაც სასტიკად არ უყვარს პირად ცხოვრებაზე საუბარი პრესასთან, ალბათ მოუწევს შეგუება იმასთან, რომ ხალხს, რომელიც პრეზიდენტს ირჩევს, სურს და უფლებაც აქვს, იცოდეს ყველაფერი მის შესახებ, „ხატოვნად“ რომ ვთქვათ, ფეხის ზომაც კი, ანუ ვინ არის, საიდან მოდის, საით მიდის, რა ოჯახი აქვს და რითი სუნთქავს ის, ვინც მისგან ხმის მიცემას ითხოვს.

მანამ კი, სანამ ბატონი გიორგი ამ ინტერესს გაგებით მოეკიდება, მისი პერსონის შესახებ გთავაზობთ იმ ინფორმაციას, რაც „სარკემ“ საკუთარი წყაროებით მოიპოვა.

■

გიორგი მარგველაშვილი 1969 წლის 4 სექტემბერს დაიბადა. თბილისის პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა. ფილოსოფიაში დოქტორის ხარისხი აქვს. გამოცვლილი ბევრი სამსახური. მუშაობდა შპს „კავკასუს თრეველში“ სამთო გიდად. შემდეგ — მარგინალური მდგომარეობების ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში უმცროს სპეციალისტად, საქართველოს კულტურის ლაბორატორიაში — უმცროს სპეციალისტად. შპს „ბიზნეს დღიურებში“ — მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსად, თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში — ლექტორად. საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტში ადგილობრივი ხელმძღვანელობის სპეციალისტი, პროგრამის კონსულტანტი გახლდათ. წლების განმავლობაში საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული უმაღლესი სასწავლებლის, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტ „ჯიპას“ რექტორი იყო. სწორედ ამ თანამდებობიდან მოხვდა ის საქართველოს განათლების მინისტრის სავარძელში მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა.

გიორგი მარგველაშვილის ინჟინერი მამა საბჭოთა პერიოდში ერთხანს სირიაში მუშაობდა და ცოლ-შვილიც თან ჰყავდა. გიორგი იქ რუსულ სკოლაში ერთი წელი სწავლობდა. „სარკესთან“ იხსენებს, რომ იმ სკოლაში წესად ყოფილა, ყოველ პარასკევს მთელი სკოლის ბავშვებს ყველაზე ცუდი ბავშვი უნდა დაესახელებინათ და ყველა გიორგი მარგველაშვილის სახელს ყვიროდა.

— მაშინ კომუნისტების დრო იყო. ერთი ლეონიდ ილიჩის სახელს ყვიროდნენ ასე და მეორეს — ჩემსას, მაგრამ პრეტენზია არ მქონდა, — იხსენებს მარგველაშვილი.

თბილისის ქართულ სკოლაში კი მოსწავლე გიორგიმ თავისი მიდრეკილებები გამოავლინა.

— სკოლაში სამოსანი ვიყავი. უნივერსიტეტში კი სულ ფრიადებს ვიღებდი. სკოლაში ყოველთვის მაძლევდნენ შესაძლებლობას, ის მეკეთებინა, რაც მაინტერესებდა და ამის გამო არავის გავერიყე. მასწავლებლებს აინტერესებდათ, რას ვკითხულობდი. მეხუთე კლასში ისტორიამ გამიტაცა. მინიმუმს მაძლევინებდნენ, მაგრამ არასოდეს მეუბნებოდნენ, რომ ჩემთვის მომავალი დახურული იყო. როგორც კი ჩემი თავი ვიპოვე, რაღაც წითელზე დავამთავრე სკოლა... მერვე კლასიდან მინდოდა ფილოსოფიურზე ჩაბარება. დედაჩემი ფსიქოლოგია. ეს მომიჯნავე პროფესიაა და მისგანაც ვიღებდი ბევრ ცოდნას ამ მიმართულებით. სკოლაში სწავლის დროს ფილოსოფიის ინსტიტუტში დავდიოდი ხოლმე, სადაც ძალიან საინტერესო გარემო იყო... სხვა სპეციალობაზე არც მიფიქრია... მხოლოდ ორი გამოცდა ჩავაბარე. სულ ხუთები მყავდა, — გაიხსენა „სარკესთან“ მარგველაშვილმა.

ამ ინტერვიუს დროს როცა რაიმე კითხვა არ მოეწონებოდა ან არ უნდოდა პასუხის გაცემა, ამბობდა: „არ ვიცი“, „არ მახსოვს“. როცა ვუთხარი, ხალხი იფიქრებს, გულმავიწყი ხართ-მეთქი, ფილოსოფიურად მიპასუხა: „მეხსიერებაში ინფორმაციის წაშლა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე შენახვა. ინფორმაციის შენახვა ბუნების ერთ-ერთი ყველაზე იოლი ფუნქციაა, დავიწყება კი ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ფუნქცია. რა წაშალოს და რა — არა, ტვინის არჩევანზეა დამოკიდებული“.

როცა უნივერსიტეტი დაამთავრა, მიხვდა, რომ ფილოსოფიით ჩვენს ქვეყანაში თავს ვერ გაიტანდა. სამთო გიდად დაიწყო მუშაობა — მთაში დაჰყვებოდა

■ მაკა ჩიჩუა

„მაკა ძალიან ჯანმრთელი, საინტერესო, ეხედიხებული, ოქროს გოგო! მხატვარია. მუსიკალური ადამიანია. ჯანმრთელობა და გვეხდით დგომა იცის“.

უცხოელებს. ძირითადად ყაზბეგის რაიონსა და სვანეთში დადიოდნენ. ზოგადად ალპინისტობა იტაცებს. კავკასიონი და პამირი აქვს დალაშქრული.

■

პოლიტიკაში მეგობარ ზურაბ ჟვანიას თხოვნით ჩაერთო. ვარდების რევოლუციის შემდეგ „ბურჯანაძე-დემოკრატების“ პირველ ათეულში ირიცხებოდა, მაგრამ როცა ამ პარტიამ მიხეილ სააკაშვილთან ერთად დააპირა არჩევნებში მონაწილეობა, მათგან გამიჯვნა არჩია, რადგან სააკაშვილთან დაპირისპირებული იყო. ამ ურთიერთობის დეტალებზე საუბარს თავს არიდებს. კარგად ვიცნობდი და ეს საკმარისი იყოო, გვითხრა.

ქვემდგომებს არასოდეს უყვირის, არც არასოდეს ბრაზდება და მისი მმართველობა სიმკაცრით არ გამოიხატება. როცა განათლების მინისტრად დანიშნეს,

Cyan Magenta Yellow Black

თქვა, აქამდე უფრო თავისუფლად ვიყავი, ახლა ბევრი საქმე მაქვს, ბევრი რამის სწავლა, ბევრი ადამიანის მოსმენა მიწევს.

■

გიორგი მარგველაშვილს რემონტების კეთება უყვარს. სიამოვნებს, როცა საკუთარი ხელით შექმნილ რაიმე საგანს ხედავს.

— სკამს რომ გააკეთებ, პურს გამოაცხობ, ყველს ამოიყვან თუ კაფელს აკრავ, რითიც იმ წუთში იღებ შედეგს, სერიოზულ ფსიქიკურ კმაყოფილებას განიცდი... ჩემი ხელით კაფელიც გამიკრავს. ბევრად უფრო ძვირი მიჯდება, როცა მე ვაკეთებ და მუშა არ მომყავს. უფრო მეტ მასალას ვაფუჭებ, მაგრამ მაინც მირჩევნია, — ამბობს მინისტრი.

აღმოჩნდა, რომ მან ქსოვაც იცის. ყოველ შემთხვევაში, საქსოვი ჩხირებით ხელში მისი ფოტო ცოტა ხნის წინ ინტერნეტით გავრცელდა. შეიძლება ეს უბრალოდ ხუმრობა იყო. თავად ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

პრეზიდენტობის კანდიდატს აქვს ერთი ცნობილი მავნე ჩვევა — სიგარეტს თითქმის გაუჩერებლად ეწევა. ამბობს, რომ იცის, რა ცუდია, მაგრამ თავის დანებებას ვერ ახერხებს.

აქვს უნარი, ბედნიერებას გრძნობდეს განსაკუთრებული მიზეზის გარეშე, ისე, უბრალოდ, საყვარელ ადამიანებთან ყოფნით ან ხის ფიცრის თლით.

ახარებს ისეთი ყოფითი დეტალი, როგორიცაა, მაგალითად, თავაზიან გამყიდველთან ურთიერთობა და საერთოდ თავაზიანი ადამიანები.

■

გიორგი მარგველაშვილს ერთი ქალიშვილი ჰყავს, 20 წლის ანა, რომელიც მოსკოვში, მენეჯმენტის ფაკულტეტზე სწავლობს. მის დედასთან გაშორებულია და ამჟამად ოფიციალურად დაქორწინებული არაა. „ფეისბუქში“ კი ფოტო გავრცელდა, სადაც პრეზიდენტობის კანდიდატი ქალთან ერთად არის გადაღებული. ის მაკა ჩიჩუა გახლავთ, პროფესიით მხატვარი.

მაკა ჩიჩუა „ფეისბუქში“ ისეთ მილოცვებს იღებს, პირველ ლედის რომ ეკადრება. მე მიყვარს ჩემი პრეზიდენტიო — დაწერა ქალბატონმა მაკამ „ფეისბუქზე“, რასაც უმალ მოჰყვა მისი მეგობრების კომენტარები: „ჩემი პირველი ლედი“, „გილოცავთ ორივეს. გიორგი იმდენად ღირსეული ადამიანია, რომ პრეზიდენტიც ასეთივე იქნება“, „მე მიყვარს ჩემი პირველი ლედი“, „შენ ეგ თავისუფლად შეგიძლია თქვა და ეჭვიც არ შემეპარა“, „მაკა ბრაუნი ხარ თუ კარლა ჩიჩუა ახლა?“ „ჩვენც კი გვიყვარს „შენი“ პრეზიდენტი“...

მაკა ჩიჩუას პირველი საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული და თავისი თაობის ერთ-ერთ ულამაზეს ქალად ითვლება. ის სხვადასხვა ტელეკომპანიაში ვიზაჟისტად მუშაობდა. მცირე აუდიტორიისთვის კი მუსიკალური კლიპის „ელექტროტალღების“ გადაღების შემდეგ გახდა ცნობილი, სადაც თავად მღერის. კლიპი ერთ-ერთ არხზე კარგა ხანს ტრიალებდა. წარსულში პოპულარული ტელესახე მარინა სალუქვაძე „სარკესთან“ ყვება, რომ, როცა ტელეკომპანია „მზეში“ გადაცემა „ტაბუ“ მიჰყავდა, მაკა ჩიჩუა იქ ვიზაჟისტად მუშაობდა და იქიდან მეგობრობენ.

მარინა სალუქვაძე:

— მაკა ძალიან კარგი, საინტერესო, ერუდირებული, ოქროს გოგოა! მხატვარია. მუსიკალური ადამიანია. კარგად მღერის, ძალიან ლამაზი, გემრიელი გოგოა. კარგი მეგობრობა და გვერდით დგომა იცის.

— მისი და გიორგი მარგველაშვილის ურთიერთობაზე რა იცით?

— დეტალები არ ვიცი, მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთად არიან და მეგობრობენ. ძალიან კარგი წყვილია. მაკა ძალიან მიყვარს.

— პირველი ლედობისთვის შესაფერია?

— კულტურული, განათლებული, ლამაზი და საინტერესო ადამიანია და ამის მეტი რაღა უნდა ჰქონდეს?!

— მაკა აქამდე გათხოვილი არ ყოფილა?

— შვილი ჰყავს, მოზრდილი გოგონა. დეტალები არ ვიცი. სამწუხაროდ, ხშირი კონტაქტი აღარ მაქვს. როცა „მზეში“ ვმუშაობდი, ინტენსიური ურთიერთობა გვქონდა. მაკა იქ ვიზაჟისტი იყო და ამას გარდა საინტერესო პროექტები ჰქონდა, რომელიც, სამწუხაროდ, ვეღარ განახორციელა. ძალიან ლამაზია და კამერასაც უყვარს. დახვეწილი მეტყველებაც აქვს.

■

გიორგი მარგველაშვილი „თავისუფლების დღიურებში“, რომელიც 2006 წლის 12 ნოემბრით თარიღდება, წერს:

„ვარ დუშეთში. ვიღვიძებ, გამოვალ აივანზე, მერე ისევ შევდივარ, ვიძინებ და ისევ იგივე და იგივე. რა ბედნიერებაა! მერე ჩავალ ქვევით, ჩემებთან და მთელი დღე იქ ვარ. იქაც, ამისთვის სრულიად შეუფერებელ ადგილას, შუა ოთახში, გაშლილი სუფრის გვერდით, სადაც მუდმივად ხალხი შემოდის და გადის და თან ტელევიზორია ჩართული, ვწვები და ვიძინებ 4-დან 5-მდე. მერე ისევ ვიღვიძებ და ველაპარაკები ადამიანებს, ვინც ძალიან მიყვარს და ვისთანაც მაინტერესებს ყოფნა. ასე ვცხოვრობ მთელი დღე — ვიღვიძებ, ვიძინებ, ვლაპარაკობ ან რამეს ვაკეთებ.

აქ რაიმე საქმის კეთება განსაკუთრებული ესთეტიზმით, შეიძლება ითქვას, ყოფითი ესთეტიზმითაა სავსე. დავუშვათ, წმენდ რაიმეს ან საჭმელს ამზადებ ან არ ვიცი, კიდევ რას შეიძლება აკეთებდე — მაგალითად, თლი ჯოხს. ამ დროს არსად გეჩქარება, თითქოს შედეგიც არ გაინტერესებს, აკეთებ დიდხანს, რაც შეიძლება უფრო ნელა და დეტალების აქცენტირებით. აი, ასე, მთელი დღე შეიძლება რაღაცა ოხერ, უმიზნო რაიმე ფიცარს თლიდე, აპრიალებდე, გვერდებს უსწორებდე არაფრისთვის, უბრალოდ, მაგრამ სრული ჩართულობით და თან გვერდით ვინმე გიზის ან შენ უზიხარ გვერდით და უყურებ ამ უმიზნო სამუშაოს. თანამონაწილეობ... ამ დროს ნელა, გაწელვით, გამოხშირვით საუბრობ“...

„არ ვიცი, რა დავწერო. თანამშრომლისგან დაბადების დღეზე ნაჩუქარი ფულით ძალიან კარგ მაღაზიაში, „ტრენაჟორების სახლში“, ტრენაჟორები ვიყიდე. ძალიან კარგები იყვნენ ყველანი — გამყიდველები, მენეჯერი, მძღოლი... საერთოდ, ადამიანები კარგები არიან“.

✓ **რუსუდან ადვაძე**

გიორგი მარგველაშვილი: „ჩემი თავი მინისტრადაც არ წარმოვედგინა“

ერწყინვალე შვიდეულის კვირა საქართველოს ვიცეპრემიერისა და განათლების მინისტრისათვის დაძაბული გამოდგა, ჯერ იყო და, კობა დავითაშვილის სამიზნე გახდა, შემდეგ — თეა წულუკიანის, ბოლოს კი უნივერსიტეტების რექტორების. საბედნიეროდ, დაპირისპირებულების სია აქ ამოიწურა. მთელი კვირის ნერვიულობა კი იმით დაუფასდა, რომ ახალი და ძალიან მაღალი სტატუსი ერგო — გიორგი მარგველაშვილი ივანიშვილის რჩეული და პრეზიდენტობის რეალური კანდიდატი.

— გიორგის ყველა კარგად იცნობს. ჩემი აზრით, მას ყველა ის თვისება გააჩნია, რომელიც კარგ პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს. ეს იდეალური ვარიანტია. მას აქვს შესაფერისი განათლება, კრეატიულობა. კრიზისულ სიტუაციაში უნიკალურია, არის კარგი ანალიტიკოსი, ექსპერტი. თუ რაიმე გამიჭირდება, რჩევისთვის ყოველთვის გიორგის მივმართავ და მასთან ერთად სულ რამდენიმე ადამიანს. გარდა ამისა, ის მაგარი ოპონენტია, არაფერს შეგარჩენს და გაპატიებს. მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ადამიანს ვიცნობ, — განაცხადა პრემიერმა.

— დიდი მადლობა ბატონ ბიძინას და მთელ გუნდს, რომელიც ასე მენდო. ბუნებრივია, ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და პატივია. წინ არის ბრძოლა და ეს პოზიცია, რაც არის გუნდში, ქართველმა ერმა უნდა გაიზიაროს. იმედი მაქვს, რომ შევძლებ, არც ამ ხალხს გავუცრუო იმედი და არც მომავალში ქართველ ამომრჩეველს.

კოალიცია არის ერთი გუნდი, რომელმაც დრამატულად შეცვალა ჩვენი ცხოვრება ამ ერთი წლის განმავლობაში და როცა ეს გუნდი კანდიდატად გაყენებს და მხარს გიჭერს, ბუნებრივია, იმედი გეძლევა. ჩემი აზრით, მე უნდა შევძლო იმ ნდობის გამართლება, რაც ამ გუნდს და ბიძინა ივანიშვილს აქვს, — ასეთი იყო გიორგი მარგველაშვილის პასუხი იმ არჩევანზე, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა.

> **„ვეჰ გავთვალე, ჰომ ყველგან უნდა ვაჯონტჰოლო ჩემი ნათქვამი, მედია იქნება იქ თუ ახა. ეტყობა, ჩემი სიტყვა მაინც ჰოლიტიკეჰი განცხადებაა. გამოუცდელი ვახ!“.**

„სარკე“ პრეზიდენტობის კანდიდატს ამ მოვლენებამდე ორიოდე დღით ადრე ესაუბრა.

— ბატონო გიორგი, საკმაოდ რთული კვირა გქონდათ, ყველა მხრიდან გიტეკვდნენ. იმიტომ ხომ არა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად მოიაზრებოდით?

— იმედი მაქვს, რომ კარგად ვმუშაობთ და მხოლოდ ამიტომ იყო და არის ასეთი თავდასხმები. ნუ აკნინებთ ჩემს მუშაობას!

— ბოლოს თანაგუნდელების თავ- → 8

Cyan Magenta Yellow Black

დასმების მოგერიებაც მოგიხდათ. შრომის კოდექსის გამო კობა დავითაშვილმა სასტიკად გაგაკრიტიკათ.

— მე ამ თემებს ღიად არასოდეს განვიხილავდი, გუნდის შიგნით კი — ყოველთვის, მაგრამ რაც ჩემს განცხადებად მოინათლა, ეს იყო დისკუსია და არა მედიისთვის განკუთვნილი განცხადება. გუნდის შიდა დეტალების გარეთ გამოტანა არ მჩვევია.

— „ჯაბაში" იმ ლექცია-დისკუსიის დროს შრომის კოდექსს, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ გააკეთა, როზა ლუქსემბურგის კოდექსი უწოდეთ. ჩანაწერი ინტერნეტსივრცეში გავრცელდა. იცოდით, რომ თქვენი სტუდენტი ლექციას იღებდა?

— არა, არ ვიცოდი, არ დავკვირვებივარ. ვიცოდი, რომ იქ მედია არ იყო და არც მე გახლდით სახელმწიფოებრივ მდგომარეობაში, ლექტორი ვიყავი.

— როცა ინტერნეტში კადრი ნახეთ, გული ხომ არ დაგწყდათ?

— არა, არანაირად. გული ჩემს თავზე დამწყდა, რადგან გამოუცდელი ვარ ამ კუთხით. არ ვაკრიტიკებ იმ სტუდენტებს,

„სიმართლე გითხრათ, კობასგან არ მოველოდი, მაგრამ იმაში არაფერია შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი, რომ დეპუტატმა მოგინოდოს, ვიცეპრემიერობიდან გადადექიო. მგონია, რომ კობას ახასიათებს ასეთი მძაფრი განცხადებები და ამასაც აქვს შარმი. კარგია, რომ არიან პოლიტიკოსები, რომლებიც კობასნაირად მოქმედებენ.

პირიქით, პატივი დამდეს და ჩემი ლექცია დადეს იუთუბზე. ამაში არანაირი კონსპირაცია არ იყო, უბრალოდ, მე არ გავითვალისწინე, ვერ გავთვალე, რომ ყველგან უნდა ვაკონტროლო ჩემი ნათქვამი, მედია იქნება იქ თუ არა. ეტყობა, ჩემი სიტყვა მაინც პოლიტიკური განცხადებაა. გამოუცდელი ვარ!

იმ კონკრეტულ ლექციაზე პირველი მაისის მანიფესტაციასთან დაკავშირებით იყო დებატები. მხოლოდ იმ კონტექსტში ვთქვი, შრომის კოდექსის დახვეწაზე ვმუშაობთ-მეთქი. მაგრამ, როცა კადრებიდან მხოლოდ ეს ციტატა ამოჭრეს, მძაფრი ხასიათი მიეცა, თორემ უბრალოდ ვმსჯელობდით. არც ვნანობ, რომ ასე მოხდა. გარკვეულწილად უნდა მცოდნოდა, რომ ასეთი პრივატული საუბარი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ადვილად შეიძლება იქცეს პოლიტიკურ განცხადებად. მეც უნდა ვიყო კონცენტრირებული და თუნდაც ასეთ შეხვედრებზე არ უნდა ვთქვა ისეთი რაღაც, რომ ცალკე აღებული რომელიმე ფრაზაც კი მიუღებელი აღმოჩნდეს ვიღაცისთვის და, პირველ რიგში, ჩემი კოლეგებისთვის, ვის მიმართაც ძალიან დიდი პატივისცემა მაქვს. დიდ პატივს ვცემ თეა წულუკიანს, დიდ აღტაცებას იწვევს ჩემში მისი მუშაობა.

არც ის მომწონს, რომ ჩემი გამონათქვამით კობა დავითაშვილი გაღიზიანდა და არც ის, რომ „ლაბორატორია 1918"-ის კრიტიკა გამომივიდა.

— დავითაშვილმა მაშინ გადადგომისკენაც მოგიწოდათ, თუ მთავრობის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, განცხადებაც უნდა მოაყოლოს კრიტიკასო. მისგან ასეთ შეტევას მოელოდით?

— სიმართლე გითხრათ, კობასგან არ მოველოდი, მაგრამ იმაში არაფერია შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი, რომ დეპუტატმა მოგინოდოს, ვიცეპრემიერობიდან გადადექიო. მგონია, რომ კობას ახასიათებს ასეთი მძაფრი განცხადებები

„მე და თეას ნამდვილად გვესმის, ხომ ხოზა ლუქსემბურგი საღანძღავი სიტყვა არ არის. სამწუხაროდ, ეს ბევრს არ ესმის. ძალიან კომიკური იყო პროფკავშირების პოზიცია, რომ თქვა, რა დაინახა როზა ლუქსემბურგისნაირი ამ კოდექსშიო. ამ დროს კი პირიქით, როზა ლუქსემბურგი პროფკავშირების და მშრომელთა დაცვის სისტემაში ერთ-ერთი

ღვაწლმოსილი ქალი იყო, რომელმაც წამებით დაასრულა სიცოცხლე სწორედ ამ ღირებულებებისთვის ბრძოლაში. ეს ყველაფერი სტუდენტებთან იუმორისტულ დისკუსიაში იყო ნათქვამი.

— შრომის კოდექსში იუსტიციის მინისტრი მეორე ტალღის შეტანასაც გეგმავს.

— რასაც თეა აპირებს, განსაკუთრებული აქცენტი გადაიტანოს ქალთა უფლებების დაცვაზე, ათასი პროცენტით ვეთანხმები. სხვათა შორის, შიდა დისკუსიებში ყოველთვის ვამბობდი, აქედან უნდა დავიწყოთ-მეთქი. ქალთა, განსაკუთრებით მეძუძურ დედათა, უფლებები ქვაკუთხედი და საწყისია იმისა, რაც ძალიან ბევრ რამეს უკავშირდება, იგივე დემოგრაფიას, ასევე აბორტების თემას, რომელზეც სერიოზულად არის საუბარი. ჩვენ უნდა

„ჯიჰვაღიძის საკითხი ჩემთვის მძიმეა. ეხთ-ეხთი მე ვიყავი, ვინც დათოს ამ პოსტზე ხეკომენდაცია გაუნია".

ბიზნესი და, მეორე მხრივ, ის არის ადამიანი, რომელსაც ძალიან კარგად ესმის ქველმოქმედება და ჩვეულებრივი ადამიანის პრობლემა.

— ისე, სულ სამიზნე ხართ. ამ ბოლო ორ შეტევამდე ბენდუქიძე და გამომცემლები იყვნენ.

— მართალია, მანამდე ბენდუქიძის სამიზნეც ვიყავი. გარიგებაც ხომ დამაბრალეს გამომცემლებთან, მაგრამ ეს თემა ძალიან მალე დამთავრდა, იმ დღესვე. საკითხი ხათუნა გოგორიშვილმა წამოსწია, მაგრამ ფაქტები რომ დავუდე და იმ ხუთიდან ერთ-ერთი „24 საათის" სტამბა აღმოჩნდა, გაჩერდნენ. შორენა შავერდაშვილის გამომცემლობა „ლიბერალი" კი საშინლად მაკრიტიკებდა ბოლო სამი კვირის განმავლობაში. ამით გამოჩნდა, რომ სტამბა პოლიტიკური მიზნით კი არ შევარჩიეთ, არამედ მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ამასთან ერთად, წარმოვადგინე სტამბების ასოციაციის რეკომენდაცია, სადაც ეწერა, ამ ხუთ სტამბასთან ითანამშრომლეთ, რადგან მათ გააჩნიათ შესაძლებლობები. ამით ნაციონალურ მოძრაობას ჩემზე თავდასხმის შესაძლებლობა ამოეწურა.

— სამაგიეროდ, სოფლის მეურნეობის პროგრამის კრიტიკით იჯერა გული ნაციმოძრაობის გენერალურმა მდივანმა პრესკონფერენციაზე.

— მერაბიშვილს ჰქონდა პრესკონფერენცია?

— კი, რატომ გაგიკვირდათ?

— თავიდან ბოლომდე მარტომ ჩაატარა?

— კი.

— მივულოცავ ამ წარმატებას მის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში. არ მომისმე-

„ეხიბიშვილის და ნაციონალებს სოფელი მას შემდეგ გაახსენდათ, ხაც ივანიშვილმა დანეხა ნეხიღი სოფლის აღოხძინების შესახებ. მანამდე ეხ ფიქხობდნენ, ხომ თბილისის და დიდი ქალაქების გახდა ხამე ეხსებობდა, ხადგან სოფელში ბევხი ამომხჩეველი ეხ ეხის".

Cyan Magenta Yellow Black

ნია, მაგრამ ყოჩაღ!

— სოფლის მეურნეობის გადამდგარი მინისტრიც თქვენი მეგობარია.

— კირვალიძის საკითხი ჩემთვის მძიმეა. ერთ-ერთი მე ვიყავი, ვინც დათოს ამ პოსტზე რეკომენდაცია გაუწია. მან ძალიან სწორი ნაბიჯი გადადგა, რამაც მთლიანად ჩვენი მთავრობის ხარისხი წარმოაჩინა. როგორც კი კითხვის ნიშანი გაჩნდა, პროფესიულად მივუდექით და ვაჩვენეთ, რომ არ ვართ გამოკიდებული სკამებზე. ეს ბევრად მაღალი სტანდარტია, ვიდრე ადრე იყო. სიმართლე გითხრათ, ამ საქმეში ჩახედული არ ვარ, მაგრამ მომეწონა პოზიცია, რომელიც ერთდროულად დააფიქსირეს კირვალიძემაც და პრემიერმაც, რომ დათო განაგრძობს რეკომენდაციების მიცემას. ესეც ნიშანდობლივია, რომ ის მნიშვნელოვანი პროცესები არ შეჩერდეს, რომელიც რეგიონებში ხორციელდება.

— მართლია, რომ დავით კირვალიძე ითხოვდა გამოძიების დროებით შეჩერებას?

— წარმოდგენა არ მაქვს. მაგრამ თუ იყო ნათქვამი, დარწმუნებული ვარ, რომ იტყოდა ქვეყნისა და ამ პროცესების კეთილდღეობის კონტექსტში. დათო და ბატონი ბიძინა ამ საკითხში თანამოაზრეები არიან, ორივეს მიაჩნია, რომ სოფლის მეურნეობა უნდა აღორძინდეს და თბილისი თავკომბალა არ უნდა იყოს.

— მერაბიშვილმა თქვა, სოფლის პროგრამით 80 მილიონი მითვისა ხელისუფლებამ.

— მერაბიშვილმა პოლიტიკურად უკვე მოიკლა თავი და ახლა რეალურადაც გადაწყვიტა ამ ნაბიჯის გადადგმა? მერაბიშვილს და ნაციონალებს სოფელი მას შემდეგ გაახსენდათ, რაც ივანიშვილმა დაწერა წერილი სოფლის აღორძინების შესახებ. მანამდე არ ფიქრობდნენ, რომ თბილისის და დიდი ქალაქების გარდა რამე არსებობდა. ახლა გაიხსენეთ, რას აკეთებდნენ ამ წლების განმავლობაში — ხან 20 ლიტრ სალიარს დაგვასხამდნენ თავზე და ხან ერთ ტომარა აზოტს მოაბნევდნენ. ეს იყო მათი დამოკიდებულება სოფლის მეურნეობის მიმართ, რადგან სოფელში ბევრი ამომრჩეველი არ არის.

„ჰასაც თეა აპჰიებს, განსაკუთჰებული აქცენტი გადაიტანოს ქალთა უფლებების დაცვაზე, ათასი ჰჩოცენტით ვეთანხმები. ქალთა, განსაკუთჰებით მეძუძუჰ დედათა, უფლებები ქვაკუთხედი და სანყისია იმისა, ჰაც ძალიან ბევჰ ჰამეს უკავშიჰდება, იგივე დემოგჩაფიას, ასევე აბოჰტების თემას, ჰომელზეც სეჩიოზულად ახის საუბაჩი".

— ილიას უნივერსიტეტის რექტორმა, გიგი თევზაძემაც გაგიხსნათ ცეცხლი სამოქალაქო კოდექსთან დაკავშირებით.

— დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტები არასამთავრობო-სამთავრობო ორგანიზაციებად არიან რეგისტრირებული, რაც თავისთავად სადავოა. არასამთავრობო ორგანიზაციებად ყოფნა სირთულეს ქმნის და ჩვენ გვინდა, ეს სტრუქტურა ადეკვატური გავხადოთ. ასევე უნივერსიტეტების მმართველობა გადავაბაროთ პროფესურას. ეს არის ჩვენი პროექტის შინაარსი. მინდა, ყველა დავარწმუნო, ვინც ამ პროცესის წინააღმდეგია, რომ ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც ამ მიმართულებით გადაიდგმება, ჩვენს ევროინტეგრაციაზე ანუ ბოლონიის პროცესის სივრცეში იქნება ორიენტირებული.

— რექტორები კი სახელმწიფოს მხრიდან კონტროლზე ლაპარაკობენ.

— სახელმწიფოზე დაქვემდებარება რას ნიშნავს? ის ქონება, რომელიც ჩვენ და ჩვენს მშობლებს არ შეგვიქმნია, მაგრამ შექმნეს ჩვენმა წინაპრებმა, არ დარჩეს განათლების სისტემას?! ეს ქონება განიავდეს? მთავრობას იმის ინტერესი არ აქვს, რამენაირად აკონტროლოს, რა ტიპის განათლება ხორციელდება ან რა ტიპის თეორიებს ასწავლიან პროფესორები. მთავარია, რომ უნივერსიტეტი სახინკლედ არ გადაკეთდეს ან ინსტიტუტი — საჩებურეკედ.

— როგორ პრეზიდენტად წარმოგიდგენიათ თავი?

— არასწორი ფორმულირებაა, რადგან ჩემი თავი არც მინისტრად წარმომედგინა და არც სხვა თანამდებობაზე. იყო რაღაც კონკრეტული სამუშაო განსახორციელებელი და იმას ვაკეთებ.

✓ მანანა გეგია

ნაციონალების ცემის ღამე — დეტალები ჩხუბის მონაწილეებისაგან

მანანა გიორგობიანი: «ეს რომ წინა ხელისუფლების დროს მომხდარიყო, თქვენ კიდევ სამ გირგვლიანს მიიღებდით»

ჯერ კიდევ უცნობია, თუ რა გახდა 11 მაისს თბილისის ცენტრში, ვაკეში, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე კლუბ-რესტორან „ლა ტრუფეში" ნაციონალური მოძრაობის ლიდერებსა და იქ მყოფ რამდენიმე პირს შორის მომხდარი ინციდენტის ზუსტი მიზეზი. იქ იმყოფებოდნენ დეპუტატები — გიორგი ვაშაძე, დავით საყვარელიძე, მთაწმინდის რაიონის გამგებელი ნიკა მელია და სამეგრელოს ყოფილი გუბერნატორი ზაზა გოროზია, რომელთაც მამუკა ბაკურიასთან, ბექა მაზიაშვილთან და მანანა გიორგობიანთან შელაპარაკება მოუვიდათ.

■ გიორგი ვაშაძე

გიორგი ვაშაძე: „ჩხუბის დროს ვანო ცალკე იჯდა, არ ჩარეულა"

ინციდენტის შედეგად დაზარალებული ნაციონალური მოძრაობის წევრები რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს, საიდანაც მეორე დღესვე გაწერეს. ექიმების დასკვნით, დავით საყვარელიძეს აღენიშნებოდა თავის ტვინის დახურული ტრავმა, ტვინის შერყევა, ცხვირის ძგიდის მოტეხილობა, მარჯვენა მტევანზე კი ჭრილობა. ზაზა გოროზიას მარჯვენა ხელის მოტეხილობა აქვს, გიორგი ვაშაძეს კი — თხემის მიდამოს ნაკვეთი ჭრილობა. მას თავზე ნაკერებიც დაადეს. დაშავდა ბექა მაზიაშვილიც — მას წარბი აქვს გახეთქილი.

თვითმხილველები, მათ შორის ინციდენტის მონაწილეები, ამბობენ, რომ კლუბ-რესტორანში საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილიც იმყოფებოდა, მაგრამ ინციდენტამდე რამდენიმე წუთით ადრე წავიდა. სააკაშვილმა კი ეს ინფორმაცია უარყო და განაცხადა, რომ იმ ღამეს გვიანობამდე სამსახურში იყო. მისი თქმით, რაც უმცირესობის წარმომადგენლებს შეემთხვათ, ქვეყანაში არსებული დაუსჯელობის სინდრომის ბრალია. რესტორანში ცოლთან ერთად ნაცმოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილიც იმყოფებოდა, რომელმაც იქაურობა ინციდენტის დაწყების შემდეგ დატოვა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმე ხულიგნობის ფაქტზე სისხლის სამართლის 239-ე მუხლის ა ქვეპუნქტის საფუძველზე უკვე აღძრა. რა მოხდა

→10

მამაკაცებისთვის!

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

ექიმი ქალბატონი მზია

☎ 514-246-446, 218-48-99

Cyan Magenta Yellow Black

სინამდვილეში, ვინ ვინ სცემა და როგორ აღმოჩნდნენ ნაცმოძრაობის წევრები უფრო მეტად დაზარალებულები, როცა მათ მხარეს თითქმის მთელი რესტორანი იყო, მეორე მხარეს კი სამი ადამიანი? ორივე მხარე ერთმანეთს სიტუაციის პოლიტიზირებაში ადანაშაულებს.

„სარკე" დეპუტატ **გიორგი ვაშაძეს** მაშინ დაუკავშირდა, როცა საავადმყოფოდან სულ რამდენიმე საათის გამოწერილი იყო.

— ბატონო გიორგი, რა მოხდა კლუბში, ჩხუბი როგორ დაიწყო?

— ინციდენტი რესტორნის პირველ სართულზე მოხდა. მე მეორეზე ვიყავი. როცა ჩხუბი დაიწყო, ქვემოთ ჩამოვედი, გაშველება მინდოდა. შეხლა-შემოხლა, გინება იყო. ორი ადამიანი, თუ არ ვცდები, ცოლ-ქმარი, კიბეზე ამყავდა, როცა ზემოდან რომელიღაცამ თავში რაღაც მესროლა თუ ჩამარტყა, არ ვიცი.

ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ფაქტს ხელისუფლება აქილიკებს. ყველაზე სამარცხვინო ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებაა. მინდა, ეკა ბესელიას პირდაპირ ვუთხრა, რომ ჩემი ქვეყნისთვის კარგის მეტი არაფერი გამიკეთებია და, ბევრისგან განსხვავებით, არც არასოდეს გავაკეთებ. ამიტომ სისულელეა, ჩემს განვლილ ცხოვრებას გადავხედო, თვითონ გადახედოს! ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე თავის განცხადებაში ძალადობისკენ მოწოდებას განაგრძობს. ამის გამო, მან ელემენტარულად თავისი პოსტი მაინც უნდა დატოვოს!

მოკლედ, ერთ-ერთმა პიროვნებამ, რომლის სახელი და გვარიც არ ვიცი, ჩვენი მეგობარი ნიკა მელია გააჩერა და რაღაც უთხრა. ნიკა მას ამშვიდებდა, დაწყნარდითო, ეუბნებოდა, თან ზემოთ ამოსვლას ცდილობდა. ამ დროს გინება ატყდა და ამას მოჰყვა ეს ყველაფერი.

— ასე როგორ დაშავდით, თუ ამ მაგიდასთან მხოლოდ სამი ადამიანი იყო და იქიდან ერთი — ქალი?

— საქმეც იმაშია, რომ ჩვენს მხარეს არავინ ჩხუბობდა. ჩვენ ძირითადად იმათი დამშვიდებით და იქიდან გაყვანით ვიყავით დაკავებული. ის ქალი ყვიროდა, იგინებოდა.

— ვის აგინებდა?

— ზოგადად, ვინც იქ ვიდექით. ამ ქალს და კაცს მოკიდე ხელი და კიბეზე ამყავდა. ამ დროს ჩამოვიდა ის ვიღაც, ვინც თავში ჩამარტყა. როცა საჯარო პირი ხარ, მეტი თმენის ვალდებულება გაქვს, ამიტომ ვცდილობდით, ისინი, რომლებიც ნასვამები იყვნენ, გარეთ გაგვეყვანა.

— იმყოფებოდნენ თუ არა იქ მისეულ საკაშვილი და ვანო მერაბიშვილი?

— თავიდან საქართველოს პრეზიდენტი იქ იყო, მაგრამ ამ ინციდენტამდე წავიდა. თუ არ ვცდები, ჩხუბის დროს ვანო ცალკე იჯდა, არ ჩარეულა.

■ მანანა გიორგობიანი

ინციდენტში მონაწილე ქალბატონი, **მანანა გიორგობიანი,** აბსოლუტურად სხვას ამტკიცებს. მისი თქმით, ჩხუბი ნაცმოძრაობის წევრებმა დაიწყეს. ამ ინციდენტის მისეული ვერსია ასეთია:

— რესტორანში მე და მამუკა ბაკურია მივედით, ყავა შევუკვეთეთ. შემდეგ ბექა მაზიაშვილი და ხათუნა დარბაისელი შემოგვიერთდნენ. ღვინოც გვქონდა შეკვეთილი, მაგრამ დალევა ვერ მოვასწარით. რესტორნის პირველ სართულზე ვისხედით და ვსაუბრობდით. ჩემ პირდაპირ საქართველოს პრეზიდენტი იჯდა თავის ოთხ სტუმართან ერთად. ის კონფლიქტამდე ათი წუთით ადრე წავიდა. ნაციონალებს რამდენიმე სუფრა ჰქონდათ გაშლილი, ამიტომ გამიჭირდება იმის დაკონკრეტება, ვინ სად იჯდა.

ჩემს მოპირდაპირე მხარეს ვანო მერაბიშვილი დაახლოებით ოცკაციან სუფრასთან იჯდა. მასთან ერთად მეუღლეც იყო, ასევე თიკო სადუნიშვილი და ია ფარულავა. ეს ხალხი ერთმანეთთან გადადიოდ-გადმოდიოდა. ფაქტია, რომ ყველა სუფრა მათი იყო. ზოგი პირველ სართულზე ქეიფობდა, ზოგიც მეორეზე. როგორც გაირკვა, მათთვის უცხოები მხოლოდ ჩვენ ვიყავით. ჩვენს მაგიდასთან ნიკა მელია მოვიდა და მამუკას და ბექას მიესალმა. მას სულ თან ახლდა დაბალი მელოტი კაცი. მოკლედ, მელია მეორეჯერაც მოვიდა და ბექას მხარზე შემოუბრახუნა, ე, ბიჭოო, თუ რაღაც უთხრა, ხათუნას უშნოდ გაედო. ამ დროს მამუკა ბაკურიამ სიტუაციის განსამუხტავად ასეთი რაღაც თქვა: „ძალიან გთხოვთ, ასე ფამილარულად ნუ იქცევით, ჩვენ ჩვენს სუფრასთან თავს მივხედავთ, იქნებ თქვენც თქვენს სუფრასთან მიბრძანდეთ".

ამაზე გინება დაიწყეს. როგორც კი ნიკა მელიამ ხმას აუწია, მისი სუფრიდან წამოიშალნენ. სანამ გონზე მოვედი, ბექას თავში ჩაარტყეს, წარბი გახეთქილი აქვს და ნაკერები ადევს. მელიას ვინც ახლდა, იმ დაბალმა კაცმა კისერში წამიჭირა. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო, თორემ მოვიგერიებდი. თითქოს საჩვენებლად სცენისკენ მიმატრიალა და ყბაში მუშტი ამომარტყა. იატაკზე დავვარდი, მაგრამ არ გავითიშე. წამოვხტი თუ არა, იმ წუთასვე მეორე მუშტი მომაყოლა. ამის შემდეგ ვისაც კი შეეძლო, მოგვესია. ერთადერთი, ვინც იქ ხელს არ იქნევდა, ვანო მერაბიშვილი იყო. აქეთ-იქით გაღიმებული სახით დასეირნობდა და, ჩემი აზრით, სეირს ელოდებოდა, როდის ჩაგვქოლავდა ეს ხროვა. იდგა და უყურებდა, როგორ მირტყამდნენ. ჩვენს მეგობარს, ხათუნასაც დაარტყეს. მას ჩვეულებრივი ქალური რეაქცია ჰქონდა, ძალიან შეეშინდა და გაიქცა.

მანანა გიორგობიანი: „სასაცილოა იმის თქმა, რომ ორმა ბიჭმა და ეს ითმა გოგომ ოცი ჯაცი ვცემეთ. ჩვენ მოგერიება შევძელით. ჩხუბის დროს ხელსაც ვიქნევდით, მუშტსაც და ფეხსაცმლის ქუსლიც მორყეული მაქვს".

— თუ მთელი კლუბი თქვენ დაგესხათ, მეორე მხარეს რატომ არიან უფრო მძიმედ დაშავებულები? ორივე მხარე ცოტა დაუჯერებელ რაღაცებს ყვებით.

— ბექა მაზიაშვილი ფიზიკურად ძლიერია.

— არც დათო საყვარელიძე ჩანს სუსტი.

— ფიზიკურ სიძლიერეს ვგულისხმობ. მამუკაც ნაბრძოლია და ბექაც, დედიკოს ბიჭები არ არიან. ნაციონალები მაშინ იყვნენ მაგრები, როცა ძალოვანი სტრუქტურები უმაგრებდნენ მხარს. სასაცილოა იმის თქმა, რომ ორმა ბიჭმა და ერთმა გოგომ ოცი კაცი ვცემეთ. ჩვენ მოგერიება შევძელით. ჩხუბის დროს ხელსაც ვიქნევდით, მუშტსაც და ფეხსაცმლის ქუსლიც მორყეული მაქვს. ფაქტია, რომ ხროვასავით გვესხმოდნენ თავს, მაგრამ სამი ადამიანის ცემა რატომ ვერ შეძლეს, ეს არ ვიცი.

ყველანი პატრულის მოსვლისთანავე წავიდნენ. პოლიციამ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზაზე გაგვაგზავნა, მაგრამ რატომღაც ნაცმოძრაობამ ეს არ მოისურვა და ყველამ საკუთარ ექიმთან გაიკეთა ანალიზი. პატრულის მოსვლისთანავე იმიტომ გაიქცნენ, რომ ერთმანეთში მოელაპარაკათ, რა ეთქვათ.

მანანა გიორგობიანი: „ეს ითაიეთი, ვინც იქ ხელს ახ იქნევდა, ვანო მერაბიშვილი იყო. აქეთ-იქით გაღიმებული სახით დასეირნობდა და სეირს ელოდებოდა, როდის ჩაგვქოლავდა ეს ხროვა. იდგა და უყურებდა, როგორ მირტყამდნენ".

— ეს ჩხუბი პოლიტიკური ნაშნით დაპირისპირება იყო თუ მაშაკაცური შელაპარაკების შედეგი?

— როგორ წარმოგიდგენიათ, ორმა გოგომ და ორმა ბიჭმა სამოცდაათ ადამიანს ჩხუბი დავუწყეთ, რომ ვეცემეთ? მამუკა ბაკურია ტელეკომპანია „ობიექტივის" ჟურნალისტია და ალბათ თვალში არ მოუვიდათ. მათ ჩემთან და ხათუნასთან ორი ბიჭის დამცირება უნდოდათ, ამიტომაც წამოვიდნენ პროვოკაციაზე. პატრული დროზე რომ არ მოსულიყო, ვინმე დაჭრილიყო ან რამე საშინელება მომხდარიყო, იტყოდნენ, პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდაო. მათ ეს სჭირდებათ, სასკანდალო თემებს ეძებენ. ეს იყო ზუსტად გირგვლიანის თემის განმეორება, უბრა- →71

Cyan Magenta Yellow Black

ტანდემი

შალვა რამიშვილი ქეთი კეკელიას სტუმრებს აშინებს

■ შალვა რამიშვილი და ქეთი კეკელია

ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ შუადღის ეთერში შალვა რამიშვილი ორ მომხიბვლელ ქალთან ერთად გამოჩნდა. მისი თანაწამყვანები ქეთი კეკელია და ნატა მაღალაშვილი არიან. ქეთის და შალვას ბევრი წელი და უამრავი მოგონება აკავშირებთ. ამბობენ, რომ ერთმანეთს ერთი სიტყვით კი არა, ერთი ბგერით უგებენ. ქეთის პირდაპირ ეთერში მუშაობის გამოცდილება აქვს, მაგრამ გადაცემის წინ მაინც ყოველთვის ღელავდა. ახლა კი აღარ ნერვიულობს, ამას კი სწორედ შალვას დამსახურებად მიიჩნევს. თავის მხრივ, შალვასაც კარგად ახსოვს ქეთისგან თანადგომა იმ მძიმე წლებში, როცა სასჯელს იხდიდა ციხეში. დანარჩენს ძველი მეგობრები თავად გვიამბობენ.

— როგორც ვიცი, თქვენი გზები დიდხანს წინ გადაკვეთა. სულ პირველი შეხვედრა, როცა ერთმანეთი გაიცანით, გახსოვთ?

შალვა: „მეორე არხზე“ გავიცანით ერთმანეთი. ქეთი ახლა უკეთესია, ვიდრე ახალგაზრდობაში იყო. მაშინაც ძალიან მომხიბლავი გოგონა იყავი. მახსოვს, მასთან პირდაპირ მივედი და „რადიო 105“-ში გადმოსვლა შევთავაზე.

ქეთი: მის შემოთავაზებაზე ბევრი ვიფიქრე. იმ პერიოდში რადიო „მწვანე ტალღაში“ ვმუშაობდი, „რადიო 105“ კი რადიკალურად განსხვავებული სივრცე იყო და არ ვიცოდი, რა მექნა.

შალვა: საბოლოოდ გადაწყვიტა და ჩვენთან დაიწყო მუშაობა. ეს იყო 1996 წელს. ერთი სიტყვით, უხსოვარი დროიდან ერთად ვართ.

— როგორ შედგა თქვენი ტანდემი, ქეთის მუშაობამ გააძლიერა „რადიო 105“-ში?

შალვა: რასაკვირველია, მასთანაც პერსონალურად ვმუშაობდი, მაგრამ ქეთის ბევრი რამ არ დასჭირდა, თავიდანვე კარგი დიქცია ჰქონდა და, ჩემდა გასაოცრად, კარგი მუსიკალური გემოვნებაც აღმოაჩნდა. „რადიო 105“-ში გატარებულ პერიოდს სიამოვნებით ვიხსენებ, რადგან ეს იყო თავისუფლების წლები, თავგადასავლები, მეგობრობა, ერთნაირი გემოვნებისა და მსოფლმხედველობის ადამიანების თავშეყრა, ამიტომაც შედგა ეს რადიო.

ქეთი: ვინც მაშინ „რადიო 105“-ში ვმუშაობდით, ძალიან გაგვიმართლა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ძალიან ცუდი პერიოდი იყო, უშუქობა, გაჭირვება, ჩვენ ყველაზე კარგად ვერთობოდით, თან ვმუშაობდით. ეს იყო ანაზღაურებადი შრომა და სიამოვნება. დღე არ გადის, მე და შალვამ იმ პერიოდიდან ერთი ისტორია მაინც არ გავიხსენოთ.

— პროფესიულად რა გამოცდილება მოგცათ იმ წლებმა?

შალვა: ის, რომ ერთი ბგერით გვესმის ერთმანეთის.

ქეთი: არასდროს მჯერა იმ ადამიანების, რომლებიც ამბობენ, ეთერში გასვლის წინ არ ვღელავთო. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ ეთერში მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკა მაქვს, ყოველთვის ვნერვიულობდი. შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როცა მე არ ვღელავ ეთერში გასვლის წინ და ამ ყველაფერს შალვას ვაბრალებ. მას რომ გადავხედავ, უკვე ვხვდები, მოსწონს თუ არა სტუმარი, მისი საუბარი და ასე შემდეგ.

— შალვა წლების წინ თქვენი შეფი იყო. როგორი იცავდით ზღვარს მეგობრობასა და სამსახურებრივ ურთიერთობებს შორის?

ქეთი: მიუხედავად იმისა, რომ მეც და ყველა ჩემი კოლეგაც მეგობრულად ვიყავით შალვასთან, თავისი ადგილი ყველამ იცოდა. დისციპლინა უპირველესი იყო, თუმცა შალვას თითის ქნევა არასოდეს ახასიათებდა. ერთი ფაქტი დღემდე მწარედ მახსოვს. რადიოში დაულაგებელი სიტუაცია იყო, თან მეორე დღეს აღდგომის დღესასწაული მოდიოდა. დროზე ადრე წასვლა ვთხოვე, მაგრამ არ გამიშვა. მას მერე შალვასთვის არაფერი მითხოვია, მივხვდი, რომ სამსახური სამსახურია, მეგობრობა მეგობრობაა.

ქეთი: „ეს ახის პიჩველი შემთხვევა, ოცა მე ახ ვღელავ ეთერში გასვლის წინ და ამ ყველაფერს შალვას ვაბრალებ. მას ჰომ გადავხედავ, უკვე ვხვდები, მოსწონს თუ ახ სტუმარი, მისი საუბარი და ასე შემდეგ".

შალვა: ჩვენი რადიო იმით გამოირჩეოდა, რომ სუბორდინაციის დაცვას ვახერხებდით. ყველანი საქმის გულშემატკივრები ვიყავით.

ქეთი: როდესაც სამსახურში მისვლა გიხარია, ეს უკვე დიდი ბედნიერებაა.

— დღეს იმავე განცდით და ემოციით მიდიხართ ახალ სამსახურში?

შალვა: ჩვენ ტელეეთერის ნარკომანები ვართ. მსგავსი რამ ყველა სტაჟიან ტელეწამყვანს ემართება. თუ ტელეეთერში ერთხელ დაჯექი, ეს ნიშნავს, რომ ნარკოტიკის დოზაზე შეჯექი. შეიძლება მე ან ქეთის სხვა საქმე გაცილებით უკეთ გამოგვივიდეს, მაგრამ არც ვფიქრობთ, რომ ვეძებოთ. ეს არის ნარკოტიკი, რომელიც მუდმივად გინდა. ჩვენ პირდაპირ ეთერში მუშაობაზე დამოკიდებული ადამიანები ვართ.

ქეთი: ენით ვერ გადმოსცემ, ისეთი შეგრძნებაა პირდაპირ ეთერში მუშაობა!

— არადა, ორიოდე გვინდათ ტელეკარიერაში პაუზა. საყვარელ საქმესთან ჩამოშორება რთული გადასატანი იქნებოდა.

შალვა: წყვეტის დროს „ლომკები“ გაქვს.

ქეთი: ფაქტობრივად 2 წელზე მეტ ხანს ჩამოშორებული ვიყავი ამ საქმეს და ეს საშინელება იყო!

შალვა: მე 4 წელი ისეთი გათიშული ვიყავი ცხოვრებიდან, ვერც რადიოს ვუსმენდი, ვერც ტელევიზორს ვუყურებდი.

— ქეთი, როცა შალვა ცისფერში ავიდა, მის მიმართ ყურადღებას იჩენდით, მისი მდგომარეობით ინტერესდებოდით?

შალვა: მე გეტყვით, რომ მის გულშემატკივრობას ვგრძნობდი. ჩვენი ურთიერთობა დრომ გამოსცადა.

ქეთი: ციხეში წიგნი შევუგზავნე.

— შალვა, გახსოვთ, რა წიგნი შემოგიგზავნათ?

შალვა: „გურჯიევი“. მეგრელი აფერისტია და იცის სვლები... (იცინის). თუმცა იცით, ქეთი როგორი მეგრელია? მეგრული არ იცის.

ქეთი: რადიოში ჩვენთან ერთად გია ჭანტურია (საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი გენერალური დირექტორი. ავტ.) მუშაობდა, რომელმაც, ჩემგან განსხვავებით, მეგრული იცოდა. შალვაზე რამის თქმა რომ გვინდოდა, მსაყვედურობდა, შენ მაინც იცოდე მეგრული, სათქმელს ხომ გეტყოდიო... (იცინიან).

— წლების შემდეგ ერთად მუშაობა როგორ მოგწონთ?

ქეთი: გადაცემაში ჯერ მე მოვედი, 2 კვირის შემდეგ — შალვა. შეთამაშება არ დაგვჭირვებია, შალვა ეთერში გასვლის წინ სარეპეტიციოდ არ მოდიოდა, ამბობდა, პირდაპირ ეთერში დავჯდები და ყველაფერი კარგად იქნებაო. მართლაც ასე მოხდა.

შალვა: ძალიან კარგი პარტნიორები მყავს. გადაცემა სამ წამყვანს მიგვყავს. ნატას პირდაპირ ეთერში მუშაობის გამოცდილება არ აქვს, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ ყველაფერს მიიღებს. მინდა, ვურჩიო, რომ ფეხებზე დაიკიდოს ყველაფერი!

— რას გულისხმობთ?

შალვა: მან თვითონ იცის — ყველა წუხილი, ყველა შიში. ქეთის კი ფერად-ფერად პიჯაკებს ვუსურვებ.

ქეთი: მადლობა, ეგ ისედაც არ მაკლია!

— ქეთი, შალვას ტელემაყურებლები ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ მას რთული ხასიათი აქვს. თქვენთანაც ამეღავნებს ამ თვისებას?

ქეთი: მან ყოველთვის იცის, კონკრეტულ შემთხვევაში რა და როგორ უნდა გააკეთოს. ამიტომ მასთან მუშაობა რთული არ არის, პირიქით. ეს კითხვა ბევრს დაუსვამს ჩემთვის და ყოველთვის ძალიან მიკვირს. ზოგიერთი სტუმარი როცა იგებს, რომ შალვა ჩემი თანაწამყვანია, მოსვლაზე უარს ამბობს. მათ ვინაობას არ დავასახელებ. როცა რომელიმე მათგანს მაინც ვითანხმებ მოსვლაზე და მერე ჩვენგან მიდის, ამბობს, რა მარტივი ყოფილა ეს ყველაფერიო.

შალვა: კეკელია განსხვავებულია! ის იშვიათად ბრაზდება, მას აქვს თევზისებური სიმშვიდე. პროფესიული დაბრკოლებების დროს არის ძალიან მშვიდი. რანაირი მეგრელი ხარ?!

— სამსახურის მიღმა რიგორია თქვენი ურთიერთობა?

შალვა: ადრე, ახალგაზრდები რომ ვიყავით, უფრო მეტი თავისუფალი დრო გვქონდა, მაშინ ოჯახებიც არ გვყავდა. ახლა მხოლოდ „რადიო 105“-ის შეკრებებზე ვახერხებთ თავშეყრას.

ქეთი: ყოველდღიური ურთიერთობისთვის დღეში 2 საათი, მგონი, სრულიად საკმარისია.

— თქვენი მეორე სანეკრები თუ იცნობენ ერთმანეთს?

ქეთი: ამ კუთხით ბევრი არაფერი ხდება ისეთი, რაზეც შეგვიძლია ვისაუბროთ. პირველი ქორწინებისას შალვას მეჯვარე უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ეს ამბავი არ გამოვიდა.

— შალვა მეორედ ქორწინდება და ახლაც არ გამოვა მეჯვარეობა?

შალვა: უკვე შერჩეული გვყავს მეჯვარეები.

ქეთი: ეჰ, დამაგვიანდა!

— თქვენი შვილები უყურებენ თქვენს გადაცემას?

ქეთი: ჩემი ორივე შვილი აქტიური მაყურებელია. დედა რომ ეკრანზე ჩანს, ეს მათთვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

შალვა: ჩემმა შვილებმაც დაბადებიდან იციან, რომ მამა უნდა ჩანდეს ეკრანზე. უფრო პატარები რომ იყვნენ, უკვირდათ, მათი მეგობრების მამები რატომ არ იყვნენ ტელევიზორში.

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

„ვნანობ, რომ სიყვარულ ადამიანს ხელი ვუკრი"

ჩემს საქმროს წლების განმავლობაში ვიცნობდი. შეიძლება ითქვას, ერთად გავიზარდეთ. ჩვენი მშობლებიც ოჯახებით მეგობრობდნენ და ერთმანეთისთვის მხოლოდ კარგი უნდოდათ. მეც თითქოს ბედს ვიყავი შეგუებული, რომ ჩემი ცხოვრების თანამგზავრი ის უნდა ყოფილიყო. არც კი მახსოვს, სიყვარული როდის ამიხსნა, შეიძლება არც არაფერი უთქვამს. თითქოს თავიდანვე ყველაფერი გარკვეული იყო, რომ ჩვენ ერთად უნდა ვყოფილიყავით. ბიჭებიც კი ისე მიყურებდნენ, როგორც მის საკუთრებას, ახლოს არავინ მეკარებოდა. მეც ვფიქრობდი, რომ ყველაფერი ისე უნდა ყოფილიყო და ჩემს თავს უცნაური არაფერი ხდებოდა.

ერთ დღეს კი შევხვდი პიროვნებას, რომელმაც ჩემში ყველაფერი თავდაყირა დააყენა. თითქოს ვიღაცამ მაგრად შემანჯღრია და ღრმა ძილიდან გამომაფხიზლა. იმ დღის შემდეგ გაუთავებლად მას ვეძებდი, სულ მინდოდა მისი ნახვა, მასთან ლაპარაკი, მასთან ერთად სეირნობა. ვხვდებოდი, რომ ეს სიგიჟე იყო, რადგან უკვე დანიშნული ვიყავი და ჩემები ქორწილისთვის ემზადებოდნენ. ამ ყველაფერს კარგად ვაცნობიერებდი, მაგრამ თავს ვეღარ ვაკონტროლებდი. დიდხანს, ძალიან დიდხანს ვუმალავდი ჩემს განცდებს მეგობრებს, მაგრამ ბოლოს გამბედაობა მოვიკრიბე და ჩემს დაქალს ყველაფერი მოვუყევი. შეშინებულმა მომისმინა, მითხრა, ალბათ დროებითი გატაცებაა, რა დროს იმ კაცზე ფიქრია, ქორწილი კარზე მოგდგომიაო.

მეგობრის შეგონებამ არ გაჭრა. ერთ დღეს გადავწყვიტე, ყველაფრისთვის წერტილი დამესვა. ნიშნობის ბეჭედი მოვიხსენი და ჩემს საძინებელში დავტოვე. წერილიც იქვე დავდე, სადაც ვწერდი, რომ ამ ნაბიჯს ვერ გადავდგამდი და ცოლად ვერ გავყვებოდი ადამიანს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მეგობარივით მიყვარდა. ყველას პატიებას ვთხოვდი. იმ დღესვე იმ ადამიანის ცოლი გავხდი, ვინც სიგიჟემდე მიყვარდა.

ჩემმა ასეთმა საქციელმა ორი ოჯახი საშინელ დღეში ჩააგდო. ნამდვილი გლოვა ჰქონდათ გამოცხადებული. მამამ შემომითვალა, ჩათვალე, რომ მომიკვდი, ჩემი სახელი აღარ ახსენოო. მართლაც წლების განმავლობაში ხმას არ მცემდა. ჩემი შვილი 5 წლის იყო, როცა მოვიდა და იმდენი წლის შემდეგ პირველად მაკოცა. მაშინაც გული იმან მოულბო, რომ ჩემს შვილს აპენდიციტის ოპერაციას უკეთებდნენ. მე ძალიან ვნერვიულობდი. მამა საავადმყოფოში მოვიდა და გულში ჩამიკრა. მაშინ კიდევ ერთხელ მივხვდი, გული როგორ ვატკინე.

ჩემი გიჟური სიყვარული ასევე გიჟურად დასრულდა. ჩემს ქმარს გატაცებები არ დაელია. პეპელასავით ხან ერთ ქალთან მიფრინდებოდა, ხან — მეორესთან. იმ ბიჭმა კი, ვისაც ხელი ვკარი, შესანიშნავი ოჯახი შექმნა, ცოლს ხელისგულზე ატარებს. ჩემმა ქმარმა კი ახალგაზრდობა გამიმწარა. ჩემი შრომით ვარჩენ ოჯახს. წარსულზე რომ ვფიქრობ, ძალიან ვნერვიულობ. ვნანობ, რომ გრძნობებს ავყევი და არასწორი ნაბიჯი გადავდგი.

„სარკის" მრავალთა მკითხველი

„დაითვალეთ, დედას წელიწადში რამდენჯერ კოცნით"

44 წლის ქალი ვარ. ცხოვრება ბედნიერად გავატარე. ხშირად მიფიქრია, წარსულის შეცვლის საშუალება რომ მქონდეს, რას გავაკეთებდი-მეთქი და ვამბობდი, რომ არაფერს. ჩემი თითოეული ნაბიჯით, ცხოვრების ყველა პერიოდით კმაყოფილი ვიყავი. შესანიშნავი მშობლები, და-ძმა, მეგობრები მყავდნენ. სკოლაში ყველაზე კარგ ბიჭს ვუყვარდი და მისი ცოლი გავხდი. შესანიშნავი შვილები გვეყოლა, ჯანმრთელები, ლამაზები. სამსახურიც მაქვს და ყველაფერი, რაც ადამიანს მშვიდი და ბედნიერი ცხოვრებისთვის სჭირდება.

მეგონა, სულ ასე გაგრძელდებოდა და ის, რაც მქონდა, ასეც უნდა ყოფილიყო. ამიტომ ბევრ რამეზე დიდ ყურადღებას არც ვამახვილებდი. ერთი წლის წინ კი დედაჩემი მოულოდნელად ავად გახდა და ორ თვეში ხელიდან გამომეცალა. იმ ორ თვეში დავფიქრდი, დედისთვის რამდენჯერ მქონდა ნაკოცნი. გავოგნდი, როცა გადავთვალე, წელიწადში სულ რამდენიმე გამოდიოდა. დასასვენებლად რომ მივდიოდით, გამომშვიდობებისას ვკოცნიდი და იქიდან რომ ვბრუნდებოდით, მაშინ. ბევრჯერ მოსულა დედა და თბილად მოუმართავს, მე კი ყურადღებაც არ მიმიქცევია. თუ სენტიმენტალურ რაღაცეებს იტყოდა, ვაჩუმებდი, ვეუბნებოდი, შენებურად ნუ დაიწყებ-მეთქი. ჩემთან ცხოვრობდა, სულ თავზე დამტრიალებდა და მეგონა, ყოველთვის ასე იქნებოდა. ვერ წარმომედგინა, რომ ოდესმე მის გარეშე მომიწევდა ცხოვრება.

იმ ორ თვეში დედას ბევრი ვეფერე, მაგრამ ტკივილებისგან გატანჯულს იქნებ აღარც სიამოვნებდა ჩემი ალერსი... როგორ მინდა, ის წლები დავაბრუნო! ყოველ დილით საწოლიდან წამოვფრინდებოდი, დედასთან მივიდოდი და ლამაზ ხელებს დავუკოცნიდი. არ დავიღლებოდი იმის თქმით, რომ ძალიან მიყვარდა, რომ სიცოცხლეს მერჩივნა, რომ მის გარეშე ჩემს ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა. სახლიდან გასვლისას გულში ჩავიკრავდი და მაგრად, მაგრად ვაკოცებდი, მოსვლისას კი ლამაზ სახეს დავუკოცნიდი და ათას მადლობას ვეტყოდი იმისთვის, რომ ჩემ გვერდით იყო.

მამა რომ გარდამეცვალა, ტკივილი გულში ჩაიკლა. მე რომ არ მენერვიულა, თავს მაჩვენებდა, რომ ძლიერი იყო. აქეთ მამშვიდებდა, ცხოვრება ასეთია, რას ვიზამთო. არც კი ვიცი, როგორ შენიღბა ის ტკივილი, რაც მამაჩემის დაკარგვით განიცადა. ერთმანეთი ხომ სიგიჟემდე უყვარდათ. ჩემ გამო აიფარა ნიღაბი, რომ ეს ტრაგედია გადამეტანა.

მიჭირს, ფიქრებით სულ დედასთან ვარ, ველაპარაკები, ვეფერები. ამ წერილს განა იმიტომ ვწერ, რომ მინდა, გული მოვიოხო, არა, მსურს, ჩემი ხმა ყველას მოგაწვდინოთ — დაითვალეთ, წელიწადში რამდენჯერ აკოცეთ დედას! თუ ამის დასათვლელად თქვენი თითები საკმარისი აღმოჩნდა, ე.ი. ყველაზე ძვირფას ადამიანს სითბოს და სიყვარულს აკლებთ. ჩემსავით რომ არ დაიტანჯოთ, ნურასოდეს დაიზარებთ, უთხრათ, რომ ძალიან გიყვართ, ნუ დაგეზარებათ მისი გულში ჩახუტება; დაუკოცნეთ ხელები, სახე, დღეში ათასი მადლობა გადაუხადეთ. დამიჯერეთ, მერე ესეც კი ცოტად მოგეჩვენებათ...

თუ ამ წერილს წაკითხვისას „სარკის" მრავალათასიანი მკითხველიდან ერთი მაინც ადგება, დედასთან მივა და გულში ჩაიკრავს, ჩავთვლი, რომ კარგი საქმე გავაკეთე... დედა, მიყვარხარ!

თქვენი ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დაანკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ" და დაგეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„თავისი ნამღვილი ხასიათი ქმარმა ქორწინების მერე გამოამჟღავნა"

ბამარჯობა! მინდა, ჩემი ისტორია მოგიყვეთ და, იმედია, არ გამკიცხავთ. ვფიქრობ, ვიჩქარე, როცა გათხოვება გადავწყვიტე. ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადასადგმელად პატარა ვიყავი, 18 წლის. მეგონა, ის ადამიანი იყო ჩემი ბედნიერება და სხვა არაფერზე ვფიქრობდი, არც იმაზე, წინ რა მელოდა.

უმაღლესში ფასიან სექტორზე მოვეწყვე. ვოცნებობდი, პროფესია მქონოდა, მაგრამ ქმარს არ უნდოდა, რომ მესწავლა. მაშინ კარგ სამსახურში მუშაობდა, საშუალება ჰქონდა, ჩემთვის სწავლის ფული გადაეხადა, მაგრამ ეს არ გააკეთა. თანაც ძალიან ეჭვიანი გამოდგა, რასაც შეყვარებულობის პერიოდში არ ამჟღავნებდა. სახლში დამსვა, დედასთან და თავის დასთან ერთად.

ჩემი ქმარი ოჯახის წევრების მორჩილი აღმოჩნდა, დედის და დის ნათქვამ ყველა სიტყვას იჯერებდა. ისინი კი გამუდმებით თავს მესხმოდნენ. თუ მოუნდებოდათ, მირტყამდნენ კიდეც. ახლაც არ ვიცი, რას მერჩოდნენ, რა დავუშავე ასეთი. ჩემს მშობლებს გამუდმებით ამცირებდნენ.

ასე გადიოდა წლები. ერთხელაც გადავწყვიტე, მათგან თავი დამეხსნა და საზღვარგარეთ სამუშაოდ წავედი. ჩემმა მშობლებმა სახლი ბანკში ჩადეს, სესხი გამოიტანეს და იმ ფულით უცხოეთში გამიშვეს. ქმარი ამაზე გადაირია. იქ არ მომასვენა, მეხვეწებოდა, ჩამოვსულიყავი. ბოდიშს მიხდიდა ყველაფრისთვის, რაც ცხოვრებაში დამიშავა. პირობა მომცა, რომ ჩვენს საქმეში ჩარევის უფლებას არავის მისცემდა. სამწუხაროდ, დავუჯერე, მშობლები, ჩემი ოჯახი გავწირე და უცხოეთიდან ისე ჩამოვედი, ვალიც ვერ დავფარე.

ქმარი მივლინებით სხვა ქალაქში გაუშვეს და საცხოვრებლად იქ გავყევი. საშინელ პირობებში აღმოვჩნდით. ამას მოვითმენდი, ჩემს ქმარს რომ კარგი თვისებები გამოემჟღავნებინა, მაგრამ მან ძველებურად გააგრძელა ცხოვრება. ისევ დაიწყეს დედამისმა, მისმა დამ, ნათესავებმა ჩვენ ირგვლივ ფუთფუთი და ჩვენი ცხოვრების არევა. ის კი ყველას უჯერებდა, როგორც ადრე. საბოლოოდ მივხვდი, რომ არაფრის შეცვლას აპირებდა.

ამასობაში მისი თანამშრომელი მამაკაცი გავიცანი, რომელიც არაჩვეულებრივი ადამიანი აღმოჩნდა. ერთმანეთი ძალიან შეგვიყვარდა. ვიცი, ამის გაგება რთულია, მაგრამ მასთან თავს ზღაპრულად ვგრძნობ. ძალიან ყურადღებიანია, ყვავილებს მჩუქნის, რომანტიკულ საღამოებს მიწყობს. თავისი ოჯახიც გამაცნო.

ჩემი ქმარი განქორწინების ნებას არ მაძლევს, მაიძულებს, მასთან ვიცხოვრო. რამდენჯერაც მისგან წავედი, რომ თავისუფლება მომეპოვებინა, იმდენჯერ უკან დამაბრუნა, საშინელებები გააკეთა. მე კი სხვა მიყვარს და არ ვიცი, რა ვქნა, ზოგჯერ ვფიქრობ, საყვარელ ადამიანთან ერთად უცხოეთში გავიპარო. მინდა, ბედნიერება ბოლომდე შევიგრძნო და საშინელ ყოფას თავი დავაღწიო.

თქვენი ერთგული მკითხველი

„ჩემი ექიმი მოძალადე აღმოჩნდა"

ბავშვობიდან პრობლემური კბილები მქონდა. მთელი სტუდენტობა ყვითელი და გაშავებული კბილებით გავატარე. როგორც კი მუშაობა დავიწყე, ბანკიდან სესხი გამოვიტანე და თანამშრომლის რჩევით, ერთ-ერთ კერძო კლინიკაში მივედი. შუა ასაკის სტომატოლოგმა მამაკაცმა, რომელიც ჩემი თანამშრომლის ბიძა გახლდათ, ფული წინასწარ გადამახდევინა და დამპირდა, რომ ერთ თვეში ჰოლივუდის ღიმილი მექნებოდა, მაგრამ კინაღამ მისი ძალადობის მსხვერპლი გავხდი, ის მოძალადე აღმოჩნდა.

სტომატოლოგთან კვირაში სამჯერ მივდიოდი. ერთ დღეს კი გამომიცხადა, ვერ ვასწრებ, დღისით ბევრი ხალხი მყავს და საღამოს, ექვსი საათის მერე მოდიო. პირველმა ორმა ვიზიტმა მშვიდად ჩაიარა. ერთ საღამოს კლინიკა ჩემთან ერთად დაკეტა და მანქანით სახლში წამომიყვანა. მოულოდნელად სადღაც, ბნელ ქუჩაზე გადაუხვია, ავტომობილი გააჩერა და გიჟივით მეცა. არანორმალურივით მკოცნიდა, ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, თავს არ მანებებდა და ათას სისულელეს მეჩურჩულებოდა.

ახლაც მიჭირს იმის გახსენება... რომ ნახა, დანებებას არ ვაპირებდი, შემაგინა და მანქანიდან გადმომაგდო. სახლამდე ძლივს მივაღწიე. ორი დღე სამსახურში არ მივსულვარ, მაგრამ როდემდე დავიმალებოდი? ბოლოს მაინც წავედი.

მის ნათესავს თვალს ვერ ვუსწორებ. არ ვიცი, რა ვუთხრა, იქნებ გიჟად ჩამთვალოს. ან ამ კბილებს რა მოვუხერხო? იმდენი ფული გადავიხადე და ნახევარი პირის ღრუ გასაკეთებელი მაქვს...

„სარკის" ერთგული მკითხველი

გამოხმაურება

«ჩემს დას გული მოვუკალი»

ჟურნალ „სარკის" მე-19 ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „დებს შორის განხეთქილების ვაშლი საძინებელი აღმოჩნდა". ადამიანები შეცდომის დაშვებისას არაფერზე ვფიქრობთ, მერე კი ამას ძალიან ვნანობთ.

ჩემს დას მეც მოვუკალი გული. იმ დღის გახსენება ახლაც კი არ მინდა. დედამ მას ბრილიანტის ბეჭედი აჩუქა. ჩავთვალე, რომ ის უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე ჩემი საყურე, რომელიც მშობლებმა ქორწილზე მაჩუქეს. წყენა ვერ დავმალე და მაშინვე წამოვაძახე, ყოველთვის გამორჩეული შვილი იყავი და საჩუქრითაც გამოგარჩიეს-მეთქი. ჩემმა დამ მაშინვე მოიხსნა ბეჭედი და გამომიწოდა, შენი იყოსო. შემრცხვა, ვუთხარი, გაგეხუმრე-მეთქი, მაგრამ, რასაკვირველია, არ დამიჯერა. დედამ ფერი დაკარგა. ერთი თქვა, არ მეგონა, ასეთი შვილები თუ გავზარდეო.

მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა. დასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა და მაქვს, მაგრამ ჩემი მაშინდელი სიტყვები გულიდან არ ამომდის. აღმოჩნდა, რომ არც ჩემს დას ჰქონდა დავიწყებული. გოგონა გავათხოვე. დისშვილს ქორწილში სწორედ ის ბრილიანტის ბეჭედი აჩუქა. არაფერი ვთქვი, მაგრამ მივხვდი, ეს რატომაც გააკეთა. შეცდომა ვერ მაპატია. ჯობდა, თავის დროზე შემეკავებინა თავი და მისთვის არაფერი მეთქვა.

მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

Cyan Magenta Yellow Black

რას ურჩევს დედა ნინო მუმლაძეს

„მთავარია, სიძემ ოჯახი არ აგვირიოს“

■ მეგი ქსოვრელი

მსახიობი ნინო მუმლაძე ხელოვანთა ოჯახში გაიზარდა. დედის მხრიდან მისი პაპა ლეგენდარული „ქსოვრელების“ დამაარსებელი, გრიშა ქსოვრელი გახლავთ. გოგონა სულ პატარა იყო, როცა დედამ ჯერ როიალთან დასვა და მუსიკას აზიარა, მერე პუანტები ჩააცვა და საბალეტო სკოლაში შეიყვანა. სურდა, მისი ქალიშვილი, დედისა და პაპის მსგავსად, მუსიკოსი გამოსულიყო, მაგრამ ნინომ მსახიობობა არჩია. მის კვალს უმცროსი დაიკო მედეაც გაჰყვა და ახლა გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში თამაშობს.

ნინოს ოჯახმა რთული გზა გამოიარა, სიხარულთან და ბედნიერებასთან ერთად ტკივილი და მძიმე დანაკარგებიც გამოსცადეს. ყველაზე დიდი დარტყმა ოჯახის უფროსის მოულოდნელი დაღუპვა იყო. ნინოსა და მედეას მამა, ოპერატორი და ფოტოხელოვანი პაატა მუმლაძე, ავტოავარიაში მოყვა. დედამ, მეგი ქსოვრელმა, დაობლებული გოგონები მარტომ გაზარდა. მატერიალურად ხშირად უჭირდათ, ამიტომ, როცა შვილებს სასცენო კოსტიუმები სჭირდებოდათ, თავის კაბებს ჭრიდა და იქიდან უკერავდა.

„ჩვენს ოჯახს ბევრი კარგი პერიოდი ჰქონდა, მაგრამ იყო რთული ეტაპებიც, რომლებიც ერთმანეთის დახმარებით გადავლახეთ“, — გვითხრა ქალბატონმა მეგი ქსოვრელმა, რომელსაც ოჯახსა და შვილებზე სასაუბროდ ვეწვიეთ.

— ქალბატონო მეგი, პირველ რიგში, მამათქვენზე, გრიშა ქსოვრელზე გვიამბეთ. როგორი პიროვნება იყო?

— ჩვენს სახლში ბევრი ცნობილი ადამიანი დადიოდა. დიღლიდან საღამომდე ჟრიამული იყო, ქეიფი არ წყდებოდა. მამა გახლდათ პირველი, ვინც საზღვარგარეთ დუდუკი გაიტანა. მან ამ ინსტრუმენტს მრავალხმიანი ჟღერადობა მისცა. დუდუკს თავისი ხელით აკეთებდა. დედა დიასახლისი იყო. ბატონი გრიშა იმიტომაც გვყავდა ასეთი კარგი, რომ მას ცოლი შესანიშნავად უვლიდა. მე კონსერვატორია დავამთავრე, მუსიკოსი ვარ და მრავალი წელია ბავშვებს

„სიყვარული ისეთი ჰამაა, შეიძლება ვეჰაფეჰზე იფიქრო, თუმცა ღალატი გამახთილებული ეჰ ეჰის... ჩემს შვილს ვუჰჩევდი, დაფიქრდეს და გადაწყვეტილება ისე მიიღოს“.

ვასწავლი. კერძო სტუდიაც მაქვს, რომლის გამგეც გახლავართ.

— გაიხსენეთ, როგორ შეიქმნა თქვენი ოჯახი, ნინოსა და მედეას მამა როგორ გაიცანით.

■ პაატარა ნინო მამასთან ერთად

— ხელოვნების მუშაკთა სახლის კონცერტმეისტერი ვიყავი. როცა მოსკოვიდან სტუმრები, თეატრები, მხატვრები ჩამოდიოდნენ, ჩვენ საკონცერტო ნომრებს ვამზადებით. საღამოები, ტრადიციულად, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს, ჯემალ მონიავას მიჰყავდა. ერთხელაც მას მოსკოვში გადაღებებზე წასვლა მოუწია, ამიტომ საღამოს წამყვანად ახალგაზრდა კაცი მოიწვიეს. იმ კონცერტს მე ვაფორმებდი, საღამოს წამყვანი პეტრე მუმლაძე იყო. მას პაატას ეძახდნენ. ასე გავიცანით ერთმანეთი და 27 წლის ასაკში დავქორწინდით.

— თქვენი მეუღლე მსახიობი იყო?

— თეატრალური ჰქონდა დამთავრებული. კარგად უკრავდა, საღამოები მიჰყავდა, მაგრამ ოპერატორობა უნდოდა, კარგ ფოტოებს იღებდა და კინოსტუდიაში დაიწყო მუშაობა. ამბობდა, ფილმში ჩემს გოგოებს გადავიღებო. ადრე დიზაინერების ინსტიტუტი არსებობდა, სადაც ფოტოხელოვნებაზე ლექციებს კითხულობდა.

— თქვენს ოჯახში მუდმივად იქნებოდა ლაპარაკი მუსიკაზე, კინოზე... ორი ქალიშვილი ალბათ ამ სულისკვეთებით გაზარდეთ.

— რა თქმა უნდა. ნინო უფროსი ქალიშვილია. მას კონცერტებზე სულ თან დავატარებდი. ძალიან ჭკვიანი იყო, საერთოდ არ შეგაწუხებდა. წავიყვანდი, თოჯინასავით დავსვამდი როიალთან და ისე მისმენდა, ხმასაც არ იღებდა. საზოგადოებაში მოთმენა იცოდა, არაფერზე შეგაწუხებდა, მუსიკაც ძალიან უყვარდა.

ერთხელ სკოლაში ოპერის აბონემენტი მოიტანეს, „აბესალომ და ეთერი“ გადიოდა. როგორც მოგეხსენებათ, ეს უზარმაზარი, სამაქტიანი ოპერაა. ნინო მაშინ 2 წლისაც არ იყო. თავი მოიკლა, მეც მინდა წასვლაო. გული რომ არ სტკენოდა, წავიყვანე. ყოველთვის ზღაპრულ კაბებს ვაცმევდი. ოპერის შესასვლელში დიდი ქალივით მივიდა და ხალხს მიესალმა — გამარჯობათო. მთელი სპექტაკლის განმავლობაში ჭკვიანად იჯდა, ყველა მას უყურებდა.

თოჯინებით არ თამაშობდა. როცა ზღაპარს მოვუყვებოდი, ან მულტფილმს შეხედავდა, მერე იმ გმირებს თამაშობდა. სახლში ხან ბებიას, ხან

„მამის და მეუღლის დაკარგვა მახთილაც ძალიან მძიმე იყო ჩემთვის. ბავშვებს ჩემი ღის და ჩემი სახით, ოჰი დედა ჰყავდათ. ისევ სიმღეჰით, სხვადასხვა ჰალცაზე ფიქრით, ამ მძიმე ეტაპიდან გამოვედით“.

■ დედა-შვილი

ბაბუას, ეთამაშებოდა, ხან მეც. სულ რაღაც წარმოდგენებს მართავდა. სხვათა შორის, ორივენი, ნინოც და მედეაც, 2 წლიდან მღეროდნენ. ნინო მედეაზე 4 წლითაა უფროსი.

— ორივემ თეატრალურ უნივერსიტეტში ჩააბარა?

— დიახ!

— ისეთი გამომეტყველებით დამეთანხმეთ, შვილო, არ გინდოდათ, თქვენი შვილები მსახიობები გამოსულიყვნენ.

— არ მინდოდა. თეატრი, ოპერა, ბალეტი ძალიან მიყვარს, მაგრამ მაინც არ მინდოდა, თეატრალურში ჩაებარებინათ... ნინოს ვუთხარი, თუ უფასო სექტორში ვერ მოხვდები, ფულს ვერ გადაგიხდით, ამიტომ უნდა ეცადო, კარგი ქულები მიიღო-მეთქი. მაშინ ნინო ვოკალურ სკოლაში სწავლობდა. თუ უფასოზე მოხვდებოდა — ხომ კარგი, თუ — არა, ისევ კონსერვატორიაში ჩააბარებდა. ნინოც და მედეაც უფასოზე მოხვდნენ.

როცა ნინო პატარა იყო, სულ ბალერინებს ხატავდა. როგორც კი 4 წლის გახდა, საბალეტო სკოლაში მივიყვანე. იქ მიღება 6 წლიდან იწყებოდა, მაგრამ მის საბუთებს დააწერეს: „განსაკუთრებული“ და აიყვანეს. ჩემს ორივე შვილს 12 წლიანი, პროფესიონალური, ვოკალური სკოლა აქვს დამთავრებული.

— მამა რა როლს თამაშობდა ორი ქალიშვილის აღზრდაში?

— ჩემი ქმარი სულ დაკავებული იყო. მედეა 6 წლის რომ გახდა, მის დაბადების დღეზე მამაჩემი ცუდად გახდა. ვერც გავიგეთ, რა მოხდა და მესამე დღეს გარდაიცვალა. ზუსტად ერთ წელიწადში კი ჩემი მეუღლე, სრულიად ახალგაზრდა კაცი, გამომეცალა ხელიდან. პაატა ფილარმონიაში იყო კონცერტზე. ღამით, დაახლოებით 11-ის ნახევარზე, დამირეკა, მითხრა, მალე მოვალო. დედამისი ავადმყოფობდა და მასთან ხშირად მიდიოდა. იმ დღეს სახლში ბავშვებთან ერთად მარტო ვიყავი. ვიღაცამ დამირეკა, თქვენი მეუღლე საავადმყოფოშიაო. თავიდან ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, მეგონა, პაატას დედას დაემართა რაღაც. აღმოჩნდა, რომ ჩემი ქმარი ავარიაში მოყვა. ბავშვები სახლში ჩავკეტე და საავადმყოფოში გავიქეცი. ერთი კვირა რეანიმაციაში იწვა, თითქოს კარგად უნდა ყოფილი-

Cyan Magenta Yellow Black

ალექსიშვილის კლინიკა

ბუასილი მარტივად იკურნება

მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი — თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედა-შვილი, ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.

მაია დოლიძე,43 წლის, დიასახლისი, თბილისი.

დიაგნოზი: ანალური ნაპრალი, კოლიტი.

— მაწუხებდა ძლიერი ტკივილები, შეკრულობა, შებერილობა, კუჭის ტკივილები, გასტრიტი. ამ მდგომარეობით ორი წელი ვიტანჯებოდი და ექიმთან მისვლა მერიდებოდა. ბოლოს ისე გამიმწვავდა ტკივილები, იძულებული გავხდი, მანანა ექიმთან მივსულიყავი. დამიდგინდა ნახეთქი, ნაპრალი, რომელიც ამ შეკრულობამ გამოიწვია. წავიღე მალამოები, ყველაფერი ნატურალური. პირველ წასმაზე ტკივილი განახევრდა, სრულად კი მეორე დღეს მომეხსნა. საათივით ამეწყო კუჭ-ნაწლავის მუშაობა. ასეთი რამ ათი წელია, არ მახსენდება. ასევე მაწუხებდა ქოლეცისტიტი, ადვილად მწყინდა საკვები, ახლა კი ეს პრობლემაც აღარ მაქვს. უსაზღვროდ მადლობელი ვარ, ვიცი, რომ ოპერაციას გადავურჩი. ღმერთს ებარებოდეთ, ქალბატონო მანანა!

მერაბ ულენტი,38 წლის, იურისტი, თბილისი:

— ჩემი დიაგნოზია ნაპრალი, კოლიტი. რამდენიმე წელია, პერიოდულად მაწუხებს და ბოლოს ძალიან შემომიტია. მქონდა ძლიერი ტკივილი, შეკრულობა, ზოგჯერ სისხლდენაც. მანანა ექიმთან დიდი რწმენით მივედი — მან ჩემი ორი მეგობარი განკურნა. პირველმა კურსმა ყველა ჩივილი მომიხსნა. სამ დღეში ტკივილი აღარ მიგრძვნია. ახლა მადლობის სათქმელად შემოვიარე. ღმერთმა დაგლოცოთ, ქალბატონო მანანა!

თეა თელია,41 წლის, დიასახლისი, რუსთავი:

— წლებია, მაწუხებს დისბაქტერიოზი. შემდეგ ამას დაემატა კვანძების გამოვარდნა (მესამე ხარისხი), სისხლდენა, ტკივილი დეფეკაციის შემდეგ, რომელიც საათობით გრძელდებოდა. ქირურგმა რომ გამსინჯა, მაშინვე მითხრა, ოპერაცია გამეკეთებინა. გადავწყვიტე, ეს ბოლო შანსი მიმეცა თავისთვის და მემკურნალა. გამიმართლა, არაჩვეულებრივი შედეგი მივიღე: კუჭ-ნაწლავის მოქმედება დამირეგულირდა, ყველაზე მთავარი პრობლემა მომეხსნა და ამას თან მიჰყვა ყველა სიმპტომი. ძალიან, ძალიან კმაყოფილი ვარ. „ალექსიშვილის კლინიკაში“ ბუასილი მართლაც მარტივად იკურნება.

მის.: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18, №19. მიღება 11-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელ.: 599-10-06-36; 599-57-16-99.

ყო, მაგრამ...

— თითქმის ერთდროულად მამისა და ქმრის დაკარგვა ახალგაზრდა, ორშვილიანი ქალისთვის ძალიან დიდი დარტყმაა. როგორ დაძლიეთ ეს განსაცდელი?

— მამის და მეუღლის დაკარგვა მართლაც ძალიან მძიმე იყო ჩემთვის. ბავშვებს ჩემი დის და ჩემი სახით, ორი დედა ჰყავდათ. ისევ სიმღერით, სხვადასხვა რაღაცაზე ფიქრით, ამ მძიმე ეტაპიდან გამოვედით. მთელი ცხოვრება სცენაზე ვიდექი, ამიტომ ბევრი სასცენო კაბა მქონდა. ჩემს შვილებს რაიმე კოსტიუმი რომ დასჭირდებოდათ, ჩემს კაბებს ვჭრიდი და ვუკერავდი. ჩემი და კარგად ქარგავს. ყველაფერს ჩვენი ხელით ვუკეთებდით. ასე გავზარდეთ ორივე.

— როგორი მსახიობი დადგა თქვენი უფროსი ქალიშვილი, მოგწონთ, როცა ეკრანზე უყურებთ?

— საზოგადოებას ნინო სერიალ „ჩიფსების თაობიდან“ ახსოვს, სადაც ნუნუკას როლს ასრულებდა. მისი პერსონაჟი ლამაზი, პუტკუნა, მხიარული გოგო იყო. შემდეგ, რაღაც პერიოდი, ერთ-ერთ არხზე მუშაობდა. ნინო ძალიან ნიჭიერია. თუ რაიმე არ მოსწონს, ახლოსაც არ მივა, მაგრამ, თუ რაღაცას აკეთებს, სულსა და გულს დებს მასში. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩემი შვილია, ნამდვილად არა, ბავშვები სცენაზე მე თვითონ გამომყავს და ეს საქმე კარგად მესმის. ნინოს თავისი პროფესია ძალიან უყვარს. როგორც გითხარით, თავიდან ნამდვილად არ მსურდა, მსახიობი ყოფილიყო, მაგრამ მერე მის ნებას დავყევი, სხვა გზა არც მქონდა.

„საბალეტო სკოლაში ნინოს საბუთებს დაანეხეს: „განსაკუთრებული“.

— „ჩემი ცოლის დაქალებში“ ოჯახის დამანგრეველ ქალს თამაშობს და ამის გამო მაყურებლების რისხვას იმსახურებს. თქვენ ამაზე რა რეაქცია გაქვთ?

— სერიალში ძალიან საინტერესო როლი აქვს, სხვა ამპლუაშია და ძალიან მომწონს. კარგად რომ თამაშობს, მისი გმირის გარშემო ასეთი აურზაური ამიტომაც ატყდა. მგონი, სერიალსაც სჭირდებოდა კონტრასტული პერსონაჟი. გიორგი ლიფონავა ძალიან კარგი რეჟისორია და იცის, რა გააკეთოს. ბოლო სერიებს რომ ვუყურებდი, რაღაც ერთფეროვანი მეჩვენებოდა, თითქოს ვიცოდი, ვინ როგორ მოიქცეოდა. ნათიას პერსონაჟმა კი სხვა მუხტი შეიტანა სერიალში.

„ჩემი ქმარი ამბობდა, ფილმში ჩემს გოგოებს გადავიღებო“.

■ დები — ნინო და მედეა

— ნაცნობები, ახლობლები რას გეუბნებიან ნინოზე და მის გმირზე?

— ვინც გვიცნობს, ნინოს თამაში ყველას მოსწონს და აღფრთოვანებულია. ჩემი და ბიბლიოთეკაში მუშაობს და თურმე თანამშრომლებს შორის სულ ამ სერიალის განხილვა მიდის. ვერ ვიტყვი, რომ ვინმე ამას ცუდად ხვდება.

— სოციალურ ქსელში ნინოს მისამართით სალანძღავ სიტყვებს არ აშურებენ. ეს არ გწყინთ?

— რა თქმა უნდა, არ მსიამოვნებს და, სიმართლე რომ გითხრათ, ამაზე, ცოტა არ იყოს, ვნერვიულობ. იქ მხოლოდ ნინო კი არა, ყველა მსახიობი ძალიან კარგად თამაშობს. ხალხს ასეთი რეაქცია არ ექნებოდა, მათ კარგად რომ არ ეთამაშათ.

— ნინოც გათხოვარია და მედეაც. როგორ სიძეებს ისურვებდით?

— ძალიან რთული სათქმელია. მთავარია, სიძემ ოჯახი არ აგვირიოს. პირველ რიგში, ჩემი შვილი უნდა უყვარდეს, ღირსეული ადამიანი იყოს. ჩემი გოგონები მართლა კარგები არიან. მამაკაცს კაცური საქციელი და იუმორი ამშვენებს. აუცილებელი არ არის, ლამაზი იყოს.

— ნინო თავის პირადზე გულახდილად გიყვებათ?

— თუ თვითონ უნდა, მეუბნება. ზედმეტად არ ვიცი ჩაძიება. რაღაცეებს მეტყვის ხოლმე. ჩვენს ბედს თავად ვქმნით, თუ ცუდს გავაკეთებთ, ისევ საკუთარ თავს ვავნებთ.

— რეალურ ცხოვრებაში თქვენი ქალიშვილი ნათიას მდგომარეობაში რომ აღმოჩნდეს და ცოლიანი მამაკაცი შეუყვარდეს, რას ეტყვით, როგორ მოიქცევით?

— ღმერთმა გვაშოროს ეს ყველაფერი, მაგრამ გააჩნია სიტუაციას. დათოს შემთხვევაში, ნათიამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ის სახლში დააბრუნოს, რადგან დათოს თავისი ცოლი მაინც უყვარს. არის სიტუაციები, როცა ცოლ-ქმარს ცუდი ურთიერთობა აქვთ და ამის გამო შვილები იტანჯებიან. ამ დროს შეიძლება დაეხმარო, ბავშვისთვის ახლობელი, მეორე დედა გახდე, მაგრამ ამის თქმა მაინც რთულია. სიყვარული ისეთი რამაა, შეიძლება ვერაფერზე იფიქრო, თუმცა ღალატი გამართლებული არ არის. ტყუილსა და ღალატზე გულსატკენი არაფერია. ჩემს შვილს ვურჩევდი, დაფიქრდეს და გადაწყვეტილება ისე მიიღოს.

მინდა, ჩემი გოგონები ბედნიერები იყვნენ. ჩვენს ოჯახს ბევრი კარგი პერიოდი ჰქონდა, მაგრამ იყო რთული ეტაპებიც, რომლებიც ერთმანეთის დახმარებით გადავლახეთ. როცა გიყვარს, ბევრ რაღაცას გააკეთებ.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

კახი კახიშვილი: „სააკაშვილის ხელისუფლება საკუთარ ცოლებს და საყვარლებს უსმენდა“

ქართულ პოლიტიკაში ბინძური ბრძოლა დაიწყო. პირველი სამიზნე ტელეკომპანია „ობიექტივის“ ჟურნალისტი, გიორგი ფარესაშვილი აღმოჩნდა. ინტერნეტში მისი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ერთი კვირის წინ გაჩნდა. ფარულ ვიდეოჩანაწერში კიდევ ორი პიროვნებაა ასახული. ჟურნალისტი ვიდეომასალას ფაბრიკაციას უწოდებს და კადრების გავრცელებაში პრემიერმინისტრის მრჩეველს საერთაშორისო-ეკონომიკურ საკითხებში გია ხუხაშვილს, შს მინისტრის პირველ მოადგილე გელა ხვედელიძეს და მთავარი პროკურორის პირველ მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილს ადანაშაულებს.

— სამი კვირის წინ დავიწყე ხუხაშვილის, ნაცვლიშვილისა და ხვედელიძის მხილება, რომ ისინი ვანო მერაბიშვილის კლანთან იყვნენ გარიგებული. მათ მერაბიშვილის კლანის ბიზნესი გადაიბარეს. გელა ხვედელიძეზე ჯერ კიდევ არჩევნებამდე ვწერდი, რომ ის ვალერი ხაბურძანიას დროს ქვემო ქართლის უშიშროების ხელმძღვანელი იყო. სწორედ მან და ხაბურძანიამ გაუღეს პარლამენტში კარი „ნაცისტებს“. ნაციონალური მოძრაობის დროს კი სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე იყო, მათ შორის — შს სამინისტროშიც, შემდეგ გუბაზ სანიკიძესთან შეაგზავნეს აგენტად. ასევე ჰქონდათ მცდელობა, „სახალხო კრებაში“ შეეგზავნათ, თუმცა მალევე გაიშიფრა... უნდა მოეწოდებინათ მასალა გია ხუხაშვილის, ნათია მოგელაძისა და მისი ქმრის გარიგებაზე, რომელიც დღემდე პროკურატურაში მუშაობს. სწორედ ამ პიროვნებამ მაცნობა კადრების ამბავი. მინდა გითხრათ, რომ ადეიშვილისა და კეზერაშვილის კლანს, რომელსაც 2006 წლიდან ვებრძოდი, არ უკადრებია ის, რაც ხუხაშვილ-ნაცვლიშვილ-ხვედელიძის კლანმა იკადრა. სანამ ჩემს ხელთ არსებულ ინფორმაციებს გავასაჯაროებდი, ერთ-ერთმა მეგობარმა „ქართული ოცნებიდან“ მითხრა, რატომ არ გეშინია, რომ გაგაგორონონ. იგივე მითხრა ერთ-ერთმა ექსპერტმაც. მორალურად მათ მართლა მესროლეს შუბლში ტყვია, — აცხადებს ფარესაშვილი.

საქმის აღძვრიდან ზუსტად ერთ კვირაში სამეულიდან ერთ-ერთი — შს მინისტრის მოადგილე ხვედელიძე, დაპატიმრებულია. როგორც შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განმარტა,ფარესაშვილის შესახებ კადრები წინა ხელისუფლების დროს კუდ-მა გადაიღო, მისი გავრცელება კი ხვედელიძემ უზრუნველყო.

— გელა ხვედელიძემ ჩაიდინა არამარტო დანაშაული, არამედ საჯარო მოხელისა და შს სამინისტროს თანამშრომლისათვის აბსოლუტურად შეუფერებელი საქციელი. მან არაადეკვატურად და ძალზე მტკივნეულად მიიღო მის მიმართ ბოლო პერიოდში მედიით გავრცელებული სრულიად უსაფუძვლო ბრალდებები, ცილისწამებები და, გიორგი ფარესაშვილზე შურისძიების მოტივით, დამოუკიდებლად განათავსა ეს კადრები ინტერნეტსივრცეში. მისი ფიქრით, ამ ფორმით მის მიმართ წარმოებული ცილისმწამებლური კამპანია შეწყდებოდა. ჩემი ყოფილი მოადგილე გელა ხვედელიძე დაკავებულია, — განაცხადა შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ფარესაშვილის პირადი ცხოვრების ფარულად გადაღებული კადრების გავრცელებამ ცხადად დაგვანახა, რა შეიძლება მოხდეს, თუ ის არქივი, რომელიც ნაცმოძრაობის რეჟიმის დროს გაკეთდა და ხელისუფლებაში ახალმოსული ღარიბაშვილი შოკში ჩააგდო, დროულად არ განადგურდება. ექსპერტი და იურისტი კახი კახიშვილი კი დარწმუნებულია, რომ ნაციონალებმა, რაც მნიშვნელოვანი და ღირებული იყო, უკვე გაიტანეს საქართველოდან. ასე რომ, თუ გამოძიება ამითაც არ დაინტერესდება, ქართველ საზოგადოებას, „ნაღმები“, სავარაუდოდ, არ მოაკლდება.

კახი კახიშვილი:

— საკუთარი მოადგილის დაკავება, დარწმუნებული ვარ, პირადად ირაკლი ღარიბაშვილისთვის იყო ძალიან რთული, მაგრამ ამავდროულად ყველაზე სწორი გადაწყვეტილება. ფაქტობრივად არ გაგვიცრუა იმედი. ახლა იმედს ვიტოვებ, რომ გამოძიება ბოლომდე დაადგენს ამ ფირის გავრცელებაში მონაწილე ყველა პირს და მათი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება. ეჭვი მეპარება, რომ

„ნაციონალებმა კარგად იციან, რა ფასი აქვს კომპრომატს და რისი გაკეთება შეიძლება მისი გამოყენებით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფარული ჩანაწერებს საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით გაიტანდნენ ქვეყნიდან. იქ იქნება ოგოროც დღევანდელი ხელისუფლების წევრებზე მასალები, ისე საკუთარი გუნდის წევრებზეც“.

მხოლოდ ბატონი ხვედელიძე იყო ამის გამკეთებელი. მინიმუმი, იქ „კომპიუტერშიკებიც“ იყვნენ ჩართული და სხვა პირებიც.

— უკანონო ვიდეოჩანაწერების არქივი, რომელიც ნაციონალებისგან ბიძგად დასცდა ახალ ხელისუფლებას, როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული, ამ ფაქტმა გამოააშკარაა. იყო საუბარი, რომ ის უნდა განადგურებულიყო, მაგრამ ჯერჯერობით არ გაკეთებულა. თქვენი აზრით, რატომ ჭიანურდება?

— ბაზა, რომელიც ახალ ხელისუფლებას გადმოეცა, მცირე ნაწილია. დარწმუნებული ვარ, დიდი და მნიშვნელოვანი წაღებული და დამალული აქვთ ნაცმოძრაობის წარმომადგენლებს, რომ შემდგომში პოლიტიკოსების შანტაჟისთვის გამოიყენონ. გამოძიება აუცილებლად უნდა დაინტერესდეს, ვის ხელში ინახება მასალა და საერთოდ, სად იმალება, რომ ამოიღონ და განადგურდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ უცნაური ფილმების დემონსტრირება გაგრძელდება.

სისხლის სამართლის საქმეა აღძრული უკანონო თვალთვალსა და მოსმენებზე. წესით, ეს მასალები დართული უნდა იყოს საქმეზე, როგორც ნივთმტკიცება. სანამ არ დადგება კანონიერი განაჩენი, ნივთმტკიცება ინახება და მხოლოდ განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ იქნება შესაძლებელი მასალის განადგურება. მაგრამ უდავოა ის, რომ გამოძიებამ უნდა უზრუნველყოს სათანადოდ ამ ნივთმტკიცების დაცვა. ასეთი მასალა არ უნდა ინახებოდეს კონკრეტულად რომელიმე გამომძიებლის სეიფში და ასეთ ნივთმტკიცებაზე პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს აღებული რომელიმე პირს, რომ ასლის გადაღების ან გაცნობის საშუალება არავის ჰქონდეს, მიუხედავად იმისა, რა თანამდებობაზეა ან რა პოზიციაზე „ქართულ ოცნებაში“.

— ანუ, თუ გაუთანავს ინფორმაცია, გამომძიებლის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, ამის თქმა გინდათ?

— რა თქმა უნდა. თუ დადგინდა, რომ ეს წარმოადგენს იმ მასალათა ნაწილს, რომელიც ინახებოდა შს სამინისტროში და მერე ვიღაცის დაუდევრობის გამო ან რაღაც განზრახვით გადაეცა მესამე პირს, ბუნებრივია, უნდა დადგეს პასუხისმგებლობა იმ გამომძიებლის, რომელსაც აწერია ის საქმე.

— რატომღაც დროდადრო ჩნდება მოსაზრებები, რომ გრძელდება თვალთვალი, „ფეისბუქზეც“ გავრცელდა ვიდეო, სადაც ერთ-ერთი ახალგაზრდა ამაზე საუბრობს...

— რას ამბობენ ან რა გავრცელდა, ამას სჭირდება დოკუმენტური მასალები. მე ვერ დავიწყებ დაჟინებით საუბარს იმაზე, რომ თვალთვალი გრძელდება. ჩემთვის მთავარია, გამკაცრდეს კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ამგვარ საქმიანობას, რომ ვინმემ, რომც ჰქონდეს სურვილი ასეთი უკანონო ქმედების, განხორციელება ვერ შეძლოს. მაქვს ინფორმაცია, რომ წინა ხელისუფლების დროს საკუთარ ცოლებს და საყვარლებს უსმენდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ასე უნდოდათ.

— დაკით უსუფაშვილმა და სხვებმაც თქვეს, რომ ამ უკანონობის შეზღუდვა არსებული კანონმდებლობითაც არის შესაძლებელი.

— აქ მარტო კანონზე — არა, პასუხისმგებლობაზეც არის საუბრი. უკანონო მოსმენის წარმოება შესაძლებელი უნდა იყოს გადაუდებელ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ უწყების ხელმძღვანელის თანხმობით. ანუ უმაღლესი თანამდებობის პირებმა უნდა იცოდნენ მსგავსი ტექნიკის გამოყენება და მასზეც მკაცრი კონტროლი უნდა მიმდინარეობდეს სამინისტროში.

— რატომ ფიქრობთ, რომ არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი გატანილია?

— როცა იცლებოდა კაბინეტები, ძალიან სერიოზულად საუბრობდნენ, რომ მოდულის შენობიდან და შს სამინისტროდან სერიოზული დისკები გადიოდა. ადამიანები 9 წელი აგროვებდნენ ამ მასალას, 9 წელი ახდენდნენ სხვადასხვა ჯგუფების და ადამიანების მანი-

Cyan Magenta Yellow Black

პულირებას. კარგად იციან, რა ფასი აქვს კომპრომატს და რისი გაკეთება შეიძლება მისი გამოყენებით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით გაიტანდნენ ქვეყნიდან. იქ იქნება როგორც დღევანდელი ხელისუფლების წევრებზე მასალები, ისე საკუთარი გუნდის წევრებზეც.

— „ოცნების“ მიერ საპრეზიდენტო კანდიდატად მარგველაშვილის დასახელებამ, ფარული ჩანაწერების თემა ცოტათი დაჩრდილა, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ახალი ჩანაწერები არ გაკრცელდება. თქვენ ელოდით გიორგი მარგველაშვილის დასახელებას?

— კი, რადგან კეთდებოდა მინიშნებები. მქონდა მოლოდინი, რომ ან გიორგი მარგველაშვილი იქნებოდა, ან კახი კალაძე. მაინც ვფიქრობდი, რომ საკუთარ გუნდში შეარჩევდა კანდიდატს. ერთი პლუსი აქვს მარგველაშვილს — არ იყო არასოდეს რომელიმე პარტიის წევრი და არ იყო შემჩნეული რომელიმე პარტიის ან ინტერესების ლობირებაში. ვიმედოვნებ, ის იქნება მთელი საქართველოს პრეზიდენტი და არა — კოალიციის ან ივანიშვილის. ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, შეძლებს კი ისეთი პრინციპული

„პრეზიდენტს ექნება საკმაო უფლებები, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის კუთხით. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოს პრეზიდენტი იყოს ჰეალეური არბიტრი და არა — ვინმო პარტიული ინტერესების მატარებელი ადამიანი, როგორიც იყო სააკაშვილი“.

გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც შესაძლებელია არ ესიამოვნოს ბიძინა ივანიშვილს. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბევრს საუბრობენ, ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტს დიდი უფლებამოსილება არ გააჩნიაო, არ არის მთლად ასე. პრეზიდენტს ექნება საკმაო უფლებები, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის კუთხით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის იქნება არჩეული პირდაპირი წესით, რაც, ბუნებრივია, მას სერიოზულად აძლევს ლეგიტიმაციის ხარისხს და ანიჭებს დამოუკიდებელი პოლიტიკური თანამდებობის რანგს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პრეზიდენტი იყოს რეალური არბიტრი და არა — ვიწრო პარტიული ინტერესების მატარებელი ადამიანი, როგორიც იყო სააკაშვილი.

მარგველაშვილი კარგი დიპლომატი იქნება თუ კარგი პრეზიდენტი, ვერაფერს გეტყვით, რადგან კარგად არ ვიცნობ მის შესაძლებლობას. მე მისი მენეჯერული საქმიანობა ვნახე განათლების სამინისტროში დანიშვნის შემდეგ. მანამდე იყო თავისუფალი ადამიანი, რომელიც აკეთებდა კომენტარებს სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესთან დაკავშირებით. გაიჩნია თუ არა უნარი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა, ვერ შევაფასებ. საარჩევნო პროგრამით შესაძლებელი იქნება გარკვეული დასკვნების გაკეთება, მაგრამ ახლა რამის თქმა ნაადრევია.

— ექსპერტების ნაწილი ფიქრობდა, რომ ივანიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატი კოალიციის გარეთ იქნებოდა, რათა შენარჩუნებული-ყო ბალანსი. აქცენტი სალომე ზურაბიშვილზე კეთდებოდა. მარგველაშვილის დასახელების მეორე დღეს მან ფოთში განაცხადა კიდეც, რომ გადაწყვიტა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა დამოუკიდებელ კანდიდატად.

— ვერ გეტყვით, სალომე ზურაბიშვილი რამდენად ჯდებოდა გუნდის ინტერესებში, მაგრამ მარგველაშვილზე გადაწყვეტილება ბევრად უფრო ადრე იყო მიღებული. ახლა კი ვიხილეთ რაღაც ტოქ შოუს ნაწილი, სადაც თითქოსდა არჩევდნენ, ვინ იქნებოდა კანდიდატი კოალიციიდან. ერთი რამ ფაქტია, შერჩევისას მთავარი იყო, არავინ წასულიყო ამ კანდიდატის წინააღმდეგ. არ ვფიქრობდი, რომ ზურაბიშვილი იქნებოდა წარდგენილი.

— გამოკითხვით, მარგველაშვილს საკმაოდ დაბალი რეიტინგი აქვს. ეს არაფერს ნიშნავს?

— არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვის რა რეიტინგი აქვს ან ვინ რამდენი პროცენტით სარგებლობს საზოგადოებაში, რადგან მას სერიოზული უპირატესობა აქვს იმით, რომ ივანიშვილი უჭერს მხარს. ასე რომ, დღეს, სამწუხაროდ, ვცხოვრობთ ისეთ პოლიტიკურ სივრცეში, სადაც ივანიშვილის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ არჩევნებში. ამიტომ მარგველაშვილს ექნებოდა ისეთი რეიტინგი, როგორიც კოალიციაში შემავალ ნებისმიერ სუბიექტს, რომ არ ყოფილიყო ივანიშვილი. დღეს კი ვხედავთ, ისინი საუბრობენ, რომ ძალიან დიდი პოპულარობით და მხარდაჭერით სარგებლობენ ხალხში. თუმცა ჩვენ ხომ ვიცით, რა ხალხია. ახლა სიტყვა ეთქმით ივანიშვილის ხათრით და... მარგველაშვილი კი არა, კალაძე რომ ყოფილიყო, იმავე პროცენტს მიიღებდა. უფრო მეტიც, ჩვენთვის უცნობი, ვინმე პეტრიაშვილიც რომ დაესახელებინა, ივანიშვილის ხათრით ასევე მისცემდნენ ხმას.

— დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა იყარაუდა, რომ ირაკლი ალასანია დამოუკიდებლად იყრის კენჭს. რამდენად მოსალოდნელია მოვლენების ასე განვითარება?

— ნადირაშვილი რომ მთელი ცხოვრება წარმოდგენებით ცხოვრობდა, იმიტომაც ფიქრობდა, სააკაშვილი 30 წელი დარჩებოდა ხელისუფლებაში. ერთი მომენტია, ალასანიას მიმართ მიმდინარეობს თამაში, რითიც არწმუნებენ, რომ ივანიშვილის მხარდაჭერის გარეშეც შეძლებს გახდეს საქართველო პრეზიდენტი. ნახეთ, რომ ენდიაი-მ ისევ ჯიუტად

„თუ ბაქრაძეს სუხს, ომმ საკუთარი მომავალი ნახოს პოლიტიკაში, არა მგონია, ომმ უნდა იყაროს კენჭი ნაცმოძრაობის სახელით“.

შეუკვეთა კვლევები იმ ცენტრს, რომელსაც არ ენდობა არც ერთი ადამიანი საქართველოში და რეიტინგებიც დაგვისახელა ისეთი, როგორიც ნაცმოძრაობას სურდა. ენდიაი კვლევების შედეგებს ყოველთვის ათანხმებდა ნაცმოძრაობასთან ან აჯამებდა. ახლაც ვნახეთ სურათი, ნაცმოძრაობას სურდა, დაეფიქსირებინა, რომ ივანიშვილის მერე რეიტინგული კანდიდატი არის ალასანია და ამავდროულად — ბაქრაძეც. ამასთან ერთად ჩვენ ვნახეთ ფილოსოფიური და საზრიანი გამონათქვამები, როგორი კარგი იქნებოდა საქართველოსთვის, ალასანია ყოფილიყო პრეზიდენტი, ამ დროს კი, თავიანთი მმართველობის პერიოდში არ გაახარეს, მერეც კი არ მიუშვეს რამის სამართავად, ახლა გაუჩნდათ სურვილი, რომ რატომღაც პრეზიდენტი გახდეს.

დარწმუნებული ვარ, ვიღაც ბიზნესჯგუფები დაუკავშირდებოდნენ ან დაუკავშირდებიან ალასანიას და აღუთქვამენ ფინანსურ დახმარებას, თუ გადაწყვეტს დამოუკიდებელად საკუთარი საპრეზიდენტო კამპანიის დაწყებას, მაგრამ ეს ყველაფერი არის ილუზიები. ალასანიას ივანიშვილისგან დამოუკი-

„ეითი ჰეესი აქვს მიჩგველაშვილს — აი იყო აიასოდეს ომეიმე ჰაიტიის წევრი და აი იყო შემჩნეული ომეიმე ჰაიტიის ან ინტერესების ლობირებაში. ვიმედოვნებ, ის იქნება მთელი საქართველოს ჰეზიდენტი და აია — ოაიეიციის ან ივანიშვილის“.

დებლად არანაირი შანსი არ აქვს. ეს ყველაზე კარგად იცის ირაკლიმ. ისიც კარგად იცის, რომ შეიძლება დაკარგოს ისიც, რაც აქვს. ამიტომ ალასანია მანამდე დარჩება ივანიშვილთან, სანამ ექნება რაიმე თანამდებობაზე ყოფნის შანსი. დღეს, როცა არის მინისტრი და, როგორც ჩანს, მიიღო დაპირებაც, რომ არჩევნების შემდეგაც დარჩება, ამას დაკმაყოფილდება.

ნაცმოძრაობას ერთი სურვილი აქვს — რამენაირად გახლიჩოს კოალიცია. იციან, რომ ოქტომბრის შემდეგ გარდაუვალია ნაცმოძრაობის დაშლა და ცდილობენ, ისეთი წინაპირობა და გარემო შექმნან, რომ კოალიცია მანამდე დაიშალოს, ვიდრე მათი პარტია. დარწმუნებული ვარ, ამას აცნობიერებენ კოალიციაშიც და განსაკუთრებით — ალასანია.

— პრაიმერის მეთოდით შერჩეულ კანდიდატს რა შანსი აქვს? რა თქმა უნდა, ნაცებს ეგულისხმობ.

— რა პრაიმერი! 9 წელი ნაცმოძრაობა ისე მართავდა ქვეყანას, პრაიმერი და დემოკრატიული ღირებულება არ გახსენებია, ერთი კაცის გარშემო ტრიალებდა საქართველო. გჯერათ, რომ ნაცმოძრაობას ახლა გაახსენდა პრაიმერი და დემოკრატიული ღირებულებები? ეს უბრალოდ მცდელობაა იმისა, რომ აჩვენონ, არიან დემოკრატიულები და ცდილობენ, რამდენიმე ადამიანი გამოკვეთონ პოლიტიკურ ლიდერად, რომ ხვალ-ზეგ, თუ რომელიმეს მიმართ გაუჩნდება კითხვები გამოძიებას, ილაპარაკონ, რომ, აი, პრაიმერში მონაწილეებს სამართალდამცავები კითხავენო.

ნაცმოძრაობის ყველაზე დიდი ნატვრაა, რამენაირად მეორე შედეგი დააფიქსირონ, რომ შემდგომში მოიარონ მთელი მსოფლიო. ის კი არ აჩვენონ, რომ 10-15 პროცენტი აქვთ, არამედ იძახონ, მეორე მხარდაჭერილი ძალა ვართ საქართველოში, ამიტომ ხელისუფლება ვალდებულია, ყველა გადაწყვეტილება ჩვენ შეგვითანხმოსო. ეს გარკვეულწილად ინდულგენციასაც მისცემს და იმის ბერკეტიც ექნებათ, რომ საკუთარი თავი ან ბიზნესი გადაირჩინონ.

არის მეორე მხარეც —არსებობს არასაპარლამენტო ოპოზიცია, რომელსაც აქვს შანსი, მეორე შედეგი დააფიქსიროს, თუ, რა თქმა უნდა, დაძლია ამბიციები. თუ არასაპარლამენტო კანდიდატმა დააფიქსირა მეორე ადგილი, ჩათვალეთ, რომ გარდაუვალი იქნება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. იმ შემთხვევაში, თუ არასაპარლამენტო ოპოზიციამ ვერ გაქაჩა მეორე ადგილი ხმების გაყოფის ან სხვა ტექნოლოგიების გამო და ნაცები გავიდნენ მეორეზე, ჩათვალეთ, რომ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებ- →18

Cyan Magenta Yellow Black

ზე საუბრი კარგახანს არ იქნება. ამაზეც უნდა დაფიქრდეს არასაპარლამენტო ოპოზიცია.

— რატომ სართ დარწმუნებული, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის კანდიდატს ასეთი შანსი აქვს?

— გაიხსენეთ ნაძალადევის მაგალითი. რომ შეგვეჯამებინა ის ხმები, რაც მიიღო მანჯავიძემ, ჩიტიშვილმა და კუკავამ, 10 პროცენტით აღემატებოდა „ქართული ოცნების“ კანდიდატის შედეგს, რომ არაფერი ვთქვათ პაპუნა დავითაიაზე. ამიტომ ახლა გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც დაიწყებენ წახალისებას დამოუკიდებელი კანდიდატების, რომ რაც შეიძლება მეტად გაიხლიჩოს ხმები.

— რამდენად შესაძლებელია არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ კანდიდატზე შეჯერება? სხვამ ყველამ რომც მოილაპარაკოს, ლეიბორისტები არ დათმობენ.

— ყველამ უნდა გადადოს ამბიციები და დაფიქრდეს, აუცილებელია მონაწილეობა მონაწილეობისთვის თუ სტრატეგიულად გათვლა. რა სურთ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს, 4 წელი ისევ პროცესებიდან გათიშულებმა უყურონ ტელევიზორს, სადაც ნაცმოძრაობა „ოცნებას“ ოპონირებას გაუწევს და ოკუპირებას მოახდენს ტელევიზიის და ტრიბუნის თუ ნამდვილად სურთ, რომ ქვეყანაში განვითარდეს ნორმალური პოლიტიკური პროცესები, სადაც „ოცნებას“ ეყოლება ნორმალური ოპონენტი, რომლის მიმართაც არ იქნება გამოყენებული კრიტერიუმი „სამ დურაკ“.

> **„დაინმუნებული ვარ, ვიღაც ბიზნესჯგუფები დაუჯავშირდებიან ან დაუჯავშირებიან აღასანიას და აღთქვამენ ფინანსურ დახმარებას, თუ გადაწყვეტს დამოუკიდებელად საკუთარი საპრეზიდენტო კამპანიის დაწყებას, მაგრამ ეს ყველაფერი არის იღუზიები“.**

სადამდე შეიძლება გამოიყენოს „ოცნებამ“ ნაცმოძრაობა როგორც საფრთხობელა? დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ „ოცნების“ ნაწილსაც აწყობს ნაცმოძრობის საფრთხობელობა, მაგრამ ქვეყანას სჭირდება რეალური ოპოზიცია, რომელიც საგნობრივად გააკრიტიკებს მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს.

— ნაციონალებიდან კანდიდატად ვის ვარაუდობთ?

— ნაციონალებს მძიმე მდგომარეობა აქვთ. რასაც ვუყურებ, ისინი ცდილობენ ერთმანეთისგან გამიჯვნას. თუ მთელი ნაცმოძრაობა ემიჯნება ახალაიას და ადეიშვილს, ნაცმოძრაობაში არიან ადამიანებიც, ვისაც სურთ, გაემიჯნონ მერაბიშვილს. სააკაშვილს კი ემიჯნება ყველა ფრთა. არიან იქაც ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, ამათ მილიონები იშოვეს და რომ გადავყვეთ, არ გამოვაო. ალბათ ოქტობრის შემდეგ გამოვლენ ადამიანები, ვინც არ არის ასოცირებული ნაცმოძრაობის სიხისტესთან. შეიძლება ბაქრაძე გამოვიდეს, უგულავაც გამოვა ბოკერიასთან ერთად. ასე რომ, ბევრი მოვლენა გველოდება ნაცმოძრაობის დაშლის კუთხით.

კანდიდატი ვინ იქნება, არ ვიცი, მაგრამ, თუ ბაქრაძეს სურს, რომ საკუთარი მომავალი ნახოს პოლიტიკაში, არა მგონია, რომ უნდა იყაროს კენჭი ნაცმოძრაობის სახელით.

— იქნებ სწორედ ამიტომ თქვა, არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წასვლას ვაპირებო.

— არა მგონია, რომ პოლიტიკიდან წავა, მაგრამ შესაძლებელია, ამას იმიტომ აცხადებს, რომ არ იქნეს განხილული ნაცმოძრაობის კანდიდატად. ნაცმოძრაობის სახელით არჩევნებში მონაწილეობა წამგებიანია.

დავით დარჩიაშვილი: „მარგველაშვილმა ივანიშვილი ფილოსოფიური საუბრებით მოხიბლა“

ხელისუფლება განათლების მინისტრის, გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატურას დამაჯერებელს და უალტერნატივოს უწოდებს, ოპოზიცია კი — სათამაშოს. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, შალვა ნათელაშვილი, რომელმაც აგრეთვე წამოაყენა საკუთარი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე, თვლის, რომ ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა სრულიად საქართველოს, რადგან საქართველოს პრეზიდენტი უფლებაწართმეული ფიგურა კი არა, უმაღლესი მთავარსარდალი უნდა იყოს. დაახლოებით იგივე მოსაზრება აქვთ ნაციონალებსაც, მაგრამ უფრო მრავალმხრივი არგუმენტებით.

დავით დარჩიაშვილი, საპარლამენტო უმცირესობის წევრი:

— მარგველაშვილის კანდიდატურა არის ივანიშვილის პირადი არჩევანი. აქ არ იკვეთება რაიმე ობიექტური, რაციონალური მსჯელობა კოალიციის პოლიტსაბჭოს მხრიდან. ისინი მხოლოდ პოსტ ფაქტუმ ეთანხმებიან ივანიშვილს. მისადმი პიროვნულ ლოიალურობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. კოალიციაში ბევრად უფრო აქტიური, გამოკვეთილი ფიგურები არიან, ვიდრე მარგველაშვილია.

— მაშინ რატომ შეაჩერა მასზე არჩევანი?

— აქ სამი მიზეზი შეიძლება იყოს. პირველი — ფილოსოფიური საუბრებით გატაცება. ორივეს სჩვევია საყველპურო ფილოსოფიაზე, ფსიქოლოგიაზე საუბრები. მეორე — მარგველაშვილს, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან წინააღმდეგობრივი განცხადებები ჰქონდა რუსეთის როლსა და ადგილზე საქართველოს ისტორიაში. ასევე სამომავლოდ მითითებები გააკეთა, რომ ლოგიკურია რუსეთის ორბიტაზე ყოფნა და ეს მოსაზრება შეიძლება მათ აახლოებთ კიდეც და მესამე — ის, რომ დამოუკიდებელი ფიგურა არ არის და აბსოლუტურად მიყრდნობილია ივანიშვილზე. პრემიერს სჭირდება ასეთი სუსტი ფიგურები, რომლებიც მისი ხელების და თვალების შემყურენი იქნებიან და რეალურად თავად გააკონტროლებს ყველაფერს. პრორუსულობა და დიქტატორული, ავტორიტარული ტენდენციები, რაც თვალნათლივ ჩანს კოალიციის ცხოვრებაში, ძალიან საშიშია ქვეყნის მომავლისათვის.

— „ოცნება“ თქვენ გასაგონად მუდმივად ამბობს, რომ შიში მათ პრორუსულობასთან დაკავშირებით არარეალურია.

— ვისაც რეალური გვგონია, გაგვატარეთ, თუ ჩვენი აზრის გამოხატვის უფლება კიდევ შეგვრჩა. ვისაც სერიოზულად აინტერესებს, წაიკითხოს, ან ერთს რა უთქვამს, ან მეორეს. განცხადებებში ხომ ჩანს ადამიანის აზროვნება და მსოფლმხედველობა. აბა, ისე როგორ გავარკვიოთ, ვინ ვინ არის?

— ვარაუდობდით, რომ მარგველაშვილი იქნებოდა კანდიდატი თუ მაინც გეგონათ, ივანიშვილი ირაკლი ალასანიას დაასახელებდა?

— ალბათ ქვეყნისათვის, დემოკრატიული განვითარებისთვის და იმისთვის, რომ ფორმალობად არ იქცეს განსხვავება პრემიერს, პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის, ჯობდა, გამოერჩიათ ის ადამიანი, ვისაც, ერთი მხრივ, ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირეებთან ბევრად უკეთესად შეუძლია საუბარი და, მეორე მხრივ, თავის ღირებულებებში უფრო ნათელია, ქვეყნის მომავლისათვის შესაფერისია. მაგრამ გვყავს ის, რაც გვყავს.

— „ფეისბუქზე“ სურათები დაიდო, სადაც ჩანს, რომ მარგველაშვილს წარსულში ახლო კონტაქტი ჰქონდა თქვენს აქტივისტებთან, იგივე ვიგა ბოკერიასთან.

— მეც მქონდა ახლობლური ურთიერთობისმაგვარი გასული საუკუნის 90-იან წლებში. ეს ქვეყანა ძალიან პატარაა და ბევრი ადამიანი იცნობს ერთმანეთს. მერე კი, როცა რაღაც მოვლენაზე სხვადასხვა შეფასებები უჩნდებათ ადამიანებს, ხდება იდეოლოგიური დაცილება, დაპირისპირება.

— ნათელაშვილმა პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ მარგველაშვილს სოროსის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული.

— გრანტი აქვს აღებული თუ ცენტრალურ-ევროპული უნივერსიტეტი დაამთავრა. მისი ბიოგრაფია ასე კარგად არ ვიცი. გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა საქართველოში პრაქტიკულად სახელმწიფო არ არსებობდა და ქვეყანა იმართებოდა კრიმინალების მიერ, ორწიგნწაკითხულებს ინტელექტუალური საუბრები გვქონდა ხოლმე და ეს იყო ნიადაგი დაახლოებისთვის. მერე, როცა პოლიტიკური ცხოვრება გააქტიურდა, გამოიკვეთა ქვეყნის განვითარების ალტერნატიული გზები, გამოჩნდა განსხვავებები. ვერ წარმომიდგენია, თან დემოკრატიაზე ილაპარაკო და თან სტალინიზმს არ ებრძოლო. მარგველაშვილს ეს წარმოუდ-

> **„ჰიემიეს სჭირდება სუსტი ფიგურები, ჰომლებიც მისი ხელების და თვალების შემყურენი იქნებიან და ჰეალურად თავად გააკონტროლებს ყველაფერს. ჰრორუსულობა და დიქტატორული ტენდენციები თვალნათლივ ჩანს, ჰაც ძალიან საშიშია ქვეყნისთვის“.**

Cyan Magenta Yellow Black

გენია.

— ნაციონალები შეძლებთ, მას კონკურენცია გაუწიოთ?

— მგონია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს ალტერნატივა არ ეყოლება. სამწუხაროდ, საზოგადოებაში სხვა განწყობებია. ივანიშვილის სასწაულის მოლოდინმა საზოგადოებას რაციონალური განსჯის სურვილი გაუნელა. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალურ მოძრაობას შეცდომებიც აქვს და პრობლემებიც, სხვა ძალას ვერ ვხედავ. სხვანაირად 9 წლის განმავლობაში ვერც იქნებოდა ხელისუფლებაში. უშეცდომო და უპრობლემო არავინ ყოფილა არც ერთ ქვეყანაში და, თუ მაინცდამაინც აქ გინდათ წმინდანების ძიება, აგერ გყავთ ივანიშვილი და ვნახოთ, ქვეყანას სადამდე მიიყვანს.

არ ვიცი, მომავალში რა პარტიები გაჩნდება, მაგრამ რაც გვაქვს სცენაზე, ორი არჩევანია — ხარვეზებიანი ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ მაინც მოდერნიზაციის პროექტით ან „ასავალ-დასავალი“. ასე ჯგუფდება. ვისაც მიაჩნია, რომ „ასავალ-დასავალი“ რესპექტაბელური გაზეთი და ქართული ჟურნალისტიკის ფლაგმანია... გული მიკვდება, რომ ამას ვხედავ. საბოლოო



„უშეცდომო და უპრობლემო არავინ ყოფილა არც ერთ ქვეყანაში და, თუ მაინცდამაინც აქ გინდათ წმინდანების ძიება, აგერ გყავთ ივანიშვილი და ვნახოთ, ქვეყანას სადამდე მიიყვანს“.

ჯამში, ეს რეალობა უფრო განმსაზღვრელია ჩემთვის, ვიდრე ის, ვინ რას იტყვის ნატო-ზე. ამაზე შეიძლება ლამაზი სიტყვებით ილაპარაკო. შევარდნაძეც საუბრობდა, მაგრამ ცხოვრება სულ სხვა მიმართულებით მიდიოდა. მე ამას ვხედავ, ამის მეშინია და ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ!

— ექსპერტების შეფასებებით, ნაციონალების მიზანი არჩევნებში მხოლოდ და მხოლოდ მეორე ძალად დაფიქსირებაა.

— ჩვენი ამოცანა არის მოგება, მაგრამ აბსოლუტურად ვაცნობიერებთ, რომ ეს იქნება რთული. პირველ ოქტომბერს ქართველმა საზოგადოებამ სხვა გადაწყვეტილება მიიღო და ასე ერთ წელიწადში ხალხის შემობრუნება ადვილი არ არის.

— პრაიმერში ჯერ მხოლოდ სამი კანდიდატი დასახელდა — გიორგი ბარამიძე, ვანო მერაბიშვილი და დავით ბაქრაძე. პირადად თქვენ თუ გაქვთ არჩევანი გაკეთებული?

— ეს რომ გამოვლინდეს, საჭიროა პრაიმერის ჩატარება — შეხვედრა, დებატები, საუბრები განვლილ, დღევანდელ და სამომავლო გზებზე. უნდა გამოიკვეთოს წრე და მერე ვიღაცის მხარდამჭერი შეიძლება გავხდე, მაგრამ ეს დამოკიდებულია არგუმენტებზეც.

— პრაიმერით კანდიდატის შერჩევა — ეს ყველაფერი თქვენს ოპონენტებს ღიმილს გვრის.

— ყველას თავისი პოზიცია აქვს. ჩვენ ღვინის წარმოებაში ერთ-ერთი პირველი ერი ვართ, მაგრამ არა — დემოკრატიაში. პრაიმერი ისეთი მექანიზმია, რომელიც დემოკრატიაში ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ გვინდა, პრაიმერით გამოვლინდეს, ვინ იქნება სამომავლოდ პარტიის კანდიდატურა.

— ეს როდის დაკონკრეტდება?

— ივნისში ყველაფერი გაირკვევა.

— 10 პროცენტზე მეტს ვერ აიღებთო, ივანიშვილმა გაწინასწარმეტყველათ.

— ივანიშვილმა ისიც განაცხადა, ბარიერს ვერ გადალახავთო, მაგრამ სამჯერ მეტი ავიღეთ თბილისის ერთ-ერთ რთულ უბანში. ივანიშვილის განცხადებები ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოა, მაგრამ ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. თუ ივანიშვილი ცოტა მეტ ყურადღებას დაუთმობს თანამედროვე საქართველო ისტორიას, ნახავს, რომ რეიტინგები ძალიან ცვალებადია და, თუ გაქვს ნათელი იდეა, მაშინ რეიტინგს კი არ უნდა უყურო, იდეას უნდა ემსახურო. თავის დროზე სოციალ-დემოკრატებს, მენშევიკებს ძალიან დაბალი რეიტინგი ჰქონდათ, მაგრამ დღეს მათ დამაარსებლებს მთელი საქართველო იცნობს.

ჩვენ გვჯერა ჩვენი იდეის; გვჯერა, რომ ჩვენი იდეა უფრო კარგია საქართველოს განვითარებისათვის, მიუხედავად იმისა, წარსულში ვის რა შეცდომა ჰქონდა. „ქართული ოცნების“ მიერ ჩამოყალიბებული საქართველოს განვითარების იდეა კი უბრალოდ ოცნებაა. ჩვენი რეიტინგი დაბალია და ამიტომაც ვართ ოპოზიციაში, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. თუ ხარ პოლიტიკაში, შენი საქმე მაინც უნდა აკეთო. ლეიბორისტებს დაბალი რეიტინგი აქვთ, მაგრამ ამას სულ არ უყურებენ. ლეიბორისტული პარტია არ არის ჩვენთვის მაგალითი, უბრალოდ თქვენთვის ვთქვი.

— გივი თარგამაძე ჩამოგიყიდათ, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა, პუტინს მოკუგე და ახლა სამშობლოს მიუხდაკო.

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ლეგიტიმურმა, რესპექტაბელურმა ევროპულმა ინსტიტუტებმა მიიღეს გადაწყვეტილება და თქვეს ის, რასაც ჩვენ ვამბობდით — რომ რუსეთისგან დევნილი ადამიანი არის საქართველოსთვის, ქვეყნის ეროვნული ინტერესებისთვის ბევრად უკეთესი, ვიდრე ის, რომელიც რუსეთის პროკურატურასთან იმეგობრებს და ითანამშრომლებს. ინტერპოლმა, ლიტვის სამართალდამცავმა სტრუქტურებმა თქვეს, რომ გივი თარგამაძე არის დასაცავი რუსეთის პროკურატურისაგან. შესაბამისად, მისი ადგილი ქართულ პოლიტიკაშია.

— ექსპერტები პროგნოზირებენ, რომ არჩევნების შემდეგ ნაცმოძრაობა დაიშლება.

— ნაციონალური მოძრაობა აუცილებლად დარჩება და შეეცდება, ეს ქვეყანა ძალიან მძიმე პერსპექტივებს როგორმე ააცილოს. ცალკეული ადამიანები კი, რომლებიც იყვნენ ნაციონალურ მოძრაობაში და მასთან ასოცირდებოდნენ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, ვერ გეტყვით. კოლექტიური ერთობა, პოლიტიკური გუნდი იარსებებს.

— მიუხედავად იმისა, რომ საუბრობენ საკაშვილი-მერაბიშვილის დაპირისპირებაზე?

— ერთობა დარჩება და მიხეილ სააკაშვილი დარჩება ისტორიაში, როგორც გამორჩეული პრეზიდენტი და ნაცმოძრაობის შემქმნელი, ლიდერი და იდეოლოგი.

— მარიკა ჟვანიასშვილიც კი იყო თქვენი პარტიის ერთ-ერთი შემქმნელი, მაგრამ ახლა დათა ახალაიასთან ერთად ვანო მერაბიშვილს უპირისპირდება.

— მე გესაუბრებით პარტიაზე, თქვენ კი მელაპარაკებით პიროვნებაზე. ხანდახან ადამიანებს ნებისყოფა არ ჰყოფნით, აზრი ეცვლებათ და მიდიან და მოდიან, მაგრამ იდეები და ორგანიზაციები რჩებიან. წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო — ნათქვამია. ძველი სიბრძნე მუშაობს.

— მერაბიშვილი ქვიშაა თუ წყალი?

— ამ ეტაპზე ცნობილია, რომ როგორც მერაბიშვილი, ისე ბაქრაძე, ბარამიძე პრაიმერში იღებენ მონაწილეობას. ჩვენ ვცოცხლობთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ბევრს არ უნდა.

— სიტყვამ მოიტანა და, გორგოზია-საყვარელიძე-ჯაშაძის ცემის ფაქტს რა კომენტარს გაუკეთებთ?

— ეს არის ფიზიკური დევნის გაგრძელება ნაციონალური მოძრაობის მიმართ. ადრეც ხდებოდა, მაგრამ მაშინ სახელმწიფო სტრუქტურები იყო ნაციონალების მმართველობის ქვეშ და კრიმინალურ გამოვლინებებს ებრძოდნენ. ამ ბრძოლაში ბევრი პოლიციელიც დაიღუპა, მაგრამ ამავე დროს პოლიციელებისგანაც მომხდარა დანაშაული და ეს ყველამ ვიცით.

„ჩვენი ამოცანა ახის მოგება, მაგრამ აბსოლუტურად ვაცნობიერებთ, რომ ეს იქნება რთული. პირველ ოქტომბერს ქართველმა საზოგადოებამ სხვა გადაწყვეტილება მიიღო და ასე ერთ წელიწადში ხალხის შემობრუნება ადვილი არ არის“.

— ჩხუბის ერთ-ერთმა მონაწილემ თქვა, რომ შელაპარაკება მოუყიდათ ერთმანეთთან.

— შელაპარაკება შეიძლება ყველასთან მოგვიდეს, მაგრამ აქ არის უკვე სისტემური დევნის შემთხვევა. კრიმინალური მეთოდები — გინება, ფიზიკური ანგარიშსწორება — ეს არის შელაპარაკება?! ისხდნენ ადამიანები, თავისუფალ დროს ატარებდნენ, ამ დროს მივიდნენ და გინება დაუწყეს. არც პატრული იყო, არც პოლიცია და ბოლოს მოხდა ცემა-ტყეპა. ეს არის დღევანდელი რეალობა.

✓ **პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ**

Cyan Magenta Yellow Black

ოთარ მელვინეთუხუცესის სამოთხე და ჯოჯოხეთი

„კაცი იდგა და ჩემს ვარსკვლავს უეურებდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამქვეყნად დავრჩი“



«როცა თუთაშხიობა არ გამომდის, თავის მოკვლა მინდა»

ეფე გიორგი თუ დათა თუთაშხია? თუ თანამედროვე ქართველი მამაკაცი, საოცარი შინაგანი და გარეგანი ხიბლით, ძნელად ამოსაცნობი, მიუწვდომელი სილრმით, რომელსაც ვერ გაუთამამდები, საკუთარი თავი არ მოგცემს მის წინაშე გაკადნიერების უფლებას, მისი თვალები შეგაჩერებს... ვინ დაკარგა ქართულმა კინომ და თეატრმა, მთელმა ქართველმა ხალხმა? თუმცა სიტყვა „დაკარგა“ აქ უადგილოა, დაემშვიდობა.

9 მაისს, ბრწყინვალე შვიდეულის ხუთშაბათ დღეს, ქართველი მსახიობი, ოთარ მელვინეთუხუცესი გარდაიცვალა. ის 81 წლის იყო.

■

1932 წლის 16 იანვარს თბილისში დაიბადა. თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრა. 1975 წლიდან მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი გახლდათ. ქართულ კინოსა თუ თეატრში ათეულობით როლი ითამაშა. უამრავი პრემიის ლაურეატი იყო. მისი ყველაზე წარმატებულ როლად დათა თუთაშხია ითვლება, რომელმაც არნახული პოპულარობა მოუტანა. ამ როლს საოცრად მოერგო მისი პიროვნება და ხალხმაც მასთან გააიგივა. დაუვიწყარია მისი ელიოზი „ნატვრის ხეში“, მეფე გიორგი — „დიდოსტატის მარჯვენაში“...

ოთარ მელვინეთუხუცესს პრესასთან ურთიერთობა არ უყვარდა. „სარკის“ არქივში მისი ინტერვიუ ინახება, რომელიც 2007 წლის იანვარშია ჩაწერილი. „როცა თუთაშხიობა არ გამომდის, თავის მოკვლა მინდა“, — მითხრა მაშინ ბატონმა ოთარმა. ქვემოთ ამ ინტერვიუდან ამონარიდებს გთავაზობთ.

„ცოდო ვიქნებოდი, თუთაშხიას ხოლს ჩემთვის გვეხდი ხომ აევლო“

— ახლა ვასო კიკნაძის წიგნს ვკითხულობ, სადაც წერს, რომ თეატრი სამოთხეც არის და ჯოჯოხეთიც. თავიდან ჯოჯოხეთს ვერ გრძნობ და რადგან მხოლოდ სამოთხე გგონია, გიტაცებს. ამას მოგვიანებით მივხვდი. რატომაა, რომ მსახიობები თავიანთ შვილებს არ ურჩევენ მათი გზა გააგრძელონ? იმიტომ, რომ უკვე იწვნიეს ჯოჯოხეთი. შეიძლება ადამიანს ცხოვრებაში იმ დოზით არ შეხვდეს ცუდი რამ, რამდენიც თეატრშია, რადგან ეს ყველაფერი ჩვენთან უფრო გამძაფრებულია. სულ მაყურებლის წინაშე ხარ... სანამ არტისტი ცოცხალია, უნდა მოასწროს ყველაფერი, რადგან ჩვენს სიცოცხლესთან ერთად ყველაფერი თავდება.

ცოტა ფილმია ისეთი, რომელიც დროს უძლებს. ერთმა ფრანგმა რეჟისორმა თქვა, თუ ფილმმა 10 წელს გაუძლო, დიდი ფილმიაო. 10-ს კი არა, „დათა თუთაშხიამ“ 4-ჯერ მეტ დროს გაუძლო! თენგიზ აბულაძის „ვედრებამ“ გაძლო კი არა, რაც დრო გადის, უფრო მეტი წონა ეძლევა. „დიდოსტატის მარჯვენაში“ რაღაცეები აღარ მომწონს, მაგრამ ჩემ მიერ შექმნილ სახეს ვერ ვუსაყვედურებ, გამომივიდა და დროსაც გაუძლო. ახალგაზრდები რომ უყურებენ, ამბობენ ხოლმე, ეს რა ყოფილა ოთარი ახალგაზრდობაშიო. ეტყობა, რაღაც მნიშვნელოვანი დავიჭირე, რომ ახალგაზრდებზეც ჭრის.

„ხარება და გოგიაში“ უარყოფითი როლი ვითამაშე. გურანდა მეუბნებოდა, არ ითამაშო ეს როლიო. გიორგი შენგელაიას უარი ვერ ვუთხარი, თორემ არ მინდოდა. ბევრმა არ მაპატია, არ უნდოდათ უარყოფით როლში ჩემი ხილვა.

ნიჭის გარეშე შეუძლებელია რამეს მიაღწიო. მეჩვენება, რომ ნიჭი და შრომის უნარი ერთად არიან. „ფიროსმანზე“ რომ ვმუშაობდი, მასალამ გამიტაცა. ფიროსმანს თვითონ აქვს ნათქვამი, წმინდა გიორგი მათრახით მადგას თავზე და მეუბნება, დახატეო. რა არის ეს, თუ არა ნიჭის ძახილი?! თუ გიყვარს, რა მოგასვენებს, რომ არ იშრომო?! რა თქმა უნდა, მსახიობისთვის აუცილებელია, ვიღაცამ მოგაქციოს ყურადღება, მოიხიბლოს შენი ნიჭიერებით და აღბათ პიროვნული თვისებებითაც, თორემ შეიძლება დიდი ნიჭით გამორჩეულებიც დაიღუპონ.

გივი ბეჭიჯაშვილი: „მის თამბას ვინც მივეჯუთვნებით და ჯეი ჯიდევ ცოცხლები ვართ, აღბათ ბევრი აღარ დაგვჩენია ამქვეყნად და მეჩე იქ გავაგრძელებთ, ჯაჭგ თეატრს შევქმნით“.

...განგებამ დამაჯილდოვა, რომ ჩემით დაინტერესდნენ. არც ჩემი თუთაშხია იქნებოდა, გიგა ლორთქიფანიძეს რომ არ ეთქვა სამხატვრო საბჭოსთვის, თუ ოთარი არ შეასრულებს ამ როლს, არ გადავიღებო. არადა, რა ცოდო ვიქნებოდი, ამ როლს ჩემთვის გვერდი რომ აევლო!

ყველა ახალგაზრდა ოცნებობს, რომ იდეალური იყოს. მერე ამას ვერ ვახერხებთ, რადგან ყველა ადამიანი ცოდვილია. დათა თავის თავთან მებრძოლი კაცია და ეს ერთადერთი გზაა სრულყოფისაკენ. კაცმა ბევრ რამეზე უარი უნდა თქვა, თორემ იმდენი ხიბლი აქვს ცხოვრებას — ქალი, ღვინო, დროსტარება... ეს არის დათა! ხანდახან როლი გზრდის კაცს. ორი წელი ვმუშაობდი ამ როლზე და ერთ ყურში ხომ არ შევუშვებდი და მეორედან გამოვუშვებდი ამოდენა შეგონებას?! ეს ხომ ილექება შენში. ამ როლზე ძალიან იოლად ვიმუშავე, რადგან მინდოდა, ასეთი ვყოფილიყავი. მხოლოდ ტექსტის სწავლა დამჭირდა. დათა სულში მიზის.

ნაწარმოებს რომ წავიკითხავ, უნდა გამიტაცოს და მაშინ გამოვა როლი. თუ როლმა ძალიან არ მომხიბლა, მაშინ ვწვალობ. ფიროსმანს რომ გავეცანი, პირველ რიგში, როგორც კაცმა და მისმა ბედმა დამაინტერესა, თანაგრძნობა გამიჩნდა. ეს არის ადამიანი, რომელსაც ისეთი სიყვარული შესძლებია, რომ ყველაფერი, რაც გააჩნდა, გაყიდა და მთელი ქონება ერთ მისვლაზე ქალს მიაყარა — ურმებით ყვავილები მიუტანა. ეტყობა, კაცმა ადამიანებში ვერ ნახა იმდენი სიკეთე და ბუნებასთან პოულობდა თავის ტოლ სიკეთეს. ძალიან მეადვილებოდა ამ სცენის თამაში, რადგან ჩემი გურანდა (ბატონი ოთარის მეუღლე, მსახიობი გურანდა გაბუნია, ავტ.) თამაშობდა მარგარიტას როლს.

გუჩანდა

— ცოდოა ადამიანი, თუ სიყვარულმა გვერდი აუარა და ამ გრძნობის გარეშე ჩაიარა მისმა ცხოვრებამ, უბედურზე უბედურია! სიყვარული თავზარდამცემი რამ არის, რომელიც შეიძლება როგორც დიდი ბედნიერების, ისე დიდი უბედურების საბაბი გახდეს. ოტელოზე ვფიქრობ ხოლმე — როგორ გაიღო სიყვარულისთვის ყველაფერი და თურმე რა იოლი ყოფილა ამ ყველაფრის დანგრევაც. ჩვენი ცხოვრებაც ისეთივე წინააღმდეგობებით არის სავსე, როგორც ოტელოს სიყვარული.

თუ შენი საქმე ძალიან გიყვარს, ხშირად ოჯახისთვის ვეღარ იცლი, რაც ეჭვიანობის საბაბიც ხდება — მხოლოდ შენი საქმე გაინტერესებსო. როცა საქმეში ერთად არიან, ეს თითქოს უფრო უნდა აადვილებდეს ყველაფერს. პარადოქსი ისაა, რომ ხანდახან ორივე ნიჭიერია, ერთ საქმეს ემსახურებიან, ერთმანეთიც უყვართ, მაგრამ მაინც ინგრევა ოჯახი. ასეთ რამეს ერთმანეთთან შეჯიბრი იწვევს. ოჯახები დანგრეულა იმის გამო, რომ ერთს მეორისთვის უჯობნია.

გურანდას ჩემთვის საყვედური ხშირად უთქვამს, მუშაობაში ხელს მიშლიო. მინდა, რომ ყველაზე კარგი იყოს. ამას კი დრო სჭირდება. მე ვერ ვითმენ და შენიშვნებს უხეშადაც კი ვაძლევ. ამ დროს ცოტა უჭირს, მაგრამ მაინც გვიყვარს ერთად მუშაობა. ჩვენი ურთიერთობა ხელს გვიწყობს, სასიყვარულო სცენები უფრო ადვილად ვითამაშოთ. ჩვენ მეგობრებიც ვართ და ერთმანეთს ბოლომდე ვენდობით.

მარჯანიშვილის თეატრიდან ჩვენი დასი ერთად რომ წავედით რუსთავში, „სირანო დე ბერჟერაკს“ ვთამაშობდით. ყველანი ერთმანეთს ვამხნევებდით კულისებიდან, მიდი, მიდი, უკეთესი იყავიო. ასეთი მიდგომა ოჯახში შემრჩა, თეატრში — ნაკლებად. იქ უკვე ჩნდება შური, თუ ვიღაცას გაასწარი, მას სტკივა. არის შემთხვევები, როცა ოღონდ შენ არ გქონდეს წარმატება, ოღონდ ის როლი არ ითამაშო და უღირს ხერხებსაც კი მიმართავენ. დაგაბეზღებს, ვითომ შენ ცუდი

Cyan Magenta Yellow Black

გაქვს ნათქვამი რეჟისორზე თუ სხვაზე. ქართველებს შური ღუპავთ პოლიტიკასა თუ სხვა პროფესიებში.

სცენაზეც რაინდი

— ახალგაზრდა ვიყავი, როცა ერთ შემთხვევას შევესწარი და გაოგნებული დავრჩი. ერთი მსახიობის თამაშით ისე იხიბლებოდა მაყურებელი, რომ დარბაზი ტაშით ინგრეოდა. ერთხელაც ტაში აღარ დაუკრა ხალხმა. შემდეგ სპექტაკლზე მივაქციეთ ყურადღება და, იცით, რა ხდებოდა? როცა ამ მსახიობს ისეთი რამე უნდა გაეკეთებინა, რომ დარბაზი ტაშით უნდა დანგრეულიყო, გამოძვრა კულისებიდან სხვა და რაღაცეების გაკეთება დაიწყო და იმ მსახიობს



■ ლათა თუთაშხია (ფილმი „ლათა თუთაშხია“)

■ მეფე გიორგი (ფილმი „დიდოსტატის მარჯვენა“)

■ ელიოზი (ფილმი „ნატვრის ხე“)

წარმატება წაართვა... როცა ჩემ გვერდით ვინმეს წარმოჩენა უნდა, თავშეკავებული ვხდები და ვანიშნებ, მიდი, თუ შნო გაქვს-მეთქი. ეს იციან და თავიანთ თავს არ მისცემენ უფლებას, რომ ასევე არ მომექცნენ. ამიტომ ყველას უყვარს ჩემთან ერთად სცენაზე დგომა.

ისეთი შემთხვევებიც მახსოვს, რომელიც ჩემთვის მაგალითია. როცა ვაჟა ფშაველას „მოკვეთილზე“ ვმუშაობდით, პიერ კობახიძე იყო დანიშნული ერთ როლზე. პრემიერამდე ორი კვირით ადრე ავად გახდა და ვერ დადიოდა. ორი კვირა მე გავდიოდი რეპეტიციებს. რომ მოვიდა, მითხრა, დღეს შენ გაიარე რეპეტიცია, დავინახო, რა გააკეთეთ ამ ორ კვირაშიო. რეპეტიცია რომ დამთავრდა, მითხრა, პრემიერა შენ ითამაშეო. მეც გამიკეთებია ასეთი რამ. ერთხელ კინოში როლი შემომთავაზეს. ვთქვი, ეს იმის როლია და ის უნდა აიყვანოთ-მეთქი. ერთხელ მთვრალი ვიყავი და ეს ამბავი წამომცდა. არ უნდა წამომცდენოდა, რადგან იმ ადამიანს ძალიან ეწყინა. სიკეთე ისე უნდა გააკეთო, რომ ვისაც უკეთებ, არ გააგებინო.

ხელიდან გაშვებული შანსი

— თავიდან რომ იწყებოდეს ყველაფერი, შუახნის მაინც რომ ვიყო, თავს მოვიკლავდი და ამერიკაში წავიდოდი. შეცდომა მაქვს დაშვებული. ინგლისური უნდა მესწავლა და წავსულიყავი საზღვარგარეთ. რუსეთში ახლახან ვითამაშე და ორი პრემია მივიღე. იაპონიაში „ჩაიკას“ პრიზი მივიღე წლის საუკეთესო მამაკაცის როლის შესრულებისთვის. რუსეთში ახლაც მეხვეწებიან, ჩამოდიო, მაგრამ ქართველები რომ გამოყარეს, აღარ წავედი. „ანტიგონეში“ ედინბურგში 5 ვარსკვლავი მივიღე. ნამეტანი თავის ქება გამომივიდა, მაგრამ შანსი, რომ მსოფლიოს გავეცანი, ხელიდან არ უნდა გამეშვა.

იაპონიაში ალენ პარკერის გვერდით მივიღე პრიზი. მოვიდა, მომილოცა და ხმა ვერ გავეცი. ენა რომ მცოდნოდა, დაველაპარაკებოდი, იქნებ დაინტერესებულიყო კაცი ჩემით?! ყველა ნიჭიერს ვეუბნები, ინგლისური ისწავლე, არ შეიძლება მხოლოდ შენს ქვეყანაში ჩაიკეტო, ცოდო ხარ-მეთქი.

დასიზმრებული გმირები

— ყველაზე საინტერესო მიგნებები რაც მაქვს, დამსიზმრებია ან ძილბურანში მინახავს. ხშირად მზა როლი მინახავს სიზმრად. ერთხელ უცნაური რაღაც შემემთხვა. „მეფე ლირზე“ ვმუშაობდი. იქ ერთი ეტიუდია, როცა ლირი სიგიჟის დროს შვილებმა გააგდეს. შერყეულია, მაგრამ, რადგან ბუნებაში გავიდა, მაინც ბედნიერია. ვფიქრობდი, ჭიამაია დააჯდეს ხელზე, გარეული მარწყვი ნახოს და იგემოს-მეთქი. ლოჯიაში მძინავს ხოლმე და ერთხელაც რაღაც ხმამ გამომაღვიძა. მტრედი შემოფრინდა და ფანჯრის რაფაზე დაჯდა. გონება გამინათდა! ამ სცენას იმით ვამთავრებ, რომ მხარზე მტრედი დამაჯდება.

დაუნდობელი ხელობა გვაქვს. ახლობელიც რომ კვდება, ჩვეულად გვაქვს, დავაკვირდეთ, რომ მერე ეს სცენაზე გადავიტანოთ. ასეთი რამ დედაჩემზე დამემართა. თურმე დამიმახსოვრებია, როგორ კვდებოდა. მერე კი „ფიროსმანში“, სიკვდილის სცენაში, ისევე მოვიქეცი. ხელს ეყრდნობოდა, რომ წამომჯდარიყო, მაგრამ ხელი ეკვეთებოდა, თავს ვეღარ იჭერდა. ეს დეტალები გამოვიყენე.

ადამიანში, ეტყობა, ყველა თვისება ზის და როცა როლს თამაშობ, ის ამოდის ამ დროს ზემოთ. „ხარება და გოგიაში“ ახვლედიანის როლის მიგნება გარეგნობიდან დავიწყე. იცით, ეს გმირი როგორ დავინახე? რომ გაიკრიჭებოდა, მთლად ფოლადის კბილები უნდა ჰქონოდა. მგელი იყო, მგელი, კარგი ბიჭების შემჭამელი! ცხოვრებაში ხანდახან მითქვამს, არ უნდა იყოს ეს კაცი ცოცხალი-მეთქი და მომდომებია, მომეკლა.

ქეთევან ყიკნაძე: „თვალები გაახილა, თქვა, სუნთქვა მიჭირსო. ვუთხარი, ცოტა უნდა გაუძლო და გამოჯანმრთელდები-მეთქი. ისე შემომხედა, ჩემი სიტყვების შემჩცხვა“.

ხანდახან თავის მოკვლაც მინდება. ეს მაშინ ხდება, როცა არ ელოდები შენგან ცოდვის ჩადენას და მაინც ჩადიხარ. მთელი ცხოვრება თუთაშხიობა მინდოდა. როცა ამას ხინჯი უჩნდება, თავის მოკვლის ხასიათზე ვდგები.

ერთი კაცის მოსაკლავად იარაღიც ვიშოვე, მაგრამ ჩემს ბედზე გამასწრო, თბილისში არ იყო და გადავრჩი. ძალიან უნამუსოდ მოიქცა. ახლა კოცნით ვხვდებით ერთმანეთს. მალე ვიცი დავიწყება. მთელი ცხოვრება ბოღმას გულით ვერ ვატარებ. რომ გავბრაზდები, გადამეკეტება ხოლმე თავში რაღაც, მაგრამ მალე გადამივლის. იციან ახლობლებმა ჩემი ეს თვისება და მპატიობენ შეცდომებს.

■

ჯიბეში დამაღული იები საყვარელი ქალისთვის

ქალი, რომელთან ერთადაც ოთარ მეღვინეთუხუცესმა ნახევარ საუკუნეზე მეტი — 54 წელი გაატარა, თეატრალური ინსტიტუტის კიბეებზე გაიცნო.

„ინსტიტუტში, კიბეებზე ჩამოვდიოდი და ქვემოთ იდგა ჩვენი რეჟისორი, ნუგზარ გაჩავა. ნუგზარმა დამიძახა, მოდი, ოთარ მეღვინეთუხუცესი გაგაცნო, ყველაზე ნიჭიერი მსახიობიო. მე პირველ კურსზე ვიყავი და ოთარი უკვე თეატრში იყო. ჩემზე 6 წლით უფროსია. მარჯანიშვილის თეატრში, სპექტაკლ „მოკვეთილში“ ვნახე და კინაღამ გავგიჟდი, არაჩვეულებრივი, ფანტასტიკური იყო! სცენაზე ვარსკვლავებთან ერთად იდგა, დაწყებული ვერიკო ანჯაფარიძით და დამთავრებული მედეა ჯაფარიძით“, — იხსენებდა წლების წინ „სარკეში“ გურანდა გაბუნია.

შეყვარებული ოთარი გურანდას მაშინდელ ლენინის (ამჟამად თავისუფლების) მოედანზე, თბილისის მერიის ყოფილი შენობის ცნობილი საათის ქვეშ ხვდებოდა. პირველ პაემანზე იები მიართვა.

გშრანდა გაბუნია:

— პირველად რომ შევხვდით, 8 მარტი იყო. რომ მოვიდა, გამიკვირდა, ყვავილები რატომ არ მომიტანა-მეთქი. თურმე პიჯაკის ჯიბეში ჰქონდა დამალული. რომ ამოიღო იების კონა, ძალიან გამიხარდა. როცა ადამიანს გაიცნობ, უცებ გინდა მასზე შთაბეჭდილების მოხდენა იმით, თუ როგორი ჭკვიანი ხარ, განათლებული და ნაკითხი. იმ საღამოს შევეცადე, რაც ვიცოდი, რაც წაკითხული მქონდა, ყველაფერი მომეყოლა... 2 წელი ვხვდებოდით და მერე დავქორწინდით. მე გაცნობისთანავე მომეწონა, ოთარს — არ ვიცი. მაგაზე არასოდეს მილაპარაკია, არ მიკითხავს, როდის მოვეწონე.

მკაცრი და გულჩვილი

— ოთარი არასოდეს დამხმარებია. არავისთვის უთხოვია, როლი მიეცითო, ამას როგორ იზამს?! პირიქით, ყოველთვის გაუფუჭებია ჩემთვის საქმე. ძალიან ბევრ როლზე მაქვს ნათქვამი უარი, რადგან ოთარს ან პიესა არ მოსწონდა, ან — ტანსაცმელი, ან პარტნიორი. ამის გამო ბევრჯერ დავჩაგრულვარ. ახალგაზრდობაში ძალიან ეჭვიანი იყო... ოთარი, იცით, როგორ უყვარდათ ქალებს, იცით, რამდენს რეკავდნენ ტელეფონზე? მაგრამ მე ნაკლებად ეჭვიანი ვიყავი... თუ ვინმე დიდხანს შემომხედავდა ან ვინმეს შევხედავ-

→22

Cyan Magenta Yellow Black

დი, საშინლად ეჭვიანობდა. ახალგაზრდობაში კონიუნქტივიტი მქონდა და „ზელიონკას“ ვისვამდი ხოლმე თვალებთან. ტროლეიბუსში ამოვიდა ვიღაც ბიჭი, შემომხედა და თქვა, უი, დედა რა დახატულები ვართო. ღამის გული გამიჩერდა. ვიფიქრე, ამ ყმაწვილმა არ იცის, ამ სიტყვების გამო რა ელოდება-მეთქი. ტროლეიბუსი გაჩერდა თუ არა, ოთარმა ხელი მოჰკიდა და გადაისროლა.

ოთარისნაირი არტისტები ბევრნი რომ იყვნენ, კარგი იქნებოდა, მაგრამ ხანდახან მეცოდება, რადგან ძალიან კარგი გულის ადამიანია და ფეთქებადი ხასიათი აქვს. ბევრ ნერვსა და ემოციას ტყუილად ხარჯავს. არაჩვეულებრივი, ჩვილი გულის პატრონია. შეიძლება რაღაც ჩაიდინოს, ვიღაცას გული ატკინოს, მაგრამ მერე ისე განიცდის, რომ შედარება არ არის იმასთან, რაც გააკეთა. ამიტომ ყოველთვის ვეუბნები ხოლმე, ნუ ჩქარობ-მეთქი...

ტელევიზორში ერთ კაცს ვუყურებდი, რომელსაც ოპონენტი უყვიროდა, შეურაცხყოფას აყენებდა, მაგრამ ის ვაჟკაცურად იჯდა და ინტელიგენტურად პასუხობდა. მოგვეწონა იმ კაცის ქცევა, მაგრამ ჩვენ ასე არ შეგვიძლია, ძალიან ემოციურები ვართ.

ოთარი აბსოლუტურად უპრეტენზიოა, არავის აწუხებს, თავისი საქმით და წიგნებით არის დაკავებული. არასოდეს

ხით 6 კილომეტრს გადის...

■

მეგობრები

მსახიობი **გივი ბერიკაშვილი**, რომელიც ოთარ მელვინეთუხუცესს ბავშვობიდან იცნობდა, იგონებს:

— ვერაზე, ერთ უბანში ვიზრდებოდით. ჩემზე წლინახევრით უფროსი იყო. თეატრალურ ინსტიტუტში რომ მოვხვდით ორივე, მას მერე აღარც დავშორებულვართ. სამსახურში თუ სამეგობროში, ერთად ვიყავით.

■ გურანდა გაბუნია და ოთარ მელვინეთუხუცესი

გუჩანდა გაბუნია: „ოთარს არავისთვის უთხოვია, ჩოლი მიეცითო, პრიჩქით, ყოველთვის გაუფუჭებია ჩემთვის საქმე. ბევრ ჩოლზე მაქვს ნათქვამი უარი, ჩადგან ოთარს ან პიესა არ მოსწონდა, ან — ტანსაცმელი, ან პარტნიორი. ამის გამო ბევჯერ დავჩაგრულვარ".

არაფერს ვავალებ, ის არის მსახიობი და თავისი საქმე უნდა აკეთოს, მისი საქმე არ არის მეოჯახეობა... სახლში სხვანაირია და გარეთ — სხვაა.

■

მთამომავლობა

ოთარ მელვინეთუხუცესს ერთადერთი ქალიშვილი, მარიამი და ორი შვილიშვილი დარჩა. როგორც ქალბატონმა გურანდამ გვითხრა, მარიამი მამას ძალიან ჰგავს:

„ძალიან კარგი შვილი გავზარდეთ. მარიამი ყოველთვის კარგად სწავლობდა. ღამის პირველ საათამდეიჯდა და მეცადინეობდა. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი შვილი გვყავს. მარიამი ისეთივეა, როგორიც ოთარი. ძალიან ჰგავს ხასიათით. ბუნებით მორიდებულია, არ უყვარს ინტერვიუები. ამიტომ მის შესახებ არსად არაფერს ვამბობ“.

■

ოთარ მელვინეთუხუცესი მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ცოტა ხნის წინ გურანდა გაბუნიამ „სარკეს“ უთხრა:

— ოთარი ძალიან ავად იყო. ბედნიერი ვარ, რომ ცოცხლები ვართ. ორივეს ბევრი ოპერაცია გვაქვს გაკეთებული. რომ გადავრჩით, ღმერთს მადლობას ვწირავ. ოთარი 29 დღე ბონში იყო, სადაც ოპერაცია გაიკეთა. მარტო ტელეფონით ვესაუბრებოდით ერთმანეთს. ისეთი დეპრესია მქონდა, რომ ქუჩაში დავდიოდი და ვტიროდი. ცუდი ავადმყოფობა ჰქონდა. ბოლოს კარგი ანალიზი იყო და, ღმერთმა ქნას, ცუდად აღარ გახდეს. ახლა ყოველდღე ვარჯიშობს, ფე-

თავისი საქმე სიგიჟემდე უყვარდა. ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა საქმისა და თეატრის ღალატი. ძალიან მომთხოვნი იყო, პირველ რიგში, თავისი თავის და მერე — სხვების მიმართ. ვაჟკაცურად იცხოვრა და ბევრი საქმე გააკეთა. წარმოუდგენელი იყო, სადაც ოთარი მონაწილეობდა, დაგეგლია ან რამე დაგეშავებინა. ასეთ რამეს რომ გაიგებდა, გადაღებაზე აღარ მოდიოდა. ამიტომ ჩვენც აღარ გაგვირბოდა თვალი სხვაგან, თორემ გვებუტებოდა.

დიდი სახელით წავიდა ამქვეყნიდან. საოცარი საქმეები გააკეთა ქართული ხელოვნებისთვის. თურმე რა ტკივილები აწუხებდა და ამის შესახებ არავინ არაფერი ვიცოდით.

ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. მის თაობას ვინც მივეკუთვნებით და ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ, აღბათ ბევრი აღარ დაგვრჩენია ამქვეყნად და მერე იქ გავაგრძელებთ, კარგ თეატრს შევქმნით.

■

დიდ მსახიობს უკურნებელმა სენმა ისევ შეახსენა თავი. ერთთვიანი ავადმყოფობის შემდეგ თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში დალია სული. იმ პალატის გვერდით, სადაც ოთარ მელვინეთუხუცესი იწვა, „დათა თუთაშხიას“ რეჟისორი, გიგა ლორთქიფანიძე წევს. ბატონი გიგას მეუღლე, ფილმ „დათა თუთაშხიაში“ ოთარ მელვინეთუხუცესის პარტნიორი (ბეჩუნის როლი), ქალბატონი ქეთევან კიკნაძე უკანასკნელი იყო, ვინც მომაკვდავს ესაუბრა.

ქეთევან კიკნაძე:

— სანამ „დათა თუთაშხიას“ ვითამაშებდით, მანამდე ოთარი გახლდათ ჩემი პირველი პარტნიორი როგორც კინოში, ისე თეატრში. ასევე, მე ბოლო როლი კინოსა და თეატრში ოთართან ერთად ვითამაშე. ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრება ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ოჯახებითაც ვმეგობრობდით. ოთარი ჩვენი ცხოვრების ნაწილი იყო. როცა გიგამ „დათა თუთაშხიას“ გადაღებაზე ფიქრი დაიწყო, ვერც წარმოედგინა, რომ, ოთარის გარდა, ამ

როლს ვინმეს მისცემდა.

საავადმყოფოში, სადაც ოთარი გარდაიცვალა, გვერდიგვერდ იწვნენ ოთარი და გიგა. ჩემი მეუღლე ახლაც იქ წევს. მათი შემოქმედებითი ცხოვრება განუყოფელი იყო და ასეთი ბედი ერგოთ, რომ საავადმყოფოშიც გვერდიგვერდ ყოფილიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ექიმმა აგვიკრძალა, გიგასთვის რამე გვეთქვა ოთარის გარდაცვალებაზე, ხალხს დავალებას აძლევდა — გამიგეთ, ოთარი როგორ არისო. არავინ არაფერს ეუბნებოდა და ძალიან გაბრაზდა. იძულებულები გავხდით, სიმართლე გვეთქვა. ამის გამო ექიმმა გვისაყვედურა, რადგან გიგა ძალიან განიცდის.

ოთარი ბოლო ერთი თვე იყო ცუდად. უკურნებელი დაავადება ჰქონდა. გაგზავნეს თურქეთში და იქიდან უკან გამოაბრუნეს. არ ვიცი, იქ რა უთხრეს. ალბათ გვიან იყო უკვე ყველაფერი.

დიდი მსახიობი დაკარგა ქართველმა ხალხმა. ის ნამდვილი, მანათობელი ვარსკვლავი იყო და ასეთივედ დარჩება. მოკრძალებული ადამიანი გახლდათ. ეს ბუმბერაზი მსახიობი სასიყვარულო სცენების გადაღების დროს საშინლად მორცხვი ხდებოდა. როცა „დათა თუთაშხიაში“ ცხენიდან მსვამს, მკოცნის. ამას არ მოველოდი, რადგან სცენარში ასე არ იყო. თურმე გიგას ჩუმად უთქვამს, უცბათ გააკეთე ასეო.

ოთარი დამთმობი და არაჩვეულებრივი პარტნიორი გახლდათ. ერთ სპექტაკ-

ოთარ მელვინეთუხუცესი: „გუჩანდას ჩემთვის საყვედური ხშირად უთქვამს, მუშაობაში ხელს მიშლიო. მინდა, რომ ყველაზე ჯარი იყოს. ამას ჯი �o სჭირდება. მე ვეჩ ვითმენ და შენიშვნებს უხეშადაც ჯი ვაძლევ. ამ ციოს ცოტა უჭირს".

ლში ისე იყო მოწყობილი, რომ მაყურებლისკენ ზურგით უნდა ვყოფილიყავი. ოთარმა შემოუარა მაგიდას და დადგა ისე, რომ მე იძულებული გავხდი, მაყურებლის პირისპირ აღმოვჩენილიყავი. რომ ვკითხე, რატომ შეცვალე მიზანსცენა-მეთქი, მიპასუხა, მე დიდი როლი და ბევრი სათამაშო მაქვს, შენ კი — პატარა როლი და მაყურებლისკენ ზურგით არ უნდა იდგეო.

— ბატონ ოთარს პალატაში ალბათ ხშირად სახულობდით.

— ბოლოს, გარდაცვალებამდე, ვინც ელაპარაკა, მე ვიყავი. ხელზე ხელს ვუსვამდი, ვეფერებოდი. თვალები გაახილა და თქვა, ჰაერი არ მყოფნის, სუნთქვა მიჭირსო. ვუთხარი, ოთარ, ცოტა უნდა გაუძლო და გამოჯანმრთელდები-მეთქი. ისე შემომხედა, ჩემი სიტყვების შემრცხვა. ყველაფერს კარგად ხვდებოდა. სრულ გონებაზე იყო. მე გავალ და გურანდას დავუძახებ-მეთქი, ვთქვი. მიპასუხა, არა, არ დაუძახოო. გურანდას გაუფრთხილდა, რადგან მიხვდა, რაც ხდებოდა და არ უნდოდა, მისთვის ტკივილი მიეყენებინა. ზუსტად 10 წუთში გული გაუჩერდა. მიეშველნენ ექიმები, გული აუმუშავეს და ხელოვნურ სუნთქვაზე გადაიყვანეს. ეს საღამოს მოხდა. დილით კი გარდაიცვალა ისე, რომ გონს აღარ მოსულა.

■

„ამას წინათ თეატრს ჩავუარე და დავინახე, კაცი იდგა და ჩემს ვარსკვლავს უყურებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამქვეყნად დავრჩი“, — გვითხრა წლების წინ ოთარ მელვინეთუხუცესმა...

✓ **რუსუდან ადვაძე**

Cyan Magenta Yellow Black

„ცოლ-ქმრის ერთად ცეკვა რთულია“

ქართველი ბალეტინასა და ინგლისელი ბალეტონის სიყვარულის ამბავი

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დასის წევრები, მაია ილურიძე და უილიამ პრატი, ცოლ-ქმრის ულელს რამდენიმე თვის წინ შეეჭიდნენ. ინგლისელი უილიამი უკვე 5 წელია, რაც საქართველოში ცხოვრობს. ქართული ტრადიციებით, ურთიერთობებით მოხიბლულია და მალე შეიძლება მართლმადიდებლადაც მოინათლოს. ცოლ-ქმარს ერთმანეთის პარტნიორობა უწევთ, თუმცა უილიამს ურჩევნია, სცენაზე მეუღლესთან ერთად არ იდგეს. თუ რატომ, ეს ინტერვიუში აგვიხსნა კიდეც. მაიამ, ქმრის ხათრით, შქმერულის მომზადება ისწავლა და უილიამს ანებივრებს. თვითონ კი ინგლისურ ტრადიციას — საღამოს რძიან ჩაის — ვერაფრით შეეგუა.

— მაია, როგორ აღმოჩნდა უილიამი საქართველოში და თქვენ გვერდით?

მაია: ჩემი მეუღლე დიდი ბრიტანეთის მოქალაქეა. 5 წელია ჩვენს დასში ცეკვავს. ინგლისში დაიბადა, 15 წლის იყო, მისი მშობლები ახალ ზელანდიაში რომ გადავიდნენ და საბალეტო სკოლა იქ დაამთავრა. სამსახურს ეძებდა და ამ დროს გაიგო, რომ საქართველოში დასის წევრების აყვანა სურდათ. თავისი მონაცემები გამოაგზავნა და ასე აღმოჩნდა აქ.

— როგორც წესი, კარიერის გასაკეთებლად საქართველოდან უცხოეთში მიდიან, უილიამი აქეთ რატომ წამოვიდა?

მაია: მისთვის ეს საინტერესო მოგზაურობა იყო, ამავდროულად ნინო ანანიაშვილის ქვეყნის გაცნობის სურვილი ჰქონდა. ვილი პირველი უცხოელი ბალერონი იყო, ვინც საქართველოში ჩამოვიდა. დღეს უკვე ბევრი უცხოელი გვყავს დასში.

— დანახვისთანავე მოგეწონათ?

მაია: თავიდან — არა. უბრალოდ ერთად ვმუშაობდით. გათხოვილი ვიყავი, მერე სხვადასხვა პრობლემის გამო ოჯახი დამენგრა. ვილი რომ ჩამოვიდა, მაშინ ბავშვს ველოდებოდი.

— უილიამიც ხომ არ იყო თქვენი ოჯახის დანგრევის ერთ-ერთი მიზეზი?

მაია: არა, ოჯახის დანგრევის მერე დავუახლოვდით ერთმანეთს. ჩვენი მეგობრობა თანდათან გადაიზარდა გრძნობაში.

უილიამი: მივხვდით, რომ ერთმანეთი მოგვწონდა.

— მაია, სანამ ამ საბიჯს გადადგამდით, ალბათ ბევრი იფიქრეთ. მეორედ გათხოვება, თანაც უცხოელზე, ადვილი გადასაწყვეტი არ იქნებოდა.

მაია: მეგონა, არასდროს გავთხოვდებოდი, მაგრამ უილიამმა თავისი ყურადღებით ოჯახის შექმნის სურვილი კვლავ გამიჩინა. ყველაზე რთულ პერიოდში ის ჩემ გვერდით იდგა და მეხმარებოდა. მის მიმართ გრძნობა ამიტომაც გამიჩნდა.

— რა ბარიერების გადალახვა მოგიხდათ, სანამ ორი სხვადასხვა მენტალიტეტის მქონე ადამიანი საერთო ენას გამონახავდით?

მაია: როცა ჩვენი ურთიერთობა დაიწყო, ვილი უკვე 3 წლის ჩამოსული იყო საქართველოში, ჩვენი ქვეყნის ტრადიციებში კარგად ერკვეოდა.

უილიამი: ძალიან მომწონს ქართული ურთიერთობები ოჯახის, მეგობრების მიმართ. უფრო თბილი, მჭიდრო კავშირი გაქვთ ერთმანეთთან.

— ცოლ-ქმარს შორის ენის ბარიერი არ არის?

მაია: არა, თუმცა მიფიქრია, ნეტა, ქართული იცოდეს, ჩემს სათქმელს უკეთესად ვეტყოდი-მეთქი. ვილი სწავლობს ქართულს. ჩემს შვილს ქართულად ესაუბრება, ჩვენი ლაპარაკი ესმის, მაგრამ საინფორმაციო გამოშვებებს ჯერჯერობით ვერ უსმენს.

— უილიამ, ქართველი ქალის მოსიბეჭდა რთულია?

უილიამი: ერთადერთი სირთულე სხვადასხვა რელიგია აღმოჩნდა. არ მიცდია, მაიასთან ისეთი გამოვჩენილიყავი, როგორიც არ ვიყავი, არ მიპოზიორია.

— რელიგიასთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწიეთ?

მაია: კი. ის ანგლიკანური ეკლესიის წევრია და აპირებს, მართლმადიდებლად მოინათლოს. შემდეგ ჯვარს დავიწერთ. ოღონდ ვილის უნდა, ჯერ კარგად გაერკვეს ჩვენი რელიგიის მრწამსში და გადაწყვეტილება ისე მიიღოს.

— ბალეტი დიდ შრომას, ენერგიას, თვითშეწირვას მოითხოვს. ამ მხრივ, მეუღლეები ერთმანეთს ალბათ ადვილად უგებთ.

უილიამი: კარგია, როცა მეუღლეს ესმის, რატომ ხარ დაღლილი ან ცუდ ხასიათზე, მას შეუძლია გაგიგოს. თუმცა მირჩევნია, სცენაზე ცოლთან ერთად არ ვიდგე, რადგან რეპეტიციის დროს პარტნიორთან შელაპარაკება თუ მოგივა, მეორე დღეს დამშვიდებული წახვალ სამსახურში და მცირე კონფლიქტი ამით ამოიწურება. მაგრამ მეუღლესთან თუ მოგივა უთანხმოება, მერე სახლშიც გაგრძელდება, ამიტომაც რთულია ცოლ-ქმრის ერთად დგომა სცენაზე. თუმცა ამ დროს მეუღლის მიმართ შემწყნარებელიც ხდები, რაიმე შეცდომას ძალიან დიდ ყურადღებას აღარ აქცევ.

■ უილიამი და მაია

მაია: „უილიამმა თავისი უჭადღებით ოჯახის შექმნის სურვილი ჯერ კიდევ გამიჩინა. ყველაზე ჰოლ ჰეჰიოდში ის ჩემ გვერდით იდგა და მეხმარებოდა“.

— ერთმანეთის პარტნიორებზე არასოდეს გიჟეჭიანათ?

უილიამი: არასდროს, იმიტომ, რომ ეს ჩვენი პროფესიაა. შეიძლება მე და მაიამ რომეოს და ჯულიეტას როლები სხვადასხვა პარტნიორებთან შევასრულოთ, მაგრამ ეს პრობლემა არ არის. გამორიცხულია, ამ დროს იეჭვიანონ.

მაია: არც სცენის მიღმა ვეჭვიანობთ. ერთმანეთს სრულიად ვენდობით.

— თქვენი რომანი რომ გამოლაყნდა, კოლეგებმა რა გითხრეს?

მაია: დადებითი რეაქციებიც იყო და უარყოფითიც. ჩვენზე ბევრი ჭორი გავიგე, მაგრამ ასეთ რაღაცეებს ყურადღება არ უნდა მიაქციო.

— ჭორებში რას გულისმობთ? ვინმეს არ სურდა თქვენი ერთად ყოფნა?

მაია: არა, უბრალოდ როგორც კი ჩვენი სიყვარული დაიწყო, ამის შესახებ ყველა ალაპარაკდა.

— ქართული ტრადიციული ქორწილი გქონდათ?

მაია: კი, ოღონდ ვიწრო წრეში გადავიხადეთ. ვილის მეჯვარე მისი ქართველი მეგობარი იყო.

— უილიამი ქართულ ტრადიციულ სუფრას — თამადას, ღვინოს ყანწით და ა.შ. როგორ უყურებს?

მაია: მისთვის უცხო აღარ არის ქართული ტრადიციები და მათ შორის — სუფრის კულტურა.

— ერთმანეთის მშობლები გაიცანით?

მაია: ჩემი ქმრის მშობლები შარშან გავიცანი. აქ იყვნენ ჩამოსული და ძალიან ადვილად დავუახლოვდი. ვილი და დედაჩემიც ძალიან კარგად უგებენ ერთმანეთს.

— საზღვარგარეთ ხომ არ აპირებთ წასვლას?

მაია: სამუდამოდ წასვლას არ ვგეგმავთ, მაგრამ ამ ზაფხულს გვინდა, ვილის მშობლებთან წავიდეთ ახალ ზელანდიაში.

— მაია, რომელი ქართული კერძი მოსწონს თქვენს ქმარს განსაკუთრებით?

მაია: ძალიან მოსწონს ქათამი შქმერულად, რომელსაც ხშირად — არა, მაგრამ ხანდახან ვაკეთებ.

უილიამი: მწვადი ძალიან მიყვარს, მაგრამ ხინკალი დიდად არ მომწონს, ძალიან ცხიმიანია.

— მაია, ვიცით, რომ ბალერინები მუდმივ და მკაცრ დიეტაზე არიან. შქმერულის და მწვადის დაგემოვნებას როგორ ახერხებთ?

მაია: მკაცრი დიეტა თავიდან გვჭირდებოდა. ახლა უკვე იმდენ ენერგიას ვხარჯავთ მთელი დღის განმავლობაში, რომ მის შესავსებად სწორედ კვებაა საჭირო. მაგრამ, რა თქმა უნდა, საღამოს საათებში, ძილის წინ, მძიმე საკვებს არასდროს ვიღებთ.

— იქნებ გაგვიმხელით ბალერინების დიეტა?

მაია: ყველა დიეტა ინდივიდუალურია. მე, მაგალითად, როცა მინდა, უცბათ დავიკლო, სამი დღე მხოლოდ სტაფილოს და კომბოსტოს შევექცევი. როგორც კი ჩვეულებრივ კვებას ვიწყებ, დაკლებულს მალევე ვიმატებ. ამიტომ მთავარია სწორი რეჟიმი — ცომეულსა და შაქარზე უარის თქმა. საღამოს საათებში კი კვებისგან თავი უნდა შეიკავოთ.

— უილიამის ხათრით, ბრიტანული სამზარეულო არ შეისწავლეთ?

მაია: სიმართლე გითხრათ, არა. არც ვილის აქვს სურვილი, რომ მათი ნაციონალური კერძებიდან რაიმე მოვამზადო. ერთადერთი, ჩვევად აქვს, საღამოს რძიანი ჩაი დალიოს. მეც შემომთავაზა, გამესინჯა, მაგრამ არ მომეწონა და ეს ინგლისური ტრადიცია ვერ მივიღე.

— ყურადღებიანი ქმარია, სიურპრიზებს გიწყობთ?

მაია: კი, უყვარს სიურპრიზების გაკეთება. ერთხელ ფანჯრიდან გადამახედა და მანქანაზე ჩვენთვის გაშლილი საუზმე დამანახა. ამ მხრივ, მე ნაკლებად ვაქტიურობ.

— თქვენი შვილი და ქმარი ერთმანეთს კარგად უგებენ?

მაია: ძალიან კარგად. ვილი ბავშვთან ბევრ დროს ატარებს, ხშირად სეირნობენ ერთად.

— ცნობილია, რა მძიმე შრომა დგას ბალეტის უკან. ოდესმე პროფესიის შეცვლაზე გიფიქრიათ?

მაია: არის შემთხვევები, როცა ყველა პროფესიის ადამიანი ფიქრობს, სხვა საქმით ხომ არ დაკავდეს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ასე არ არის. სახლში კი ვცდილობთ, ბალეტი დავივიწყოთ.

უილიამი: ბალეტის სიყვარული იმდენად გვაქვს სულში გამჯდარი, რომ ამაზე სერიოზულად არასდროს გვიფიქრია.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

რატომ დაარტყეს ერთმანეთს ნიკა გრიგოლიამ და მიშა ანდღულაძემ

ბოლო დროს „კომედი ჯგუფის“ გარშემო სკანდალი არ წყდება. ყოფილი თანამშრომლები — იუმორისტები — ერთმანეთის მიყოლებით ალაპარაკდნენ იმ დაპირისპირებაზე, რაც ჯგუფის შიგნით არსებობდა და რამაც, ერთი შეხედვით, მეგობრული და შეკრული გუნდი დაშალა. ცოტა ხნის წინ „სარკეში“ პაროდისტი გიორგი აფციაური ყველაზე იმ მიზეზებზე, რამაც მასა და ვანო ჯავახიშვილს შორის ბზარი გაჩინა. ამჯერად კი იუმორისტებს შორის დაპირისპირებაზე ნიკა გრიგოლია გვესაუბრება, რომელსაც აფციაურამდე გაცილებით ადრე დაატოვებინეს „კომედი შოუ“. „გული მწყდება, რომ იმ გადაცემებში არ ვარ, სადაც ამდენი ხანი ვმუშაობდი და მისთვის ბევრი რამ გავაკეთე“, — გვითხრა ნიკამ.

ნიკა გრიგოლია პირველად 2011 წელს დაითხოვეს სამსახურიდან უდისციპლინობის მიზეზით, მაგრამ ტელეკომპანიის მაშინდელი დირექტორის, გოგი გეგეშიძის სურვილით, დააბრუნეს. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ნიკა მეორედ აღმოჩნდა „ბორტგალმა“. ამ თემაზე ის პრესასთან არ საუბრობდა, „სარკესთან“ პირველად დაარღვია დუმილი და იმ პრობლემებზე ალაპარაკდა, რაც „კომედი შოუში“ არსებობს.

„მეგობრების მიმართ ფანატიკური დამოკიდებულება მაქვს. ჩემს ცხოვრებაში საქმეს ძალიან დიდი ადგილი უკავია, მაგრამ მას მეგობრობაზე წინ ვერ დავაყენებ“.

— ნიკა, ყოველთვის თავს არიდებდით სამსახურიდან წამოსვლის მიზეზებზე საუბარს. ახლა მაინც თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა მოხდა სანამდვილეში?

— ჯგუფის რაღაც ნაწილი ერთმანეთს ბევრ რაღაცაში არ ვეთანხმებოდით. „კომედი ჯგუფიდან“ პირველად 2011 წელს გამომიშვეს, მაგრამ ტელევიზიის მაშინდელმა დირექტორმა გოგი გეგეშიძემ დამაბრუნა. მაშინ ჩემმა მეგობრებმა გათავისუფლების მიზეზად უდისციპლინობა დაასახელეს.

— რითი გამოიხატებოდა თქვენი უდისციპლინობა?

— ალბათ ისინი სამსახურში დაგვიანებას გულისხმობდნენ. რეალურად მართლა ვაგვიანებდი, მაგრამ ასე არამარტო მე ვიქცეოდი. როცა ხედავ, შენი მეგობრის დაგვიანებას გამართლება აქვს, შენსას — არა, საწყენია. ამის გამო ჯარიმას, სანქციას ვიხდიდი. მეუბნებოდნენ, ბიძაშენი თემური, რომელიც ზესტაფონიდან ჩამოვიდა, საავადმყოფოში შენ კი არ უნდა მიიყვანო, შენმა ძმამ წაიყვანოს ან ტაქსით გაუშვიო. როცა ვეტყოდი, რომ ბავშვი ექიმთან მიმყავდა და დამაგვიანდებოდა, მეუბნებოდნენ, ამ კვირაში მეოთხედ მიგყავს ექიმთან, ამიტომ ცოლ-შვილი ტაქსით ატარეო. ასეთ დამოკიდებულებას ვერ ვიგებდი. უკმაყოფილება ძირითადად ასეთი რაღაცების გამო ხდებოდა და არა იმიტომ, რომ საქმეს ვერ ვაკეთებდი ან ცუდი ხარისხის ხუმრობას ვწერდი.

— ვინ მიიღო თქვენი გათავისუფლების გადაწყვეტილება?

— რამდენიმე ადამიანმა... ალეკო მალხაზიშვილი დირექტორია, ვანო ჯავახიშვილიც ერთ-ერთი მთავარია, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს. დასაწყისში მეც ამ გუნდში ვიყავი.

— რა ხდება ასეთი შიგნით, რომ თავიდან დათო გოგიჩაიშვილი წავიდა, მერე — თემი მეკაია, ამიკო ჩისარაძე ლეკან ვოგორელიანი. რამდენიმე ხნის წინ — გიორგი აფციაური...

— როცა დათო თავის გუნდთან ერთად ცალკე წავიდა, მე რიგითი თანამშრომელი ვიყავი, მაგრამ მისი ხელმძღვანელობით კმაყოფილი გახლდით. ის ჩემი მეგობარი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ხუმრობით სულ ვამბობ, რომ მას „კომედი ჯგუფისგან“ ძეგლი თუ არა, მოკრძალებული ბიუსტი მაინც ეკუთვნის. დღევანდელი მუშაობის პრინციპი მისი აწყობილია. მას შემდეგ სისტემა არ შეცვლილა, უბრალოდ მოთხოვნები გავამკაცრეთ. დათო გოგიჩაიშვილს ჩემთვის შენიშვნები მოუცია, თუნდაც დაგვიანებასთან დაკავშირებით, მაგრამ იმასაც აფასებდა, რომ საქმეს კარგად ვაკეთებდი. ჩემს მეგობრებთან, რომლებმაც სამსახურიდან გამომიშვეს, სულ ეს არგუმენტი მომყავდა, რომ ჩემს საქმეს ყოველთვის კარგად ვასრულებდი. არავის ვეჯიბრებოდი, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, სამსახურში დაგვიანებით მივსულვარ და იმაზე მეტი გამიკეთებია, ვინც იქ დილიდან ღამემდე მჯდარა. როცა ჩვენ შორის მეგობრული ურთიერთობის რღვევა დაიწყო, ეს ყველაფერზე აისახა.

— დათო გოგიჩაიშვილის გუნდს რატომ არ გაჰყვეთ, როცა ის „რუსთავი 2“-დან წავიდა?

— ამისთვის ერთადერთი მიზეზი მქონდა — ალეკო მალხაზიშვილი ჩემი მეგობარი იყო. ამის გამო თავს ვალდებულად ვთვლიდი, მასთან დავრჩენილიყავი. შემომთავაზეს, რომ მათთან ერთად წავსულიყავი და ამ საუბარს ვანო ჯავახიშვილიც ესწრებოდა, მაგრამ ერთ მხარეს ჩემი მეგობრები იყვნენ და მეორე მხარეს — ისინი. ავუხსენი, რომ მეგობრებთან ერთად მინდოდა დარჩენა.

— გავიდა დრო და სწორედ ალეკო მალხაზიშვილმა გაგათავისუფლათ.

— ადამიანები შეიცვალნენ, ცოტა სხვანაირები გახდნენ, სხვანაირ შენიშვნებს იძლეოდნენ, სხვანაირი ხედვა ჩამოუყალიბდათ. ისეთები აღარ იყვნენ, როგორებიც გავიცანი. მე, პირადად, მეგობრების მიმართ ფანატიკური დამოკიდებულება მაქვს. ჩემს ცხოვრებაში საქმეს ძალიან დიდი ადგილი უკავია, მაგრამ მას მეგობრობაზე წინ ვერ დავაყენებ.

ბევრი რთული პერიოდი მქონია. იყო დრო, როცა სახლი არ მქონდა. ვანო ჭელიძემ, რომელიც ახლა დათო გოგიჩაიშვილის გუნდთან ერთადაა, თავის სახლში წამიყვანა, სადაც ცოლთან და შვილთან ერთად ცხოვრობდა. მითხრა, ერთ ოთახს გავათავისუფლებ და აქ დაიძინეო. ასეთ რაღაცებს ვერ დავივიწყებ, მაგრამ იმის გამო, რომ თავის დროზე ალეკომ ჩემში დაინახა საქმის კეთების პოტენციალი, გვერდით დამიყენა და ბევრი რამ მასწავლა, მისი ერთგული დავრჩი. მაშინ „რუსთავი 2“-ზე დაახლოებით ათი ადამიანი დავრჩით. ჩვენ სხვა სახეების მოძებნა დავიწყეთ და ვიპოვეთ კიდეც.

— ამბობენ, პირველად რომ გაგათავისუფლეს, მაშინდელი თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია ჩაერია და „რუსთავი 2“-ში ამიტომ დაგაბრუნეს. ეს სამართლიანია?

— არც ახალაიასგან და არც სხვა რომელიმე ადამიანისგან გამიგია, რომ მან ვინმესთან დარეკა და ჩემი დაბრუნება სთხოვა. როცა „რუსთავი 2“-დან გამომიშვეს, ახალაიასთან არანაირი შეხება არ მქონია. ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა თავდაცვის სამინისტრომ ივენთის გაკეთება დაგვიკვეთა. ჩვენ სხვადასხვა სამინისტროებისგან, კომპანიებისგანაც ვიღებდით შეკვეთებს.

— რიგორც ვიცი, ბერა ივანიშვილმა შემოგთავაზათ, მის ტელევიზიაში გადასულიყავით. მაშინ უკვე ადარ იყავით „კომედი ჯგუფის“ წევრი, მაგრამ მის წინადადებას მაინც არ დათანხმდით. რატომ?

— ბერამ მითხრა, ვერ წარმომიდგენია, „კომედი ჯგუფიდან“ რატომ უნდა გამოგიშვან, რატომ უნდა გქონდეთ პრობლემა შენ, თემო მუავიას, ამიკოს და ფაქოსო. მართლაც შემომთავაზა თავის ტელეკომპანიაში გადასვლა, მაგრამ მადლობა გადავუხადე და უარი ვუთხარი. ეს გოგი გეგეშიძის გამო გავაკეთე. მაშინ გეგეშიძემ მითხრა, რომ ხელფასს მაინც გადამიხდიდა, ჩემს მეგობრებს დაარწმუნებდა, იქ საჭირო ვიყავი. ზუსტად ამის გამო „რუსთავი 2“-ში დავრჩი. ამ ადამიანთან კარგი დამოკიდებულება მქონდა, კმაყოფილი ვიყავი იმით, რასაც ის მიხდიდა. იმის გამო, რომ სხვა უკეთეს პირობებს მთავაზობდა, არხიდან არ წავსულვარ. მოკლედ, მაშინ გოგიმ ჩემი მეგობრების დარწმუნება შეძლო და „კომედი ჯგუფში“ დამაბრუნეს.

— ოქტომბრის არჩევნების შემდეგ რა მოხდა?

— დირექტორმა მითხრა, რაშიც გადანაშაულებდნენ, გამოასწორე, სალაპარაკოს ნუ გახდიო. ამის შემდეგ მართლა პიონერივით ვიქცეოდი. არჩევნების შემდეგ კი ალეკო მალხაზიშვილმა თავის ოთახში ამიყვანა და მითხრა, ჩვენ გადავწყვიტეთ, სამსახურიდან გაგიშვათო. მიზეზი ასეთი იყო: აქამდე შენ ხელფასს ტელევიზია გიხდიდა, ამის შემდეგ კი ჩვენ ვეღარ გადაგიხდითო. ეს გამოგონილი მიზეზი იყო, რადგან გათავისუფლების შემდეგ ანაზღაურება ისევ მქონდა. მიზეზი ჯამაგირის პრობლემა რომ ყოფილიყო, მკითხავდნენ, 500 ან 300 ლარად თუ იმუშავებო. ძალიან საწყენია, როცა ამას დირექტორის პოზიციიდან ის მეგობარი გეუბნება, ვისთან ერთადაც დადიოდი, ჭამდი, სვამდი. თან მიზეზსაც რომ ვერ გიხსნის, ორმაგად საწყენია. ალბათ გულში ჰქონდათ ჩადებული, რომ მაშინ ვიღაცის თხოვნით დავბრუნდი. იმ პერიოდშიც ეტყობოდათ, რომ ცდილობდნენ, იქ აღარ ვყოფილიყავი.

„ამიყო დაიბახეს და უთხეს, ძმაჯაცთან ეთად ნუ ცხოვრობო. ვინ ეკითხებათ, ამიკოს სახლში ვინ ცხოვრობს?! ვინ გეკითხება, ნიკა გრიგოლია მოტოთი დაგის თუ ნავით?! ოცა ადამიანები შენს ჰიხად ცხოვრებაში იწყებენ ჩარევას, ეს „მარაზმია“.

— გიორგი აფციაურმა ვანო ჯავახიშვილი, ალეკო მალხაზიშვილი და კიდევ რამდენიმე ადამიანი მასზე ფიზიკურად ზეწოლაში დაადანაშაულა, თქვენზე კი თქვა, რომ ფიზიკურადაც გაგისწორდნენ. ეს სამართლიანია?

— როცა ალეკო მალხაზიშვილმა პირველად მითხრა, რომ სამსახურიდან მიშვებდა, ვუთხარი, გუნდთან ერთად დამელაპარაკე, მეგობრულად ამიხსენი, რა ხდება-მეთქი. სწორედ მაშინ მოგვივიდა მე და მიშა ანდღულაძეს შელაპარაკება.

— მიშა თქვენი ყოფილი ქესლია. ვანო ჯავახიშვილის თქმით, თქვენ ერთმანეთს ოჯახურ საკითხზე დაუპირისპირდით.

— ეს ტყუილია! ოჯახურ თემაზე „ვანოს შოუს“ ოთახში არასდროს არავისთან მილაპარაკია. ამაზე არც არავისთან ვსაუბრობ. ეს ყველაფერი ზუსტად სამსახურს ეხებოდა! ისინი

გიორგი ნაზღაიძემ პირობითი სასჯელი მოიხადა

„ძველი მთავრობის ხალხი ჰრობლემებში გავეხვიეთ"

მოდელი და ტელე-რადიოს წამყვანი, მუდამ სკანდალებში გახვეული გიორგი ნაზღაიძე, საზოგადოების თვალთახედვიდან თითქოს დაიკარგა, ყოველ შემთხვევაში აქტიურად აღარ ჩანს. თავის პასიურობას ქვეყანაში შექმნილ ახალ პოლიტიკურ რეალობას მიაწერს. თვლის, რომ 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ უკანა რიგებში ჩააჩოჩეს. დიზაინში პირველი ნაბიჯები გადადგა, ამბობს, რომ ნიუ იორკშიც კი გამართა ჩვენება, მაგრამ ქართველ მემოდელეთა წრემ ახალგამოჩეკილი კოლეგა არ მიიღო, მოდის კვირეულზე სტუმრადაც არავინ დაპატიჟა. ამ ყველაფერს ყურადღებას არ აქცევს, მით უმეტეს, რომ პარალელურად მის პირადშია ძვრები. ჰყავს საცოლე და თავს იწონებს ახალი შენაძენით — ბინით და მანქანით. და კიდევ, მის ცხოვრებაში სკანდალების „ეპოქა" არ დამთავრებულა, გასულ ზაფხულს თურმე ციხეშიც კი მოხვდა.

— გიორგი, რა სიახლეებია თქვენს ცხოვრებაში?

— მას შემდეგ, რაც ნიუ იორკში →26

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტარო
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

კარგი იუმორისტები არიან, მაგარ ხუმრობებს წერენ, მაგრამ ჩემთვის არც ერთი ხუმრობა არც ერთი მეგობრის და არც ერთი ნათესავის წინ არ დგას! ქუჩაში რომ მაჩერებენ, იმას კი არ ვეუბნები, რომ ჩემი მეგობრები ცუდები არიან და ამიტომ გამომიშვეს ტელევიზიიდან, ვამბობ, რაღაც მოხდა და წამოვედი-მეთქი. მეგობრებზე ნაწყენი ვარ, მაგრამ ეს გამვლელებთან არ უნდა გამოვხატო.

გიორგი აფციაურიც ასე იქცეოდა, არაფერს ამბობდა. ვიცი, რომ მერე რაღაცებმა ის ზედმეტად გააბრაზა, გაამწარა და ყველაფერი თქვა. აფციაური ტყუილს არ ამბობს! მართალი თქვა, ნიკა გრიგოლია სცემესო. მანქანით არავინ დამხვედრია და არ ვუცემივარ, მაგრამ ჩემსა და მიშა ანდღულაძეს შორის დაპირისპირება ნამდვილად მოხდა, ვიჩხუბეთ. ერთი ადამიანი მეორეს ხელს რომ დაარტყამს, ჩხუბია, აბა, რა არის?! თათბირზე რომ მეუბნებოდნენ, ჩემი მეგობარი, თემო მუავია უნდა დაესაჯათ და ეს საიდუმლოდ შემენახა, ამაზე ვკამათობდით. როცა გეუბნებიან, მეგობარს არ უთხრა, ხელფასი რამდენი გაქვსო, რთულია.

— ამბობენ, რომ იქ ყველაფერს ვანო ჯავახიშვილი განაგებს. ეს სიმართლეა?

— ვინმეს ჰგონია, რომ, მაგალითად, ვანო ჯავახიშვილი და ვახო ბიჭიკაშვილი სამსახურში რამეს თანაბრად წყვეტენ? არ წყვეტენ თანაბრად! ამ სამსახურში არიან ადამიანები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას და შემდეგ დანარჩენებს აცნობენ. აქვე მინდა ვთქვა, დღევანდელ გუნდში ვანოს დამსახურება დიდია. ის სამსახურზე ავადმყოფურადაა შეყვარებული. თანამშრომელს ვერ ნახავთ, რომელიც საქმეს მასზე მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს. ვანო ძალიან ბევრს მუშაობს. ბევრი პროექტის წარმატება მისი მონდომების შედეგია.

— იმასაც ამბობენ, რომ თქვენს შიდა დაპირისპირებაში საქართველოს პრეზიდენტი მხარეს საკაშვილიც კი ჩარეულა.

— არასდროს გამიგია, რომ სააკაშვილი ჩვენს საქმეში ჩარეულიყო. როგორ უნდა დაგიდასტუროთ ის, რისი მომსწრეც არ ვარ ან ზუსტად არ ვიცი? ერთ რამეს კი გეტყვით, „კომედი ჯგუფს" გადაცემა „თქვენი შოუს" მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ნამდვილად ჰქონდა. მომსწრე ვარ, რომ „თქვენი შოუს" ბიჭებისთვის უთქვამთ, რეკვიზიტებისთვის „კომედი ჯგუფის" ოთახში ნუ შემოდიხართო. ამას ვიღაც-ვიღაცები ნუ უარყოფენ! გიორგი აფციაური ყოველთვის იცავდა თავისი გუნდის წევრებს. როცა ალეკო მალხაზიშვილს გიორგი ცალკე შეჰყავდა სასაუბროდ, ის საუბარს აწყვეტინებდა, ყველასთან ერთად ამიხსენი, მათზე წინ არ ვდგავარო. მახსოვს, ივენთებზე გიორგი აფციაური რომ მიგვყავდა, ჩვენს კუთვნილ ჰონორარს ყველანი ვიღებდით, ის კი თავისი გუნდის წევრებს საკუთარ ანაზღაურებას უყოფდა.

— მართლა აუკრძალეს გიორგი აფციაურს საკაშვილის პარიზიის კეთება?

— გიორგიმ მიამბო, ვანო ჯავახიშვილმა მითხრა, სააკაშვილის პაროდიას ტაბუ დაედო. ამის გამო შეშფოთებული იყო.

— ახლა როგორი ურთიერთობა გაქვთ ალეკო მალხაზიშვილთან, ვანო ჯავახიშვილთან?

— „რუსთავი 2"-ის გადაცემების პროდაქშენის წევრებმა მითხრეს, რომ მათთან ერთად ვიმუშაო. როცა იქ მივდივარ და მეგობრები მხვდებიან, მეკითხებიან, სად დავიკარგე, რას ვაკეთებ და ასე შემდეგ. მე კი ასეთ უცნაურობაზე მეცინება. ამას წინათ შენობიდან გავდიოდი, როცა ალეკო მალხაზიშვილმა მითხრა, მოიცადე, არ წახვიდეო. ვუპასუხე, ახლა არ წავიდე, აქამდე სულ წადი, წადის მეუბნებოდი-მეთქი. ჩემი გათავისუფლების შემდეგ „კომედი არხიც" გახსნეს. ალეკო მალხაზიშვილმა დამირეკა, არ გინდა, ჩვენთან მოხვიდე, რამე სცადოო. ორი ვარიანტია, ან მეხუმრებით, ან დამცინით-მეთქი, ვუპასუხე. თუ სამსახურიდან იმიტომ გამიშვეს, რომ უდისციპლინო ვიყავი, მერე რატომ ჩათვალეს, რომ დისციპლინას დავიცავდი? თუ სამსახურიდან იმიტომ გამიშვეს, რომ საქმეს ვერ ვაკეთებდი, მერე რატომ ჩათვალეს, რომ გავაკეთებდი? თუმცა ჩემთვის არავის უთქვამს, რომ საქმეს ვერ ვაკეთებდი. ნებისმიერ ადამიანს მოვკლავ, ვინც მეტყვის, რომ იქ რამეს უხარისხოდ ვასრულებდი.

— რა გეგმები გაქვთ, სხვა რომელიმე ტელეკომპანიაში ხომ არ გადასაცვლელთ?

— ბევრი შემოთავაზება მაქვს სხვადასხვა არხიდან, მაგრამ ვცდილობ, „რუსთავი 2"-ზე არსებულ პროდაქშენ ჯგუფთან ერთად გადაცემა ავაწყო, ანუ ჩემი ამჟამინდელი საქმიანობა ისევ ამ არხს უკავშირდება. მეგობრებს ყოველთვის ვეუბნებოდი, ჩვენი ბრალი იყო, რომ თუნდაც ამიკო ჩოხარაძე და სხვები ამ ჯგუფიდან წავიდნენ. როცა დირექტორი ხარ და გყავს ისეთი ნიჭიერი ადამიანი, როგორიც ამიკოა, მოდი, რა, მისი რესურსი გამოიყენე. თემო მუავიაზე დაახლოებით 6-ჯერ, 7-ჯერ მეტი ხელფასი მქონდა. სხვაზე არ ვსაუბრობ, სხვას ჩემზე მეტი ჰქონდა. ეს იმ პირობებში, როცა მე და თემო ერთად ვმუშაობდით. მინდოდა, რომ სამსახურში მეგობრები მყოლოდა და ისინი არ გაეშვათ, მაგრამ სხვა ტელეკომპანიაში წავიდნენ. მათთან დღემდე ვძმაკაცობ. ახლაც ინტერვიუზე თემო მუავიამ მომიყვანა. მათთან ვერანაირი სამსახური ვერასოდეს დამაშორებს.

> **„ბევრი ჰოგოს ახ მექნება ნატკენი, ჰოცა ვანო ჯავახიშვიცი ჩემი ძმაკაცია, მასთან სახლში ვცხოვრობდი, ყველაფეჩი ეჩთად დავიწყეთ. იმავეს ვიტყვი ალეკო მალხაზიშვიცზე, მიშა ანდღულაძეზეც... ადამიანს ვუყუჩებ და გული მტკივა, ჩომ ვიხსენებ, ჩა მაგაჩი ტიპი იყო...".**

დღესაც მუშაობენ „კომედი ჯგუფში" ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ხელფასის და საყვედურების გამო იქ მუშაობა აღარ შეეძლოთ. იქ 100%-ით არამეგობრული და არაპროფესიონალური დამოკიდებულებაა. იმას კი არ ფიქრობენ, ადამიანს ისე მიუდგნენ, რომ მისი რესურსი მაქსიმალურად გამოიყენონ, მათ პირად ცხოვრებაში ერევიან. ამიკო დაიბარეს და უთხრეს, ძმაკაცთან ერთად ნუ ცხოვრობო. ვინ ეკითხებათ, ამიკოს სახლში ვინ ცხოვრობს?! ვინ გეკითხება, ნიკა გრიგოლია მოტოთი დადის თუ ნავით?! როცა ადამიანები შენს პირად ცხოვრებაში იწყებენ ჩარევას, ეს „მარაზმია"! რატომ უნდა გადამიწყვიტო შენ, ვისთან ვიმეგობრო და ვისთან არა?!

— გული ძალიან გაქვთ ნატკენი, თუმცა მათ მაინც უწოდებთ მეგობრებს.

— გული როგორ არ მექნება ნატკენი, როცა ვანო ჯავახიშვილი ჩემი ძმაკაცია, მასთან სახლში ვცხოვრობდი, ყველაფერი ერთად დავიწყეთ. იმავეს ვიტყვი ალეკო მალხაზიშვილზე, მიშა ანდღულაძეზეც, რომელსაც მთელი „კომედი ჯგუფი" დასცინოდა იმის გამო, რომ პირველი ჰონორარი მეგობრებს დაურიგა, თვითონ კი ორკასეტიანი მაგნიტოფონის საყიდელი ფული დაიტოვა. ახლა კი რა ხდება? ლაპარაკიც არ მინდა და არც ის მსურს, ჭორაობა გამომივიდეს. ადამიანს ვუყურებ და გული მტკივა, რომ ვიხსენებ, რა მაგარი ტიპი იყო, ჩემთან ერთად კარვით დადიოდა, ერთ ბოთლ ლუდს ვსვამდით, ფენოვან ხაჭაპურს ერთად ვყიდულობდით და დღეს კი შენი პრობლემა მისთვის მიუღებელია. იმედია, ამის შემდეგ რაღაცას მიხვდებიან და შეცვლიან. გააცნობიერებენ, რომ იქ მყოფი თითოეული ადამიანი საჭიროა, ყველას თავისი ადგილი აქვს და მათ განსხვავებული მიდგომა სჭირდებათ.

✓ ეკა ლემონჯავა

ჩვენება გავმართე, „ემტივის“ წარმომადგენლებმა კალიფორნიაში ოთხდღიან მუსიკალურ ფესტივალზე დამპატიჟეს. ამერიკაში გასართობად ჩავედი და ორი კვირით დავრჩი. კარიერაში მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. ერთ-ერთ რადიოში ორი გადაცემა მიმყავს, კვირაში ორი დღე რამდენიმე საათით ვმუშაობ. ამიტომ თითქმის სულ მაქვს დრო უსაქმურობისთვის, სიგარეტისთვის, გართობისთვის და, რაც მთავარია, მეგობრებისთვის.

— მოდის ბიზნესში გიცდიათ ბედი. როგორ ფიქრობთ, გამოგდით ეს საქმე, ნუ იორკში რა ჩვენება გამართეთ?

— ეს ქველმოქმედებისთვის გავაკეთე. მამაკაცის კოლექციის გაყიდვით მიღებული მთლიანი თანხა ერთ-ერთ ბავშვთა სახლს გადავურიცხე. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ბევრმა ქართველმა დიზაინერმა წლების განმავლობაში ვერაფერს მიაღწია, მე კი პირველი ჩვენება ნიუ იორკში გავმართე, ვიტყვი, რომ ჩემი ეს ნაბიჯი წარმატებული იყო. თუმცა არაჯანსაღი ამბიციები არ მაქვს, რაც ჩვენს ბევრ დიზაინერს გააჩნია. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ნიჭი საქართველოში ვერ დაფასდებოდა, უცხოელებისგან კი ჯანსაღი შეფასებები მივიღე.

— ამ კუთხით საქართველოში შემოთავაზება არ გაქვთ?

— ამის სურვილი არ მაქვს, ამიტომ არც ვიბრძვი და საერთოდაც, სამკერვალო მამაკაცის საქმედ არ მიმაჩნია. უბრალოდ დავხატე, შევქმენი და ამ ყველაფერზე მკერავებმა იმუშავეს.

— ქართველი კოლეგები როგორ შეხვდნენ თქვენს პირველ ნაბიჯებს?

— მათზე ძალიან ნაწყენი ვარ. ფეშენ ვიკზე არავინ დამპატიჟა. ერთი მაგათიც!.. წინა წლებში პირველ რიგებში ვიყავი ხოლმე გამოჭიმული, რაც ჩემი ჩვენება გავაკეთე, მას შემდეგ...

— თქვენი აზრით, რატომ არ დაგპატიჟეს?

— ალბათ მოდური ტიპიც არ ვარ და... ამ დიზაინერების უმრავლესობა ისეთ ნაგავს ქმნის, რომ მას არც მე შევიძენ, არც ჩემ გვერდში მჯდომი მეგობარი და, მით უმეტეს, არც ჩემი საცოლე. ყველა დიზაინერზე არ ვლაპარაკობ, მაგრამ უმრავლესობას ვგულისხმობ. ფეშენ ვიკზე არც ნინო ჩხეიძე დაპატიჟეს და ისიც გულნატკენია. ეს მთავრობის ბრალია! მთავრობის პრობლემებში ძველი მთავრობის ხალხი გავეხვიეთ და ალბათ აღარ ვართ საჭირო.

— თქვით, რომ ნაციონალების მხარდაჭერისთვის აღმოჩნდით ყურადღების მიღმა?

— როგორც ჩანს, მათ გადაწყვიტეს, რომ ნაციონალი ვარ. ამაზე ხმამაღალი განაცხადი არ გამიკეთებია, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ძველი მთავრობის პერიოდში არ ვწუწუნებდი. მხოლოდ საკუთარ თავზე არ ვლაპარაკობ, უკვე გითხარით, რომ ნინო ჩხეიძეც არ დაპატიჟეს. მთავრობა შეიცვალა თუ არა, ჩვენ მაშინვე ძველ მთავრობას მიგვაწერეს და აღარაფრად გვთვლიან... თუ მესამე მთავრობა არ მოვა და მშვიდობა იქნება, სექტემბერში ქალის სამოსს გამოვუშვებ.

— თქვენს პირად ცხოვრებაშიც არის ცვლილებები და სიახლეები?

— საცოლე მყავს — მარიამ ქინქლაძე. დანიშნულები ვართ. მარიამი ამერიკაში, ნიუ იორკში ცხოვრობს. მას თავისი საქველმოქმედო ორგანიზაცია აქვს, მაგრამ კონკრეტულად რას საქმიანობს, ამის თქმა ალბათ საჭირო არ არის. თითქმის ერთი წელია, რაც ერთად ვართ.

— რადგან საცოლეს უწოდებთ, ესე იგი დაქორწინებასაც გეგმავთ. როდის აპირებთ?

— მართლა არ ვიცი, არსად მეჩქარება.

— მარიამის რა თვისებით მოიხიბლეთ, რამაც მასთან ერთად ცხოვრება გადაგაწყვეტინათ?

— უხეშად რომ ვთქვა, „ბაგაჟით“. მარიამი ძალიან განათლებული და ძლიერი გოგოა. სულელი ქალები არ მიყვარს, ქალების დიდი პროცენტი კი სულელია, ვერც აზროვნებენ, ვერც მეტყველებენ, წიგნი არ აქვთ წაკითხული. მარიამი ძალიან ჭკვიანი ადამიანია. როცა მამაკაცი ძლიერია, მას გვერდით ქალიც ძლიერი სჭირდება და ის სწორედ ასეთია. თავისთავად ვიზუალმაც დიდი როლი ითამაშა.

— ერთმანეთს ხასიათით კარგად ეწყობით?

— ეს ცოტა პრობლემაა, რადგან ორი ძლიერი და პირველობისთვის მებრძოლი ადამიანის ერთად ყოფნა რთულია, მაგრამ ვუთმობთ ერთმანეთს. სიყვარულის გამო რაღაცეები ორივე მხარემ უნდა დათმოს.

„ასეთი ტიპი ვარ და სულ ასეთი ვიქნები — სკანდალებში გახვეული. უბრალოდ ამ შოუბიზნესში ყველა დაიმალა, მოკვდა და ისეთი აღარავინ არსებობს, ვისაც წავეღადავები“.

— თქვენ რისი დათმობა გიწევთ?

— ჩამოთვლას ვერ დავიწყებ, მაგრამ სიყვარულის გამო ბევრი რამ დამითმია და ბევრ რამესაც დავთმობ. რაღაც მომენტში ჩემი „მე“ ნამდვილად დავთმე. სიყვარული რომ გადამერჩინა, თვალი ბევრ რამეზეც დამიხუჭავს და ჩემი მეორე ნახევრის გამო კარიერული წინსვლა უკან დამიტოვებია.

— პირველი ოჯახი ძალიან მალე დაგესვრათ.

— პირველი ოჯახი არც მახსოვს, ეს ყველაფერი 5 თუ 6 წლის წინ მოხდა. ჩვენ შვილიც არ გვაკავშირებს. იმ ადამიანმა თავისი საქმე ძალიან კარგად ააწყო, როგორც ვიცი, საქართველოში აღარ ცხოვრობს, გათხოვდა კიდეც. ასე რომ, ეს საკითხი ჩემი სადარდებელი არც არის.

— მარიამის ოჯახს იცნობთ?

— კი, როგორ არა! ისინი თბილისში ცხოვრობენ.

— რიგორ გგონიათ, მარიამის მშობლებისთვის სასურველი სასძო ხართ?

— რატომ არ უნდა ვიყო, ვერ გავიგე!.. თუმცა შეიძლება არც ვიყო. სიმართლე გითხრათ, ეს შეკითხვა არც დამისვამს და არც სურვილი გამჩენია, მეკითხა. ყველას თავისი ცხოვრება აქვს და ვისი ნათესავი რას ფიქრობს ჩემზე, არ მაინტერესებს. მარიამის ოჯახი ჩემ მიმართ კარგადაა განწყობილი, ისევე, როგორც მე მათ მიმართ.

— დაქორწინების შემდეგ ამერიკაში იცხოვრებთ?

— არა. ქართველ მამაკაცებს ცხოვრებაში ამხელა შანსი რომ მიეცეთ, ყველა გაიქცეოდა. რაც უნდა რთული პერიოდი იყოს, მე მაინც ჩემს ქვეყანაში ყოფნა მირჩევნია. რაღაც ეტაპზე შეიძლება ამერიკაში ვიცხოვრო და რაღაც ეტაპზე ჩემს ქვეყანაში ვიყო. ერთმანეთისგან შორს ყოფნა იოლი არ არის, მაგრამ ჩვენი ცხოვრება ასე აეწყო. როცა ურთიერთობას იწყებ, ხვდები, ამისთვის მზად ხარ თუ არა. ჩვენ მივხვდით, რომ ასეთი ურთიერთობისთვის მზად ვიყავით.

— თქვენ გარშემო ყოველთვის იყო სკანდალი, ზოგჯერ მის პროვოცირებას თავადაც ცდილობდით. ბოლო დროს მსგავსი არაფერი მომხდარა. დამშვიდდით თუ რა რამ შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში?

— დავღვინდი, გავიზარდე, დავჭკვიანდი! ამ ქვეყანაში არაფერი ხდება და რა უნდა მოხდეს, რომ სკანდალში გავეხვიო? ისე, მეტი რაღა სკანდალი გინდათ, პირობითი სასჯელი მოვიხადე. ზაფხულში ბათუმის ციხეში ვიჯექი.

— რატომ, რა ჩაიდინეთ?

— ჩხუბი მომივიდა. ერთი ტიპი ვცემე, ამის გამო სასამართლოში მიჩივლეს და 3-დან 5 წლამდე პატიმრობას მისჯიდნენ. წინასწარი

„მანქანის მარკის დასახელებისგან თავს შევიკავებ, მეშინია, მერე თავს არ დამესხან. შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო, რომ ასეთი მანქანა მთელ შოუბიზნესში არავის ჰყავს!“.

პატიმრობა შემიფარდეს და, სასამართლოს განაჩენით, ბათუმის ციხეში გადამიყვანეს, სადაც, პირველ რიგში, უფლის წყალობით და მერე ჩემი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთი დღე ვიჯექი. გირაოს სანაცვლოდ გამომიშვეს. პირობითი სასჯელი წელს მომიხსნეს.

— ეტყობა, ჯერ ბოლომდე არ დაღვინებულხართ.

— 28 წლის ასაკში უკვე უნდა მიხვდე, რომ კაცი ხარ და არა ვიღაც თინეჯერი ლანირაკი. ცხოვრებაში ბევრი რაღაც მოგეთხოვება. დავსერიოზულდი, პირად ცხოვრებას მივხედე, ბინა და მანქანა შევიძინე. აი, ასე შევიცვალე, მაგრამ არ არის გამორიცხული, ყოველ წამს რაღაც ჩავიდინო. ამ მხრივ არ გამოვსწორებულვარ, ასეთი ტიპი ვარ და სულ ასეთი ვიქნები — სკანდალებში გახვეული. უბრალოდ ამ შოუბიზნესში ყველა დაიმალა, მოკვდა და ისეთი აღარავინ არსებობს, ვისაც წავეღადავებოდი.

— რა მარკის ავტომობილი შეიძინეთ?

— მანქანის მარკის დასახელებისგან თავს შევიკავებ, მეშინია, მერე თავს არ დამესხან. შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო, რომ ასეთი მანქანა მთელ შოუბიზნესში არავის ჰყავს!

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

— ტელევიზიიდან შემოთავაზებას ველოდები, მეტი არაფერი. საქართველოში რა სამომავლო გეგმებზე უნდა ვილაპარაკო? მთავრობაში უნდა წავიდე, ბიძინა ივანიშვილის პარტიაში და ყველაზე მაგარი ეს იქნება. მერე სააკაშვილის პარტიაში გადავალ და ასე...

— რაღაც გაორებული ხართ — ხან კმაყოფილი ჩანხართ ახლანდელი მდგომარეობით, ხან — გულნატკენი.

— რაზე?! მე ოდესმე გულნატკენი გინახივართ? თამამად შემიძლია გითხრათ, რომ, ღვთის წყალობით, ამჟამად ძალიან კარგად ვარ. პირადი ურთიერთობაც მოგვარებული მაქვს, სამსახურსაც არ ვუჩივი, პრესასა თუ ტელევიზიაში მაინც ვჩანვარ და ამ ყველაფერთან ერთად ჩემი კუთვნილი ქონებაც მაქვს.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

Cyan Magenta Yellow Black

გიგი გაჩეჩილაძე და სალომე ჭაჭუა — 8 წლიანი სიყვარულის დასასრული

გიორგი ვარდოსანიძე: „ნურაფერს მაბრალებთ, მე არავის ვუნგრევ ცხოვრებას!“

■ სალომე და გიგი

■ გიორგი

პოპულარული მოცეკვავეები, გიგი გაჩეჩილაძე და სალომე ჭაჭუა, 8 წელი შეყვარებულები იყვნენ და მათ დაქორწინებას ყველა დღედღეზე ელოდა. თავადაც არ გამორიცხავდნენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ცოლ-ქმარი გახდებოდნენ. ორიოდე თვის წინ კი ეს ურთიერთობა დასრულდა.

„არ ვეთანხმები იმ აზრს,რომ ხანგრძლივი ურთიერთობები ცუდად მთავრდება“, — ამბობდა „სარკესთან“ ერთ-ერთი ინტერვიუს დროს გიგი გაჩეჩილაძე. შეყვარებულები ყველა ინტერვიუში თავიანთ მომავალ გეგმებზე საუბრობდნენ, თვლიდნენ, რომ მათი ურთიერთობა იმდენად მყარი იყო, არაფერი ემუქრებოდა...

დაშორების მიზეზების დაკონკრეტება არც ერთმა მხარემ ისურვა, თუმცა თბილისში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამ თემაზე საუბრობენ. ვარაუდობენ იმასაც, რომ მათ შორის მსახიობი გიორგი ვარდოსანიძე ჩადგა. მით უმეტეს, რომ პოპულარულ ტელეპროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ გიორგი და სალომე პარტნიორები იყვნენ და კონკურსის დასრულების შემდეგ გიორგიც დაშორდა შეყვარებულს. ამ ორი ამბის ურთიერთდამთხვევამ ჭორები გაამძაფრა.

სალომე 15 წლის იყო, გიგი კი 17-ის, როცა მათი ურთიერთობა სტუდია „თელაში“ მეგობრობით დაიწყო. ერთი ნახვით — არა, მაგრამ ერთი ცეკვით შეუყვარდათ ერთმანეთი. გასულ ზაფხულს დაქორწინებასაც აპირებდნენ, სალომე გიგის ოჯახში სარძლოდ იყო მიღებული.

ყოფილმა შეყვარებულებმა „სარკესთან“ ცალ-ცალკე დაადასტურეს, რომ ერთად აღარ არიან და ამასთან ორივემ აღნიშნა, რომ ამ თემაზე ლაპარაკი ძალიან უჭირს.

— სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე ლაპარაკი არ მინდა. ერთს გეტყვით, რომ მე და სალომე ერთმანეთს მართლაც დავშორდით.

— ამბობენ, რომ თქვენ შორის მესამე პირი ჩადგა და ის მსახიობი გიორგი ვარდოსანიძეა ეს სიმართლეა?

— არა, დაშორება ჩემი მიზეზით მოხდა. ორი თვეა, რაც მე და სალომე დავშორდით. ძალიან გთხოვთ, არ მინდა კომენტარის გაკეთება.

სალომე ჭაჭუა:

— არც ერთს გვსურს ვრცელი კომენტარის გაკეთება. მეც მხოლოდ ერთს გეტყვით, ჩვენ შორის არ ჩამდგარა მესამე პირი, მით უმეტეს, ამ ამბავში გიორგი ვარდოსანიძე არაფერ შუაშია. ჩვენი პირადი უსიამოვნობის გამო მოხდა ისე, რომ ერთმანეთს დავშორდით. ორივეს გვიმძიმს ამ თემაზე საუბარი.

— დაოჯახებას აპირებდით...

— ერთმანეთს დავშორდით და მორჩა! მომავალზე რა გელაპარაკოთ?

— პიპელაროობამ ხომ არ იქონია გავლენა თქვენს ურთიერთობაზე?

— არა, არა, არც ერთი ვართ ისეთი ტიპი, რომ რამე თავში აგვვარდნოდა. ჩვენს ცხოვრებაში მოხდა გარდამტეხი რაღაც, რამაც ეს შედეგი გამოიღო. ორი თვეა, ერთად აღარ ვართ.

— თქვენს ცხოვრებაში ხომ არ გამოჩნდა ახალი სიყვარული?

— არა, როგორ შეიძლება ასე მალე ვინმე შემიყვარდეს! არც ვფიქრობ ახალ ურთიერთობაზე. ჩვენ შევძელით და შევინარჩუნეთ მეგობრული ურთიერთობა, ყველაფერი იგივენაირად გრძელდება. უბრალოდ ერთად აღარ ვართ.

❖

გიორგი ვარდოსანიძე კატეგორიულად გამორიცხავს სალომესა და გიგის დაშორებაში თავის როლს და ხაზგასმით აცხადებს, რომ ის და სალომე მხოლოდ და მხოლოდ მეგობრები არიან.

გიორგი ვარდოსანიძე:

— მე არაფერ შუაში ვარ. თავიანთ ცხოვრებას თავად მიხედონ. მე და სალომე ვმეგობრობთ და ამის იქით ჩვენ შორის არაფერი არსებობს. ვერავის დავუშლი ლაპარაკს, მაგრამ მე ნურაფერს მაბრალებთ, ერთი უბრალო კაცი ვარ, ჩემთვის ვარ და პირად ცხოვრებას არავის ვუნგრევ. ეს არის ძალიან დიდი სისულელე!

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

„დედას უნდა, სასკოლო ბანკეტზე მეზობლის გამოცვალოს კაბა ჩამაცვას"

ვალე სკოლის გამოსაშვები ბანკეტი მექნება და იმის მაგივრად, რომ სიხარულისგან დავფრინავდე, ყველაზე უბედური ვარ. ჩემი კლასელები კაბებს იკერავენ, ვარცხნილობაზე ზრუნავენ, მე კი ისიც არ ვიცი, ამ დღეს მეგობრებთან ერთად ვიქნები თუ არა.

თმა ორი წელია არ შემიჭრია და იცით, რატომ? მინდოდა, ბანკეტზე განსაკუთრებული ვარცხნილობა მქონოდა. სექტემბრიდან მოყოლებული ინტერნეტში ყველა სადღესასწაულო კაბას, ფეხსაცმელს ვათვალიერებ. აქსესუარებიც კი შევარჩიე, რომლებსაც ინტერნეტით გამოვიწერდი, მაგრამ თურმე ჩემი ოცნებები არავის აინტერესებდა.

პაპას ვალები დაედო და ამის გამო მთელი ოჯახი დეპრესიაშია. მათი მესმის, მაგრამ მეც ხომ უნდა გამიგონ? დედას რომ ბანკეტი ვუხსენე, მიყვირა, შენ საერთოდ ნორმალური თუ ხარ, შეიძლება უსახლკაროდ დავრჩეთ, რა დროს ბანკეტიაო. არადა მშობლებისთვის მართლა არასოდეს არაფერი მითხოვია. ყოველთვის ჩემი უფროსი დის გამონაცვალი ტანსაცმელი მეცვა. ფეხსაცმელს თუ კარგად იხმარდა და ძირებს არ დააყრევინებდა, იმასაც მე გადმომიგდებდნენ ხოლმე ან დაკერებულს მაცმევდნენ. ერთადერთი, რაც ვითხოვე, ბანკეტზე ლამაზი კაბით წასვლა იყო და ეს სურვილიც არ შემისრულეს.

კლასელები ყოველდღე იმაზე ლაპარაკობენ, ვინ როგორ კაბას ჩაიცვამს. მანიკიურის გაკეთებაზეც კი წინასწარ ზრუნავენ, სალონებში უკვე ეწერებიან. მე კი ჩუმად ვზივარ და ხმას არ ვიღებ.

დედამ გამოსავალი მარტივად მოძებნა. მთელი სამეზობლო შეყარა და გამოსასვლელი კაბები მოიძია. ვეხვეწე, არ მინდა, ტყუილად ცდილობ, რომ რამეს მოვირგებ, ბანკეტზე არ წავალ-მეთქი. ის კი თავისას არ იშლიდა. საერთოდ გამოვედი წყობიდან, როცა მეზობლის საქორწინო კაბა შემომიტანა და მითხრა, ეს ძალიან მოგიხდებაო. როცა ავკივლდი, მითხრა, ტრადიციული საპატარძლო კაბა ხომ არ არის, რატომ არ მოგწონსო. კრემისფერი იყო და საქორწინოს მართლა არ ჰგავდა, მაგრამ ჩემს მეზობელს ჯვრისწერაზე ეცვა.! არ მინდა, საერთოდ არ წავალ ბანკეტზე და ეგ იქნება!

ბებო და დედა ძალიან ნერვიულობენ. ბებომ ჩემი რეაქცია რომ დაინახა, პაპაჩემის წყევლა დაიწყო, მაგის ბრალია, ახლა ამ დღეში რომ ვართო და ცრემლები წამოუვიდა... ჩემი ოჯახის წევრების მდგომარეობაში შევდივარ, მაგრამ ვითხოვ, რომ მეც გამიგონ. მირჩევნია, საერთოდ არ წავიდე, ვიდრე სამარცხვინოდ გამოვიყურებოდე.

თქვენი ერთგული მკითხველი

„მშობლები მიხვდებიან, რომ ჩემი ძმა ასე არ უნდა გაეთამამებინათ"

16 წლის გოგო ვარ. მშობლები ყოველთვის მკაცრად მზრდიდნენ, ჩემს უმცროს ძმას კი ათამამებენ, მისთვის აკრძალვა არ არსებობს. რამეს თუ ვიტყვი, ეგრევე პირში მეცემიან, შენი ძმის ნუ გშურსო. როგორ შეიძლება ჩემი ძმის მშურდეს, მაგრამ სიმართლის თქმა მიყვარს. ვუყურებ, სკოლაში როგორ იქცევა და არ მომწონს. მასწავლებლებს უხეშად ელაპარაკება, დიდ ბიჭებთან მეგობრობს, თავის კლასელებთან ცუდი ურთიერთობა აქვს. რამდენჯერმე სიგარეტით ხელშიც დავინახე.

მშობლებს ყველაფერი მოვუყევი, მაგრამ მათ თვალებზე თითქოს რაღაც აქვთ აფარებული. მაინც მე მამტყუნებენ, გინდა, რომ შენი ძმა დავსაჯოთო. მასწავლებლებს ამტყუნებენ, ბავშვი ტყუილად ამოიჩემესო. დედაჩემის აზრით, თურმე თავის თანატოლ ბიჭებთან იმიტომ არ მეგობრობს, რომ მისი შვილი გონებრივად ბევრად განვითარებულია და უფროსებთან უფრო პოულობს საერთო ენას. იმას კი ვერ ხვდება, რომ დიდი ბიჭებისგან სიგარეტის მოწევას და სხვა ათას უბედურებას სწავლობს.

ამას წინათ მშობლებს შარვლის ყიდვა ვთხოვე. დედამ მითხრა, ბევრი შარვალი დაგიგროვდა, ახალი არ გჭირდებაო. მამასაც ვეხვეწე, ჩემთვის ფული მოეცა, მაგრამ არაფერი გამომივადა. საღამოს ჩემი ძმა მოვიდა და გამოაცხადა, ჩემი შეყვარებულის დაბადების დღე მოდის და საჩუქარი უნდა ვუყიდოო. მამამ უთხრა, რამე შეარჩიე და პირობას გაძლევ, იმ გოგოსთან არ შეგარცხვენო. ჩემი ძმა მეორე დღეს მოვიდა და მამას განუცხადა, ლომბარდში ძალიან მაგარი ახალი მობილური ვნახე, მინდა, ის ვაჩუქოო. თვალებს არ ვუჯერებდი, მამამ 250 ლარი რომ გამოუცუნცულა და მისცა. ჩემი შარვალი კი სულ რაღაც 52 ლარი ღირდა.

ვერ მოვითმინე და ტირილი დავიწყე, ჩემთვის დაგენანათ ფული და იმ ვიღაც გოგოსთვის მობილურს ყიდულობთ-მეთქი (სხვათა შორის, მე ძველისძველი ტელეფონი მიჭირავს ხელში, მაგრამ არავინ ფიქრობს, ახალი მიყიდოს). ჩემმა ძმამ ირონიულად ჩაიცინა და მითხრა, რა ბოღმიანი ხარო. დედაჩემიც აჰყვა, ეგ შური დამალე მაინცო.

მშობლების ასეთი საქციელი ძალიან მიკვირს. ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ შვილს ამით კარგ საქმეს არ უკეთებენ?! პირიქით, შეიძლება მომავალიც კი გაუფუჭონ. სკოლაში ყველა მის საყვედურს მეუბნება, მათ კი მაინც არ სჯერათ. დარწმუნებული ვარ, მშობლები მიხვდებიან, რომ ჩემი ძმა ასე არ უნდა გაეთამამებინათ. იმედი მაქვს, ეს ძალიან გვიან არ მოხდება და ჩემი ძმა იმ დროისთვის ხელიდან არ იქნება წასული.

თქვენი მკითხველი

"გოგოებმა თვითონ თუ იციან, რა უნდათ?"

ყოველთვის ერთგული ვარ. 15 წლის ვარ და მხოლოდ ორჯერ მიყვარდა. ორივე გოგოსთან ძალიან ახლოს ვიყავი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გავუგე. მათი არ მესმის. ხან რაღაცეებზე ბევრი ხვეწნა სჭირდებათ. ვთქვათ, სადმე რომ გინდა დაპატიჟება, ამბობენ, რომ ამდენი ხვეწნით თავს აბეზრებ. ზოგჯერ კი პირიქით გეუბნებიან, ძალიან რომ გიყვარდე, უფრო შემეხვეწებოდიო.

ბოლოს ძალიან უბრალო მიზეზის გამო ვიჩხუბე. კინოს ორი ბილეთი მქონდა. რა თქმა უნდა, ვინც მიყვარდა, იმას დავურეკე და ვუთხარი, ფილმის სანახავად წამოსულიყო. თავი დაიფასა, არ მცალია, თანაც მშობლები არ გამომიშვებენო. გავუგე და არც გავბრაზებულვარ. მეორე ბილეთს ხომ არ გავაფუჭებდი? ამიტომ თანაკლასელი გოგო დავპატიჟე და ისიც სიხარულით გამომყვა.

მეორე დღეს ჩემმა შეყვარებულმა გაიგო, რომ კინოში სხვა გოგოსთან ერთად ვიყავი, მოვარდა და მეჩხუბა. მატყუარა და მოღალატე მიძახა. ვერ მივხვდი, რა უნდოდა. ის ხომ პირველი დავპატიჟე და არ გამომყვა? რატომ უნდა სწყენოდა? ამის ახსნა რომ დავიწყე, უფრო გაკაპასდა, ათასი სისაძაგლე მითხრა. მის მიმართ გრძნობა კი დამრჩა, მაგრამ ისეთი ძლიერი აღარ, როგორიც ადრე მქონდა. ნეტა, გოგოებმა მაინც თუ იციან, რა უნდათ?

მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-ამდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ" და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„მამიდაშვილმა ყინულამ გამაუპატიურა"

ერთხელ თქვენს რედაქციაში დავრეკე და გითხარით, რომ ჩემს მეგობარს თავისი ამბის მოყოლა სურდა. თქვენ ძალიან უბრალოდ ამიხსენით, რომ წერილი უნდა გამოეგზავნა, სადაც საჭირო არ იქნებოდა სახელისა და გვარის მითითება. სინამდვილეში მეგობრის კი არა, ჩემ გამო დავრეკე, ჩემი ამბის მოყოლა მსურდა, რადგან უკვე ძალიან ვიტანჯები. თქვენმა სიტყვებმა გადამაწყვეტინა, მომეთხრო ის ისტორია, რაც 4 წელია მაწუხებს.

მაშინ 14 წლის ვიყავი. ძალიან თავისუფალი, მხიარული გოგო გახლდით. დედა სულ იმაზე მეჩხუბებოდა, ასე ყველაფერზე ნუ იცინი, სერიოზულობა გმართებსო. მე კი ცეკვა-ცეკვით და სიმღერით დავდიოდი. მიყვარდა მეგობრები და მათთან ერთად გართობა.

ჩვენ რაიონში ვცხოვრობთ. თბილისში ორი მამიდაშვილი მყავს. ერთი ჩემი თანატოლია, მეორე — 3 წლით უფროსი. ისინი ჩვენთან ხშირად ჩამოდიოდნენ და ყოველთვის კარგ დროს ვატარებდით. დაქალებთან ვტრაბახობდი, მამიდაშვილები კი არა, ჩემი ძმაკაცები არიან-მეთქი. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ მათ უნდა მოვრიდებოდი, ასე ახლოს არ უნდა ვყოფილიყავი.

ერთ დღეს მე და უფროსი მამიდაშვილი მარტო დავრჩით სახლში. თავი უხერხულად არ მიგრძვნია, არც იმაზე მიფიქრია, რომ უნდა მოვრიდებოდი. სამზარეულოში სუფრის გაშლას ვაპირებდი, როცა მან საძინებელი ოთახიდან დამიძახა, გარდერობიდან რაღაც ჩამოვარდა და აიღეო. შევედი და ვკითხე, რა ჩამოვარდა-მეთქი. სახეზე რომ შევხედე, ისეთი თვალებით მიყურებდა...

ისე, რომ ვერც გავიაზრე, რა ხდებოდა, ოთახიდან გამოსვლა დავაპირე. ალბათ ეს ჩემი ინსტინქტი ან ინტუიცია იყო, თორემ მართლა არ მიფიქრია, რომ ცუდ რამეს მიპირებდა. მან კი ხელი წამავლო, საწოლზე დამაგდო და ტანსაცმლის გახდა დამიწყო. ვყვიროდი, მაგრამ სახლში არავინ იყო, ვინც ჩემს ხმას გაიგონებდა.

არ ვიცი, რა ძალა მომეცა და როგორ მოვახერხე, მაგრამ გამხეცებულ მამიდაშვილს ხელიდან დავუსხლტი. გარეთ ფეხშიშველი გავვარდი და მეზობელთან შევვარდი. იქ მაშინვე მომცვივიდნენ, მითხრეს, რა დაგემართაო. ვუთხარი, აქეთ რომ მოვდიოდი, დიდი ძაღლი დამეტაკა, მეგონა, მიკბენდა-მეთქი. ძალიან შეწუხდნენ, მაშინვე დამათვალიერეს, სადმე კბილი ხომ არ წაგავლოო. ისე ვკანკალებდი, გულის წვეთები დამალევინეს. მერე მეზობლის გოგოები გამომყვნენ სახლში, მარტო არ დამტოვეს, რადგან ცუდად ვიყავი. მამიდაშვილი იქ აღარ იყო. რამდენიმე დღე არც გამოჩენილა, დარეკა, რომ მეორე ბიძასთან რჩებოდა.

იმ დღის შემდეგ ჩემი ცხოვრება ძალიან შეიცვალა. ყველას მიმართ დავკარგე ნდობა. თუ მამიდაშვილმა ასეთი რამ გამიკეთა და კინაღამ გამაუპატიურა, სხვისგან უკეთესს რას უნდა ველოდო? მშობლების მიმართაც სხვანაირი დამოკიდებულება მაქვს. ყველასთან გავცივდი, სითბოს არავისთვის ვიმეტებ, არც ზედმეტს ვლაპარაკობ, სიმღერა და ცეკვა-თამაში ხომ საერთოდ დამავიწყდა.

დედა თვლიდა, რომ მძიმე გარდატეხის პერიოდი მქონდა. სულ იმაზე წუწუნებდა, ეს ბავშვი როგორ შეიცვალაო. ყველა ანუგეშებდა, ისეთი ასაკი აქვს, ეს ბუნებრივია, დააცადე და გაუვლისო. მან არ იცოდა, სინამდვილეში რა მჭირდა ან საიდან გაიგებდა, როცა ჩემს საიდუმლოს გულში ღრმად ვინახავდი. რამდენი წელიც უნდა გავიდეს, იმ საშინელებას ვერასოდეს დავივიწყებ.

მამიდაშვილის დანახვა ახლაც კი არ შემიძლია. ვიცი, ცუდი ნათქვამი გამომივა, მაგრამ მამიდასაც ვერ ვიტან, რადგან სულ თავისი ბიჭების ქებაშია. ის კი არ იცის, რომ ნაძირალა გაზარდა, რომელმაც დასავით შეზრდილი გოგოც კი არ დაინდო. იანვარში იმ ვაჟბატონმა ცოლი მოიყვანა. მე ათასი რაღაც მოვიმიზეზე, რომ ქორწილში არ წავსულიყავი. ასეთი პრინციპულობა ისევ ჩემს მძიმე ხასიათს მიაწერეს და ქორწილში ჩემ გარდა ყველა წავიდა. იქიდან რომ მოვიდნენ, ყველა თავის შთაბეჭდილებას ყვებოდა, ფოტოებს ათვალიერებდნენ. მე კი მათი ასეთი აღტკინება საშინელ ხასიათზე მაყენებდა. სახლიდან წავედი და ორი დღე მეგობართან ვიყავი.

დაქალებიდან ბევრი დამშორდა, რადგან ვერ გამიგეს, ჩემი ხასიათის ცვლილებას ვერ შეეგუენ. მხოლოდ ერთი შემომრჩა, რომელთანაც დღემდე ვმეგობრობ. ის ისეთს მიტანს, როგორიც ვარ და ამისთვის მისი ყოველთვის მადლიერი ვიქნები. ბევრჯერ დავაპირე, მისთვის მაინც მომეყოლა, ერთმა ნაძირალამ როგორ შემიცვალა ცხოვრება, მაგრამ ვერ გავბედე. მე ხომ ჩემს მამიდაშვილზე უნდა მოვყვე, ეს კი ასე ადვილი არ არის.

ყველა გოგოს ვურჩევ, ბიჭებს ზედმეტად ნუ გაუთამამდებით, როგორი ახლობლებიც უნდა იყვნენ ისინი! ყველაში ზის პატარა მხეცი, რომელიც, არ იცი, როდის გამოიღვიძებს.

ალბათ ამ წერილებს უფროსებიც წაიკითხავენ. მათთვისაც მაქვს რჩევა: შვილებს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. როცა ოჯახში ორი მოზარდია, მეტი სიფრთხილე და ყურადღება გამოიჩინეთ. მერე რა, თუ ისინი ერთი სისხლის და ხორცის იქნებიან, მათ ურთიერთობას მაინც გულისყურით მოეკიდეთ.

მაპატიეთ, თუ ჩემი მონაყოლით ხასიათი დაგიმძიმეთ. კარგად ვიცი, ამ თემებზე საქართველოში არ ლაპარაკობენ. აქ ხომ ნათესავებს შორის ურთიერთობებს ისე უყურებენ, როგორც ძალიან წმინდას. ასეც უნდა იყოს, მაგრამ რაღაცეებზე თვალები არ უნდა დავხუჭოთ და სიმართლე უნდა ვთქვათ. ვიცი, ჩემნაირ მდგომარეობაში ბევრია და ისინიც ძალიან იტანჯებიან, მაგრამ ვერ ამხელენ. ეშინიათ, რომ ყველა მათ გაამტყუნებს.

დიდი მადლობა „სარკეს", რომ ჩემი გულისტკივილის ამოთქმის საშუალება მომეცით. იმედია, მკითხველები არ გამკიცხავენ და არ დამაბრალებენ, რომ მოზარდი ბიჭი ჩემი თამამი საქციელით ვაცდუნე. მე უბრალოდ მხიარული ბავშვი ვიყავი, სხვა არაფერი.

მკითხველი

გამოხმაურება

„თუ მართლა გიყვარს, ის გოგო დაიცავი!"

ჟურნალ „სარკის" მე-19 ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „მომწონს გოგო, რომელსაც ჩემი ძმაკაცები დასცინიან". მე 22 წლის ბიჭი ვარ და ამიტომ გადავწყვიტე, ჩემზე უმცროსს რაღაც ვურჩიო. ჩემი აზრით, ყველას უნდა გააგებინო, რომ ის გოგო მოგწონს. შენი ხათრით მას ზედმეტი არ უნდა აკადრონ და პატივისცემით მოექცნენ. თუ მეგობრები გაფასებენ, ასეც იზამენ.

კიდევ ერთი რამ უნდა გითხრა და არ გეწყინოს: როგორც ჩანს, ძალიან სუსტი ადამიანი ხარ. საყვარელი გოგონას დაცვას თუ ვერ ახერხებ, მაშინ კარგ ბიჭობაზე ან ვინმეს ძმაკაცობაზე თავს არ უნდა დებდე. ჯერ ერთი, იმ გოგოსთან რა გინდათ? რა დააშავა ასეთი, რომ გადაეკიდეთ? არ გეცოდებათ? მისი და თუ ვილაცას გაშორდა ან ცუდად მოიქცა, იმ გოგოს რა ბრალია?! სრული უაზრობაა, რასაც წერ. მეორეც, არ ფიქრობთ, რომ თქვენი ასეთი უხეში საქციელი სხვა გოგოებთანაც გაკნინებთ? ასეთი ბიჭი ვის მოეწონება? ჩემი აზრით, არავის.

თუ მართლა მოგწონს და გიყვარს, ის გოგო დაიცავი, თუ არადა, მუდამ ძმაკაცების კუდი იქნები, სხვების ლაქუცში გაატარებ ცხოვრებას და დაიტანჯები.

მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ ᲜᲘᲜᲐ ᲡᲣᲑᲚᲐᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ

ნინა სუბლატი პროექტში „საქართველოს ვარსკვლავი“ ამბიციური გეგმებით მივიდა — სურს, ქართულ შოუ-ბიზნესში რაღაც ახალი შეიტანოს, მაყურებელი გააოცოს. ერთ-ერთ ტურში სცენაზე მისი თამამი ჩაცმულობა ვულგარულობის ზღვარზე იყო (თუმცა ამ ზღვარს არ გადასცდენია). ეგონა, ამის გამო მძაფრ კრიტიკას დაიმსახურებდა, მაგრამ მაყურებელმა ამ იმიჯითაც მიიღო და ქებაც არ დაიშურა.

სუბლატი ნინას ფსევდონიმია, ჯერჯერობით თავის გვარს არ ამხელს, მხოლოდ იმას ამბობს, რომ დედაც ქართველი ჰყავს და მამაც. 18 წლის კონკურსანტი ბერა ივანიშვილის სტუდიის მოსწავლეა და ერთი პერიოდი პრემიერის ვაჟთან საკმაოდ ახლო ურთიერთობაც ჰქონდა, თუმცა ამაზე ქვემოთ. ახლა ნინა შეყვარებულია და ინტერვიუზე თავის გულისსწორთან ერთად მოვიდა.

■ ᲜᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲢᲝ

— ნინა, პირველ რიგში, თქვენი ოჯახი გაგვაცანით.

— დედა და მამა გაშორებულები არიან. მამის მხრიდან და-ძმა მყავს. მამასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. ვცხოვრობ დედასთან და ბებოსთან. დედა ერთ-ერთ მობილურ კომპანიაში ბიზნესადმინისტრატორად მუშაობს. მამა ფარმაცევტული კომპანიის მენეჯერია.

— სუბლატი რატომ შეარჩიეთ ფსევდონიმად?

— 8-9 წლის ვიყავი, როცა ეს მეტსახელი მოვიგონე. თავიდან ალბათ რაღაც შინაარსი ჰქონდა, რომელიც დღეს აღარ მახსოვს. იმის მერე ყველა ამ მეტსახელით მომმართავს.

— რადის აღმოაჩინეთ, რომ სიმღერის ნიჭი გქონდათ?

— პატარაობიდანვე ვმღერი. მასწავლებლებთან არ მივლია. მამა ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რადგან თვლიდა, რომ ინდივიდუალიზმს დავკარგავდი. დღეს მას ამის გამო ვემადლიერები. თვითნასწავლი მომღერალი ვარ.

— ბერა ივანიშვილის სტუდიაში ხომ დადიოდით?

— კი. ერთი წლის წინ ბერამ სიმღერის შემსწავლელი კურსი გახსნა, კასტინგი გამოაცხადა და შვიდი კონკურსანტი შეარჩია. მასტერკლასს უცხოელი პედაგოგები გვიტარებდნენ, გვასწავლიდნენ ქორეოგრაფიას, სცენიდან მაყურებელთან კონტაქტს და ა.შ.

— თუ ასეთი პედაგოგები გასწავლიდნენ, თვითნასწავლი აღარ გამოდიხართ.

— თუ ამ ერთწლიან კურსს არ ჩავთვლით, თვითნასწავლი ვარ.

— ამ ერთი წლის განმავლობაში ბერასთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— ძალიან მეგობრული ადამიანია. ხშირად მოდიოდა ჩვენთან და მონაწილეებს რჩევებს გვაძლევდა. კონკრეტულ რჩევას ვერ გავიხსენებ, რადგან ასეთი ბევრი იყო.

— ამბობენ, რომ თქვენ შორის რომანიც იყო.

— ეს მეც გავიგე, როცა „საქართველოს ვარსკვლავში“ გამოვჩნდი. ბერასთან მხოლოდ კარგი, მეგობრული ურთიერთობა მქონდა.

— დღეს როგორი დამოკიდებულება გაქვთ მასთან?

— დღეს აღარ გვაქვს კონტაქტი, მაგრამ ვიცი, სადმე რომ ვნახო, აუცილებლად თბილად შევხვდებით ერთმანეთს.

ᲜᲘᲜᲐ: „ᲣᲜᲓᲐᲗ, ᲛᲔ ᲓᲐ ᲜᲣᲯᲐ ᲒᲕᲐᲚᲘᲐ ᲔᲘᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲓᲐᲒᲕᲐᲰᲘᲗᲘᲡᲰᲘᲗᲝᲜ“.

— თუ იცით, უყურებს ბერა თქვენს გამოსვლებს?

— არ ვიცი. ალბათ უყურებს, რადგან ძალიან ვუყვარდით, როცა მასთან ვიყავით და, შესაბამისად, ისე გამოდის, რომ მისი გაზრდილები ვართ. ძალიან მაინტერესებს, თუ გვიყურებს, მისი შეფასება როგორია.

— რატომ გადაწყვიტეთ ამ კონკურსში მონაწილეობა და არა, ვთქვათ, სხვა კონკურსებში სხვა არსებზე?

— „საქართველოს ვარსკვლავი“ უფრო დიდი პროექტია, მეტი ხალხი უყურებს, დიდ დარბაზშია კონცერტი და მეტ გამოცდილებას ვიღებ. თან მარიკო ლეჟავა ჩემი კლასელია და კონკურსში ყოფნა მასთან ერთად უფრო მსურდა. ყოველთვის მინდოდა რომელიმე დიდ პროექტში მონაწილეობა, მაგრამ არა — მოუმზადებლად გასვლა. ადრე ასაკიც არ მიწყობდა ხელს. 18 წლის რომ გავხდი, ვიფიქრე, დადგა დრო, როცა შემეძლო ქართულ სცენაზე რაღაც შემეცვალა. არ მინდოდა, მხოლოდ მორიგი კონკურსანტი ვყოფილიყავი.

ᲞᲘᲢᲝ: „ᲛᲬᲔᲮᲔᲜ, ᲜᲐᲮᲔ, ᲨᲔᲜᲘ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲰᲔᲑᲔᲚᲘ ᲰᲐ ᲤᲝᲮᲘᲛᲘᲗ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔᲝ. ᲛᲔ ᲯᲘ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ ᲜᲘᲜᲐᲡ ᲩᲐᲪᲛᲔᲚᲝᲑᲐ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲦᲐᲛᲐᲖᲘ ᲤᲔᲮᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ“.

— ჟიურის რომელი წევრისგან გრძნობთ განსაკუთრებულ მოწონებას?

— მიშა მშვილდაძისგან და ეს მიხარია. მთელი კვირის განმავლობაში ძალიან ბევრს ვმუშაობ სცენაზე გასვლისთვის და ჟიურის კარგი კომენტარი სასიხარულოა. ჟიურის სამივე წევრის აზრი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

— წინა სეზონის გამარჯვებულს, ლუკა ზაქარაიძეს, იცნობთ?

— კი, მას ძალიან ვგულშემატკივრობდი. ერთადერთი კონკურსანტი იყო, ვისაც ვურეკავდი, რომ ფინალში გასულიყო. ის ხშირად მოდის ჩვენთან, რეპეტიციებს ესწრება და რჩევებს გვაძლევს, რომ სცენაზე გასვლის წინ არ ვინერვიულოთ.

— კონკურსანტებს შორის ძლიერი მეტოქეობა იგრძნობა?

— არა, პირიქით, ძალიან ვმეგობრობთ, რეპეტიციების მერე ხშირად ვიკრიბებით, ერთმანეთს მხარში ვუდგავართ.

— ნუკა გვალიას ერთ-ერთ ლიდერად მოიაზრებენ. გსურთ თუ არა, კონკურენცია მაინც იქნება.

— ბევრს უნდა, რომ ჩვენ ერთმანეთს დაგვაპირისპირონ. სოციალურ ქსელში ხშირად წერენ, რომ კონფლიქტი გვაქვს. სინამდვილეში ფანტასტიკური ურთიერთობა გვაქვს. რა თქმა უნდა, ყველა ჩვენგანი გამარჯვებაზე ფიქრობს, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის მეგობრობაში. თან მე მხოლოდ ტიტულისთვის არ ვარ ამ კონკურსში. მინდა, ქართულ შოუბიზნესში რამე შევცვალო. ვფიქრობ, უკვე გავაკეთე ისეთი რამ, რაც აქამდე არ ყოფილა. თუნდაც ის, რომ სხეულზე ბევრი ტატუ მაქვს, უკვე სიახლეა ქართულ სცენაზე. მკლავზე ჯვარი მაქვს ამოსვირინგებული და ამის გამო ბევრს ათეისტი ვგონივარ, ამ დროს კი პირიქითაა, ეს სვირინგი რწმენის გამო გავიკეთე.

— ერთ-ერთ კონცერტზე საკმაოდ თამამი ჩაცმულობით, ბოდეში გამოწყობილი იყავით. თავად მიიღეთ გადაწყვეტილება, ასე ჩაგეცვათ?

— დიზაინერი გვაცმევს, მაგრამ ჩვენი გემოვნების და სურვილის გათვალისწინებით. მინდოდა, თამამი სამოსი მცმოდა. მარიკო ლეჟავამ მომაწოდა იდეა, რომ ბოდე ჩამეცვა.

— კონცერტის შემდეგ რა შეფასება მიიღეთ მაყურებლისაგან ამ ჩაცმულობის გამო?

— ძალიან ცუდ შეფასებას ველოდებოდი, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ერთადერთი, რამდენიმე აზრი წავიკითხე სოციალურ ქსელში, რომ ისე მეცვა, შემდეგ კონცერტზე ალბათ სულ შიშველი გამოვიდოდი. ცუდი კომენტარები არ ყოფილა. მაყურებელმა სწორად მიიღო ის, რომ სცენაზე სხვანაირად უნდა გეცვას.

მე თავისუფლად ვიზრდებოდი. არასდროს არაფერს მიშლიდნენ. ვიცი ადამიანის თავისუფლების ფასი. ერთადერთი, მამას არ უნდოდა, სახლში გვიან დავბრუნებულიყავი და ამას ვითვალისწინებდი. დედა ყოველთვის მენდობოდა.

— მამა როგორ გაფასებთ დღეს, როცა სცენაზე გხედავთ?

— დღეს ის სცენაზე მაფასებს, როგორც მომღერალს და არა — როგორც შვილს. ეს ძალიან მომწონს. მისი რჩევები მხოლოდ ჩემს ოჯახს თუ ეხება. გარეგნობასთან დაკავშირებით არ მოუცია შენიშვნა, რადგან იცის, რომ სცენაზე დგას არა მისი შვილი, არამედ — შემსრულებელი. შვილი სახლში ვარ.

— ამ კონკურსმა პოპულარობა მოგიტანათ, მაგრამ ალბათ რაღაც დაგეთმობინათ კიდეც.

— ბევრ რამეს ვეღარ ვაკეთებ, მათ

Cyan Magenta Yellow Black

შორის — დღეში მილიონ სიმღერას ველარ ვმღერი, რადგან ხმას ვუფრთხილდები. ასევე ყურადღებას ვაქცევ სოციალურ ქსელში ჩემი აზრის დაფიქსირებას. ადრე თუ თამამი განცხადებებით გამოვირჩეოდი, ახლა ვაკონტროლებ, როგორ სტატუსს დავწერ. გარეგნობას კონკურსამდეც დიდ ყურადღებას ვაქცევდი, ამიტომ ამ მხრივ სიახლე არაფერია.

— გარეგნული იმიჯს თავად იქმნით?

— კი. ხშირად ვიცვლი თმის ფერს. ბუნებრივად ქერა ვარ, მაგრამ ჩემი თავი შავ თმაში ყველაზე მეტად მომწონს.

— თქვენი შეყვარებული ვინ არის?

— პიტო სეთურიძე, 19 წლის, მომავალი არქიტექტორი, სამხატვრო აკადემიაში სწავლობს.

ინტერვიუს პიტოც შემოუერთდა:

— ნინა ერთი წლის წინ გავიცანი მეგობართან, წვეულებაზე. შორიდანვე შევამჩნიე. მერე გვერდით ჩამიარა და მისი სიარულის მანერა ძალიან მომეწონა. გავიცანი და ნელ-ნელა ჩვენი ურთიერთობაც დაიწყო. ერთნაირები ვართ. მეც მიყვარს ტატუები და განსხვავებული იმიჯი. ერთმანეთს ძალიან ვენდობით.

> **ნინა: „მე თავისუფლად ვიზრდებოდი. ახასხოს ახაფეს მიშლიდნენ. ვიცი ადამიანის თავისუფლების ფასი".**

— პიტო, მას მერე, რაც ნინა საზოგადოებამ გაიცნო, არ ეჭვიანობთ?

— არა. მწერენ, ნახე, შენი შეყვარებული რა ფორმით გავიდა სცენაზეო. მე კი მომწონს ნინას ჩაცმულობა. ძალიან ლამაზი ფეხები აქვს. როცა მის ფოტოებზე წერენ, რომ მოსწონთ, მეამაყება, რადგან ეს გოგო ჩემ გვერდით დგას.

— ოჯახის შექმნაზე ხომ არ ფიქრობთ?

— არა, იმიტომ, რომ ჯერ ამისთვის პატარები ვართ. ამ ასაკში შექმნილი ოჯახები, როგორც წესი, მალე ინგრევა. ამიტომ მირჩევნია, შეყვარებულები ვიყოთ, თუნდაც რამდენიმე წელი და როცა ოჯახის შესაქმნელად ფინანსურად თუ მორალურად მზად ვიქნებით, დავქორწინდეთ.

— ნინას ახლა თქვენი მხარდაჭერა ძალიან სჭირდება. რას აკეთებთ ამისთვის?

პიტო: გარდა იმისა, რომ კონცერტებს ვესწრები და ვგულშემატკივრობ, ვცდილობ, დავეხმარო, სწორად გაიგოს მის მიმართ გამოთქმული ყველა აზრი. ნინა საკმაოდ ემოციურია და ხშირად იმაზე მეტი რეაქცია აქვს სხვადასხვა თემაზე, ვიდრე უნდა ჰქონდეს.

ნინა: თანდათან შევეჩვევი, რომ ყველას აზრს ყურადღება არ მივაქციო. ჯერჯერობით მწყინს, თუ ვინმე თვლის, რომ ცუდად ვმღერი, რადგან დიდ შრომას ვდებ შედეგის მისაღებად და ჩემი თავის და მონაცემების ფასი კარგად ვიცი. კრიტიკის მიღება შემიძლია, მაგრამ არაკომპეტენტური აზრის — არა.

✓ მანანა ნოდია

ირაკლი ფუტკარაძე: „ვბარავ, ვთესავ, შეშას ვჩეხ, მშობლებს ვეხმარები"

სიყვარულით დამწვარი პატარა მომღერალი სოფელ ხუხს ძიღს უფითხობს



„მეგონა, იმასაც ვუყვარდი, მაგრამ თქმა ვერ გავბედე და ქე დავჩრი ასე".

ეროექტ „საქართველოს ვარსკვლავის" ყველაზე პატარა მონაწილე, 15 წლის ირაკლი ფუტკარაძე, კონკურსში ლიდერთა შორისაა. ყველაზე შესარჩევ ტურზეც ჟიურისგან შესანიშნავი შეფასებები მიიღო. „ეს ის შემთხვევაა, როცა მესიმ 70-ე წუთზე 3 გოლი გაიტანა", — უთხრა მიშა მშვილდაძემ. „შენში ძალიან დიდი ემოციაა და მართლა შეიძლება სუპერვარსკვლავი გახდე", — ასეთი იყო ზაზა შენგელიას შეფასება.

ირაკლი ფუტკარაძე ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხიდან ჩამოვიდა კონკურსზე. მე-9 კლასის მოსწავლეს ჰუმანიტარული საგნები უყვარს. დედა მათემატიკის პედაგოგი ჰყავს, მაგრამ ირაკლი ამ საგანს მაინცდამაინც არ სწყალობს. მღერა, რაც მამამ შეაყვარა, ყველაფერს ურჩევნია. მამამისი ზუგდიდის ანსამბლ „ჩელაში" მღერის.

პატარა მომღერალს განსაკუთრებით ქართული სიმღერა უყვარს, რაც მის თანატოლებში იშვიათია. რაც მთავარია, კარგად გამოსდის. სოფელში სულ მღერის და მისი ხმა საკმაოდ მოშორებით მცხოვრებ მეზობლებსაც კი ესმით. ირაკლის ტყუპისცალი დაიკო ლიკა ჰყავს, მათი უფროსი ძმა კი 18 წლისაა და ამჟამად სამხედრო სავალდებულო სამსახურს იხდის.

ირაკლი ფუტკარაძე ზუგდიდიდან თბილისში რომ ჩამოვიდა, უზომოდ იყო შეყვარებული ერთ გოგონაზე, ოღონდ ცალმხრივად. ახლა კი სხვა გოგო მოსწონს.

— ირაკლი, მოგვიყევით თქვენი სოფლის, ოჯახის შესახებ, სადაც გაიზარდეთ, სიმღერა შეიყვარეთ...

— ჩემი სოფელი ზუგდიდიდან 3 კილომეტრითაა დაშორებული. მეგობრული და კარგი ხალხი ცხოვრობს. მამაჩემი 22 წელია ზუგდიდის ანსამბლ „ჩელაში" მღერის. ეს ანსამბლი ზუგდიდში ძალიან ცნობილია. მამაჩემი პირველი ხმაა. მათ კონცერტებს ყოველთვის ვესწრებოდი. დედა მათემატიკას რუხის სკოლაში 18 თუ 20 წელი ასწავლიდა. ახლა აღარ მუშაობს. უნდოდა, მეტი დრო ჰქონოდა შვილებისთვის.

— სიმღერის ნიჭი როდის გამოგაჩნდათ?

— მე არ მახსოვს, მაგრამ მეუბნებიან, რომ 3-4 წლის ასაკში უკვე რაღაცეებს კარგად ვმღეროდი და ვცეკვავდი. ეს ყველაფერი გადაღებულია. ფოლკლორს და რიკი მარტინის სიმღერებს ვმღეროდი. თავიდან ხალხურ სიმღერებს მამა მასწავლიდა. რუხის საჯარო სკოლაში მუსიკის მასწავლებელთან, ნინო კევლიშვილთან 6 წლიდან დავდიოდი. 9 თუ 10 წლის ვიყავი, გოგი დოლიძის ფესტივალი რომ ჩატარდა. მაშინ ვერ ვხვდებოდი გოგი დოლიძის სიმღერების მნიშვნელობას და ქალბატონმა ნინომ მირჩია, მომამზადებინა „ხმალი ავლესოთ". 2-3 კვირაში დავამუშავე და ფესტივალის პირველ ტურზე, რომელიც ხობში ჩატარდა, გავიმარჯვე. მეორე ტურზეც იგივე სიმღერა მამღერეს. მესამე ტური კი ამ სიმღერით გავხსენი. ოპერის თეატრში ჩატარდა და ამხელა აუდიტორიის წინაშე პირველად ვიმღერე. ძალიან მაგარი გრძნობაა, როცა ამხელა თეატრში დგახარ და მღერი.

სამი წელი ნინო კევლიშვილთან დავდიოდი, მერე ნანა ნოდიასთან 4 წელი ვიარე. უშუალოდ „საქართველოს ვარსკვლავისთვის" მერაბ როდონაიამ მომამზადა. ჩემთვის ეს კაცი უმნიშვნელოვანესი ადამიანია. მან გამაცნო უცხოელი მომღერლები და სიმღერები მასწავლა. მისი აზრები ჩემსას ემთხვევა, იმდენად სწორად მაწვდის ყველაფერს. როკიც ძალიან მიყვარს და ჯაზიც. ვუსმენ რეი ჩარლზს, სტივი უანდერს, კლასიკური სიმღერებიც მიყვარს. ქართული სიმღერა კი ყველაზე მეტად მიყვარს, ჩემი სულის ნაწილია. გოგი დოლიძე საოცრად მიყვარს. მისი თითქმის ყველა სიმღერა ვიცი.

— სხვა რომელ კონკურსებში მიგიღიათ მონაწილეობა?

— ნანი ბრეგვაძის ფესტივალზეც გამოვედი. იქაც მესამე ტურში გადავედი და ლაურეატი გავხდი. მაშინაც დიდი გამოცდილება მივიღე. თანდათანობით ვიხვეწები. მერე საერთაშორისო კონკურს „ოქროს ვარსკვლავში" ვმონაწილეობდი. პირველი ტური ბათუმში ჩატარდა და გრანპრი მივიღე. ტრიოსთან ერთადაც ვმღეროდი და ამ ტრიომაც გრანპრი აიღო. ბულგარეთში გაგვაგზავნეს, სადაც მეორე ეტაპი ჩატარდა. თავიდან ოცეულში მოვხვდით. დაჯილდოების დრო რომ მოვიდა, ძალიან ვნერვიულობდი. გრანპრი სულ ბოლოს უნდა გამოეცხადებინათ და მიხაროდა, თავიდან რომ არ გვასახელებდნენ. მერე დიპლომი შევნიშნე, სადაც ირაკლი ფუტკარაძე ეწერა და ისე გამიხარდა, ვერ გადმოგცემთ, რას ვგრძნობდი!

> **„ჰა გამღერებს, ბიჭო, შეაღამისასო, მეუბნებოდნენ. ახლა ჯი მიხვდნენ, ჰა მამღერებდა და ჰაში ყოფილა საქმე".**

— „საქართველოს ვარსკვლავის" ყველაზე პატარა მონაწილე ხართ. ცოტა ადრე ხომ არ იყო თქვენთვის ამ კონკურსში მონაწილეობა?

— ძალიან მომწონდა ეს პროექტი. მინდოდა, მონაწილეობა მიმეღო და ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე წარმომეჩინა. პირველი შესარჩევი ტური „რუსთავი 2"-ის შენობაში ჩატარდა. ძალიან დაღლილი ვიყავი, ბევრი ველოდე ჩემს რიგს. რომ შევედი და „ხმალი ავლესოთ" დავიწყე, ისეთ ემოციებში ვიყავი... ეს სიმღერა იმდენად მიყვარს, ყოველთვის მაქსიმალური ემოციებით შემიძლია ვიმღერო. ჟიურისგან თანხმობა რომ მივიღე, არ ვიცი, სახეზე შემეტყო თუ არა, მაგრამ გარეთ ისე ვყვიროდი და ისეთ დღეში ვიყავი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მეორე სიმღერას რომ ვმღეროდი და მიშა მშვილდაძემ თქვა, ეს ის შემთხვევაა, როცა მესიმ 70-ე წუთზე 3 გოლი გაიტანაო, გონზე აღარ ვიყავი, ისეთ დღეში ჩავვარდი.

→32

Cyan Magenta Yellow Black

ზაზა შენგელიას შეფასებამ საოცრად ამაღელვა. როცა ვმღერი, ჩემთვის მთავარი სიმღერაა, სხვას ვერაფერს ვგრძნობ. ვცდილობ, მაქსიმალური ემოცია გამოვავლინო. ახლა ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ბენდთან მუშაობა მიწევს.

— როდის გაქვთ ხოლმე სიმღერის მძაფრი სურვილი, ისეთი, რომ თავს ვერ იკავებთ?

— დილას სიმღერით ვიწყებ. ავდგები თუ არა, ვმღერი. რა თქმა უნდა, თუ კარგ ხასიათზე ვარ. ცუდ ხასიათზე არ ვმღერი. ეს კი იშვიათად და მაშინ ხდება, როცა, მაგალითად, მინდა, რომ მზე იყოს და წვიმაა

„ჩემი ტყუპისცალი ბევრად მაღალია, ახადა მე უფროსი ვარ — 15 წუთით ადრე დავიბადე. არავის სჯერა, რომ ჩემი ტყუპისცალია, მასზე იმდენად დაბალი ვარ. თან არც ფიზიკურად მგავს, არც — ხასიათით".

ან — წვიმა მინდა და მზეა. სოფელში მოსავლისთვის ინტენსიური მზე და სიცხეები ძალიან ცუდია. კარგია, როცა დიდი სიცხეების მერე წვიმს. მზე კი იმიტომ მომდომებია, რომ ცუდი ამინდების გამო ფეხბურთის თამაში მომნატრებია. ძალიან მიყვარს ფეხბურთი. ჩვენი სახლის წინ სტადიონია, იქ ვიკრიბებით და ვთამაშობთ.

— იქაც გაგაქვთ 70-ე წუთზე 3 გოლი?

— მთლად 70-ე წუთზე შეიძლება ეს ვერ შევძლო, მაგრამ კარგად ვთამაშობ. თუმცა სიმღერას ბევრად მეტ დროს ვუთმობ. მეზობლები მეუბნებიან, რა არის, რა შეაწუხე გული, ღამით არ გვაძინებო.

— თქვენი სიმღერით აწუხებთ მეზობლებს?

— ჩვენს სოფელში სახლები საკმაოდ მოშორებითაა. ახლოს რომ იყოს, ალბათ უფრო მეტად შეეწუხებდი. დღისით ჩემი სიმღერა არავის აწუხებს, მაგრამ ღამით შორს ისმის. რა გამღერებს, ბიჭო, შუაღამისასო, მეუბნებოდნენ. ახლა კი მიხვდნენ, რა მამღერებდა და რაში ყოფილა საქმე.

— სოფლის საქმიანობაში ჩართული ხართ, ეხმარებით მშობლებს?

— კი, ვეხმარები. შეშას ვჭეხ, თხილის გასხვლაც ვიცი. გაზაფხულზე თხილის გასხვლაა საჭირო, რომ კარგი ნაყოფი გამოიღოს. დამიბარავს, დამითესავს. დასასვენებლად რომ ჩამოჯდები, მაშინაა კარგი სიმღერა, განსაკუთრებით — ხალხური. როცა ოჯახს დახმარება სჭირდება, რა თქმა უნდა, ყოველთვის გვერდით ვუდგავარ. თავადაც ვხვდები, როცა რაღაცაა გასაკეთებელი.

— მღერით, ფეხბურთს თამაშობთ, ბარავთ, თესავთ და ა.შ. გაკვეთილების სწავლასაც ასწრებთ?

— ვასწრებ, საშუალო ნიშნები მაქვს — 8-9-იანებს ვიღებ. ვცდილობ, კარგად ვისწავლო. ისტორია მიყვარს, რუსული და ინგლისური ენები. ფიზკულტურაც მიყვარს.

— მათემატიკა?

— მათემატიკა მეშვიდე კლასამდე მიყვარდა. მერე რომ გართულდა, უფრო წუნია გავხდი. დედაჩემი მიხსნის ხოლმე, თუ რამე გამიჭირდა.

— თქვენი ტყუპისცალი დაც მღერის?

— კი, ლიკაც მღერის. სტუდია „მეგრიონში" დადიოდა, მაგრამ გამოვიდა, რადგან სწავლას ვეღარ ასწრებდა.

— ერთმანეთს ძალიან ჰგავხართ?

— ჩემზე ბევრად მაღალია, არადა მე უფროსი ვარ — 15 წუთით ადრე დავიბადე. არავის სჯერა, რომ ჩემი ტყუპისცალია, მასზე იმდენად დაბალი ვარ. თან არც ფიზიკურად მგავს, არც — ხასიათით. უფრო სწავლას აქცევს ყურადღებას, ვიდრე სიმღერას. ჟურნალისტობა უნდა. ეს პროფესია პატარაობიდან მოსწონს. ვჩხუბობთ, როცა ტელევიზორში რაღაცის ყურება უნდა და მე არ ვართვევინებ. ლიკა მაშინაც ბრაზდება, როცა სწავლობს და მე ვმღერი. გაჩუმდი, ნერვებს მიშლი, ვისწავლო და მერე იმღერეო, მიყვირის ხოლმე. როცა ეძინებათ, ჩემი სიმღერით არ ვაძინებ. ისე გავერთობი ხოლმე სიმღერაში, ვერც ვგრძნობ, ვინმეს თუ ვაწუხებ.

— შეყვარებული ჰყავსო, თქვენზე ხმა გავრცელდა.

— ახლა ისეთი პერიოდი მაქვს, შეხედულება ყოველ წუთს მეცვლება. ცოტა ხნის წინ დამწვარი ვიყავი სიყვარულით, მაგრამ ახლა ასე აღარ ვარ. მგონი, ცალმხრივად ვიყავი შეყვარებული ხონში მცხოვრებ გოგოზე. მეგონა, იმასაც ვუყვარდი, მაგრამ თქმა ვერ გავბედე და ქე დავრჩი ასე. კონტაქტიც აღარ მქონდა და...

— სხვა მოგეწონათ?

— კი, მგონი, ახლა სხვა მომწონს. როგორი გრძნობაც მე მაქვს, იმასაც აქვს ჩემ მიმართ და, თუ ასე გაგრძელდა, ალბათ ყველაფერი კარგად იქნება.

— როგორი გოგონები მოგწონთ?

— შავგვრემანი და ცისფერთვალება ან თაფლისფერთვალება გოგოები მომწონს. თუ გოგო მღერის, რა თქმა უნდა, ეს დიდი პლუსია, ესე იგი ერთმანეთს გავუგებთ. თუ დაემთხვა, რომ ერთნაირ მუსიკას ვუსმენთ, ხომ მთლად უკეთესია.

„შავგვრემანი და ცისფერთვალება ან თაფლისფერთვალება გოგოები მომწონს. თუ გოგო მღერის, ხა თქმა უნდა, ეს დიდი პლუსია, ესე იგი ერთმანეთს გავუგებთ. თუ დაემთხვა, ხომ ერთნაირ მუსიკას ვუსმენთ, ხომ მთლად უკეთესია".

— ახლა ისეთი პოპულარული ხართ, ალბათ ბევრი თაყვანისმცემელიც გაიჩინეთ.

— კი, მაგრამ ვიცი, რომ თავში არასოდეს ამივარდება. ცოტა უცნაური შეგრძნებაა, როცა გზაში მაჩერებენ და რაღაცეებს მეკითხებიან. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს თავისუფლება დავკარგე.

— გოგონა, რომელიც ახლა მოგწონთ, როგორ გაიცანით?

— „ფეისბუქით". ამ ქსელში ბევრმა დამამატა მეგობრად, მაგრამ ამ გოგოს

„ცოტა უცნაური შეგრძნებაა, ხოცა გზაში მაჩერებენ და ხაღაცეებს მეკითხებიან. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს თავისუფლება დავკარგე".

განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე. ჯერ არ მინახავს.

— ჯერ არ გინახავთ და ასე ადვილად დაიყოწყეთ ხონელი შეყვარებული?

— სამწუხაროდ, ისეთი დატვირთული რეჟიმი მაქვს, მასთან შეხვედრას ვერ ვახერხებ, თორემ სიამოვნებით დავპატიჟებდი სადმე. უკვე კარგა ხანია ვიცნობ ტელეფონით, დაახლოებით ერთი თვე. მჯერა „ფეისბუქით" შეყვარების, რადგან ჩემმა ძმამ გაიცნო ერთი გოგო ასე. ერთი წელი არ უნახავს და იმ დონეზე უყვარდა, დღეღამეში 23 საათს ამ გოგოს უთმობდა. ერთი წლის მერე ნახა და უარესად შეუყვარდათ ერთმანეთი. იქნებ მეც ეგ ბედი მეწიოს!

✓ რუსუდან ადეიძე

„ორივეს გვიყვარს ოპერა, როკი და შავგვრემანი გოგონები!"

ნიკო ბერიძის გამო მისი ძმა დასაჯეს

■ გიორგი

ნიკო: „ოჯი ჩემი ძმის ცხოვრებაში მე შევიტანე და ამით მოვნამღე".

ომღერალმა ნიკო ბერიძემ 4 წლით უმცროს ძმას, გიორგის, ბავშვობიდან შეაყვარა მუსიკა, თავის საყვარელ ჩანაწერებს ასმენინებდა, მუსიკაზე ესაუბრებოდა. მშობლიური ბათუმის ბავშვთა ოპერაში ერთად იდგნენ სცენაზე, ერთად მოიარეს ბევრი ქვეყანა.

ნიკო 25 წლის არის, გიორგი — 21-ის. ძმები საოცრად ჰგვანან ერთმანეთს — გარეგნობით, ხასიათით, ხმის ტემბრით და კიდევ — გემოვნებით. გოგონებიც კი ორივეს ერთნაირი მოსწონს. ახლა ძმების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პერიოდია — გიორგი კონკურსანტია, რეალითი შოუ „მაგთიფანში" მონაწილეობს. ჩაკეტილ სივრცეში ყოფნას უადვილებს ნიკოს წერილები და შეყვარებულის თანადგომა. როცა ძმებ ბერიძეებთან ინტერვიუს ვწერდით, გიორგიმ შემთხვევით ისარგებლა და თავის რჩეულს ჩვენი ჟურნალიდან მნიშვნელოვანი შეტყობინებაც გაუგზავნა.

— გიორგი, რატომ გადაწყვიტეთ რეალითი შოუში მონაწილეობა?

გიორგი: ამ კონკურსში კასტინგის დამთავრებამდე 2 დღით ადრე დავრეგისტრირდი. მუსიკალური კონკურსები არასოდეს მხიბლავდა. ნიკოს დამსახურებაა, რომ პროექტში ვარ. „ჯეოსტარიდან" მისი გავარდნა ჩემთვის დიდი სტრესი იყო. იმ პერიოდში „ბატონები" მქონდა და ნერვიულობის გამო გამირთულდა. ამის მიუხედავად, თავს არ ვზოგავდი, ფანკლუბიც გავუკეთე და თბილისშიც ჩამოვდიოდი საგულშემატკივროდ.

ნიკო: გიორგი ძალიან ნიჭიერია და ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი ძმაა. დიახაც, ჩემი დაჟინებული თხოვნა იყო, რომ პროექტში მიეღო მონაწილეობა. „მაგთიფანში" ვოკალის პროფესიონალი პედაგოგები მუშაობენ და, პირველ რიგში, ამის გამო მინდოდა, რომ ამ კონკურსში მოხვედრილიყო. გიორგი თავის საქმეს კარგად აკეთებს, მაგრამ მასწავლებლები პროფესიულ ზრდაში ისევე დაეხმარებიან, როგორც თავის დროზე მე დამიდგნენ გვერდით.

— თქვენი აზრით, გიორგი ამ კონკურსს თავს კარგად ართმევს, რეალითი შოუს სირთულეებს უძლებს?

ნიკო: ის პროექტში ძალიან ლაღი, მეგობ-

Cyan Magenta Yellow Black

რული, თავშეკავებულია, კონფლიქტური არაა. ისე, აჯობებს, გიორგი წყობიდან არ გამოვიდეს, თორემ შეიძლება მსოფლიო სკანდალი მოხდეს...

— სოციალურ ქსელებში დაიწერა, გიორგი ბერიძე ამ პროექტში იმიტომ მოხვდა, რომ ნიკო ბერიძის ძმა არისო, ანუ ხაზი გაესვა, რომ მაინც სახელმა და ცნობადობამ გაჭრა.

გიორგი: რა პრობლემაა, ნიკოს ძმა ვარ! მაგრამ ინდივიდუალურობა არ დამიკარგავს, გიორგი ვარ, ბერიძე! არანაირი პრივილეგიით არ მისარგებლია. პროექტში ალბათ იმიტომ დამტოვეს, რომ მოვეწონე.

ნიკო: მოუსმინეთ გიორგის

■ ძმები: გიორგი და ნიკო

გიორგი: „შეყვარებულისთვის ბევრი სათქმელი დამიგროვდა და როცა პროექტიდან გავალ, მერე საოცრებებს გავაკეთებ, სერენადებსაც ვუმღერებ, აბა, სხვა რისთვის მაქვს ყელი?!".

ნამღერს და ნახავთ, რომ მე არაფერ შუაში ვარ. გიორგი რომ უნიჭო ყოფილიყო, სიმღერის ნებას არ მივცემდი. კასტინგის პირველ დღეს პედაგოგებმა არ იცოდნენ, რომ ჩემი ძმა იყო. მეორე ეტაპზე ჰკითხეს, შენ და ნიკოს ერთნაირი წარბები გაქვთ და შემთხვევით ძმები ხომ არ ხართო.

— გიორგი, რა რჩევებს გაძლევთ უფროსი ძმა?

გიორგი: ამ ეტაპზე მისგან რჩევებს ვერ ვიღებ, რადგან ჩაკეტილ სივრცეში ვარ. ნიკოსგან რამდენჯერმე მივიღე წერილი, სადაც ეწერა, მიყვარხარ, გაფასებ და საქმეს ბოლომდე მიაწევიო.

ნიკო: მხიარული და ამავე დროს უწმაწური წერილი მივწერე. გიორგი უცებ მოვიდა ხასიათზე და თვითონაც დაიწყო პროექტში უწმაწური სიტყვების თქმა, ამის გამო დასაჯეს და კონცერტის დღეს დარბაზში მისი გულშემატკივრები არ დაუშვეს. გიორგიმ კი იმდენი მოახერხა, რომ კონკურენტების გულშემატკივრები ფეხზე წამოაყენა.

— ძმებს სიმღერა ვინ შეგაყვარათ?

გიორგი: ოჯახში, ჩვენ გარდა, არავინ მღერის. ვოკალის პედაგოგთან პატარა ასაკიდან დავდივართ. ორივეს ერთი პედაგოგი გვყავდა. ბავშვთა ოპერაშიც ერთად ვიყავით და მაშინ მთელი ევროპა, ამერიკა მოვიარეთ, კრემლშიც კი ვიმღერეთ.

ნიკო: როცა ერთად ვმღეროდით, ყოველთვის ამბობდნენ, ორივე ძმა ნიჭიერიაო.

გიორგი: დღემდე გვადარებენ ერთმანეთს და მართლაც ვგავართ ხმის ტემბრით, ვიზუალურად. უბრალოდ ახლა წონაში მოვიმატე. ერთი პერიოდი გამხდარი ვიყავი და ერთმანეთისგან ვერ გვარჩევდნენ.

— ძმები სულ ჩხუბობენ ხოლმე, პატარაობიდან ეჭიშპებიან ერთმანეთს. თქვენ როგორი დედმაძმაშვილობა გაქვთ?

გიორგი: ნიკო ჩემზე 4 წლით უფროსია, ის ყოველთვის ზრუნავდა ჩემზე. არასოდეს არაფერზე გვიკამათია, თუ არ ჩავთვლით ერთ ჩხუბს, რომლის მიზეზსაც ვერ გაგიმხელთ... (იცინის).

ნიკო: მე მოვყვები. გიორგის და მის „სასტავს" საქეიფოდ არ წავყევი, რადგან საქმეს ვაკეთებდი. ჩემი ძმა გაბრაზდა. მე კი ვუპასუხე, შენი გასაკეთებელიც მე გავაკეთე-მეთქი. ასე შევყევით ერთმანეთს და კარგად ვიჩხუბეთ. ყველა გაკვირვებული გვიყურებდა, რადგან მანამდე ჩვენი ჩხუბი არასოდეს ენახათ. ორივეს ძალიან გვინდოდა, მუშტებით გვეჩხუბა, მაგრამ თავი გავაკონტროლეთ.

სპექტაკლში „რომეო და ჯულიეტა" ერთმანეთი დავასისხლიანეთ. სცენაზე ისე ვიხანჯლავეთ, კულისებში რომ გავედით, თითები სისხლით გვქონდა მოთხვრილი.

ნიკო: „მხიარული და ამავე დროს უწმაწური წერილი მივწერე. გიორგი უცებ მოვიდა ხასიათზე და თვითონაც დაიწყო პროექტში უწმაწური სიტყვების თქმა, ამის გამო დასაჯეს".

გამორჩეული ძმობა გვაქვს, ყოველთვის ყველაფერს ძმურად ვიყოფდით. ფეხბურთის თამაში გვიყვარდა, მუსიკას ერთად ვუსმენდით...

გიორგი: მე და ნიკო ბევრ მუსიკალურ საკრავზე ვუკრავთ, დუეტშიც ხშირად გვიმღერია. გვიყვარს გართობა. ჩვენი მეგობრებიდან ყველა მღერის, ცეკვავს. ჩვენთან არავინ არასოდეს მოიწყენს. მუსიკალური შვიდწლედი და მუსიკალური ტექნიკუმი დავამთავრეთ, კონსერვატორიაში ჩაბარება ძალიან მინდა და ვნახოთ.

— ხასიათითაც ჰგავხართ ერთმანეთს?

გიორგი: ჩემგან განსხვავებით, ნიკო მოწესრიგებული, პუნქტუალური პიროვნებაა. ჩვენ, პირველ რიგში, ძმაკაცები ვართ და მერე — ძმები. ორივეს ჯიუტი, ფეთქებადი ხასიათი გვაქვს, გვიყვარს ოპერა, როკი და ორივეს ერთნაირი გარეგნობის, შავგვრემანი გოგონები მოგვწონს, ერთი განსხვავებით — მე ჭორფლიანები უფრო მხიბლავს.

ნიკო: ჩემთვის მნიშვნელობა აღარ აქვს, ქერა იქნება თუ შავგვრემანი, მთავარია, ლამაზი შეხედულების იყოს და კარგი შინაგანი სამყარო ჰქონდეს. რაც შეეხება მუსიკას, თავიდანვე ორივე კლასიკას ვეზიარეთ. როკი ჩემი ძმის ცხოვრებაში მე შევიტანე და ამით მოვწამლე. მართალია, მასზე უფროსი ვარ, მაგრამ ამით არასოდეს მისარგებლია. ჩემს რჩევებს ითვალისწინებს. შეიძლება მაშინვე გააპროტესტოს, მაგრამ ცოტა ხანში რომ დაფიქრდება და მიხვდება, კარგი რჩევა მივეცი, მიჯერებს.

— გიორგი, ახლა, როცა რეალითი შოუში ახლობლებისგან მოწყვეტილი ხართ, ყველაზე ძალიან ვინ გენატრებათ?

გიორგი: ჩემი ოჯახი და ბათუმი მენატრება. მთელი „მაგთიფანი", ჩემი წყალობით, აჭარულად ლაპარაკობს. მენატრება ბებო, რომელმაც გამზარდა, მამა, რომელიც 8 წელი რუსეთში ცხოვრობდა, ახლახან ჩამოვიდა და მე პროექტში შემოვედი. კიდევ არის ერთი ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტად მენატრება.

— შეყვარებული?

გიორგი: დიახ, ჩვენი სიყვარულის ისტორია 4 თვის წინ დაიწყო. აქ რომ შემოვედი, სულ გავაფრინე და მივხვდი, უფრო მეტად მიყვარს. წინა კონცერტზე სიმღერის დროს დავინახე და კინაღამ ტექსტი დამავიწყდა.

ნიკო: „კასტინგის პირველ დღეს პედაგოგებმა არ იცოდნენ, რომ ჩემი ძმა იყო. მეორე ეტაპზე ჰკითხეს, შენ და ნიკოს ერთნაირი წარბები გაქვთ და შემთხვევით ძმები ხომ არ ხართო".

მას ხათო ჰქვია და პროფესიით მსახიობია. ბევრი სათქმელი დამიგროვდა და, როცა პროექტიდან გავალ, მერე საოცრებებს გავაკეთებ, სერენადებსაც ვუმღერებ, აბა, სხვა რისთვის მაქვს ყელი?! ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდია, ხათო მგულშემატკივრობს, წერილებს მწერს, მაგრამ პროექტში დამსაჯეს და ბოლო წერილს არ მაძლევენ. როცა ხათო კონცერტებზე მოდის, დიდ ენერგიას ვგრძნობ. თქვენი ჟურნალის საშუალებით მას მივმართავ: „ხათო, ახლა უფრო მაგრად მიყვარხარ, ვიდრე აქამდე!".

ნიკო: ხათო ერთხელ მყავს ნანახი, გიორგიმ ჩემს სოლო კონცერტზე დაპატიჟა.

— როგორ აფასებთ შანსებს, კონკურსი უმცროსი ბერიძისთვის მაინც თუ აღმოჩნდება წარმატებული?

გიორგი: ეს ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული და ვნახოთ. საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს თუ გამოავლენ, ჟიურის მოეწონები და მაღალ ქულებს დაგიწერს, ესემესებზე დამოკიდებული აღარ იქნები.

ნიკო: პროექტში ყველაფერია მოსალოდნელი. გიორგი ფსიქოლოგიურად მოვამზადე, შოუში ყველაფერი ხდება, მაგრამ მას მოგების დიდი შანსი აქვს. ახლო მომავალში მის მხარდასაჭერ დიდ ღონისძიებას ვგეგმავთ.

✓ ლანა კიკნაძე

„ლიგა" სამკურნალო გაერთიანება
ლ ი გ ა
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge

Cyan Magenta Yellow Black

რა შეტევებს უძლებს დათო ქაცარავას ცოლი ქმრის თაყვანისმცემლებისგან

■ დათო და სოფო

სპორტული გარეგნობა, მამაკაცური შარმი, გალანტურობა და ფილმებით მოპოვებული პოპულარობა დათო ქაცარავას ოჯახს ბევრ პრობლემას უქმნის. მისი თაყვანისმცემელი ქალები პირდაპირ გადასული და სულაც არ აბრკოლებთ, რომ მათი ყურადღების ობიექტი უკვე 15 წელია ერთი ქალის, საკუთარი ცოლის, სოფო ხაჭაპურიძის ერთგულია. ამ ხნის განმავლობაში მათმა ურთიერთობამ რთული ეტაპებიც გამოიარა, იყო ჩხუბიც და ხანმოკლე დაშორებაც, მაგრამ, როგორც დათო ამბობს, ეს ყველაფერი მათ სიყვარულს ხიბლს მატებდა.

ცოლ-ქმარს, რომლებიც დღემდე შეყვარებულებივით გამოიყურებიან, ოჯახური ცხოვრების პერიპეტიებზე სასაუბროდ შევხვდით.

— როგორ დაასასიათებდით ამ გზას, რაც თქვენმა ოჯახმა დღემდე გამოიარა?

დათო: ჩვენი 15 წლიანი ურთიერთობის განმავლობაში ძალიან საინტერესო და ლამაზი ეტაპების გავლა მოგვიხდა. 21 წლის ვიყავი, როცა ერთმანეთი შეგვიყვარდა. ყველაფერი ძალიან ლამაზი იყო და ამიტომ სულაც არ მიკვირს, რომ ეს სიყვარული დღემდე არ ნელდება. იყო ჩხუბი, გაშორებები, ერთმანეთის მოკვლის სურვილიც კი! ყველაფერი ქართულად გამოგვდიოდა, მაგრამ ერთმანეთი იმდენად გვიყვარს, ეს ეტაპები ჩვენს ურთიერთობას მხოლოდ და მხოლოდ ხიბლს მატებდა, რადგან შემდეგ შერიგება ათმაგად ტკბილი და გემრიელი გამოდიოდა.

— ეს რა ეტაპზე ხდებოდა, სანამ შეყვარებულები იყვნთ თუ ქორწინების შემდეგაც?

დათო: ცოლქმრული ცხოვრების დაწყებიდანვე ვჩხუბობდით, ოღონდ ეს იყო ძალიან ხანმოკლე ჩხუბი. უკვე 8 წელია ცოლ-ქმარი ვართ, ამ ხნის განმავლობაში ორჯერ დავშორდით, მაგრამ მეც და სოფომაც ზუსტად ვიცოდით, რომ ეს ჩვენი ფლირტის ნაწილი იყო.

— რა იყო ძირითადად თქვენი ჩხუბის მიზეზი?

სოფო: დათო ცნობილი, პოპულარული ბიჭია და ორივე სქესის წარმომადგენლების მხრიდან გამუდმებით ყურადღების ცენტრშია, რთულია, ამ ყველაფერს მარტივად შეხედო. ბევრს უკვირს, შენ საერთოდ ჭკუაზე როგორ ხარ, როგორ არ ეჭვიანობო. ჩხუბის მიზეზი ძირითადად ჩემი ეჭვიანობა იყო. გარდა ამისა, შეყვარებულობის პერიოდში მამაკაცებს უყურადღებობა სჩვევიათ, მათთვის დრო ცოტა სხვანაირად აღიქმება. მაგალითად, ქალს 5 წუთში ენატრება, კაცს, მინიმუმი, ერთ კვირაში.

— დათო, სოფო ეჭვიანობას რითი პასუხობთ?

დათო: ყოველთვის ვცოფდებოდი, ახლაც ვცოფდები და ალბათ მომავალშიც გავცოფდები, რადგან ვიცი, სოფო როგორ მიყვარს. როცა ის ეჭვიანობს, ეს იმის ნიშანია, რომ ვერ ხვდება, როგორ მიყვარს და რამდენად მნიშვნელოვანია ის ჩემთვის.

სოფო: ვიცი, რომ დათოს ძალიან ვუყვარვარ და მეც მიყვარს, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა რაღაცეებს ვხედავდი. ბოლო-ბოლო, სულელი ხომ არ ვარ?! ყველაფერზე თვალის დახუჭვა სწორად არ მიმაჩნია.

— ანუ კონკრეტული მიზეზები გქონდათ?

სოფო: მიზეზებიც მქონდა და ვაღიარებ, რომ ბუნებითაც ეჭვიანი ვარ.

— კონკრეტულად რა იყო მიზეზები?

სოფო: უცნობები პირდაპირ დარეკვას ვერ ბედავენ, მაგრამ უკვე გაცნობილები სოციალური ქსელებით ამას ახერხებენ. სოციალური ქსელი ბარიერების გარღვევის არაჩვეულებრივი საშუალებაა, ასეთი არაერთი მცდელობა ყოფილა. როცა გოგონები დათოს მისამართით ზედმეტად ავლენენ ინტერესს, რა თქმა უნდა, ვღიზიანდები. ხომ იცი, რომ მას ოჯახი ჰყავს? არ მგონია, ვინმეს იმის წარმოდგენა შეეძლოს, რომ დათოსთან რამე შანსი აქვს.

— დათო, სოფო თქვენს თაყვანისმცემლებს მჯდრად აგერიებს?

დათო: სოფო არ იგერიებს, ამ ყველაფერს ერთმანეთში ვარკვევთ. როგორც წესი, შეტევებზე არ გადადის ხოლმე.

სოფო: დათო გალანტური კავალერია, ძალიან კეთილი და ყურადღებიანია მანდილოსნის მიმართ. ამიტომ მსგავსი რეაქციები ზოგიერთ ქალს სხვა რაღაცა ჰგონია, ფიქრობს, რომ მორჩა, დათო ხვალ ცოლად მოიყვანს! ქალებისადმი მის დამოკიდებულებას არასწორად იგებენ. მიმაჩნია, რომ მამაკაცი ასე უნდა იქცეოდეს, მაგრამ, სტატუსიდან და შინაარსიდან გამომდინარე, ქალმა ეს ყველაფერი შესაბამისად უნდა აღიქვას.

— დათო, გვერდით არაჩვეულებრივი ქალი გყავთ თქვენ არასოდეს გიეჭვიანათ?

დათო: რა თქმა უნდა, ვეჭვიანობ, მაგრამ ამას ბევრად უკეთესად ვნიღბავ, ვიდრე სოფო. ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება გარკვეულწილად ეჭვიანს მხდის, მაგრამ ზუსტად ვიცი, როცა გიყვარს და უყვარხარ, ამ გრძნობას გასაქანი არ უნდა მისცე. ამან შეიძლება ძალიან ცუდ შედეგამდე მიგიყვანოს.

— სოფოს თაყვანისმცემლები ისევე რომ აქტიურობდნენ, რიგორც თქვენი, რა რეაქცია გექნებოდათ?

დათო: სერიოზული! ალბათ ბევრი იქნებოდა ნაცემი და დასისხლიანებული.

სოფო: რაღაც შემოთავაზებები მქონდა, სერიალის კასტინგებზე დამიძახეს, მაგრამ ჩემმა მეუღლემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არც ერთ კასტინგზე არ გაჭაჭანდებიო.

— დათო, მამაკაცებს რომ გკითხეთ, რეალიზებული ქალები მოგწონთ, თქვენ კი კასტინგზე ცოლი არ გაუშვით?

დათო: სოფო თვითრეალიზებულია, თავისი საქმის არაჩვეულებრივი პროფესიონალია. ერთ-ერთი სპორტკომპლექსის პირის და მარკეტინგის დირექტორია. მას ნახევარი თბილისი იცნობს, საქმიანი ურთიერთობები აქვს სხვადასხვა ბიზნესის თუ შოუბიზნესის წარმომადგენლებთან. ვიცი, ზოგადად რა სიტუაციაა გადასაღებ მოედანზე. შესაძლებელია, ისეთ სცენაში თამაშის საკითხი დაგიყენონ, ჩემთვის მისაღები არ იყოს, იქ ჩემმა ცოლმა ითამაშოს. ამას გარდა, არ მინდა, სალაპარაკო გახდეს, სოფო კარგად თამაშობს თუ ცუდად. მოკლედ, არ მსურს, ჩემი მეუღლე განხილვის საგანი გახდეს! მე ვიცი, როგორ მაქებენ და მაკრიტიკებენ, ეს საკმარისია. ეს ჩემი მიდგომა და პოზიციაა, რომელიც სოფომ გაიზიარა და დიდი მადლობა ამისთვის.

— რა შეცვალა წლებმა თქვენს ურთიერთობაში?

დათო: ცვლილება მხოლოდ უკეთესობისკენაა. ძალიან ლამაზი და კარგი ურთიერთობა გვაქვს თავისი ჩხუბებით.

— და დღემდე ასე გრძელდება?

დათო: რა თქმა უნდა! ეს არც არასდროს დამთავრდება. ამის გარეშე ურთიერთობა ძალიან ტკბილი იქნებოდა, მე კი მარილიანი და ცხარე მიყვარს, როგორც ჭეშმარიტ მეგრელს.

სოფო: ზოგიერთ მამაკაცს საჩუქრები, სიურპრიზები არ უყვარს. დათოს ეს შეყვარებულობის დროს უყვარდა, მერე ცოტა დაავიწყდა, ახლა კი ისევ გაახსენდა. თავისთავად სასიამოვნოა, საჭირო მომენტში საჭირო დოზით სიურპრიზს რომ გიკეთებს.

— სოფო, რაზე შეიძლება დათო გაგბრაზდეთ?

სოფო: ასე რომ ვთქვათ, გაჭედვა ყველა ქალს ემართება. მეც რაღაცაზე რომ გავჭედავ და ვუკაკუნებ და ვუკაკუნებ, ამაზე მიბრაზდება.

— თქვენი აზრით, უნდა აპატიოს თუ არა ცოლმა ქმარს ღალატი, გათავდებოდეს თუ არა, რომ ის მამაკაცია, ქართველია და ასე შემდეგ?

სოფო: არ ვიცი. კაცის ფსიქიკა მართლა განხვავებულია და ეს ყველა ქალმა უნდა შეიგნოს. ძალიან მტკივნეული და სასწაულად მძიმე თემაა. არის სიტუაციები, როცა მართლა უნდა აპატიო. როცა იცი, რომ შენი ურთიერთობა ჭეშმარიტ გრძნობაზეა დამყარებული, მასთან დრო, შვილები, აღუწერლად ლამაზი წუთები გაკავშირებს... არ ვიცი, იქ რა ადგილი აქვს ღალატს.

— სამი შვილის მშობლები ხართ. რა შეცვალა მათმა დაბადებამ თქვენში?

დათო: ბავშვი ჩვენი ურთიერთობის ლოგიკური გაგრძელება იყო. ყველაზე დიდი საჩუქარი, რაც ამ ცხოვრებისგან შეიძლება მიიღო, ეს არის კარგი და ჯანმრთელი შვილები. მათ თავიანთი წილი სიყვარულის ოკეანე აქვთ, მაგრამ ამით ჩვენს ურთიერთობას არაფერი დააკლდა, პირიქით, კიდევ უფრო ლამაზი და ძლიერი გახადა ის.

— სოფო, დასახლისობისთვის იცლით?

დათო: სოფოს დასახლისობა კი მომენატრა!

სოფო: სხვათა შორის, ხანდახან მეც მენატრება ხოლმე. საჭმელების კეთება, ნამცხვრების, ტორტების ცხობა მეხერხება, გამიკეთებია კიდეც და დათოსაც მოსწონდა.

— დათო, რიგორც ვიცი, ერეკანში იყვნთ ვადაღებებზე, რა ფილმში მიღებთ მონაწილეობას?

დათო: რუსულ-სომხურ ერთობლივ პროექტში მივიღე მონაწილეობა. ფილმი სათავგადასავლოა. მისი პრემიერა რუსეთში იგეგმება. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ფილმით ჩემთვის რუსული ბაზარი გაიხსნება და ჩემით რუსი პროდიუსერები დაინტერესდებიან. ცოტა ხანში ყაზახეთში მივფრინავ. ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ რეჟისორთან ვითამაშებ ბანდიტის როლს. რუსულ ტელესერიალშიც ვარ დამტკიცებული, რომელსაც „მსროლელი“ ჰქვია. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, კავკასიელი სპეცრაზმელი უნდა ვითამაშო. ამას გარდა, კიდევ ორ პროექტს მთავაზობენ, მათ შორის, გერმანელი ოფიცრის როლს. იმდენად შემიყვარდა ეს საქმე და ისეთი სერიოზული ნარკოტიკია, ალბათ ვერასდროს გადავაგდებ, სანამ ის არ გადამაგდებს.

სხვათა შორის, მე და ჩემი უფროსი ბიჭი მიშო ქართულ-აზერბაიჯანულ სერიალში დაგვამტკიცეს. სამწუხაროდ, მიშო ჩემი შვილის როლში არ იქნება. ერთ-ერთი მთავარი გმირის შვილი იქნება.

✓ ეკა ლემონჯავა

დათო: „ჩვენს ცხოვრებაში იყო ჩხუბი, გამოჩენები, ეთმანეთის მოკვლის სუიციდიც ჯი“.

სოფო: „დათო ცნობილი, პოპულარული ბიჭია და ორივე სქესის ნარმომადგენლების მხრიდან გამუდმებით ყურადღების ცენტრშია. ალბათ, ამ ყველაფერს მარტივად შეხედო“.

დათო: „სოფოს ეჭვიანობაზე ვცოფდებოდი, ახლაც ვცოფდები და მომავალშიც გავცოფდები. ვეჭ ხვდება, როგორ მიყვარს და ალბათ ამ ნიშვნელოვანია ის ჩემთვის“.

Cyan Magenta Yellow Black

რატი გოგატიშვილი: „ძნელია, როცა დედა შეყვარებულია...“

12 წლის რატი გოგატიშვილმა კარგად მოირგო ცელქი და ცუღლუტი ბიჭის როლი სერიალში „შუა ქალაქში“, რადგან თავის გმირს, ნიკას, ბევრი რამით ჰგავს, ყველაზე მეტად კი იმით, რომ სწავლა ეზარება. ამის გამო სახლში ნამდვილი დედა უბრაზდება, ეკრანზე კი სერიალის დედა. სცენარი სახლშიც იგივეა, რაც სერიალში. კამათი ძირითადად გაკვეთილების მომზადებაზე, ხელების დაბანასა და ჭამაზეა.

სერიალში ნიკას დედას, ელენეს, მუსკომედიის მსახიობი ნინო მითაიშვილი თამაშობს. მისი გმირი გამუდმებით უიმედოდაა შეყვარებული და შვილზე ისე ვერ ზრუნავს, როგორც საჭიროა. რეალურ ცხოვრებაში კი მზრუნველი დედაა და რატისაც არ აკლებს ყურადღებას. მათ ეკრანის მიღმაც დედაშვილური ურთიერთობა აქვთ. თუ რას ფიქრობენ თავიანთ პერსონაჟებზე და როგორია მათი რეალური ცხოვრება, ეკრანული დედა-შვილი თავად გვიამბობენ.

■ რატი და ნინო

ხატომ ეცოდება ნინო მითაიშვილს თავისი ეკრანული შვილი

— ნინო, სერიალში თქვენმა გმირმა მეორე სანელური ვერა და ვერ ახოვა. რეალურ ცხოვრებაში ამ მხრივ გოგონა ხართ?

ნინო: ჩემი პერსონაჟისგან განსხვავებით, უკვე 13 წელია ჩემი პირადი ცხოვრება იდეალურადაა აწყობილი და სტაბილური ოჯახი მაქვს. 12 წლის ელენე მყავს. ის რატიზე თვეებითაა პატარა, ამიტომ სერიალში ჩემი გმირის ხასიათი ადვილად მოვძებნე. მეუღლეს რაც შეეხება, ის სამართალმცოდნეა. ამჟამად უმუშევარია.

— რატი, რიგორი დედაა სერიალში ელენე? რიგორ დაახასიათებდი ამ გმირს?

რატი: ელენე დაბნეულია, შეყვარებულია და შეყვარებულის გარდა არაფერი აინტერესებს, ბავშვს კარგად არ უვლის.

ნინო: ჰო, მართლა ეგრეა.

რატი: და კიდევ, ძალიან ცუდი საჭმელები გამოსდის.

ნინო: პრინციპულიც ხომ ვარ?

რატი: კი. თაფლს მაჭმევ სულ, რომელსაც ხან სადღაც ვასხამ, ხან კიდევ ვჭამ. რეალურ ცხოვრებაშიც არ მიყვარს თაფლი. როგორც კი კარს შევაღებ, ელენე იწყებს, ნიკა, ხელები დაიბანე, საჭმელი ჭამე და იმეცადინეო. დედაჩემიც ზუსტად ასე მეუბნება ხოლმე. ამ ყველაფერზე სახლშიც იგივე რეაქცია მაქვს, რაც სერიალში. სწავლა არ მიყვარს და ვერც იმას ვიტყვი, რომ ძალიან კარგად ვსწავლობ.

— ნინო, თამაში ადვილია თუ რთული, როცა პარტნიორი ბავშვია?

ნინო: რატისთან თამაში კარგია. ბავშვები ძალიან გულწრფელები არიან, ამიტომ იმ მომენტში არარეალური სიტუაციის დაჯერება უფრო გიადვილდება. რატი თავისი ლამაზი, ბდღვიალა და გულწრფელი თვალებით რომ გამოგხედავს, შეუძლებელია, მასთან თამაში გაგიჭირდეს. ხანდახან რატი ძალიან მეცოდება, რადგან რთულ და დამღლელ რეჟიმში უწევს თამაში. ალბათ მაყურებელს ჰგონია, რომ მუშაობა ძალიან სახალისოა. რა თქმა უნდა, სახალისოც არის, მაგრამ ძალიან რთულიცაა, რადგან ფაქტობრივად ის სამი დღე, როცა გადაღებები გვაქვს, იქ ვცხოვრობთ და სერიოზული დატვირთვა გვაქვს. თან რატი სკოლაში დადის, მერე გადაღებებზე მოდის, სადაც სულ ჩხუბია, რატი, ტექსტი ისწავლეო.

რატი: ნინო ძალიან მიყვარს, ჩემი საყვარელი ადამიანია, მასში ყველაფერი მომწონს.

ნინო: სხვათა შორის, რატი ჭირვეული არ არის. ძალიან თავმდაბალი ბავშვია.

— გადაღებების დროს ალბათ ძალიან ხალისობთ.

რატი: კი. შეიძლება ტექსტიც კი დაგავიწყდეს, ენა დაგებას ან სხვის ტექსტზე გაგეცინოს. როცა სხვის ტექსტზე მეცინება, ზურგით ვდგები ხოლმე.

— თქვენს გმირებს რითი ჰგავხართ?

ნინო: ელენესნაირი დედა ნამდვილად არ ვარ. მეცადინეობაზე, ხელების დაბანასა და ჭამაზე სერიალშიც და ჩემს შვილთანაც იგივე ტექსტი მაქვს. სხვა დანარჩენით მასთან მსგავსებას ვერ ვხედავ. სხვათა შორის, არც ჩემს შვილს უყვარს თაფლი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შვილი გოგოა, რატი და ის ერთმანეთს ჰგვანან, ისიც ცელქია. ყურადღებიანი დედა ვარ და ცოტა ზედმეტად პანიკურიც კი.

ხატი: „გოგონები მწეხენ, მიყვახხახ, უშენოდ ვეი გავძღებო, მაგრამ ვბრაზდები და ასეთ ხალაცეებს ყუჰადღებას აი ვაქცევ“.

რატი: ჩემს გმირს ვგავარ. მეც ცუდად ვსწავლობ და ისიც. ნიკაც ცელქია და მეც. ადრე სათამაშოებს ვაფუჭებდი, ახლა — აღარ.

— რატი, სერიალში დედას და ბიძას სხვადასხვა ოთახი „ანებეურებ“. სახლშიც ასეთი ინაკარი ხარ?

რატი: კი, როგორ არა. მახსოვს, სკოლაში მოვიტყუე, ვითომ მუცელი მტკიოდა და გამომიშვეს. სახლშიც ვიტყუები ხოლმე, ცუდად ვარ, სკოლაში არ გამიშვათ-მეთქი. სკოლაში მეგობრების ნახვა მიხარია, გაკვეთილებზე ყოფნა კი არ მიყვარს და რა ვქნა!

— ელენესნაირი დედიკო მოგეწონებოდა?

რატი: არა. დაბნეულია და თავისი შეყვარებულის გარდა არაფერი აინტერესებს.

— და ცუდია შეყვარებული დედა?

რატი: რომ არ გივლის, ეგეც ხომ ცუდია? სხვათა შორის, ოჯახის წევრებიც მამსგავსებენ ნიკას, ეგეთი წუწუნა ხარო, მეუბნებიან.

— სკოლაში ძალიან პოპულარული იქნები.

რატი: გოგონები მესიყვარულებს მწერენ. ადრე კარში წერილები მხვდებოდა. გოგონები მწერენ, ძალიან მიყვარხარ, უშენოდ ვერ გავძლებო, მაგრამ ვბრაზდები და ასეთ რაღაცეებს ყურადღებას არ ვაქცევ.

— შეყვარებული ხომ არ ხარ და ამიტომ ხომ არ გაქვს ასეთი რეაქცია?

ნინო: „ჩემი გმირის ხასიათი შვილმა და ხატომ მაპოვნინეს“.

რატი: არა, შეყვარებული არ ვარ. ისე, ლამაზი და ჭკვიანი გოგონები მომწონს.

— ნინო, თქვენ და რატიმ ერთმანეთის ოჯახის წევრები გაიცანით?

ნინო: რატის ოჯახის წევრებს ვიცნობ, მაგრამ რატი ჩემებს არ იცნობს.

რატი: რიგორ არა, გიორგის, შენს მეუღლეს ვიცნობ, კინოში ხომ ერთად ვიყავით.

ნინო: უი, მართალია, კინოში ერთად ვიყავით! სხვათა შორის, დღეს ელენეს წამოყვანა მინდოდა, მაგრამ რაღაც მოხდა და ვეღარ წამოვიყვანე. თუმცა რატის აუცილებლად გავაცნობ.

— ნინო, თქვენი ქმარი რას ფიქრობს სერიალსა და თქვენს პერსონაჟზე?

ნინო: მეუღლე საერთოდ არ უყურებს, სერიალები არ უყვარს. თუ მე ვუყურებ, ისიც უყურებს, შეიძლება შენიშვნა, შესწორება მომცეს და თავისი აზრი დააფიქსიროს, მაგრამ სერიალის დიდი მაყურებელი არ არის. ჩემს შვილს ეს სერიალი ძალიან უყვარს, ყველა პერსონაჟზე გიჟდება. ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს რატის იცნობს. სახლში რომ მივდივარ, რატიზე ვუყვები, დღეს ასე გააკეთა, დღეს ეს თქვა-მეთქი. თავიდან, როცა სერიალში ამიყვანეს, ტექსტის დამახსოვრება ძალიან მიჭირდა და ელენე მეხმარებოდა, პარტნიორობა მიწევდა. დედა, რა ვერ დაიმახსოვრეო, მეჩხუბებოდა ხოლმე.

— გარდა პოპულარობისა, ამ სერიალმა რა შეგძინათ?

ნინო: გამოცდილება. სიტუაციური კომედია კინოსგან, სერიალისგან, თეატრისგან რადიკალურად განსხვავდება. ეს აბსოლუტურად სხვა სპეციფიკაა. სულ ვამბობ ხოლმე, იმ ადამიანისთვის უფრო მარტივი იქნება თამაში, რომელსაც სამსახიობო სკოლა არ გაუვლია, რადგან ჩვენ, მსახიობებს, მსახიობური ოსტატობის სტერეოტიპები, ფორმულა გვაქვს ჩამოყალიბებული და ამ ფორმულის დანგრევა გვიწევს. ამიტომ რაღაცეები ძალიან გამიჭირდა. ახლაც სისტემატურად სულ რაღაცას ვსწავლობ და ვცდილობ, ზედმეტი არ მომივიდეს.

რატი: როცა სერიალში პირველად მივედი, ისე ვინერვიულე, ოფლი მასხამდა. ახლა საერთოდ აღარ განვიცდი.

ნინო: ახლა აღარ ნერვიულობ ხოლმე? ყოჩაღ, შენ!

— ნინო, თქვენს გმირს სამზარეულოში თითქმის არაფერი გამოსდის. თქვენ რიგორი დასასლისა ხართ?

ნინო: ძალიან კარგი კულინარი ვარ-მეთქი, რომ ვთქვა, ტყუილი იქნება, მაგრამ რაც მე და ჩემი ოჯახის წევრებს გვიყვარს, ყველაფერს ვაკეთებ. ძალიან მინდა, კულინარიის კურსებზე ვიარო და ეგზოტიკური კერძები ვისწავლო. ჩვენს ოჯახში ყველა გურმანია.

სერიალის გადაღებების შემდეგ რეპეტიციები მაქვს და სახლში გვიან მივდივარ. ღამის 2 საათზე შემიძლია დავალაგო, სახლი მოვაწესრიგო, სადილი გავაკეთო და დავიძინო. დილით ისევ ავდგე და საქმეებს მივხედო. თუ საშუალება მაქვს, შეიძლება შუადღის 2 საათამდეც ვიძინო.

— თქვენი გმირი უიმედოდაა შეყვარებული. გაგიზიარებთ ეს სიტუაცია?

ნინო: შეყვარებულის ამპლუაში ყოფნა ნაცნობია, მაგრამ ამ ფორმით — არა. ელენეს და მისი შეყვარებულის სასიყვარულო ისტორია ძალიან უცნაურია, თუმცა სახალისო. ამას სერიოზულად რომ შევხედოთ, ტრაგედია იქნება.

— თქვენი ოჯახი რიგორ შეეჩვა?

ნინო: ჩვეულებრივად, როგორც ხდება ხოლმე. 3 წელი შეყვარებულები ვიყავით და დავქორწინდით. 18 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი. ქმარი ჩემზე 1 წლითაა უფროსი.

— მსახიობი ცოლის რეჟიმი პრობლემას არ უქმნის?

ნინო: გიორგი გვერდში მიდგას, იცის, რომ ეს საქმე მიყვარს და პატივს სცემს ჩემს არჩევანს, მიუხედავად იმისა, რომ ის ბევრ დროს მოითხოვს. ალბათ ეს ყველაფერი ჩემი მეორე ნახევრისთვის ძალიან ძნელია, მაგრამ როცა ადამიანი გიყვარს, ამასაც ეგუები.

— რატი და თქვენ გადაღებების მერე დროის ერთად გატარებას ანერხებთ, ერთად სადმე ყოფილხართ?

ნინო: ვერა, მაგრამ ძალიან მინდა, სადმე ქალაქგარეთ, ბუნებაში ერთად წავიდეთ. როგორც კი ამინდი გამოკეთდება, მაშინვე წავალთ.

რატი: ამ სერიალმა ყველა დაგვამეგობრა.

✓ ეკა ლეშინჯავა

Cyan Magenta Yellow Black

ოთო ნემსაძე უკრაინელებმა რინგების მეფედ აღიარეს

ომღერალმა ოთო ნემსაძემ უკრაინულ მუსიკალურ ტელეპროექტ „ახალ ხმაში“ ორ რინგზე თავისი კონკურენტები სრული უპირატესობით დამარცხა. ახლა ის უკრაინაშიც ისეთივე პოპულარულია, როგორიც 2010 წელს „ჯეოსტარის“ კონკურსის დროს იყო საქართველოში. პროექტის ორგანიზატორებისთვის კი ყველაზე ძვირადღირებული კონკურსანტია, რადგან მგზავრობისა და კიევში ცხოვრების ხარჯებს მთლიანად ისინი უნაზღაურებენ. თუ როგორ გადალახა რთული ტურები უცხო ქვეყანაში, ამაზე ქართველი ჯეოსტარი თავად გვიამბობს.

— ოთო, გვაამბეთ, რა ეტაპზეა ამჟამად კონკურსი.

— ბრმა კასტინგის შემდეგ ორი რინგი გადავლახე. ორივე ვიდეოვერსია ინტერნეტსივრცეში დევს და საკმაოდ პოპულარულია. პირველ რინგზე უკრაინელ გოგონას, ანასტასია გარიოხოვას შევხვდი და მაიკლ ჯექსონის სიმღერა შევასრულეთ. ეს მღერა ჩემი არჩევანი არ ყოფილა, ორგანიზატორებს და ანასტასიას სურდათ.

— თქვენ რატომ არ გინდოდათ ამ სიმღერის შესრულება?

— ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჯექსონია და მეორეც, ეს არ იყო სიმღერა, სადაც ჩემს შესაძლებლობებს გამოვავლენდი. მე მაქსიმალისტი ვარ, ეს სიმღერა კი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენის საშუალებას არ იძლევა.

— და მაინც, რინგი წარმატებულად გადალახეთ.

— შევეცადე და გამომივიდა. უკრაინაში „ლორდ ოვერ რინგს“ — რინგების მეფე მიწოდეს. ვთვლი, რომ ერთ დღეში გაკეთებულ სიმღერას თავი ნორმალურად გავართვი. არავის უფიქრია, რომ შემდეგ ეტაპზე შემთხვევით გადავედი.

— სუსტი კონკურენტი გყავდათ?

— ჩემი აზრით, ანასტასია ჩემი შესაფერისი კონკურენტი არ იყო, რადგან საკმაოდ სუსტი ვოკალისტია. მასთან შერკინებაში ერთადერთი სირთულე ხმის ტემბრი იყო. გოგოს და ბიჭის დიაპაზონები ერთმანეთთან აცდენილია და, მიუხედავად იმისა, რომ ანასტასიას ტონალობაში მომიწია სიმღერა, არ გამჭირვებია.

— სუსტ ვოკალისტს რატომ შეგაჯიბრეს?

— ეს ჩემი მწვრთნელის, სლავა ვაკარჩუკის გადაწყვეტილება იყო, რაც მართლა ძალიან გამიკვირდა. მეგონა, პირველივე რინგში ძლიერს შემახვედრებდა, მაგრამ შემდეგ სიტუაციას რომ გადავხედე, ამის საშუალება არ იყო.

— ყიურიმ როგორ შეაფასა პირველი რინგი?

— ოთხივემ ერთხმად განაცხადა, რომ შემდეგ ტურში მე უნდა გადავსულიყავი და ჩვენი ნომერი იმ დღეს ერთ-ერთი საკვანძო იყო. პირველი რინგის შემდეგ სუპერრინგი გაიმართა, რომელიც ჯერ ეთერში არ გასულა.

— სუპერრინგზე ვის შეხვდით?

— იქ უკვე ძლიერი კონკურენტი მყავდა, თურქი ტუფანი, რომელიც ჰარდ როკერი ბიჭუნა გახლავთ. პირველ რიგში, ის ძალიან კარგი ადამიანია და ისე დავმეგობრდით, არც მეგონა, ერთმანეთს თუ შევერკინებოდით. ძალიან მაგარი ვოკალისტია, ნიჭიერი და განათლებული. უზომოდ ბევრი გულშემატკივარიც ჰყავს. საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე დავდექი, შანსები 50 50-ზე იყო. იუდას არია ვიმღერე როკოპერიდან „ქრისტე სუპერვარსკვლავი“.

— ამჯერად მაინც თუ გქონდათ სიმღერის არჩევის საშუალება?

— დიახ, ეს სიმღერა თვითონ ავირჩიე და ყველას ძალიან გაუკვირდა, რადგან მასაზე არ არის გათვლილი და დიდად არც ხალხმა იცის. ამაზე კი ერთი პასუხი მაქვს: ჩემგან გაიგონ, არაა პრობლემა! იუდას არია მუსიკოსების საყვარელი კომპოზიციაა და ჩემი არჩევანი ძალიან გაუხარდათ. ისინი სულ მოწყენილები სხედან ხოლმე, რადგან ყოველთვის იმის დაკვრა უწევთ, რაც უკრაინულ მასაზეა გათვლილი.

— სუპერრინგით კმაყოფილი ხართ?

— კი, კმაყოფილი ვარ, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ იქ ჩემი გასვლა სათუო იყო, რადგან ზუსტად იმ პერიოდში ხმის იოგებზე სერიოზული პრობლემები შემექმნა. ამდენმა გადაფრენა-გადმოფრენამ, აკლიმატიზაციამ, რეპეტიციებმა და გადაღლამ ჩემს ხმაზე ძალიან იმოქმედა, გადავიწვი. მწვრთნელმა მთელი უკრაინის ოტოლარინგოლოგები დამახვია თავს. ადრენალინისა და სხვა

> **„ამ პროექტში მიჯერეძოება ვერ დავინახე, ოადგან მათთვის ერთი გოოერი ბიჭი ვარ, ოომელმაც ჯასტინგებზე შემთხვევით შეიარა, ჯონჯერსში მოხვდა და საქართველოდან უკრაინაში 20 დოლარად დაფრინავს“.**

პრეპარატების საშუალებით ტკივილს ვეღარ ვგრძნობდი, სცენაზე დავდექი და ვიმღერე.

— მწვრთნელმა როგორ შეაფასა სუპერრინგზე თქვენი გამოსვლა?

— რინგი რომ დამთავრდა, მითხრა, შანსი არ დამიტოვე, რომ შემდეგ ტურში ტუფანი გადამეყვანაო.

— როგორი გუნდი გყავთ, რამდენად დიდია კონკურენცია?

— ამაზე უკვე მთელი უკრაინა ლაპარაკობს, რადგან ამ პროექტში ყველაზე ძლიერი გუნდის წევრი ვარ. ოდესაში მცხოვრები ქართველი, ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიული მომღერალი მიხეილ კილაძეც ჩემს გუნდშია. ჩვენ უკვე ვმეგობრობთ და მინდა, მას წარმატებები ვუსურვო. კონკურენციას მანამდე უფრო ვგრძნობდი, სანამ რამდენიმე ძლიერი მონაწილე პროექტს დატოვებდა. ყველა კონკურსანტი სხვადასხვანაირია და, კიდევ კარგი, იმის გამოცდილება მაქვს, რომ სხვადასხვა ჟანრის მომღერლებს შევერკინო.

— ფინალამდე რა ეტაპების გავლა გიწევთ?

— სამი კონცერტი დარჩა. ოთხი გუნდია და თითო გუნდში ოთხ-ოთხი კაცი დავრჩით. პირველი კონცერტიდან თითო გუნდიდან ორი გავარდება. შემდეგ ეტაპზე ერთი ესემესების რაოდენობით გადავა,

> **„ხმის იოგებზე სერიოზული პრობლემები შემექმნა. ამდენმა ფრენამ, აკლიმატიზაციამ, რეპეტიციებმა და გადაღლამ ჩემს ხმაზე ძალიან იმოქმედა, გადავიწვი. მწვრთნელმა მთელი უკრაინის ოტოლარინგოლოგები დამახვია თავს, რომ მემღერა“.**

მეორეს მწვრთნელი გადაიყვანს. ამის შემდეგ იქნება ნახევარფინალი, სადაც თითო გუნდიდან თითო კაცს ესემესების საშუალებით ხალხი გადაიყვანს. ფინალი ალბათ ივნისის შუა რიცხვებში გაიმართება ოთხ კაცს შორის.

— რა პერსპექტივებს ხედავთ, რას გიგრძნობთ გული?

— პერსპექტივებზე ლაპარაკი არ მიყვარს, რადგან არასდროს ვფიქრობ, რა იქნება მომავალში. შემდეგი ტური მაქვს მოსაგები და ამიტომ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ნახევარფინალში მოვხვდე. მერე უკვე ფინალისთვის ვიბრძოლებ, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ეს პროექტი მე უნდა მოვიგო.

— უკრაინაში თავს მარტოდ ხომ არ გრძნობთ?

— არანაირად, რადგან უკრაინელებისგან ძალიან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ. სხვა მენტალიტეტის ადამიანებთან ურთიერთობის ძალიან დიდი გამოცდილება შევიძინე.

— თქვენს მწვრთნელზე რა შეგიძლიათ გვითხრათ? როგორი ურთიერთობა დაამყარეთ მასთან?

— ერთმანეთთან გადასარევად ვართ, ვძმაკაცობთ. მისგან ბევრი რამ ვისწავლე, პირველ რიგში კი, ის, რომ არასოდეს უნდა გავჩერდე. ის თავდაუზოგავად შრომობს. სხვა ჯგუფების მწვრთნელები თუ რამდენიმე საათს ატარებენ კონკურსანტებთან, სლავა 24 საათს ჩვენ გვითმობს. ჩვენი სასაუბრო თემა მხოლოდ კონკურსი არ გახლავთ. ის პროფესიით ფიზიკოსია, ძალიან განათლებული და საინტერესო ადამიანი გახლავთ. ხშირად ვთამაშობთ და გასართობი ცენტრებიც აკლებული გვაქვს. სლავას დიდი ხანია ვუსმენ და მისი მუსიკა ძალიან მომწონს. ეს ადამიანი ერთადერთია, ვინც უკრაინაში სტადიონებს ავსებს. ისეთივე ემოციურია, როგორიც მე ვარ. ძალიან სამართლიანია. ამ პროექტში მიკერძოება ვერ დავინახე, რადგან მათთვის ერთი გორელი ბიჭი ვარ, რომელმაც კასტინგებზე შემთხვევით შეიარა, კონკურსში მოხვდა და საქართველოდან უკრაინაში 20 დოლარად დაფრინავს.

— უკრაინაში თქვენი ცხოვრების ხარჯებს ვინ იხდის?

— ბრმა კასტინგზე მოხვედრის შემდეგ პირად ცხოვრებაში პრობლემები შემექმნა

Cyan Magenta Yellow Black

და პროექტში მონაწილეობაზე უარი ვთქვი. ისინი კი ბევრ დათმობაზე წავიდნენ და ფრენისა და სასტუმროში ცხოვრების ხარჯებსაც მინაზღაურებენ. ფინანსურად არამხოლოდ მე, ყველა კონკურსანტს უდგანან მხარში. უბრალოდ ამ პროექტში მე ვარ ერთადერთი, რომელიც სულ დაფრინავს, მათთვის ყველაზე ძვირადღირებული კონკურსანტი ვარ. ამჟამად სულ რეპეტიციებია და კიევი-თბილისის რეისი 9 ნომერი სამარშრუტო ტაქსივით მაქვს გამოწერილი, მაგრამ რას ვიზამ? სხვა რისთვის ვარ გაჩენილი? ნეტა, სამუშაო იყოს და არაფერს ვჩივი. თბილისში ბენდთან ერთად ვმუშაობ.

— უკრაინაში უკვე გაიჩინეთ თაყვანისმცემელი გოგონები?

— როგორ შეიძლება, ოთო ნემსაძეს სადმე თაყვანისმცემელი გოგონები არ ჰყავდეს?! მათი რიცხვი არც არასდროს შემცირებულა! უკრაინაში ნებისმიერ ქართველ მამაკაცს ეყოლება თაყვანისმცემელი გოგო. ყველაზე თბილი ერია. სტუმარმასპინძლობა მათაც ჩვენსავით ძალიან უყვართ და მათ ბორშჩზე მეც ვგიჟდები.

> **„ოოგოოს შეიძლება, ოთო ნემსაძეს სადმე თაყვანისმცემელი გოგონები არ ჰყავდეს?! მათი რიცხვი არც არასდროს შემცირებულა! უკრაინაში ნებისმიერ ქართველ მამაკაცს ეყოლება თაყვანისმცემელი გოგო".**

— როგორ ფიქრობთ, ქართულ „ახალ ხმაში" რომ მიგეღოთ მონაწილეობა, ასეთივე წარმატებას მიაღწევდით?

— ამ პროექტში არ მივიღებდი მონაწილეობას, რადგან საქართველოსთვის ახალი ხმა არ ვარ. სწორედ ამიტომ მოგების შანსიც ნაკლებად მექნებოდა და არც უნამუსო კაცი ვარ!

— ქართულ შოუბიზნესში შექმნილი ვითარების გამო მომღერლებს სცენაზე გასვლის საშუალება არ აქვთ, ამიტომაც ირჩევენ კონკურსებს, რომ მაყურებელს თავი შეახსენონ.

— ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ საქართველოში შოუბიზნესი მკვდარია. როგორ არ არსებობს შოუბიზნესი, როცა ამდენი ტელეშოუ გვაქვს, ამდენი ახალი მომღერალი გვყავს და ამდენი ახალი სიმღერა იწერება? მეც ვმუშაობ ახალ ალბომზე, რომელიც მალე გამოვა.

— უკრაინაში ბრმა კასტინგზე ერთი ვოგონა გქომაგობდათ, ვინ არის ის?

— ვერ გავიგე, ირინა არხიტენკოზე ასეთი ამბავი რატომ ატყდა. უკრაინაში რომ ჩავედი, იქ მასზე ახლობელი არავინ მყავდა. ეს ადამიანი საქართველოშიც აკეთებს საღამოებს და უკრაინაშიც არაერთი ქართველი მომღერალი წაუყვანია, მათ შორის — მეც. ბრმა კასტინგზე საელჩომ საგულშემატკივროდ ირინა გამომაყოლა, რადგან იქ ვიღაც უნდა მდგარიყო და ქუჩიდან ხომ არ შევიყვანდი ვინმეს? ირინა უბრალოდ ჩემი მეგობარია. ჩემს პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი არ მიყვარს. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ბედნიერი ვარ და ჩემზე ნურავინ ინერვიულებს!

— თქვენი ძმაც საკმაოდ მუსიკალურია, მღერის. რომელიმე კონკურსში მასაც ვიხილავთ?

— ბესო არა მხოლოდ მღერის, წერს კიდეც. ძალიან ნიჭიერი ბიჭი მყავს, მაგრამ ჯერ არ მინდა, რომელიმე პროექტში მიიღოს მონაწილეობა. მისგან მეტს მოვითხოვ. საკუთარ თავზე ბევრს მუშაობს და ეს შრომა შედეგს რომ გამოიღებს, მერე საქართველოც გაიცნობს.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

ნატო გელაშვილი: „მეკითხებიან, ბაჩო ახალაიას შემოთავაზებას როგორ დათანხმდიო..."

პოპულარული სიმღერების ავტორისა და შემსრულებლის, ნატო გელაშვილის ცხოვრებაში წელიწადნახევრის წინ მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა, პირველად აღმოჩნდა სახელმწიფო სტრუქტურაში — თავდაცვის სამინისტროში, სადაც მაშინდელმა მინისტრმა, ამჟამად განსასჯელის სკამზე მჯდომმა ბაჩო ახალაიამ მიიწვია. ახლა, როცა ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალობაა, ნატო გელაშვილს ხშირად უწევს მისი მისამართით კითხვების მოსმენა ზემოაღნიშნულ თემაზე. არადა მუსიკოსი არასოდეს ყოფილა „შემჩნეული" პოლიტიკურ აქტიურობაში, პირადად მისთვის არ არსებობდნენ ე.წ. დაბლოკილი კოლეგები, საკუთარ კონცერტებზე ყოველთვის მათ ამღერებდა, ვინც თავად სურდა.

— ქალბატონო ნატო, ბოლო პერიოდში შოუბიზნესში აქტიურად აღარ ჩანხართ. რატომ?

— შოუბიზნესში გათამამებული და აქტუალური არც არასდროს ვყოფილვარ. ჩემთან სიმღერების შეკვეთა გამორიცხულია. მუზა როცა მომივა, სიმღერას მხოლოდ მაშინ ვწერ. შოუბიზნესი როცა აქტიურ ფაზაში იყო, მაშინაც ორ სიმღერას ვწერდი წელიწადში და ახლაც ასეა. წელიწადში ათი სიმღერა არასოდეს დამიწერია. სტაბილურობას ვინარჩუნებ, გამუდმებით ტელევიზიით გამოჩენა ან სულ დაკარგვა არ მახასიათებს.

გასულ თვეში ბათუმსა და ქუთაისში სამი კონცერტი მქონდა. უბრალოდ მასობრივად აღარ ტარდება კონცერტები და ტელეეკრანები არ ჭრელდება, თორემ ვფიქრობ, რომ ყველა თავის საქმეს აკეთებს. ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ დიდი პოლიტიკური ცვლილება მოხდა, რაც არა მხოლოდ შოუბიზნესს, ყველა სფეროს დაეტყო.

— თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შოუბიზნესში პაუზა ახალი მთავრობის მოს- →38

აჩიკო ნიჟარაძე საერთაშორისო კონკურსისთვის 18 კილოს დაიკლებს

მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე საერთაშორისო კონკურს „სლავიანსკი ბაზარზე" გასასვლელად ემზადება. იქ სხვადასხვა დროს არაერთ ქართველს უსახელებია თავი, ახლა კი აჩიკოს ჯერი დადგა. მომღერალი თავს არ ზოგავს, რომ წარმატებას მიაღწიოს. სპეციალურად ამ კონკურსისთვის 9 კილო დაიკლო და კიდევ ამდენივეს დაკლებას აპირებს. აქტიურად ვარჯიშობს და დიეტებს იცავს. რეპერტუარზე არ საუბრობს, არც პროგნოზებს აკეთებს, მაგრამ ერთი დანამდვილებით იცის, რომ კონკურსზე მის გვერდით საყვარელი ცოლის, ნუცა ქირიას ყოფნა წარმატებას მოუტანს.

— „სლავიანსკი ბაზარზე" 21 ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას. ჩემი კანდიდატურა უკვე დაამტკიცეს. ამ კონკურსისთვის ჩემი სიმღერები კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილის მეუღლემ, ქალბატონმა მანანა სეფიაშვილმა გააგზავნა. ქართულ, რუსულ და ფრანგულ სიმღერებს შევასრულებ. ორკესტრთან მომიწევს სიმღერა. ჟიურიში 10 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი ზის, მათ შორის — ქართველიც, მაგრამ მისი ვინაობა ჯერ არ ვიცი. კონკურსი ბელარუსში 11 ივლისს დაიწყება და 17-ში დამთავრდება.

ჩემს შანსებს ვერ შევაფასებ, რადგან არ ვიცი, ჩემი კონკურენტები როგორ მღერიან. ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც გრანპრით ჩამოვალ, მაგრამ იქ არც მესამე ან მეოთხე ადგილის ასაღებად მივდივარ. ბოლომდე ვიბრძოლებ, მაგრამ წინასწარ ბაქიბუქობა არ მინდა. ქალბატონმა მანანამ ვოკალის პედაგოგ ნანა ჟღერიას მიმამაგრა. თავს არ ვზოგავ, ვცდილობ, ფორმაში ვიყო. 9 კილო მაქვს დასაკლები, 80 კილო უნდა გავხდე.

დარბაზში, სადაც ეს კონკურსი იმართება, 6.500 კაცი ეტევა. ამხელა აუდიტორიის წინაშე არასდროს მიმღერია, თუ ქუჩის კონცერტებს არ ჩავთვლით. მოკლედ, დიდი გამოცდის ჩაბარება მომიწევს, — გვითხრა აჩიკო ნიჟარაძემ. „სარკე" მას წარმატებას და სამშობლოში გამარჯვებით დაბრუნებას უსურვებს.

✓ **ლანა კეკნაძე**

Cyan Magenta Yellow Black

ვლამდეც შეინიშნებოდა.

— საერთოდ სიტყვა „შოუბიზნესი“ საქართველოში ცოტა ხმამაღლა ჟღერს. ეს სფერო გულისხმობს იმას, რომ გყავდეს მენეჯერი და აქტიურად მუშაობდე. ჩვენს ქვეყანაში კი ეს იშვიათობაა. ყველა შემოქმედი შეძლებისდაგვარად აკეთებს თავის საქმეს და ხალხის მასა ამ ყოველივეს შოუბიზნესს უწოდებს. გარდა იმისა, რომ ვქმნი, ჩემს სიმღერებს რეალიზებას მე თვითონ ვუკეთებ. ვერ გეტყვით, რომ ჩვენი მთავრობა ამ საქმეში ოდესმე აქტიურად იყო ჩართული. საქართველოში შოუბიზნესი დალაგებული არასოდეს იყო. სპონსორის მონახვა ძნელია. კონცერტების ორგანიზებას მთავრობა იშვიათად აკეთებდა და ეს ყველაფერი ჩანდა კიდეც. ფილარმონიაში კონცერტის ჩატარება დიდ შრომასა და ხარჯებს უკავშირდება. რამდენიმე ქალაქში ტურნე რომ დაგეგმო, ხალხს ბილეთის შესაძენი 10 ლარიც არ აქვს. მითივით არის, რომ შოუბიზნესის ყველა წარმომადგენელი მილიონერია. ამ მხრივ რუს და უცხოელ მომღერლებს გვადარებენ.

— თქვენც მდიდარი კომპოზიტორი ჰგონართ ხალხს?

— რა თქმა უნდა და არც მიკვირს, რადგან, როცა პატარა ვიყავი, მეგონა, ვინც ტელევიზორში ჩანდა, პრობლემები არ ჰქონდა. ახლა კი სიტყვა „შოუბიზნესს“ რომ ახსენებენ, სულ მეცინება. არ შეიძლება შემოქმედისთვის სიმღერა ბიზნესი იყოს ან სიმღერა მხოლოდ იმიტომ დაიწეროს, რომ გაჰიტდეს. როცა წერ, ის იმ წუთას მართლა გტკივა და როგორ უნდა იფიქრო, ის ჰიტი იქნება თუ არა? როცა ამას ვიფიქრებ, ჩათვალეთ, რომ ვერაფერს დავწერ ან თუ დავწერ, საშინელება გამომივა. სიმღერა თავის გზას როგორ მოძებნის, ეს უკვე ბედისა და ხალხის ამბავია.

— ამჟამად სხვადასხვა ტელეარხზე ერთდროულად მიმდინარეობს მუსიკალური პროექტები. შემოთავაზება არ გქონიათ, რომ თუნდაც ჟიურიში ყოფილიყავით?

— იყო ასეთი პროექტი „მე მიყვარს საქართველო“, სადაც ჟიურიში ვიჯექი, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ გავგიჟდი ამაზე. ეს საქმე საკმაოდ დიდ პასუხისმგებლობასა და ნერვიულობას მოითხოვს. თუ რომელიმე პროექტიდან მექნება შემოთავაზება, რა თქმა უნდა, მივიღებ და აუცილებლად სამართლიანი ვიქნები, მაგრამ თუ ასეთი რამ არ მოხდება, არც ესაა პრობლემა. ვერ გეტყვით, რომ მიმდინარე პროექტებში ძალიან ჩართული ვარ.

ბავშვების კონკურსს ძალიან განვიცდი, რადგან ისეთ ასაკთან გიწევს შეხება, ძალიან ლოიალური უნდა იყო. ეს ისეთი სათუთი თემაა, ჟიურიში რომც მივეწვიე, შეიძლება არ წავსულიყავი. ვერ გეტყვით, ბავშვების გაგდებაზე რა მემართება, ისე განვიცდი, რომელიმეს მშობელი რომ ვყოფილიყავი, ალბათ მოვკვდებოდი!

— შოუბიზნესში შავი სიების არსებობა ისევ აქტუალური თემაა. ამბობენ, რომ ეს მითი სულაც არ არის და კულტურის სამინისტროში ასეთი სია ახალ ხელისუფლებას მართლაც დახვდა. თქვენ რა დამოკიდებულება გქონდათ და გაქვთ ამ ყველაფრისადმი?

— როცა ეს თემა წამოვიდა წინა პლანზე, ძალიან დიდი პროტესტი გამიჩნდა. ამ სიებს არც არასდროს დავმორჩილებივარ. ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით არასოდეს ვაფასებ. თუ შემოქმედი ხარ, შემოქმედად უნდა დარჩე.

შავი და თეთრი სიების პერიოდში ფილარმონიაში სამი საღამო გავაკეთე. სამივე კონცერტზე იმღერა ანსამბლმა „ფორტემ“, მაია ჯაბუამ, ეკა კვალიაშვილმა და კიდევ თუ სადმე დაბლოკილი მომღერალი არსებობდა, ყველამ. მეტი ხმამაღალი განაცხადი რა გინდათ?! ეს პროტესტი კი არ იყო, უბრალოდ ამით ვთქვი, რომ მე ეს ადამიანები მიყვარდა და მათ გარეშე კონცერტს არ გავაკეთებდი. ვის ვისი პოლიტიკური აზრი მოსწონს, ეს ჩემთვის ნაკლებად საალაპარაკო თემა იყო და არის. ამ საღამოების ჩანაწერებიც არსებობს, რომლებიც შეიძლებოდა არც გაეშვათ, მაგრამ მე ეს არ მანერვიულებდა. მოვიდა დრო და ჩანაწერი დატრიალდა.

დღესაც სულ ვამბობ, ნუ გააკეთებთ იმავეს, რასაც ძველი მთავრობა აკეთებდა. რას ნიშნავს ნაციონალი მომღერალი? თუ „ქართული ოცნება“ ახალ მომღერალს დაბადებს და კონკრეტულად ამ კოალიციის იქნება, ეს უკვე სხვა საქმეა. ის შემოქმედი კი არა, პარტიის მომღერალი გახდება. სულ ვამბობ, მომღერალს პარტიის ლოგოდ ნურასოდეს გამოიყენებთ-მეთქი. ყოველთვის ამის წინააღმდეგი ვიყავი და ახლაც თუ კიდევ ვინმეს დაბლოკავენ, ჩემს კონცერტზე ყველას დავაყენებ და ვამღერებ!

— თქვენი დამოუკიდებელი პოზიცია წინა ხელისუფლებისთვის გამაღიზიანებელი არ იყო, „დაბლოკილთა“ სიაში არასოდეს მოხვედრილხართ?

— არა, ასეთი რამ მხოლოდ იმ მომღერლებს შეემთხვათ, ვინც პოლიტიკაში აქტიურად იყო ჩართული. მე კი პოლიტიკაში არასოდეს ჩავრეულვარ და არც ჩავერევი, რადგან შემოქმედი ადამიანი ვარ. თუ რამე არ მომწონს, არ მივდივარ მიტინგზე. ჩემს აზრს, მძიმე იქნება თუ მსუბუქი, ყოველთვის პრესის საშუალებით ვაფიქსირებ. მიტინგები და მოწოდებები ჩემი არ არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკუთარი აზრი არ გამაჩნია. პრესის წარმომადგენლები ვერ გაიხსენებენ ისეთ შემთხვევას, რომ მწვავე კითხვას ოდესმე თავი ავარიდე. ჩემს ქვეყანაში ვცხოვრობ და არავისი მეშინია.

— თავდაცვის სამინისტროში როგორ მოხვედით?

— უკვე წელიწადნახევარია, რაც იქ ვმუშაობ. როცა შემეცნებით-საგანმანათლებლო ცენტრის უფროსად დავინიშნე, თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია იყო. ეს ცენტრი დაღუპული მეომრების შვილების აღზრდას უზრუნველყოფს. შემოთავაზებას სიამოვნებით დავთანხმდი. სიმართლე გითხრათ, გამიხარდა კიდეც. ოფიციალური სამსახური არასოდეს მქონია, ყოველთვის ჩემს სფეროში ვმუშაობდი. ცხოვრების სხვა გრაფიკი მქონდა და არ ვიცოდი, სამსახურის რეჟიმს როგორ შევეწყობოდი, მაგრამ მადლობა ღმერთს, ბაჩოს მინისტრობის პერიოდშიც დიდი ხელშეწყობა მქონდა და ახლაც ასეა.

სამხედროები უკვე ძალიან მიყვარს, სხვანაირად შეუძლებელია. საღამოებს ჯარისკაცებსაც ვუკეთებ. თავიდან ვამბობდი, თავდაცვის სამინისტროში რა მინდა-მეთქი, მაგრამ რასაც ვაკეთებ, იმდენად ჩემი სფერო აღმოჩნდა, თურმე სულ ტყუილად ვნერვიულობდი. იქაური გარემოც შემიყვარდა და სამხედროებიც. სამსახურს რომ ვტოვებდი და ჯარისკაცები „ჩესტს“ მიღებდნენ, თავიდან ისე ვიბნეოდი, ლამის მეც მათნაირად ვიქცეოდი. დღეს კი იქაურობა უკვე ძალიან მიყვარს, ჯარისკაცებისგან დიდ სითბოს ვგრძნობ.

დღესაც თუ ვინმე ისეთ წინადადებას შემომთავაზებს, სადაც ხალხისთვის სიკეთის კეთებას შევძლებ, აუცილებლად წავალ. შეიძლება მინისტრი ბაჩო ახალაია იყო, მაგრამ მე ისეთი წინადადება შემომთავაზეს, სიამოვნებით მივიღე.

ახლა ისეთი სახით მეკითხებიან, ბაჩო ახალაიას შემოთავაზებას როგორ დათანხმდიო... ისიც ჩვეულებრივი ადამიანია. ევროპაში მინისტრების ვინაობა საერთოდ არ იციან, ეს ჩვენთან ხდება ასე, რომ ყველა მინისტრის სახელი და გვარი ზეპირად იციან. 8 წლის განმავლობაში ნაციონალურ მოძრაობაში რამდენიმე მინისტრის სახელი და გვარი ძლივს დავიმახსოვრე. რატომ უნდა ვიცოდე, ვინ არის სპორტის მინისტრი?! ნეტა, კარგი ქვეყანა აშენდეს, მაგრამ, იცით, რა მაინტერესებს? „ქართული ოცნების“ პერიოდში თუ ვინმე სადმე თანამდებობაზე დაინიშნება, ხელისუფლება რომ შეიცვალოს, ის მტრად უნდა ჩათვალონ? საშინელებაა! ნაციონალურ მოძრაობაში ბევრი მეგობარი მყავს და აღარ უნდა დავურეკო?! მეგობარს პარტიით არ ირჩევ. როცა მიტინგზე ოპოზიციას არბევდნენ, ყველა მეგობარს სათითაოდ ვურეკავდი და ვკითხულობდი. ამის გამო კუდ-ში არავის დავუბარებივარ. როცა მართალი ხარ, არც არაფრის გეშინია.

„ნაციონალეს მოძრაობაში ბევრი მეგობარი მყავს და აღარ უნდა დავურეკო?! როცა მიტინგზე ოპოზიციას არბევდნენ, ყველა მეგობარს სათითაოდ ვურეკავდი და ვკითხულობდი. ამის გამო კუდ-ში არავის დავუბარებივარ“.

— თქვენი ქმარიც სახელმწიფო სამსახურშია?

— ვახო (გორგაძე. ავტ.) ჯერ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მუშაობდა, შემდეგ თავდაცვის სამინისტროში. ამჟამად კი უმუშევარია...

— რა საახლოებს გაპირდებით?

— უკვე მეექვსე თვეა ნელა და მშვიდად ვმუშაობ ალბომზე. არასოდეს არაფერს ვჩქარობ და მირჩევნია, დიდხანს და ხარისხიანად ვაკეთო.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

Cyan Magenta Yellow Black

ჯანეტ ქერდიყოშვილი: „არა მგონია, რომ სექსუალური გოგო ვიყო, უფრო საყვარელი ვარ“

ზისაც იმედი აქვს, რომ მოდელ ჯანეტ ქერდიყოშვილს უმაკიაჟოდ ან ცუდად ჩაცმულს „გამოიჭერს“, ამაოდ მოცდება. რაც ჯანეტი „მის საქართველო“ გახდა, გარეგნობას დიდ ყურადღებას უთმობს, მოუწესრიგებელი გარეთ არასოდეს გადის. კლასიკა, შეხამებული ფერები, აქსესუარები — მისი სტილია, რომელშიც თავს კარგად გრძნობს. ფერებს მასზე დიდი ზეგავლენა აქვს. თუ რა განწყობაზეა, იმის მიხედვით ადვილად გამოიცნობთ, რა აცვია.

„ჰადგან მე ახლ გათხოვილი ვარ და ახლ შეყვარებული მყავს, ამიტომ დედიკოს ვეჯეიებ“.

არ აღიარებს სპორტულ ტანსაცმელს, ასეთში თავი ვერც კი წარმოუდგენია. მის ჩაცმულობას ჯერჯერობით არავინ აკონტროლებს, ოჯახი ამ საკითხში სრულ თავისუფლებას ანიჭებს, თუმცა დედისგან რჩევები კი სჭირდება.

— ჯანეტ, მას შემდეგ, რაც პოპულარული გახდით და ხალხის ყურადღების ცენტრში მოექეცით, თქვენი ჩაცმის სტილი, ზოგადად გარეგნობისადმი დამოკიდებულება შეიცვალა?

— ადრე შემეძლო, მაღაზიაში ისე ჩავსულიყავი, როგორც მინდოდა, ახლა კი ასე ვეღარ მოვიქცევი. ჩემზე ისედაც ბევრს ლაპარაკობენ, ამიტომ მაკიაჟსაც ვაქცევ ყურადღებას, თმასაც და ჩაცმულობასაც.

— რას ლაპარაკობენ თქვენზე?

— ეძებენ, რა არის ჩემში ცუდი, იქნებ როგორმე მაკიაჟის გარეშე „გამოიჭირონ“ და თქვან, რა მახინჯია, რა აცვიაო... ერთი სიტყვით, საკუთარი თავის მიმართ ახლა უფრო ყურადღებიანი ვარ. 14 წლის ასაკიდან, როდესაც დავინახე, რომ ბიჭები ყურადღებას მაქცევდნენ, სახლიდან გაწეწილი თმით ან დაგლეჯილი შარვლით არ გავდიოდი. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ჩემი გარდერობი ძალიან შეიცვალა.

„14 წლის ასაკიდან, როდესაც დავინახე, რომ ბიჭები ყურადღებას მაქცევდნენ, სახლიდან გაწეწილი თმით ან დაგლეჯილი შარვლით არ გავდიოდი“.

— თქვენი გარდერობით თუ ვიმსჯელებთ, კლასიკურ სამოსს ანიჭებთ უპირატესობას.

— კედები რომ მოდაში შემოვიდა, ვიფიქრე, მეც ვცდი, როგორია-მეთქი. რამდენიმე წყვილი ვიყიდე, მაგრამ ერთხელაც არ ჩამიცვამს. მივხვდი, რომ ჩემი არ არის, არადა მომწონს, როდესაც გოგოს ჯინსები, კედები და თავისუფალი მაისური აცვია. ძირითადად კლასიკურად ვიცვამ. დაბალძირიანი ფეხსაცმელებიც მიყვარს, ძნელია ყოველთვის მაღლებით სიარული, მით უმ-

→40

ეტეს უნივერსიტეტში. უნდა იცოდე, როდის რა ჩაიცვა. არ მომწონს, როდესაც საღამოს მაკიაჟს დღისით იკეთებენ და წითელ პომადას ისვამენ.

— ესე იგი თქვენთვის დრესკოდი ძალიან მნიშვნელოვანია, რასაც ქართველების უმეტესობაზე ვერ ვიტყვით.

— რუსეთში დიდხანს ვცხოვრობდი და, შემიძლია გითხრათ, რომ რუსებთან შედარებით ქართველები ძალიან გემოვნებიანი ხალხი ვართ. მათ ფული აქვთ, მაგრამ ფერების შეხამება არ იციან. ჩვენ შეგვიძლია არც ისე

„მიხდება ლუჩჯი, ფირუზისფერი, მწვანე, შავი. მიყვარს თეთრიც".

ძვირადღირებული სამოსი ორიგინალურად ჩავიცვათ. რუსეთში საშუალო ფენა ჩვეულებრივად იცვამს.

— თქვენ ფერებს თამამად უხამებთ ერთმანეთს?

— სხვაზე მიყვარს ბევრი ფერი ერთად, მაგრამ მე მხოლოდ სამს თუ გამოვიყენებ სამოსში.

— რა ფერებს იხდენთ ყველაზე მეტად?

— მიხდება ლურჯი, ფირუზისფერი, მწვანე, შავი. მიყვარს თეთრიც. რატომღაც ვარდისფერს და სტაფილოსფერს ვერ ვიტან. დიდად არც ნაცრისფერი მომწონს. დილით თუ ფერად სამოსს ჩავიცვამ, მთელი დღე ხალისიანად ვარ. თუ ცუდ ხასიათზე ვიღვიძებ, შეიძლება შავი ან ნაცრისფერი სამოსით გავიდე გარეთ. ეს ყველამ იცის და მეკითხებიან ხოლმე, დღეს რა გჭირსო. თუ გამოპრანჭული ვარ და ფერადი სამოსი მაცვია, ე.ი. ჯანეტი კარგადაა და მის ცხოვრებაში ყველაფერი მშვენივრადაა.

— იმიჯზე ზრუნვას დიდი დრო მიაქვს?

— მიყვარს შოპინგი. შეიძლება საკმარისი თანხა არ მქონდეს, მაგრამ მაღაზიებში მაინც დავდივარ და სამოსს ვიზომებ. თუ რაღაც მომწონს, ვფიქრობ, მერე ვიყიდიმეთქი. თუ ცუდ ხასიათზე ვარ, შეიძლება ტკბილეულის ჭამამ გამომიკეთოს გუნება და კიდევ, როდესაც რაღაც ახალს ვყიდულობ, თუნდაც უბრალო ბეჭედი იყოს, უკვე კარგად ვარ.

— ქალებისთვის ფეხსაცმელი და ჩანთა ჩაცმულობაში ძალიან მნიშვნელოვანი დეტალებია, ისინი აუცილებლად მოდური და ლამაზი უნდა იყოს. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ყოველთვის ვამბობ, რომ ქალისთვის მთავარი ფეხსაცმელი და ჩანთაა. რატომღაც აჩემებული აქვთ, რომ აუცილებელია ჩანთა და ფეხსაცმელი ერთ ფერში იყოს, რასაც არ ვეთანხმები. რაც შეეხება მამაკაცებს, მგონია, რომ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საათია და არა — ფეხსაცმელი.

— თქვენ მამაკაცის შეფასებას საათით იწყებთ?

— ასეა. ბიჭები მანდილოსანზე ალბათ საათს დიდად არ აკვირდებიან, მათთვის ფეხსაცმელი იქნება მთავარი.

— სამკაულები გიყვართ?

— 2-3 წლის წინ ბიჟუტერიას ვერ ვიტანდი. არც ოქრო მიყვარდა, მაგრამ მერე ტენდენციები შეიცვალა და ახლა უკვე ოქროზე ვარ გადასული. მოოქროვილი ბიჟუტერიაც მიკეთია. ერთადერთი, რაც არ მიყვარს, ყელსაბამია. მხოლოდ ჯვარს ვიკეთებ. ჩემი საყვარელი აქსესუარი საათია. მჭირდება კიდეც დროის კონტროლი. საათი ყოველთვის 5 წუთით გვიან მაქვს დაყენებული, რომ არ დავაგვიანო.

— თქვენი დაკვირვებით, ბიჭებს გოგოები როგორ ჩაცმულობაში უფრო მოსწონთ?

„ხანდახან, როცა ბავშვობა ძალიან მენატრება, დაბალძირიან ფეხსაცმელს ვიცვამ, სათვალეს ვიკეთებ და ჩემთვის დავდივარ".

— დავაკვირდი, მამაკაცებს გოგონებში ბუნებრიობა მოსწონთ. მეგობრები მეც მეუბნებიან, ბევრი მაკიაჟი არ გაიკეთოო და ასეც ვიქცევი. ზედმეტად რომ ვიპრანჭებით, გვგონია, რომ ლამაზია, მაგრამ ბიჭებს ეს საერთოდ არ მოსწონთ. არ უყვართ, ვულგარულად ჩაცმული გოგოები. შეიძლება მაგარი ტანი და ფეხები გქონდეს, მაგრამ არაა აუცილებელი მოკლე კაბის ჩაცმა. ამბობენ, ჯინსის შარვალშიც შეგვიძლია თქვენი მაგარი ფეხების დანახვაო.

მამაჩემი ძალიან მკაცრია, მაგრამ არც მისგან და არც ჩემი ძმისგან არასოდეს მომისმენია, რა გაცვიაო. ყოველთვის ვიცი, სად რა უნდა ჩავიცვა, გამომწვევად არასოდეს ვიცვამ. ჩვენი ჩაცმულობა ჩვენს ხასიათს გამოხატავს.

— თქვენ როგორი ჩაცმულობა მოგწონთ მამაკაცებზე?

— არ მომწონს, როდესაც 35 წლის კაცს ბიჭურად აცვია. საშინლად არ მომწონს, ბიჭს სპორტულად რომ აცვია, ვგულისხმობ ჯინსის შარვალს, ბოტასებს და მაისურს.

— უმეტესობას ასე აცვია.

— ნამდვილად ასეა. ყველა ერთნაირად ჩაცმული დადის. ჯინსზე პერანგი და პიჯაკი — ეს ჩემთვის იდეალურია. ამავე დროს ბიჭი აუცილებლად მოვლილი უნდა იყოს. სულაც არ არის ცუდი, ბიჭმა წარბები გაიკეთოს და ფრჩხილები სალონში მოიწესრიგოს. სავალდებულო არ არის, ლაქი წაისვას, მაგრამ ხელები მოვლილი უნდა ჰქონდეს.

— ჩაცმულობით თქვენს გარეგნობაში რას უსვამთ ხაზს?

— არა მგონია, რომ სექსუალური გოგო ვიყო, უფრო საყვარელი ვარ. ბევრ ქალს აქვს შინაგანი შარმი, მე კი — არა. რაც უნდა სექსუალურად ჩავიცვა, შემომხედავთ თუ არა, მაშინვე მიხვდებით, რომ ვიღაცამ ჩამაცვა ასე და ეს ჩემი არ არის. ხანდახან, როცა ბავშვობა ძალიან მენატრება, დაბალძირიან ფეხსაცმელს ვიცვამ, სათვალეს ვიკეთებ და ჩემთვის დავდივარ.

— ჩაცმის საკითხში ვინმეს აზრს ითვალისწინებთ?

— დედაჩემის, თუმცა ძალიან დამოუკიდებელი ვარ და ჩემითაც ვიღებ გადაწყვეტილებებს. საერთოდ, ქალი ყოველთვის ვიღაცისთვის იცვამს. მე კი, პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის ვიცვამ და მერე — სხვებისთვის. როცა მეორე ნახევარი გყავს, რა თქმა უნდა, იმას ჩაიცვამ, რაზეც გეტყვის, რომ ყველაზე მეტად გიხდება. რადგან მე არც გათხოვი-

→42

ზაზა მარგველანის განახლებული სტომატოლოგიური კლინიკა

ტელ: 599-11-00-03
წინასწარი ჩანერით

კბილები ერთ დღეში

www.margvelani.ge

კარგი დილა იწყება ყავა NESCAFÉ.-სთან ერთად უკვე 75 წელია!

NESCAFÉ. იუბილარია!

წელს NESCAFÉ. 75 წლის იუბილეს აღნიშნავს. მთელს მსოფლიოში ამ თარიღის განსაკუთრებულად ხვდებიან. იუბილე აღინიშნება თბილისშიც.

19 მაისს საზეიმო ღონისძიება "თბილისი მოლში" 13:00-დან 18:00-მდე გაიმართება. სტუმრებს უამრავი სიურპრიზი ელოდება.

ღონისძიება NESCAFÉ.-ს ბარში ყავის დეგუსტაციით გაიხსნება. თემატურად გამოწყობილი პრომო გოგონები სტუმრებს ბრენდის შესახებ საინტერესო ფაქტებს გააცნობენ.

ივენთს მუსიკალურად დავით ილურიძის ბენდი გააფორმებს, შესრულდება 30-იანი წლების ჯაზის, ჰიპ-ჰოპისა და 60-იანი წლების მსოფლიო ჰიტები.

ღონისძიებას გაალამაზებენ თავბრუდამხვევი სამბას, რუმბას და ტანგოს მოცეკვავე წყვილები.

სტუმრებს საშუალება ექნებათ დაათვალიერონ ისტორიული პოსტერებისა და ყავის ფოტოების გამოფენა, რომელიც მოიცავს პერიოდს NESCAFÉ.-ს ბრენდის შექმნიდან დღემდე.

ფოტოგამოფენა უნიკალური, ხელნაკეთი არტ-ინსტალაციით იქნება გაფორმებული, რომელიც NESCAFÉ.-ს დაბადების დღისთვის სპეციალურად შეიქმნა.

და რაც მთავარია, პირველად საქართველოში NESCAFÉ. წარმოგიდგენთ გასაოცარ ნისლის ეკრანის სანახაობას, რომელზეც NESCAFÉ.-ს სარეკლამო რგოლები იქნება ნაჩვენები.

მოეწყობა "ბარმენშოუ" ვიქტორინით, გამარჯვებულებს კი ბარმენები NESCAFÉ.-ს კოქტეილებით დაასაჩუქრებენ.

სტუმრებს საშუალება ექნებათ სპეციალურად განთავსებულ "სურვილების ტილოზე" მილოცვები და საკუთარი შთაბეჭდილებები დატოვონ სამახსოვროდ.

გამორჩეული დიზაინი ექნება სადღესასწაულო NESCAFÉ.-ს ტორტს!

მობრძანდით! ერთად აღვნიშნოთ NESCAFÉ.-ს 75-ე დაბადების დღე.

როგორ "დაიბადა" NESCAFÉ.?!

NESCAFÉ. უკვე 75 წელია რჩეული ყავაა მსოფლიოში. საინტერესოა მისი შექმნის ისტორია.

1930 წელს ბრაზილიის მთავრობამ ყავის ზედმეტი მარაგის გამო გადაწყვიტა შვეიცარიული კომპანია NESTLE-სთვის მიემართა და ყავის მომზადების ახალი გზების მოსაფიქრებლად დახმარება ეთხოვა.

შვეიცარიის ქალაქ ვევეიში 8 წლიანი კვლევისა და მუშაობის შედეგად კომპანია "NESTLE"-მ 1938 წელს მსოფლიოს პირველად წარუდგინა ხსნადი ყავა რომელსაც NESCAFÉ. უწოდეს. სახელი NESCAFÉ. კომპანიის სახელის "NESTLE"-ს პირველი სამი ასოსა და სიტყვა ყავის „café" კომბინაციისგან შეიქმნა.

ასე დაიბადა თქვენი საყვარელი ყავა NESCAFÉ., რომლის მოხმარებაც დღითიდღე მატულობს. მსოფლიოში 1 წამში, დაახლოებით 5000 ჭიქა NESCAFÉ.-ს სვამენ! ხსნადი ყავა NESCAFÉ. - არის 100% ნატურალური ყავა!

ყოველი მარცვალი სათითაოდ, სათუთად არის მოკრეფილი და შეგროვებული, გადარჩეული, სათანადოდ მოხალული რათა ყავა NESCAFÉ.-მ თითოეულ ჭიქაში შეინარჩუნოს ის საუკეთესო გემო და არომატი, რაც ამდენ სიამოვნებას გვანიჭებს ყოველდღე.

ეს საინტერესოა!

ყავა, თითქმის, არ შეიცავს კალორიებს - 1 ფინჯან უშაქრო ხსნად ყავაში, დაახლოებით, 2 კილოკალორიაა.

ყავა ბუნებრივად მდიდარია ანტიოქსიდანტებით.

ყავა ბუნებრივად მდიდარია ანტიოქსიდანტებით.

კოფეინი ასტიმულირებს გონებისა და სხეულის მოქმედებას, ხელს უწყობს მეტაბოლიზმის პროცესს და აძლიერებს კონცენტრაციას 2-5 საათის განმავლობაში.

დღეში 300მგ კოფეინის მიღება მეცნიერების მიერ დადგენილ დღიურ უსაფრთხო ნორმად ითვლება, რაც, დაახლოებით, 4-5 ფინჯან NESCAFÉ.-ს ხსნად ყავას უდრის.

ყავა, მსგავსად მწვანე ჩაისა და ხილისა, შეიცავს ორგანიზმისათვის საჭირო და სასარგებლო ნივთიერებებს, როგორიცაა მაგალითად, პოლიფენოლი, რომელიც თქვენი სხეულის სიჯანსაღის საწინდარია.

ყავა NESCAFÉ.-ს თითოეულ ფინჯანთან ერთად თქვენ არა მხოლოდ მისი არომატითა და გემოთი ტკბებით, არამედ იგი ხელს უწყობს თქვენ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას და გეხმარებათ შეინარჩუნოთ ტონუსი.

როგორ მოვამზადოთ ყავა NESCAFÉ.?

ყავა, რომლითაც უკვე 75 წელია იწყებთ დილას, საკმაოდ მარტივი მოსამზადებელია:

1 ჩაის კოვზ ხსნად ყავა NESCAFÉ.-ს დაასხით ცხელი (არა მდუღარე) წყალი, დაამატეთ გემოვნებით შაქარი და რძე, და თქვენი საყვარელი ყავა უკვე მზადაა.

100 გრ. ხსნადი ყავა NESCAFÉ.-სგან შეგიძლიათ მოამზადოთ 50 ფინჯანი უგემრიელესი ყავა.

კარგი დილა იწყება ყავა NESCAFÉ. -სთან ერთად უკვე 75 წელია. და როგორია შენი დილა?

ლი ვარ და არც შეყვარებული მყავს, ამიტომ დედიკოს ვუჯერებ.

— საყვარელმა ადამიანმა აკრძალვები რომ დაგიწესოთ, შეეგუებით?

— თუ ამიხსნის, რატომ არ უნდა ჩავიცვა ის, რაც მე მინდა, მაშინ მის აზრს გავითვალისწინებ. აუხსნელად კი არ დავთმობ! ჩემი ძმაც კი ჩემი გემოვნებით იცვამს. როდესაც საყიდლებზე წასვლა უნდა, მირეკავს და დიდი სიამოვნებით მივყვები. ზოგჯერ მისთვის უფრო მსიამოვნებს სამოსის შერჩევა, ვიდრე საკუთარი თავისთვის.

— თავად ერევა თქვენს ჩაცმულობაში?

— არა, მხოლოდ ერთი რამ არ მოსწონს, როდესაც მკვეთრი მაკიაჟი მაქვს. ერთი-ორჯერ კასტინგზე თუ გადაღებაზე დეკოლტეს ჩაცმა მომიწია და, რადგან ჩემს ასეთ ჩაცმულობას მიჩვეული არ არის, მითხრა, ეს რა არის, რა გაცვია, მალე გამოიცვალე, ასე არ დამენახოო. ვუთხარი, შენი და ვარ და იმიტომ არ

„ეძებენ, ხა ახის ჩემში ცუდი, იქნებ ხოგორმე მაჯიავის გახეშე გამომიჭიხონ და თქვან, ხა მახინჯია, ხა აცვიაო".

გსიამოვნებს, თორემ ვიღაც უცხო რომ ვიყო, ხომ მოგეწონებოდი-მეთქი. მითხრა, მაინც არ მომეწონებოდაო.

— გარდერობში ალბათ განსაკუთრებულად საყვარელი სამოსიც გექნებათ.

— ყველაფერი მიყვარს, რაც გარდერობში მაქვს. დუბაიში ქორწილში წასასვლელად კაბა ვიყიდე, რომელიც განსაკუთრებულად მიყვარს და ასევე გამორჩეულად მომწონს ჩემი ერთი წყვილი ფეხსაცმელი. ამ ორ რაღაცას არავის მივცემ. სულ მინდოდა ეს ფეხსაცმელი, ამიტომ ფული შევაგროვე, მამიკომაც დამიმატა და ვიყიდე.

— თქვენი სამოსი ბრენდებისგან შედგება?

— ჩემს გარდერობში როგორც ძვირადღირებული ბრენდების, ასევე „ზარას" ყოველდღიურ სამოსსაც ნახავთ. არაა სავალდებულო, აუცილებლად ძვირფასი ტანსაცმელი გეცვას. ზოგი ძალიან მაგარი მანქანით და სამოსით დადის, ამ დროს კი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. ადამიანში უბრალოებას ვაფასებ.

✓ ქეთი დინოშვილი

■ დუბაისთვის ნაყიდი კაბა

„თუ გამოჰხანჭული ვახ და ფეხადი სამოსი მაცვია, ე.ი. ჯანეტი ჯახგადაა და მის ცხოვხებაში ყველაფეხი მშვენივხადაა".

სრული კომფორტი მოძრაობის დროს

ოპტიმალური არჩევანი ოსტეოქონდროზისა და ოსტეოართროზის ბაზისური თერაპიისათვის, გაძლიერებული სამკურნალო ეფექტით

- აღადგენს და აჯანსაღებს ხრტილოვან ქსოვილს
- ამცირებს ტკივილს და ანთებას სახსარში
- აუმჯობესებს მოძრაობას

ქონდროიტინ სულფატი - 500 მგ
გლუკოზამინის ჰიდროქლორიდი - 500 მგ

ყურადღება!
საფთიაქო ქსელებში კვლავ გრძელდება აქცია უნიფარმისგან შეიძინეთ ართრა და მიიღეთ საჩუქარი!

UNIPHARM, INC
New York, USA

"UNIPHARM, INC"
წარმომადგენლობა საქართველოში,
ქ. თბილისი, შროშის ქ. N1, ბინა 5
ტელ.: 291 09 50; ფაქსი: 291 09 60
მობ.: 599 20 11 44; 595 38 08 80

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

ალეკო ელისაშვილის აღმოჩენები კონსტანტინოპოლში, რომაული არდადეგები და სტრასბურგული ველოსიპედი

„მე და ფიქრია ჩიხრაძე კოლიზეუმში შევიპარეთ...“

■ სტამბულში

ჟურნალისტმა ალეკო ელისაშვილმა გასულ ზამთარს ცოლის სახით ყველაზე კომფორტული თანამგზავრი აღმოაჩინა. სამოგზაუროდ ერთად პირველად იყვნენ და ფეხით მოიარეს სტამბული — ისტორიული კონსტანტინოპოლი, რამაც ორივეს დაუვიწყარი შთაბეჭდილებები დაუტოვა. მას შემდეგ ამ მრავლისმნახველ ქალაქზე ბევრს კითხულობს.

უცხოეთთან სულ პირველი შეხება კი რომში ჰქონდა. მერე იყო სტრასბურგი. მაშინ 22 წლის გახლდათ და ისეთი შთაბეჭდილებებით დაიტვირთა, იმ მოგზაურობაზე დღესაც ემოციურად საუბრობს.

ერთი სიტყვით, ჩვენს რესპონდენტს „სარკის“ მკითხველებისთვის ბევრი საინტერესო რამ აქვს მოსაყოლი.

— ალეკო, ხშირად მოგზაურობთ საზღვარგარეთ?

— ახლა უკვე იშვიათად. ბოლოს ზამთრის პერიოდში ცოლთან ერთად სტამბულში ვიყავი. უცხოეთში ერთად არასოდეს ყოფილვართ და იქ ჩემი დაბადების დღისთვის, 17 იანვრისთვის გავემგზავრეთ. ირინა ჩემთვის ყველაზე კომფორტული თანამგზავრი აღმოჩნდა. მართლა არ მეგონა, ფეხით ამდენს თუ ივლიდა, მაგრამ გმირულად გაუძლო. სამაგიეროდ, მერე მე გავუძელი და ერთი დღე მაღაზიებში ვდიე.

— სტამბულმა რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ?

— კონსტანტინოპოლში ვიყავით და მივხვდი, რომ ეს ქალაქი თბილისის მერე ყველაზე მეტად მომეწონა. ყოველ ნაბიჯზე რაღაც იგრძნობა. თან საქართველოსთან ბრმა კავშირი რომ აქვს, ჰარამხანაში რომ დადიხარ და იცი, იქაურობა ქართველებით იყო გამოტენილი, ტოპკაპის სასახლეში რომ დააბიჯებ და იცი, იქ შენი ქვეყნის ბედი წყდებოდა, ეს ჩემზე ძალიან მოქმედებდა, რაღაცნაირად მშუხტავდა. იქიდან საქართველო სულ სხვანაირად ჩანს, ძალიან პატარა და საყვარელი. კონსტანტინოპოლით აღტაცებული ვარ, ირინასაც იმდენად მოეწონა, რამდენიმე დღის წინ დაესიზმრა კიდეც, ვითომ იქ ბავშვებთან ერთად მივდიოდით. იქაურობამ ძალიან დამაინტერესა. კონსტანტინოპოლის ნახვის შემდეგ ჩავუჯექი და მის ისტორიას ვკითხულობ. სტამბული ტურისტულად მოვირბინეთ. ვერც დოლმაბახჩე ვნახეთ და ვერც სამხედრო მუზეუმში წავედით. როცა კიდევ ჩავალ, მინდა, არატურისტულად დავათვალიერო, ნაღდი სტამბული ვნახო.

— სამსახურიდან არ გაწყვეტთ საზღვარგარეთ მიგლინებით წასვლა?

— ტელევიზიიდან არასოდეს არსად წავსულვარ. თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლაშიც ვსწავლობდი და მოსკოვის პოლიტიკური სწავლების სკოლაშიც. მოგზაურობაც ძირითადად აქედან მიწევდა. ტელეკომპანია „კავკასიიდან“ ავლანეთში უნდა წავსულიყავი და რატომღაც ვეღარ წავედი. რადიო „თავისუფლებაში“ მუშაობის პერიოდში ჩრდილოეთ ერაყში, ქურთისტანში „დროების“ ჯგუფთან ერთად უნდა წავსულიყავი. უკვე ყველაფრისთვის მზად ვიყავითო. იქ წასვლა არანორმალურად მინდოდა, მაგრამ მაინცდამაინც მაშინ დაიწყო კოდორში ემზარ კვიციანის ამბოხება და გემები ჩაგვეშალა.

— ევროპის ქვეყნებიდან პირველად რომელი მოინახულეთ?

— რაც ცხოვრებაში პირველად ვნახე თბილისის იქით, რომი იყო. იქ პოლიტიკური სწავლების ჯგუფთან ერთად გახლდით. მე და ფიქრია ჩიხრაძე კოლიზეუმში შევიპარეთ. უზარმაზარი რიგი იყო, პატიოსანი უცხოელი ტურისტები შესვლას ელოდებოდნენ. ჩვენ კი გადავძვერით და რომ შევედით, ვიღაცეებმა ტაშიც კი დაგვიკრეს, ბრავო, ბრავოო, ყვიროდნენ. იმათთვის ეს საქციელი ძალიან უცხოა, მაგრამ თან ჩვენი თავზეხელაღებულობა მოეწონათ.

„საზღვაჩგარეთის ქვეყნებში ჰიროჰიტეტი ფეხით მოსიარულეებს აქვთ. ჩვენთან ჯი თავსხმა ნვიმაშიც გზაზე არავინ გადაგატარებს. ხომ შეიძლება შეანელონ მოძრაობა და გაგატარონ?! მათაც ხომ არ ანვიმთ თავზე?!“.

მართალია, რომი მსოფლიო ისტორიის ნაწილია და მის ისტორიაში სულ ჩახარშული ვიყავი, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ისე ვერ

■ იტალიაში

განვიცადე, როგორც სტამბული. რომს შენთან ნაკლები შეხება აქვს. კოლიზეუმი უფრო გრანდიოზული და სხვანაირი წარმომედგინა. იმ პერიოდისთვის კი იქნებოდა გრანდიოზული, მაგრამ დღეს ალბათ უკვე აღარაა. რომი მაინც კარგად მახსენდება. იქიდან სტრასბურგში ჩავედით, სადაც ძირითადად ველოსიპედით ვმოძრაობდი. ჩვენს ჯგუფთან ერთად სოზარ სუბარიც იყო. ერთ დღეს ველოსიპედით მივდიოდი, ცოტა ნასვამი ვიყავი და ხმამაღლა ვმღეროდი. უცებ სოზარმა დამიძახა, წავბორძიკდი და ლამის დავიმტვერი. მერე სუბარი დამცინოდა, ბაში-აჩუკივით მოდიოდიო.

— სტრასბურგში რასთან დაკავშირებით იყავით?

— იქაც პოლიტიკური სკოლიდან ვიყავი. 2000 წელს ჩავედით, ჩვენთან დენი რომ არ იყო, იმ პერიოდზე გიყვებით. მაშინ ველოსიპედით ქალაქში მოძრაობა ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. მეგონა, ბორდიურზე უნდა მევლო. „მოვტასაობდი“ ჩემთვის და დავინახე, რომ ზანგი კაცი ბავშვს ასეირნებდა. დავიწყე ხელების ქნევა, მომერიდეთ-მეთქი, მაგრამ ვინ გაიგო, გიჟებივით მიყურებდნენ. ის კაცი ფრანგულად რაღაცას მეუბნებოდა. ბოძს შევასკდი და ველოსიპედიდან გადმოვვარდი. მერე იმ ზანგმა საველოსიპედე გზა მაჩვენა. მაშინ პირველად აღმოვაჩინე, რომ საველოსიპედე გზები არსებობდა, რაც ჩვენთან არსად შეინიშნება.

— სტრასბურგის პოლიტიკურ სკოლაში სწავლა რიგორ გახსენდებათ?

— პირველი კურსის დამთავრების სიგელები უნდა გადმოეცათ. გაგვაფრთხილეს, ოფიციალურ სამოსში გამოწყობილები მივსულიყავით. ჩავიცვი, დავჯექი ველოსიპედზე და წავედი. ევროსაბჭოს შენობის გვერდით ველოსიპედების სადგომია. ვაჩერებდი და გვერდით ვიღაც კაცი ამომიდგა, ფრანგულად მომესალმა. ისიც ჩემსავით ოფიციალურ ფორმაში იყო. ველოსიპედები ერთად დავაყენეთ და შენობაში შევედით. დაიწყო შეხვედრა და ჩვენმა ხელმძღვანელმა ეს კაცი წარგვიდგინა. თურმე ევროსაბჭოს პოლიტიკური დეპარტამენტის ვიცეპრეზიდენტი ყოფილა! იქ ქართული ცნობიერებით ვიყავი ჩასული და გავოგნდი. მეგონა, ამ თანამდებობის პირი იქაც დიდ ჯიპზე უნდა მჯდარიყო და, როგორც ჩვენთან ხდება, დაცვის წევრები გაოფლილები რომ დასდევენ, იქაც ასე ყოფილიყო.

ეს ჩემი პირველი შოკი იყო. მერე მე და სოზარი ტრამვაიში ავედით და იქ უარესი დამემართა: სოზარმა კიდევ ერთი თანამდებობის პირი იცნო, ჩვენთან ერთად მგზავრობდა. მახსოვს, თეთრი ლაბადა ეცვა. სუბარმა მითხრა, ეს კაცი ჰილ ლიბრესიაო. მეც ვიცოდი ამ ადამიანის შესახებ, მისი წიგნიც წაკითხული მქონდა. მაშინ ის 42 ქვეყნის ომბუდსმენი იყო და იღლიაში „პაპკაამოჩრილი“ ტრამვაით მგზავრობდა! მას მერე გაგიჟებული ვარ! მაშინ 22 წლის ვიყავი და წარმომედგინა, რომ მინისტრი კორუმპირებული უნდა ყოფილიყო და დაცვის თანხლებით ევლო. ამ დროს კი საკუთარი თვალით ვნახე, ევროპელი ჩინოსნები როგორი უბრალოები არიან — თავს უფლებას არ აძლევენ, ხალხის ფულით იცხოვრონ და ჯიპებითა და დაცვით იარონ. იქ სახელმწიფო მოხელე რაც უფრო სადად ცხოვრობს, მით უფრო კარგი ტიპია. ჩვენთან კი, რადგან მინისტრები არიან, ორი ჯიპი უნდა ემსახურებოდეთ და ორი ჯიპიც დაცვა დასდევდეთ.

„გეიმანიამ გამაოცა. მხოლოდ ბეჩინში ვარ ნამყოფი და იქაურობა სამინდად არ მომეწონა, ქალაქმა თითქოს არ მიმიღო. საკუთარ თავში ჩაკეტილი საზოგადოება ცხოვრობს. უცხო ადამიანი მათთვის სამინდად არასასურველი ტიპია“.

ვერ ვხვდები, ფინანსთა მინისტრს დაცვა რატომ უნდა დაჰყვებოდეს. ერთი-ორი მინისტრი კი იქცევა კარგად. ამას წინათ გოგი მარგველაშვილი რუსთაველზე ფეხით მოდიოდა და ძალიან გამიხარდა, არც დაცვა ჰყავს. დიმიტრი შაშკინი ქუჩაში რომ გამოვიდოდა, ლამის ჯავშანტრანსპორტიორი გაეყოლებინა თან, თითქოს ვინმეს რამეში სჭირდებოდა შაშკინი. ღარიბი ქვეყანა ვართ. 120 ლარია პენსია და სირცხვილია, მინისტრს →44

Cyan Magenta Yellow Black

■ ცოლთან ერთად სტამბულში

დაცვა დაჰყვებოდეს. დაცვით თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები რომ დადიოდნენ, ჯანდაბას, მაგრამ დანარჩენებს დაცვა არაფერში სჭირდებათ!

— ასეთი სოციალურ-პოლიტიკური შოკი კიდევ რომელ ქვეყანაში მიიღეთ?

— ყველა ევროპულ ქვეყანაში, სადაც ტრასაზე გადასვლა არ შეიძლებოდა, მაგრამ გადავედი, ყველამ გზა დამითმო. ერთი-ორგან ტრასა ქართულად გადავჭერი, მთელი მოძრაობა გაჩერდა და გადამატარეს. მხრები კი აიჩეჩეს, მაგრამ ადამიანურად მოიქცნენ. საზღვარგარეთის ქვეყნებში პრიორიტეტი ფეხით მოსიარულეებს აქვთ. ჩვენთან კი თავსხმა წვიმაშიც გზაზე არავინ გადაგატარებს. ამას წინათ ბავშვები წავიყვანე სასეირნოდ, საშინლად გაწვიმდა, მაგრამ გზა არავინ დამითმო. ხომ შეიძლება შეანელონ მოძრაობა და გაგატარონ?! მათაც ხომ არ აწვიმთ თავზე?! ესეც კულტურაზე მეტყველებს. ჩემთვის ესეც ერთგვარი შოკი იყო, როცა ვნახე, რომ ბორდიურიდან ფეხს ჩავდგამდი თუ არა, მოძრაობა ჩერდებოდა.

— რომელი ქვეყნის ცხოვრების წესი არ მოგწონათ?

— გერმანიამ გამაოცა. მხოლოდ ბერლინში ვარ ნამყოფი და იქაურობა საშინლად არ მომეწონა, ქალაქმა თითქოს არ მიმიღო. საკუთარ თავში ჩაკეტილი საზოგადოება ცხოვრობს. უცხო ადამიანი მათთვის საშინლად არასასურველი ტიპია. უქმე დღე იყო, ცოტა ცუდად ვიყავი და სასტუმროში დავრჩი. დავიღალე მარტოობით და გამოვედი, ვიფიქრე, ცოტას დავლევმეთქი. ბარში დავჯექი. ჩემ გვერდით, მაგიდასთან, 20 კაცამდე იჯდა. გოჭი შეაწვევინეს და ქეიფი გააჩაღეს. მათ გვერდით მარტო ვიჯექი და ვითომ არ ვარსებობდი, ყურადღებასაც არ მაქცევდნენ. ჩვენთან ერთი უცხოელი რომ მოვიდეს და 20 ქართველი ვქეიფობდეთ, გამორიცხულია, არ დავუძახოთ და არ ვაქეიფოთ.

მეორე დღეს იმ სასტუმროში ლუდის ფესტივალი გაიმართა, სადაც ტრადიციულ ტანსაცმელში გამოწყობილი გერმანელები მონაწილეობდნენ. შევედი თუ არა სასტუმროში, ყველამ გაკვირვებულმა შემომხედა, მათთვის მე უცხო სხეული ვიყავი, არავის ვჭირდებოდი. ჩვენთან რომელიმე ტრადიციული დღესასწაული, ლაშარობა ან ლომისობა იყოს და უცხოელი მოვიდეს, ხომ ჩავახრჩობდით სასმელში? გერმანელების სიცივე ჩემთვის ძალიან უცნაური აღსაქმელი აღმოჩნდა.

— რიგორც ვიცი, პარიზშიც ხართ ნამყოფი. ამ ქალაქმა თუ მიგიღოთ?

— პარიზი ძალიან კარგად მახსოვს. პოლიტიკური სწავლების ჯგუფთან ერთად წავედი. მე და ჩემი მეგობარი დავრჩით და სხვადასხვა ქვეყნიდან მეგობრებმა ჩამოგვაკითხეს. შევიკრიბეთ და ერთი კვირა არნახული დრო ვატარეთ. პარიზი არანორმალურად მაგარი ქალაქია, მაგრამ ეიფელის კოშკი ყველაზე ნაკლებად მომეწონა. იქ ასვლისას ისე შემეშინდა, კინაღამ გული გამისკდა! რკინის „მახინაა“! ყველაზე დიდი „ფინაჩობა“, რაც პარიზში ვნახე, ეიფელის კოშკია! თვითონ ქალაქი ძალიან კულტურულადაა მოვლილი. რამაც ყველაზე მეტად აღმაშფოთა, პომპიდუს ცენტრია. საშინელებაა! რომ მიმიშვან პარიზელებმა, იმ პომპიდუს ცენტრს თვალის დახამხამებაში დავუნგრევდი.


■ ბრიუსელში

„42 ქვეყნის ომბუდსმენი იყო და იღლიაში „პაპკაამოჩჩიული“ ტხამვაით მგზავრობდა!.. ნახმომეგინა, ხომ მინისტრი ყოჩუმპიჩებული უნდა ყოფილიყო და დაცვის თანხლებით ევლო. ამ ლჩოს ეი საკუთარი თვალით ვნახე, ევროპელი ჩინოსნები ჩოგორი უბრალოები �!“

ერთი დღე ლუვრისთვის გამოვყავით, ის ხომ ადამიანს ადებილებს! ლუვრში ისეთ დროს წავედით, აღქმა უკვე დაკარგული გვქონდა, მაგრამ მაინც გამაოცა. ჩემზე ყველაზე მეტად აღმოსავლურმა სექციამ იმოქმედა. ისეთი ნივთები ვნახე, იმ ექსპოზიციაში ჩავიკარგე.

— არსებობს ქალაქი, რომლის ნახვაც ძალიან გაინტერესებთ?

— ევროპის ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ ძალიან მინდა პრაღის ნახვა, კარგი ლუდი აქვთ. ბელგიაშიც კიდევ ერთხელ დავბრუნდებოდი, იქაც მაგარი ლუდი იციან. უფრო მეტად კი აღმოსავლეთის ქვეყნები მაინტერესებს. ისრაელის და იორდანიის ნახვა ხომ სიგიჟემდე მინდა. ირანში წავიდოდი და დარწმუნებული ვარ, ისეთივე განცდით დავბრუნდები, რაც სტამბულში მქონდა. ჩემი ქვეყნის ბედი სადაც წყდებოდა, ის ადგილები მინდა ვნახო, ისპაჰანი და სხვა...

ყველა იმ ქვეყანაში წავიდოდი, რომლებსაც

„ირანში ნავიდოდი და დარწმუნებული ვარ, ისეთივე განცდით დავბრუნდები, რაც სტამბულში მქონდა. ჩემი ქვეყნის ბედი სადაც წყდებოდა, ის ადგილები მინდა ვნახო“.

დიდი ისტორია აქვთ, რადგან ისტორია არანორმალურად მიყვარს. ამერიკაშიც სიამოვნებით ვიმოგზაურებდი, ოღონდ მხოლოდ იმ ადგილებს მოვინახულებდი, სადაც სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა.

— ყველაზე ლამაზი ქალები სად ნახეთ?

— ქართველი ქალები რომ ყველაზე ლამაზები არიან, ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, მაგრამ მოლდოვაში და უკრაინაშიც ბევრი ლამაზი ქალი ვნახე.

— უცხო ქვეყნის სამზარეულოს დაგემონება სიამოვნებას ვანიჭებთ?

— ბრიუსელში თევზის კერძები მომეწონა. ზღვის პროდუქტები ისედაც ძალიან მიყვარს, მაგრამ იქ განსაკუთრებულად ამზადებენ. იტალიური სამზარეულო საშინლად არ მომეწონა. თურქულ კერძებსაც გემრიელად გეახლებით. საზღვარგარეთ ყოფნის დროს ქართული სამზარეულო მენატრება ხოლმე. გამორიცხულია, სხვა ქვეყანაში ვიყო და ერთ კვირაში თბილისი არ მომენატროს. ერთი კვირა გავა თუ არა, ჯუჯღუნს ვიწყებ.

— თქვენ და თანამგრძნობი რიგორ ეწყობით ერთმანეთს?

— ფრენა ძალიან მიყვარს. როცა თვითმფრინავში საჭმელი მოაქვთ, ეს ჩემთვის ფრენის დროს განსაკუთრებული სიამოვნებაა. მახსოვს, ევროპის ერთ-ერთი ქვეყნიდან საქართველოში მოვფრინავდით და თბილისში ისეთი ქარი იყო, თვითმფრინავმა ქალაქს რამდენიმე წრე დაარტყა და ძლივს დაჯდა. მაგრად გვაჯანჯღარა, ძალიან შემეშინდა, მაგრამ არ ვიმჩნევდი, ვიცინოდი, სინამდვილეში კი შიშისაგან კბილებიდან ოფლი მდიოდა. არც ამის მერე დამჩემდა ფრენის შიში. აფრენის პროცესი მიყვარს. დაფრენაზე კი არ ვგიჟდები, ყურები მტკივდება.

✓ ხოფეთ ბოჭორიძე

მონტე კარლო – კურორტი ფუფუნებისთვის

მონტე კარლო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პატარა ქვეყნის, მონაკოს ქალაქია და ხშირად შეცდომით მის დედაქალაქად მოიხსენიებენ. სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში მდებარე მონაკო XIII საუკუნის დასაწყისში გენუის კოლონიად ჩამოყალიბდა და დამოუკიდებლობა 1297 წელს მოიპოვა. ქვეყანას გრიმალდების სამეფო ოჯახი მართავს. დღეს მონაკო სუვერენული სახელმწიფოა, მაგრამ მონაკოსა და საფრანგეთის საზღვარზე არანაირი საბაჟო არ ფუნქციონირებს, რაც თავისუფალ მიმოსვლას აადვილებს.

მონტე კარლო ცნობილია კაზინოებითა და აზარტული თამაშებით. ქალაქი მოიცავს არამარტო საკუთარ ტერიტორიას, სადაც ცნობილი სამორინეებია განთავსებული, არამედ სენტ მიშელისა და სენტ რომანის გარკვეულ ტერიტორიას. ქალაქი 1866 წელს დაარსდა. მონტე კარლო იტალიური სიტყვიდან მომდინარეობს, რაც თარგმანში ჩარლზის (იტ. კარლოს) მთას ნიშნავს. მთას, რომელზეც რაინონია

■ მონტე კარლო

Cyan Magenta Yellow Black

■ კაზინო „მონტე კარლო“

გაშენებული, სახელი პრინც ჩარლზ III-ის პატივსაცემად ეწოდა.

ჯიმატი

მონტე კარლოში ხმელთაშუა ზღვისპირეთისთვის დამახასიათებელი თბილი კლიმატია გამეფებული, ამიტომ მთელი წლის განმავლობაში თბილა. ზაფხული ცხელი, მშრალი და მზიანია, ტემპერატურა 30 გრადუსამდე თბება. ზამთარში კი ტემპერატურა არანაკლებ 12 გრადუსია.

მონტე კარლოში ყინვა და თოვლი იშვიათია. გადაუღებელი წვიმები კი მხოლოდ ივნისშია მოსალოდნელი.

ფული

მონტე კარლოს, ისევე როგორც მთელი მონაკოს, ეროვნული ვალუტა 2002 წლის პირველი იანვრიდან ევროა. მანამდე მიმოქცევაში ფრანგული ფრანკი იყო. უმაღლესი დონის სასტუმროებსა და რესტორნებში ევროსთან ერთად ამერიკული დოლარით სარგებლობა არ უნდა გაგიჭირდეთ. რაც შეეხება საკრედიტო ბარათებს, რასაკვირველია, თანამედროვე კურორტზე მათ გამოყენებას თავისუფლად შეძლებთ.

მონტე კარლოში დასვენება ყოველთვის ძვირადღირებული სიამოვნება იყო, ზაფხულობით კი ფასები კატასტროფულად იზრდება.

ენა

სახელმწიფო ენა ფრანგულია. ქალაქის საგანმანათლებლო სისტემაც ამ ენაზეა დაფუძნებული. აგრეთვე გავრცელებულია ინგლისური, იტალიური, მონეგასკური ენები. თითქმის ყველა დაწესებულებაში მომსახურე პერსონალი ვალდებულია, ინგლისური იცოდეს.

გადაადგილება

ქვეყანას და, შესაბამისად ქალაქსაც, საკუთარი აეროპორტი არ აქვს. ყველაზე ახლოს კი ნიცას საერთაშორისო აეროპორტია. ის მონტე კარლოდან 40 კილომეტრში მდებარეობს. აეროპორტიდან მონტე კარლოს მიმართულებით ავტობუსები რეგულარულად დადიან. არც ტაქსის დაქირავება წარმოადგენს პრობლემას. ნიცადან მონტე კარლოში შეგიძლიათ ვერტმფრენითაც გადახვიდეთ, დაახლოებით 700 ევრო დაგიჯდებათ.

მონტე კარლოს მიმართულებით საფრანგეთისა და იტალიის ქალაქებიდან მატარებლის რეისები თითქმის ყოველდღიურად სრულდება. ავტობუსით და მანქანით მონტე კარლოში ჩასვლას მეზობელი ქვეყნებიდან უპრობლემოდ შეძლებთ. რაც შეეხება გემით მგზავრობას, ტურისტების თქმით, ეს უდიდესი სიამოვნებაა.

ქალაქში გადასაადგილებლად საკმაოდ კომფორტული ავტობუსები შუაღამემდე მოძრაობს და მგზავრობის ღირებულება 1,5 ევროა. ბილეთები კონდუქტორთან უნდა შეიძინოთ. უბილეთოდ მგზავრობისთვის საკმაოდ დიდი ჯარიმის გადახდა მოგიწევთ.

კურორტზე ველოსიპედის, ტაქსის და სკუტერის დაქირავებაც შეგიძლიათ. ტაქსის ქუჩაში ვერ გააჩერებთ, ქალაქში მათთვის ორი სადგომია გამოყოფილი და იქ უნდა მიაკითხოთ. მონტე კარლოში მეტრო არ არის, შესაბამისად, ტაქსი გადაადგილების ყველაზე სწრაფ საშუალებად ითვლება. გაითვალისწინეთ ისიც, რომ კურორტზე ტაქსით მგზავრობა დიდი ფუფუნებაა.

სამზარეული

მონაკოს სამზარეულოში ძირითადი ადგილი ზეითუნის ზეთსა და ისეთ სანელებლებს უკავია, როგორიცაა ორეგანო, როზმარინი, წითელი წიწაკა, რეჰანი და სალბი. ცნობილია ადგილობრივი სალათები ანჩოუსებით ან თინუსით. პოპულარულია აგრეთვე პაშტეტი და შებოლილი ვირთევზა. ეს უკანასკნელი ფრანგული სამზარეულოს ნაწილია.

იტალიასთან სიახლოვის გამო ამ ქვეყნის სამზარეულოს გავლენაც შეიმჩნევა. ლაჟვარდოვან სანაპიროზე პიცისა და ტომატის სოუსის ბევრი მოყვარული ცხოვრობს. ასევე აღსანიშნავია, რომ ბევრი კერძი ზღვის პროდუქტებისგანაა დამზადებული. პორტის სანაპიროზე უამრავი რესტორანია, სადაც სტუმრებს მხოლოდ ზღვის ნობათით უმასპინძლდებიან. აქ შემოგთავაზებენ ცოცხალ თევზს, განთქმულ წვნიან ბუაიბეს კი აუცილებლად წითელ ღვინოსთან, მოლუსკებსა და ნივრის სოუსთან ერთად მოგართმევენ.

მონტე კარლოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს თევზისგან მომზადებული კერძები, მაგრამ ყველა რესტორანში როდი ამზადებენ კერძს ცოცხალი თევზისგან, ძირითადად ფილეს იყენებენ.

სასმელებიდან ცნობილია ვარდისფერი ღვინო „კოტეს დე პროვინსი“, ასევე თეთრი, წითელი და ვარდისფერი ღვინო „ბელეტი“. გასათვალისწინებელია, რომ 18 წლამდე ახალგაზრდებზე ალკოჰოლი არ იყიდება.

სასმელებს შორის ყავა მონტე კარლოში ყოველთვის ლიდერობდა. საერთოდ, თუ საკმარისი ფული არ გაქვთ, ამ კურორტზე მშიერი დარჩებით.

ღირსშესანიშნაობები

თუ მონტე კარლოში ერთხელ მაინც მოხვდებით, არასოდეს დაგავიწყდებათ მისი თბილი ზღვა და მყუდრო ბარები. საშუალოდ წელიწადში აქ 300 დღე მზიანია. მონტე კარლო ტურისტებს იზიდავს პლაჟებით, თერაპიის ცენტრებით, მუზეუმებითა და ტროპიკული აკვარიუმებით. კურორტზე სტუმრების მისაღებად მრავალი სასტუმრო მუშაობს, რომელთა უმრავლესობა ხუთვარსკვლავიანია.

■ ოკეანის მუზეუმი“

ზღვა თვალისმომჭრელად ლურჯი და სუფთაა. 10-მდე კეთილმოწყობილი პლაჟი აღჭურვილია შეზლონგებით, ქოლგებით, საშხაპეებით და ა.შ. კურორტი წყლის სპორტის სხვადასხვა სახეობას გთავაზობთ. შოპინგის მოყვარულთათვის კი მაღაზიების ფართო არჩევანია.

შეიძლება ითქვას, რომ მონტე კარლო ევროპის სამორინეების დედაქალაქია. ის ერთ-ერთია იმ სამ ქალაქს შორის, სადაც სამორინეებისა და სათამაშო აპარატების ფართო ქსელია.

ქალაქი ტურისტებს, პირველ რიგში, 1863 წელს აგებული სამორინეთი იზიდავს. კურორტზე არსებული მდიდრული სასახლეები დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანებზე. ქალაქში მდებარეობს საკათედრო ტაძარი, ოკეანის მუზეუმი და ეგზოტიკური მცენარეების ბაღი.

ოკეანის მუზეუმი 1910 წელს დააარსა მონაკოს დიდმა რეფორმატორმა პრინცმა ალბერ პირველმა. მუზეუმში უამრავი ზღვის ცხოველია თავმოყრილი (ზღვის ვარსკვლავები, ცხენთევზები, კუები, მედუზები, კიბორჩხლები, კიბოსნაირნი, გველთევზასნაირნი, ზვიგენები და სხვა). მუზეუმის საკუთრებაშია ასევე დიდი რაოდენობით ზღვასთან დაკავშირებული საგნები, მათ შორის გემების მოდელები, ზღვის ცხოველთა ჩონჩხები, ხელსაწყოები, იარაღები და სხვა.

მონტე კარლო მდიდრებისა და ცნობილების საყვარელი კურორტია. ყველაზე მეტი ტურისტი ქალაქში „ფორმულა 1“-ის ტურნირის დროს ჩადის. მონტე კარლო ასევე მასპინძლობს მსოფლიო ჩემპიონატებს კრივში, ევროპული პოკერტურის ფინალს და მსოფლიოს ნარდის ჩემპიონატს, აგრეთვე მოდის ჩვენებებსა და სხვა მოვლენებს.

უსაფრთხოების წესები

მონტე კარლოში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, კრიმინალის დონე საგრძნობლად დაბალია. სიფრთხილე გამოიჩინეთ ჯიბის ქურდებთან. თუ მანქანას დაიქირავებთ, მას შვილივით გაუფრთხილდით — ნაკაწრის შემთხვევაშიც კი 15.000-20.000 ევროს გადახდა მოგიწევთ ჯარიმის სახით.

მონტე კარლოს ერთ-ერთი პრობლემა ქვიანი სანაპიროებია. გაითვალისწინეთ, მოწევა საზოგადოებრივი თავშყრის ადგილებში სასტიკად აკრძალულია. ძალიან დიდი სირცხვილია და უზრდელობად ითვლება ხმამაღალი საუბარი, ამის გამო შესაძლებელია შენიშვნაც კი მიიღოთ.

უბის ნიგნაკი

ქვეყანა — მონაკო;
ქალაქი — მონტე კარლო;
ვალუტა — ევრო;
ოფიციალური ენა — ფრანგული;
ფართობი — 0,61 კვ.კმ;
მოსახლეობა — 15 200.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

„დედამ დამაშორა შეყვარებულს, რომლის ერთადერთი ნაკლი ის იყო, რომ გარეგნობით მამაჩემს ჰგავდა“

ჩვენი რესპონდენტი, ქალბატონი ნინა, რთულ პირობებში გაიზარდა. მშობლების ოჯახი, რომელიც მისი ძლიერი ზურგი, საიმედო თავშესაფარი, მხარდამჭერი უნდა ყოფილიყო, ცხოვრებაში მთავარ დაბრკოლებად, უამრავი პრობლემის წყაროდ ექცა. ახლა, როცა მარტოხელა ქალის ბედს თითქმის შეეგუა, დედ-მამას ბევრ რამეში ადანაშაულებს და უკვე თავის ერთადერთ ვაჟთან ურთიერთობაში ცდილობს იმ შეცდომების გათვალისწინებას, რაც მშობლებმა დაუშვეს მის მიმართ. პირველ რიგში, შვილთან მეგობრობს.

ნინა:

— ძალიან მძიმე ბავშვობა მქონდა. მამაჩემი ლოთი იყო და დედას სიცოცხლეს უმწარებდა. მუდმივ დაძაბულობასა და აყალმაყალში ვიყავით. იმისდა მიხედვით, სასმელის რა დოზა ჰქონდა მიღებული, მამას დღეში რამდენჯერმე რადიკალურად ეცვლებოდა განწყობა. თუ კარგ ხასიათზე იყო, მეფერებოდა და მეთამაშებოდა, ხოლო როცა გუნება უფუჭდებოდა, დედაზე ტეხდა ჯოხს, საშინელ დღეში აგდებდა. უსაფუძვლოდ ეჭვიანობდა და ამ დროს მზად იყო, მოეკლა ან ცეცხლში დაეწვა.

— დედათქვენი ამ ტანჯვას ითმენდა?

— რამდენჯერმე გაიქცა სახლიდან, ცხადია, ჩემთან ერთად. თავი მის მშობლებს შევაფარეთ. არაჩვეულებრივი ბებია-ბაბუა მყავდა, მაგრამ ვიწროდ ცხოვრობდნენ. მათთან ერთად დედაჩემის ძმაც ცხოვრობდა ცოლ-შვილით და ფაქტობრივად ჩვენი ადგილი აღარ იყო. ამას ემატებოდა ის, რომ მამაჩემი, ცოლ-შვილის დაკარგვის შიშით, დატკბებოდა და პირობას იძლეოდა, რომ სმას მიატოვებდა. მართლაც, იმ დღეებში აღარ სვამდა, მაგრამ, როცა შინ დაგვიგულებდა, კვლავ მავნე ჩვევას უბრუნდებოდა.

მამაჩემის მშობლები ცალკე ცხოვრობდნენ. მატერიალურად არ უჭირდათ, შეეძლოთ, ჩემთვის და დედაჩემისთვის ცალკე ბინა ეყიდათ და ამ კოშმარული ყოფისთვის ბოლო მოეღოთ, მაგრამ არ გააკეთეს.

— ალბათ შვილის ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდოდათ, ხელი შეეწყოთ ოჯახის დანგრევისთვის.

— არა, ამას ოჯახი არც ერქვა. მამაჩემი ალკოჰოლის მსხვერპლი იყო, ჭაობში იძირებოდა და ჩვენც გვეჭიდებოდა. ბებია-ბაბუას ეგონათ, ჩვენზე იყო დამოკიდებული მათი შვილის ხსნა და უჩვენოდ დაიღუპებოდა, დედას ამტყუნებდნენ, ქმარს სასოწარკვეთაში აგდებსო, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო. მამასთან ერთად მეც და დედაჩემიც მსხვერპლნი ვიყავით. როცა არ იცი, როგორ უშველო ან ძალა არ გყოფნის საამისოდ, უნდა გაერიდო, თავი კი არ უნდა დააღუპვინო.

— თქვენ რა გრძნობა გქონდათ მამისადმი?

— მამა მეც ძალიან მიყვარდა და ალკოჰოლური დაავადების გამო მეცოდებოდა, მაგრამ ვფიქრობ, ამ შემთხვევაში დედა უფრო საბრალო იყო, შესძულდა ქმარი, რომელიც თავის დროზე ძალიან უყვარდა. წლების განმავლობაში ამ სიძულვილში ცხოვრობდა. მამას კი, მიუხედავად თავისი დესპოტიზმისა, დედა მაინც უყვარდა, თუმცა თავისებურად...

— ამ მძიმე, დრამატულ სიტუაციას რა შედეგი მოჰყვა?

— ლოთობას ის მოჰყვა, რომ საბოლოოდ მამას ღვიძლი დაეშალა და გარდაიცვალა. დედას კი ფსიქიკა დაერღვა, ხასიათი დაუმძიმდა, სულ თავის განადგურებულ ცხოვრებაზე ფიქრობდა და მთელ ჯავრს ჩემზე იყრიდა. გარდატეხის ასაკში, მაშინ, როცა ყველაზე ძალიან მინდოდა მშობლის თანადგომა, მარტო აღმოვჩნდი — მამა აღარ მყავდა, დედა კი ეგოისტურ ჩარჩოში ჩაიკეტა და ჩემი გაგების უნარი დაკარგა, დესპოტად იქცა. ის, რაც ცხოვრებაში დააკლდა, უნდოდა, ჩემით აენაზღაურებინა

> **„გარდატეხის ასაკში მარტო აღმოვჩნდი — მამა აღარ მყავდა, დედამ კი ჩემი გაგების უნარი დაკარგა, დესპოტად იქცა. ის, რაც ცხოვრებაში დააკლდა, უნდოდა, ჩემით აენაზღაურებინა, მაიძულებდა, ისე მოვქცეულიყავი, როგორც თვითონ თვლიდა საჭიროდ“.**

და მაიძულებდა, ისე მოვქცეულიყავი, როგორც თვითონ თვლიდა საჭიროდ.

— კერძოდ, რას გაიძულებდათ?

— დამაშორა შეყვარებულს, რომლის ერთადერთი ნაკლი ის იყო, რომ გარეგნობით მამაჩემს ჰგავდა.

— მხოლოდ ფიზიკური მსგავსების გამო?

— ჩემს შეყვარებულთან ურთიერთობა უჭირდა, მისი დანახვაც კი ცუდად ხდიდა. დედას ეშინოდა, რომ მეც მის დღეში ჩავვარდებოდი, ჩემი შეყვარებული, მიშოც, მამაჩემის მსგავსად, მავნე ჩვევის მონა გახდებოდა.

— თქვენი სიყვარულის დაცვა ჯერ შეძელით?

— ჩემზე დედას გარკვეული გავლენა ჰქონდა, ძალიან დიდ წინააღმდეგობას მიწევდა. მიშოს სახელის ხსენებაზეც კი ისტერიკაში ვარდებოდა. თან ანგარიში გავუწიე იმას, თუ რა ტანჯვა გაიარა ქმრის ხელში და აღარ მინდოდა, ჩემი მხრიდანაც ტკივილი მიმეყენებინა. იძულებული გავხდი, მიშოს დავშორებოდი. ეს დიდი შინაგანი ტკივილის ფასად დამიჯდა.

— ვინ გახდა თქვენი ქმარი, დედათქვენის მიერ მოწონებული ბიჭი?

— ჩემი ქმარი, დიტო, დედაჩემის მეგობრის შვილი იყო. ბავშვობიდან მოვწონდი მას და მის ოჯახსაც. მაინცდამაინც არ მიზიდავდა, მაგრამ მის მიმართ კეთილგანწყობა მქონდა. დედამ გადაწყვიტა, მასზე გავეთხოვებინე. მართლაც გავყევი ცოლად. მისმა მშობლებმა უმაღლესში მომაწყვეს, ყველანაირად ხელს მიმართავდნენ. შეგვეძინა პაატა.

— კარგი ოჯახი შეგიქმნიათ.

— პირველი სამი წელი თითქოს ყველაფერი ნორმალურად იყო, რადგან ურთიერთობის აწყობას ორივე ვცდილობდით. შეგუების მომენტი ურთიერთობაში ყველაზე რთულია, ამას თუ გადალახავ, მერე ყველაფერი მექანიკურად მიდის, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში სხვაგვარად მოხდა. თავიდან მშვიდად ვიყავით, მერე კი ერთბაშად ბევრი პრობლემა დამატყდა თავს. ჯერ იყო და, დედაჩემი გათხოვდა და რუსეთში წავიდა საცხოვრებლად. მისი ბედნიერება ყოველთვის მსურდა, მაგრამ ეს ფაქტი მძიმედ გადავიტანე. გავაცნობიერე, რომ დედას ჩემი გათხოვებით შვილის თავიდან მოცილება და დაბინავება სურდა, რათა მერე პირადი ცხოვრება აეწყო. ამან ძალიან მატკინა გული. მალე ჩემს ქმარს სხვა ქალი შეუყვარდა და ჩემ მიმართ გული აუცრუვდა. ურთიერთობა აღარ გამოგვდიოდა, ყველაფერზე ვჩხუბობდით და ვკამათობდით.

ჩემს ქმარს გაყრა არ უფიქრია, ოჯახიც უნდოდა და იმ ქალთან სიარულიც, მე კი ტყუილსა და დაძაბულობაში ცხოვრება აღარ შემეძლო, ვერც შვილს მოვუწამლავდი ნერვებს (ჩემი მძიმე ბავშვობა გულში დაღად მქონდა). ამიტომ დიტოსგან წამოვედი და შვილთან ერთად მამისეულ ბინაში დავბრუნდი. პატიკო მაშინ ექვსი წლის იყო. ვერაფრით ვინელებდი იმას, რაც დედამ გამიკეთა — შეყვარებული დამაკარგვინა ვითომ უკეთესი მომავლის იმედით და დანგრეული ბედი შემრჩა ხელში.

— შვილი უქმრობ გაზარდეთ?

— დიტოს მშობლები მეხმარებოდნენ მატერიალურად, ზოგჯერ — თავადაც, მაგრამ ფაქტობრივად შვილი მარტომ გავზარდე. სამსახურზე უარი ვთქვი, სახლში ვამზადებდი მოწაფეებს სხვადასხვა საგანში. ვითვალისწინებდი იმ შეცდომებს, რაც მშობლებმა დაუშვეს ჩემთან და ყოველმხრივ ვცდილობდი, არ გამემეორებინა. ჩემი შვილისთვის, პირველ ყოვლისა, მეგობარი ვიყავი. მის სულში წვდომას და გაგებას ვცდილობდი. მასზე ვიყავი ორიენტირებუ-

Cyan Magenta Yellow Black

ლი — ყველაფერ იმას ვაკეთებდი, რაც მისთვის სასიკეთო იქნებოდა.

— შედეგით კმაყოფილი ხართ?

— ვფიქრობ, პატიკოს სახით ცუდი პიროვნება არ აღმიზრდია. გარდატეხის ასაკი რთული ჰქონდა და სულ გაფაციცებული ვიყავი, რამე არ გამომპარვოდა. გარეგარე რომ არ ევლო, მისი მეგობრები სახლში მომყავდა და მათაც თანატოლივით ვექცეოდი. თავისუფალ გარემოს ვუქმნიდი, გულითადად ვმასპინძლობდი, გვერდიდან არ ვიშორებდი. შვილი არაფერს მიმალავდა. ყველა მნიშვნელოვან საკითხს ერთად ვწყვეტდით.

— პირადი ცხოვრების მოწყობაზე აღარ გიფიქრიათ?

— მართალი გითხრათ, ჩემი ტიპის ქალისთვის, რომელსაც ცხოვრების ეშინია, მარტო ყოფნა არასასურველია. მხიბლავდა კიდეც ერთი მამაკაცი, მასაც მოვწონდი, მაგრამ ახალი ცხოვრების დაწყებას ვუფრთხოდი, მორიგი იმედგაცრუების მეშინოდა. ალბათ ის კაცი ისე არ მიყვარდა, რომ ეს გადამელახა და მის გვერდით ვყოფილიყავი.

— მისგან რა სახის შემოთავაზება გქონდათ?

— თავიდან მეგობრობა შემომთავაზა. მითხრა, ვნახოთ, ურთიერთობას როგორ ავაწყობთ და მერე შეიძლება დავქორწინდეთო, მაგრამ ვერ გავბედე. ეს გაუბედაობა ალბათ ბუნებით მაქვს, თუმცა შეიძლება მისი სათავე ჩემი ბავშვობიდან და აღზრდიდან მომდინარეობს.

ჩემს შვილთან ერთად თავს კარგად ვგრძნობდი და ცვლილების შემეშინდა.

— პაატამ თუ იცოდა იმის შესახებ, რომ პირადი ცხოვრების შეცვლის შანსი მოგეცათ?

— პატიკოს ამის შესახებ ვუამბე, ის პიროვნებაც გავაცანი.

— რა პოზიცია დაიკავა?

— მითხრა, პირადი ცხოვრება შენი გადასაწყვეტია და მე არ ჩავერევიო. იმ კაცის მიმართ ცუდად არ განეწყო, მაგრამ პატიკოს მეგობარმა შაკომ გამიჩინა თავსატეხი, ჩემს თაყვანისმცემელს ცუდად დაუპირისპირდა.

> **„ვერ ვინელებდი იმას, რაც დედამ გამიკეთა — შეყვარებული დამაკარგვინა ვითომ უკეთესი მომავლის იმედით და დანგრეული ბედი შემრჩა ხელში“.**

— მას რა უნდოდა, რას ერჩოდა?

— შაკო სამი წელია, პატიკოსთან მეგობრობს. ერთად მღერიან საგალობლებს და ხალხურ სიმღერებს. ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარია. ჭკვიანი და, შეიძლება ითქვას, ნაადრევად დაბრძენებული ბიჭია. მისი მშობლები გაყრილები არიან. დედამისი მეორედ გათხოვდა და კიდევ ორი შვილი გააჩინა. შაკო ბებიასთან გაიზარდა. პატიკოს რომ დაუახლოვდა და ჩვენთან სიარული დაიწყო, ჩემგან დედობრივი სითბო იგრძნო და გარკვეულწილად მომეკედლა. მასთანაც ისევე დავმეგობრდი, როგორც ჩემი შვილის სხვა მეგობრებთან. არ ვიცი, ამას რა რისპირდა.

— ამან რა შედეგი გამოიღო?

— სამწუხაროდ, უფრო მომეკედლა, ამ თემაზე საუბარი სიამოვნებდა. მერე უკვე განვერიდე. როცა ვიცოდი, რომ სტუმრად უნდა მოსულიყო, შინიდან მივდიოდი. მიხვდა, ამას რატომაც ვაკეთებდი და ძალიან მოერიდა. თანდათან ჩვენთან სიარულს მოუკლო და ბოლოს საერთოდ ფეხი ამოიკვეთა. თუმცა პატიკოსთან მეგობრობას აგრძელებს. ჩემს შვილს ამის შესახებ არაფერი გაუგია.

— თავისი უარყოფითი დამოკიდებულება შაკომ როგორ გამოხატა?

— იმ კაცს უბღვერდა, ეუხეშებოდა, აგრძნობინებდა, ზედმეტი ხარო.

— თქვენი თაყვანისმცემელი ამას უთმენდა?

— მამისტოლა კაცი პატარა ბიჭს ხომ არ დაუპირისპირდებოდა?! მითხრა, მაგ ბიჭს სხვაგვარად უყვარხარ და გაითვალისწინეო.

— ანუ შაკოს — თქვენი შვილის მეგობარს — მოსწონდით, როგორც ქალი?

— ამაზე არ მიფიქრია, თავში აზრადაც ვერ გავივლებდი, მაგრამ თაყვანისმცემელმა რომ მითხრა, შეეშფოთდი. შაკოს ქცევებს დავაკვირდი და მართლაც აღმოვაჩინე განსაკუთრებული დამოკიდებულების ნიშნები. მერე მასთან დავიწყე ფსიქოლოგიური მუშაობა, ვესაუბრებოდი იმაზე, როგორ შეიძლება გრძნობამ შეცდომაში შეიყვანოს ახალგაზრდა, გამოუცდელი ადამიანი.

— ამან რა შედეგი გამოიღო?

— სამწუხაროდ, უფრო მომეკედლა, ამ თემაზე საუბარი სიამოვნებდა. მერე უკვე განვერიდე. როცა ვიცოდი, რომ სტუმრად უნდა მოსულიყო, შინიდან მივდიოდი. მიხვდა, ამას რატომაც ვაკეთებდი და ძალიან მოერიდა. თანდათან ჩვენთან სიარულს მოუკლო და ბოლოს საერთოდ ფეხი ამოიკვეთა. თუმცა პატიკოსთან მეგობრობას აგრძელებს. ჩემს შვილს ამის შესახებ არაფერი გაუგია.

✓ ნანა კობახიძე

ეს იცოდით?

❖ ინგლისელ მეცნიერ ჩარლზ დარვინს მამა ყოველთვის საყვედურობდა, ძაღლებისა და ვირთხების ჭერის გარდა, არაფერი გაინტერესებსო.

❖ ცნობილ რუს ქიმიკოს დიმიტრი მენდელეევს სკოლაში ქიმიაში სამიანზე მაღალი შეფასება არ მიუღია.

❖ როდესაც მეცნიერმა გილერმო მარკონიმ რადიოს გამოგონების შესახებ სამეგობრო წრეში განაცხადა, გიჟად მიიჩნიეს და ფსიქიატრთან კონსულტაციაზე წაიყვანეს.

❖ ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი ჟან პოლ სარტრი ირწმუნებოდა, ადამიანი ცხოველისგან მხოლოდ ერთადერთი რამით განსხვავდება — ცხოველს თავის მოკვლა არ შეუძლიაო.

❖ მე-18 საუკუნეში ერთმა ფრანგმა შექმნა მომსახურების სრულიად ახალი სისტემა — ფულის გადახდის შემთხვევაში ეტლებს კლიენტი ნებისმიერ ადგილზე მიჰყავდათ. ამ ახალ მომსახურებას, რომელმაც დასაბამი დაუდო დღევანდელ ტაქსის, ფიახტრი ერქვა.

❖ პირველი ოფიციალური სავიზიტო ბარათი საფრანგეთში გამოჩნდა მე-15 საუკუნის ბოლოს. აუცილებელ აქსესუარად კი ლუდოვიკო მე-15-ის მეფობის პერიოდში იქცა. ის ყველა დიდგვაროვანს ჰქონდა და მისი ფლობა საკმაოდ დიდ პრესტიჟად ითვლებოდა.

❖ ძველად პარიზს ლუტეცია ერქვა, ხოლო ავსტრიის დედაქალაქ ვენას — ეინდობონდი.

❖ აფრიკის კონტინენტზე 1000-ზე მეტ ენაზე საუბრობენ.

❖ ტაილანდში ჩანგლით ჭამა უზრდელობად ითვლებოდა.

❖ ყველაზე დაბალ ტემპერატურას არა თეთრი დათვი, არამედ პოლარული იხვები უძლებენ. მათ -110 გრადუსი სიცივის გადატანა შეუძლიათ.

❖ ფუტკარს ორი მუცელი აქვს, ერთი — ნექტრისთვის და მეორე — საკვებისთვის.

❖ პანდები ჩინეთის ტერიტორიაზე უკვე 3 მილიონი წელია ცხოვრობენ. ჩინელი იმპერატორები მათ უვლიდნენ და საიმპერატორო კარზე აცხოვრებდნენ ავი სულების დასაფრთხობად. პანდა ასევე სიმამაცის სიმბოლოდ ითვლებოდა.

❖ მსახიობმა ტონი კერტისმა, რომელმაც მერილინ მონროსთან ერთად ითამაშა ფილმში „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“, განაცხადა: „აკოცო მერილინს იგივეა, აკოცო ჰიტლერს“.

❖ ყველაზე ახალგაზრდა მსახიობი, რომელმაც ოსკარი მიიღო, შირლი ტემპლი გახლდათ. ამ ჯილდოს აღების დროს, 1934 წელს, ის 6 წლის იყო.

❖ ძველი ეგვიპტელები ოქროს მიიჩნევდნენ ღმერთების ნაწილებად, ამიტომ ამ ლითონს მხოლოდ ფარაონები ფლობდნენ.

❖ ძველი ბერძნები თვლიდნენ, რომ მუსიკა მითოლოგიურმა მომღერალმა და მუსიკოსმა ორფეოსმა გამოიგონა.

❖ ძველ საბერძნეთში ნორმალურ მოვლენად ითვლებოდა, თუ ადამიანი ქუჩაში სრულიად შიშველი ფიზიკურ ვარჯიშებს აკეთებდა.

❖ 6-7 თვის ასაკამდე ბავშვებს შეუძლიათ ერთდროულად ისუნთქონ და ყლაპონ. ზრდასრულებისთვის ეს წარმოუდგენელია.

❖ ადამიანების 70%-ს საკუთარი მოსაზრება არ გააჩნია და სხვებისას ენდობა, 30%-ს კი შეიძლება გააჩნდეს საკუთარი მოსაზრება.

❖ ადამიანი სარკეში საკუთარ გამოსახულებას 12 თვის ასაკიდან ცნობს.

❖ ბრიტანეთის უკანასკნელი კათოლიკე მეფე ჯეიმს II სტიუარტი გახლდათ (1685-1688 წ.წ). მას შემდეგ ბრიტანეთს კათოლიკე მეფე აღარ ჰყოლია.

❖ თანამედროვე ინგლისურ ენაში 540 ათასამდე სიტყვაა, 5-ჯერ მეტი, ვიდრე ცნობილ მწერალ უილიამ შექსპირის დროს იყო.

Cyan Magenta Yellow Black

შევარჩიოთ ნაოჭები

ნაოჭები ყველაზე ხშირად სახეზე ჩნდება. ეს სიბერის ხვედრია, მისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ მათი გაჩენის დროის გადაწევა და რაოდენობის შემცირება შესაძლებელია.

1. რაც უფრო მოძრავია სახე, მასზე ნაოჭები მით უფრო სწრაფად ჩნდება. მშვიდ ადამიანებს ნაოჭები ყოველთვის ნაკლები აქვთ, ვიდრე ნერვულ და ფეთქებად პირებს. შესაძლებლობის მიხედვით, თვალები ნაკლებად ახამხამეთ, ვინაიდან თვალების ირგვლივ „თათებს“ — წვრილ, განზე გამავალ ნაოჭებს აჩენს.

2. დაბანის შემდეგ სახე არასდროს შეიმშრალოთ პირსახოცით თვალებიდან ნიკაპისკენ (რასაც თითქმის ყველა აკეთებს). ეს ხელს უწყობს ცხვირიდან ტუჩების ბოლოებისკენ ორი ღრმა ნაკეცის გაჩენას. პირსახოცი ნიკაპიდან თვალებისკენ წაიღეთ.

3. კანი ნაოჭდება კოსმეტიკური საშუალებების ბოროტად გამოყენებისას. მათი არასწორი მოხმარება კანის ნაადრევ დაბერებას იწვევს.

4. ზოგჯერ გახდომის მოსურნე ქალები მკაცრ დიეტებს იცავენ და შიმშილობენ. შედეგად, ფიგურა მართლა თხელდება, სამაგიეროდ სახეზე მეტი ნაოჭი ჩნდება და თანაც დროზე ადრე. ამიტომ საჭიროა ზომიერების დაცვა, თავი გამოფიტვამდე არ უნდა მიიყვანოთ. მეტისმეტი სიმსუქნეც მავნეა, კანის ელასტიკურ ბოჭკოებს ჭიმავს და ნაოჭებს აჩენს.

არასწორია მოსაზრება, რომ კანის მოვლა ნაოჭების გაჩენის შემდეგ უნდა დაიწყოთ. კანის ტონუსისა და ახალგაზრდული შესახედაობის შენარჩუნებაზე ზრუნვას დაახლოებით 20 წლიდან უნდა შეუდგეთ.

კანის მოვლის მთავარი ფაქტორია კვება, რომელიც ნაადრევად დაბერებას თავიდან აგაცილებთ, მის მდგომარეობას გააუმჯობესებს, ელასტიკურობას შეუნარჩუნებს, ნაოჭების გაჩენას შეაფერხებს.

მკვებავი კრემის შერჩევისას ყურადღებით გაეცანით ანოტაციას და თქვენი ასაკი გაითვალისწინეთ. თუ ნაოჭები ახალგაზრდულ ასაკში გაჩნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ 30 წლის ზევით ქალებისთვის რეკომენდებული კრემები გამოიყენოთ. ნაოჭები შეიძლება მიმიკური ხასიათის იყოს ან სახის კანის არასწორად მოვლის შედეგად აღმოცენდეს.

მეტად სასარგებლოა ყოველდღიურად ან დღეგამოშვებით სახესა და ყელზე მკვებავი კრემი წაისვათ და ყბისქვეშა არეზე, ნიკაპიდან ყურებისკენ, თითების ზურგის მხრიდან მასაჟი გაიკეთოთ. კრემის წასმისას ასეთი მასაჟი ყელს ნაოჭებისა და ნაკეცებისგან დაიცავს და მთავარი — ღაბაბის წარმოქმნას (განსაკუთრებით ხანდაზმულობის დროს) თავიდან აგაცილებთ.

აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება მიმიკას. შუბლის შეჭმუხვნის, წარბების აქაჩვის ჩვევა ღრმა ნაოჭებს აჩენს. სიარულის დროს ფეხქვეშ არ იცქიროთ, ყოველთვის თავაწეულმა იარეთ. სწორი ხერხემალი ყელზე ნაოჭებისა და ღაბაბის წარმოქმნისგან დაგიცავთ.

სახე დიდხანს არ მიუშვიროთ მზის სხივებს, ვინაიდან ტენი იკარგება, რომელიც კანს ელასტიკურობასა და სირბილეს უნარჩუნებს.

ნაოჭების გასაქრობი შინაური ხერხები

ალოე ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ, 5 წილი წყალი დაუმატეთ და 1 საათი დადგით. შემდეგ ნაყენი 2-3 წუთი წამოადუღეთ და ორ ფენა მარლაში გაწურეთ. გამოიყენეთ სველი საფენის სახით.

თუ კანი მოჩვარულია და ნაოჭების წვრილი ბადითაა დაფარული, კარტოფილი კანიანად მოხარშეთ, დასრისეთ, ჩაის კოვზი არაჟანი დაუმატეთ და თბილი სახით კანზე დაიდეთ. 20 წუთის შემდეგ გრილი წყლით ჩამოიბანეთ. სველ კანზე ღამის მკვებავი კრემი წაისვით.

ლიმონი წვრილად დაჭერით, 1 ჭიქა არაყი დაასხით, 8-10 დღე დადგით. ნაყენში მარლა დაასველეთ და სახეზე დაიფინეთ. 15-20 წუთის შემდეგ ნიღაბი მოიცილეთ, მაგრამ სახე არ დაიბანოთ. ცხიმიანი კანის დროს ფორებს ავიწროებს და ნაოჭებს ასწორებს.

ათქვეფილ კვერცხის გულს 1 ჩაის კოვზი ყაბაყის წვენი დაუმატეთ. ნიღაბი სახეზე 15-20 წუთი დაიდეთ. შემდეგ ჯერ თბილ, შემდეგ ცივ წყალში დასველებული ბამბის ტამპონით მოიცილეთ.

კანის მოშვებულობის თავიდან ასაცილებლად სასარგებლოა ასეთი ნიღაბი: 2 სტაფილო გახეხეთ, რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი, 1 კვერცხის გული და ჩაის კოვზი მცენარეული ზეთი (ან ჩაის კოვზი შვრიის ფქვილი) დაუმატეთ. სახეზე 20-25 წუთი დაიდეთ, შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

როგორ დავეხმაროთ მგრძნობიარე კანს

კანის მომატებული მგრძნობელობა თანამედროვე ქალების უმეტესობის პრობლემაა. არასასურველი ეკოლოგი— ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც კანზე დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენენ. როგორ მოვუაროთ სწორად მგრძნობიარე კანს?

ასეთ კანს თხელი დამცავი ფენა აქვს და ყველა გარეგან ფაქტორზე ავადმყოფურად რეაგირებს. მგრძნობიარე კანის მფლობელებმა უნდა გამოიყენონ მეტი ვიტამინი, მარცვლეული, ციტრუსებისა და მატონიზირებელი სასმელების მიღება შეწყვიტონ. კანის მოვლის საშუალებები გულმოდგინედ უნდა შეარჩიონ, ყველა არ გამოადგებათ.

ნატურალური კომპონენტების შემცველი სილამაზის ხალხური საშუალებები კანზე სასიკეთოდ მოქმედებს და არ ვნებს.

დამამშვიდებელი ნიღაბი

1/2 ჭიქა უცხიმო ნაღებს 2 სუფრის კოვზი ნუშის ზეთი და 2 სუფრის კოვზი შვრიის ფქვილი დაუმატეთ. გასუფთავებულ სახეზე დაიდეთ და 15 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

ამ რეცეპტის კომპონენტები ძალიან კარგად ავსებენ ერთმანეთს. ნაღები მდიდარია A ვიტამინით, რომელიც კანის ეპიდერმისის დამცავი ფენის აღდგენას აჩქარებს. ნაღების ცხიმმჟავა კანს კარგად არბილებს და ამშვიდებს. შვრიის ფქვილი ფორებს კარგად ასუფთავებს, კანს სასარგებლო ნივთიერებების შესაწოვად ამზადებს. ზეითუნის ზეთი კანის წყლის ბალანსს არეგულირებს, გამოშრობისგან იცავს.

ხა უნდა ვიცოდეთ მგრძნობიარე კანის შესახებ

1. გახსოვდეთ, მგრძნობიარე კანზე უარყოფითად მოქმედებს: სიცივე და მზის პირდაპირი სხივები; სტრესი; მატონიზირებელი სასმელები — ყავა და მაგარი ჩაი.

2. მგრძნობიარე კანისთვის საშუალებები სწორად შეარჩიეთ. ისინი მოწონებული უნდა იყოს დერმატოლოგების მიერ. ალერგიულობაზე ტესტირება უნდა ჰქონდეთ გავლილი. უნდა შეიცავდეს როგორც დამარბილებელ (ცხიმმჟავებს, რომლებსაც შეიცავს რძის პროდუქტები და მცენარეული ზეთი), ასევე დამამშვიდებელ კომპონენტებს (ალანტოინს და ბისაბოლოლს).

3. გამოყენების წინ ამტანობაზე ტესტი ჩაიტარეთ. კრემი ყურის ნიჟარის უკან 3-5 დღის განმავლობაში წაისვით. თუ ქავილი, აქერცვლა ან წვა არ გამოვლინდა, საშუალება გამოიყენეთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

შეზღუდვები ორსულთათვის

ორსული და სამსახური —ფეხმძიმობა ავადმყოფობა არ არის და მომავალ დედას ნამდვილად არ ეკრძალება მუშაობა. მართალია, ორსულობის პირველ ეტაპზე შესაძლოა თავი იჩინოს გარკვეულმა ჩივილებმა (მაგალითად, ტოქსიკოზი), რომელთა ატანა ცოტა რთულია სამუშაო გარემოში, მაგრამ ეს არაა საბაბი, რომ მომავალმა დედამ სამსახურზე უარი თქვას, თუკი მუშაობის სურვილი აქვს. მოკლედ, თუ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაძლევთ საშუალებას, რომ იმუშაოთ, ამის გაკეთება თავისუფლად შეგიძლიათ.

ორსული და ავტომობილი — ბუნებრივია, მომავალი დედიკოსთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა ნაკლებად კომფორტულია. თუ საკუთარი ავტომობილი გყავთ, სანამ მუცლის ზომა საშუალებას მოგცემთ, შეგიძლიათ ისარგებლოთ, მაგრამ ფრთხილად და გაათმაგებული ყურადღებით.

ორსული და კამათი — ცნობილია, რომ ფეხმძიმე ქალები ხშირად არიან ჭირვეულები, გამოირჩევიან ხასიათის ცვალებადობით, ემოციურობით. ეს ზოგჯერ კამათისა და დავის საბაბი ხდება ცოლ-ქმარს, ოჯახის წევრებსა და მეგობრებს შორის. ყველამ უნდა გაითვალისწინოს მომავალი დედის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და არავითარ შემთხვევაში შევიდეს მასთან სერიოზულ კონფლიქტში. ზედმეტი ნერვიულობა მომავალი დედისა და ნაყოფისათვის არასახარბიელოა. ეცადეთ, ფეხმძიმემ რაც შეიძლება მეტი დადებითი მუხტი მიიღოს და მუდამ კარგ განწყობაზე იყოს.

ორსული და ცეკვა — თუ ამის სურვილი გაქვთ, რატომაც არა! ოღონდ, რა თქმა უნდა, გააჩნია ცეკვას და ილეთებს. ნებისმიერ შემთხვევაში მშვიდი და წყნარი ცეკვა მომავალი დედისთვის აბსოლუტურად უსაფრთხოა.

ორსული და ხმაურიანი წვეულება — დღესასწაულები, დაბადების დღეები და ხალხმრავლობა, როგორც წესი, ნაკლებად სასიამოვნო გარემოა ორსულისათვის და ეს ხშირად დისკომფორტს უქმნის. თუ თქვენთვის ასეთი გარემო სიამოვნების მომტანია, ამაში ცუდი არაფერია. უბრალოდ, წვეულებაზე ალკოჰოლი ნატურალური წვენით ჩაანაცვლეთ და ჭამის დროს ზომიერება შეინარჩუნეთ. დადებითი ემოცია კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორსულისთვის აუცილებელია.

ბოლოკი პატარების რაციონში

ბოლოკი გამორჩეულია თავისი სპეციფიკური გემოთი, წვნიანობითა და სიმჟავით. მისი ჭამა შეიძლება როგორც ცოცხლად, ისე სალათებსა და სხვა კერძებში. არაჟანთან, მაიონეზთან ან ზეითუნის ზეთთან შეზავებული სასარგებლოც არის და საოცრად გემრიელიც. ის უხდება საქონლისა და ქათმის მოხარშულ ხორცს, რომლებიც ჩვენი შვილებისათვის აუცილებელია.

ბოლოკი უხვად შეიცავს ცე და ბე ჯგუფის ვიტამინებს, უჯრედისს, ასევე ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც ხელს უწყობენ საკვების მონელებისა და გადამუშავების პროცესს. ბოლოკს ახასიათებს ანტისეპტიკური და ანტიბაქტერიული თვისებები, რაც კარგია გაციებასა და ვირუსებთან ბრძოლის პროცესში.

4 წლამდე ასაკის ბავშვების რაციონში ბოლოკის ჩართვა რეკომენდებული არ არის. შედარებით უფროსებისთვის შეგიძლიათ მისი გული გამოიყენოთ, მაგალითად, სალათის მომზადებისას. კარგია, თუ გახეხილ ბოლოკს შეურევთ ვაშლს, სტაფილოს და ბავშვს ისე მისცემთ.

ბავშვებს თხილეულის კნატუნზე უარს ნუ ეტყვით!

ევრ ქვეყანაში თხილეულს წარმატებისა და კეთილდღეობის სიმბოლოდ მიიჩნევენ. ის პატარებსაც და დიდებსაც ენერგიითა და მხნეობით მუხტავს. გაჯერებულია ვიტამინებითა და მიკროელემენტებით, ასევე რკინით, კალციუმით, კალიუმით, მაგნიუმით.

თხილეული შეიცავს მცენარეული წარმოშობის რთულ ცილებს და უჯერ მჟავებს. თხილეულის მირთმევით გავიძლიერებთ სისხლძარღვებს და თავიდან ავიცილებთ გულის დაავადებების განვითარების რისკს.

თხილეული არაჩვეულებრივი ანტიოქსიდანტური საშუალებაა და აუცილებელია კუნთებისა და ძვლების ზრდის პროცესში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვების, ორსულებისა და სპორტსმენებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ თხილი საკმაოდ მაღალკალორიული პროდუქტია, ის კარგი დამხმარეა ჭარბი წონის დასაკლებად. ასევე ეხმარება ცენტრალურ ნერვულ სისტემას ტონუსის მომატებაში, არეგულირებს თავის ტვინის ფუნქციას. კარგია, თუ თხილეულს ოხრახუშს ან ქინძს დაყოლებთ, რადგან ორგანიზმი ასე უკეთ შეითვისებს.

ნიგოზი — დიეტოლოგების აზრით, ყველაზე სასარგებლოა თხილეულიდან. მასში დაახლოებით 60% მცენარეული ცხიმია, 17% — ცილა და ნახშირწყლები, მაგრამ ნიგვზის მთავარი ღირსება მასში არსებული ნახევრადნაჯერი მჟავებია.

ნუში — მას მართლაც უნიკალური გემო აქვს. მდიდარია: ა, ე, ცე, ბე ვიტამინებით, იოდით, კობალტით, თუთიით, მარგანეცით. რკინის შემცველობით ნუში ბევრ ხილს იტოვებს უკან, ამიტომ კარგია, ის პატარების რაციონში ჩართოთ. აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს, გულის მუშაობას, სასარგებლოა კბილების, ძვლებისა და თმის ჯანმრთელობისთვის.

მიწის თხილი — მდიდარია ცილებით, ფოლიუმის მჟავით, ცხიმოვანი მჟავებით, უჯრედისით, იოლად შეთვისებადი შაქრით. ამინომჟავები კი მასში გაცილებით მეტია, ვიდრე რძესა და ხორცში. ამდენად, არც მიწის თხილის კნატუნზე უთხრათ უარი შვილებს. ბავშვებისთვის განსაკუთრებით ეფექტურია დაღლილობის, უძილობის დროს, ახდენს სმენის, მხედველობის გაუმჯობესებას.

გასათვალისწინებელია ერთი რამ — სიკეთის მიუხედავად, თხილეული ალერგიული პროდუქტია, ამიტომ ზომიერების დაცვა აუცილებელია.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

გოგა ბარბაქაძე პაატა გულიაშვილს „თანამდებობას“ ართმევს

ᲛᲘᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ გოგა ბარბაქაძე კოლეგის, პაატა გულიაშვილის ღირსეული მოწაფე გამოდგა — მასზე მეტ ღვინოსაც სვამს და მეგობარს თამადობაშიც ეცილება. ერთი ეგ არის, ანეკდოტების თქმა არ გამოსდის ისე კარგად, როგორც პაატას.

ორივენი რუსთაველის თეატრის მსახიობები არიან, ამიტომ დღის დიდ მონაკვეთს ერთად ატარებენ. დამღლელი სამუშაოს შემდეგ ქეიფი მათთვის განმუხტვის ყველაზე კარგი საშუალებაა. მათი ლოგიკით, სცენაზე რომ არ გამოიფიტონ, ყველაზე კარგი საშუალება ღვინოა და სულაც არ ანაღვლებთ, რომ ამ მამაკაცურ გატაცებას მათი ოჯახის ბიუჯეტი ეწირება. ორმა მეგობარმა ყველაზე დიდი ხალისით სწორედ ამ თემაზე ილაპარაკა. ჩვენი ინტერვიუ კი მათი დამეგობრების ისტორიით დავიწყეთ.

გოგა: მე და პაატამ რუსთავში სპექტაკლ „აჩრდილის“ რეპეტიციების დროს გავიცანით ერთმანეთი.

პაატა: მანამდე თეატრალური უნივერსიტეტიდან ვიცოდი, გოგა ვინ იყო.

გოგა: მაგრამ ჩვენი დაახლოება თეატრალურში კი არა, სწორედ იმ სპექტაკლზე მუშაობის დროს მოხდა. მერე რუსთაველის თეატრშიც ერთად აგვიყვანეს და მას შემდეგ დავმეგობრდით. ამასობაში გავიზარდეთ და კარგად გავიგეთ, რა არის ძმაკაცობა და უფრო მეტად დავძმაკაცდით.

პაატა: მე და გოგა ბევრ სიტუაციაში დავუდექით ერთმანეთს გვერდით. როცა მარტო ვრჩებოდი და ვფიქრობდი, იმ წუთში ვისთან ერთად ყოფნა გამიხარდებოდა, მაშინვე გოგას ვურეკავდი. ოჯახებითაც ვმეგობრობთ.

— რთულია, როცა მეგობარს შორდები. თქვენ თუ გამოგიცდიათ ასეთი იმედგაცრუება?

გოგა: ძალიან ცოტა მეგობარი მყავს დაკარგული. ვისაც ვერ ვუგებ, მათ საბოლოოდ ვშორდები. შეიძლება ისინი ვერც მიხვდნენ, რა მოხდა, მაგრამ მე მიჭირს ისეთ ადამიანთან ურთიერთობა, ვისაც ვერაფრით ვუგებ.

პაატა: სხვათა შორის, მამაკაცებში ეს არცთუ ისე იშვიათი შემთხვევაა. ისე მოხდა, რომ სტუდენტობის მეგობრებთან ჩემი გზები გაიყარა. ყველას ჩვენი ცხოვრება გვაქვს, ზოგი საზღვარგარეთ წავიდა და ურთიერთობა გაცივდა. შეიძლება ვიღაცეები თბილისშიც არიან, მაგრამ სამსახურების, ოჯახების გამო ერთმანეთისთვის დრო აღარ გვრჩება.

პაატა: „ის თვისებები, რაც მე მაჯერა, გოგაში მოქახბებულადაა, ეს ჩვენს ურთიერთობას აბალანსებს. გოგა მაზღვევს, რომ სისულელე არ ჩავიდინო“.

მათი ნახვა, რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, მაგრამ ის ურთიერთობა აღარაა, რაც წლების წინ იყო.

გოგა: მეც და პაატაც ყოველთვის მაქსიმუმს ვაკეთებთ, რომ მეგობარი არ დავკარგოთ. მაგრამ, თუ არ უნდათ, კარგად იყვნენ!

პაატა: ვინც მიცნობს, იცის, რომ მეგობარი ჩხუბით და შარით არ დამიკარგავს. ახლა ერთი ჩემი მეგობარი ბერი გახდა. მასთან ერთად გიტარაზე სერენადები მიმღერია, მაგრამ ახლა ანაფორა აცვია და როცა ვნახულობ, მამაო, დამლოცე-მეთქი, ვეუბნები.

— თქვენი მეგობრობა ჭარში თუა გამოცდილი?

■ პაატა და გოგა

„მთელი ჩვენს ჯამაგირს ჰესტოჰნებში ვტოვებთ“

პაატა: როცა მამაჩემი გარდაიცვალა, ჩვენმა მეგობრობამ ალბათ სწორედ მაშინ გაიდგა მყარად ფესვები, არც ერთი დღე მომშორებია გოგა გვერდიდან. ვიგრძენი, რომ ჩემი ტკივილი ძალიან სტკიოდა.

— თუმცა ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მაშინ გვეცლებიან მეგობრები, როდესაც ყველაზე ბედნიერები ვართ.

გოგა: კი, ასეც ხდება.

პაატა: ჩემი აზრით, როცა გტკივა, მაშინ უფრო გჭირდება ვიღაც გვერდით... შეიძლება ისეთი ბედნიერიც არ ვყოფილვარ, რომ მეგობრები შემომცლოდა გვერდიდან.

— საქმის გარდა, ბევრი რა ამყარებს თქვენს მეგობრობას?

პაატა: ბევრჯერ მიგრძვნია, რომ ის თვისებები, რაც მე მაკლია, გოგაში მოჭარბებულადაა, ეს ჩვენს ურთიერთობას აბალანსებს. როცა გადაწყვეტილებას ცხელ გულზე ვიღებ, გოგა მაზღვევს, რომ სისულელე არ ჩავიდინო. მის რჩევებს როცა დავუჯერე, ყოველთვის მოგებული დავრჩი.

გოგა: მეგობრობა წინასწარ ხომ არ იგეგმება? ეს ბუნებრივად უნდა მოხდეს. ანგარებით არასოდეს არავის დავძმაკაცებივარ, ამისგან ღმერთმა დამიფაროს! ვისაც ჩემზე მეტი ფული აქვს, ღმერთმა მისცეს! პაატას თამადობით ძალიან კარგი მეგობრები მყავს და ამით ბედნიერი ვარ.

— ამბობენ, თეატრში ნამდვილი მეგობრობა არ არსებობსო...

გოგა: ასე ვინც ამბობს, შეიძლება თავად აქვს მაგის პრობლემა. მე და პაატას ეგ არ გვეხება.

— ხომ შეიძლება ერთი და იგივე როლი ორივეს გინდოდეთ? კონკურენცია გარდაუვალია.

პაატა: ყველა მსახიობს უნდა კარგი როლი, მაგრამ ასე არ გამოდის. ჩვენ რეპეტიციებზე ერთმანეთს ვაკვირდებით და ვეუბნებით, რა როგორ ჯობს. ალბათ ასაკმა და გამოცდილებამაც მოიტანა, რომ სცენაზე მე და გოგას უთქმელად „აგვიკენწლავს“ რაღაც და კარგი გამოგვსვლია. მსახიობს გულღიაობა და სიმართლე თუ არ ახასიათებს, არაფერი გამოუვა.

გოგა: რუსთაველის თეატრში ყოველთვის ნაკლებადაა შუღლი. მახსოვს, ერთხელ გურამ საღარაძემ საგრიმიოროში დაგვიძახა და თეატრში ჩვენი მოსვლა ერთი ბოთლი არყით აღვნიშნეთ. ბატონი ჟანრი ლოლაშვილი, ტრისტან სარალიძე... ყველა კარგად შეგვხვდა. ბატონი ტრისტანის თაობას ჩვენი როლების როგორ უნდა შეშურდეს? ეს ხომ გამორიცხულია!

პაატა: მაესტრო რობერტ სტურუა თეატრში ძალიან მაგრად აბალანსებს სიტუაციას. ძალიან „დაგრუზულიც“ მოვსულვარ, მაგრამ აქ ისეთი ატმოსფეროა, მაშინვე ყველაფერი მავიწყდება.

— სპექტაკლების შემდეგ ალბათ არც მოლხენას იკლებთ.

პაატა: ბოლოს ერთად მოგვიწია კიევში გასტროლებზე წასვლა და იქ ჩვენსავით პატიოსნად არავინ მოქცეულა. ღამის 12 საათზე უკვე მაგარი მთვრალები ვიყავით, ოღონდ სასტუმროს ოთახში. სულ ძეგლებთან მაქვს სურათები გადაღებული. სტურუამ სასტუმროდან გარეთ თავი არ გამოგვაყოფინა და სხვა რა გზა გვქონდა? ბოლოს ძეგლს „ვაბამდი“ და რომ გამოვფხიზლდი, ისიც კაცის ძეგლი აღმოჩნდა!

გოგა: ბატონ რობერტს რაც ქეიფში ფული აქვს დახარჯული, მე და პაატას იმის ნახევარი რომ მოგვცა, ძალიან კარგად ვიქნებოდით. კიევშიც მაგარ რესტორანში წაგვიყვანა. წესად გვაქვს, რომ ყოველი სპექტაკლის შემდეგ

გოგა: „ჰობეჩტ სტეჩუას ჰაც ქეიფში ფული აქვს დახარჯული, მე და პაატას იმის ნახევარი ჰომ მოგვცა, ძალიან ჯარგად ვიქნებოდით“.

სადმე მივდივართ, აღვნიშნავთ, განვიხილავთ, ვლაპარაკობთ.

— საერთო მამაკაცური ჰობი, გატაცებები თუ გაქვთ მეგობრებს?

პაატა: გოგას ნადირობა ძალიან უყვარს. ერთხელ კახეთში ჩავედით, გოგა სანადიროდ გამოსაწყობად შევიდა ოთახში და რას ვხედავ — ცოტა ხანში გამხდარი რემბო გამოვიდა! ჩაუცვამს ბათინკები, შარვალი, გაუკეთებია ქამარი, შავი ზოლები სახეზე, მხარზე კი ახალი თოფი ჰქონდა გადაკიდებული. მე სიმსუქნის გამო მანქანაზე დავიბი თავი, რომ მოხნულ ყანაში არ გადავვარდნილიყავი. საოცარ დღეში აღმოვჩნდი. გოგასნაირი მსროლელი არ მინახავს, ყველაფერი ამან მოინადირა. ძალიან მაგარი დრო გავატარეთ. რა მიზეზები არ მოვიგონე უკან წამოსავლელად, მაგრამ მაინც მოგვიწია სადღაც ჩახუტებულებს ძილი.

გოგა: პაატას კომფორტი უყვარს.

პაატა: მე თუ კომფორტი არ მაქვს, წყლის შესხმა და რაღაც ელემენტარულის გაკეთება არ შემიძლია, წნევა მაღლა მიწევს. თუ ახლოს საავადმყოფო არ არის, უარეს დღეში ვვარდები. ამის გამო ჩემზე ძალიან ღადაობენ. როცა ვქეიფობთ, თამადობას მე ვიწყებ, მაგრამ ლიტრნახევრის დალევის შემდეგ გოგა ისე გადაიბარებს ხოლმე ჩემს საქმეს, არავის ეკითხება. ამიტომ წინასწარ ვიცი, რომ რამდენიმე ჭიქის შემდეგ თანამდებობა უნდა წამართვას. კარგი მსმელია, ტოლს არ მიდებს. კარგი ქეიფიც იცის. მე უკვე ვეღარ ვქაჩავ.

გოგა: სულ რომ სვამ, გბეზრდება კაცს.

პაატა: თუ სადმე კარგი საქეიფო ადგილია, გოგამ ყველა იცის. ბზობას დილაუთენია დამირეკა, ნატახტარში ერთი კარგი ადგილი

Cyan Magenta Yellow Black

ვიცი, იქ წავიდეთო და მართლაც ძალიან მაგარი სამზარეულო ჰქონდათ. სამმა კაცმა 12 ლიტრი ღვინო დავლიეთ.

გოგა: იმიტომ ვსვამთ, რომ დავთვრეთ, აბა, როგორ! კარგი პურისჭამა ორივეს გვიყვარს. ხშირ შემთხვევაში სპექტაკლი ძალიან გვიან მთავრდება და არსად წასვლის დრო არ არის.

— რესტორანში ალბათ გცნობენ კიდეც და სუფრიდან სუფრებზე გეპატიჟებიან.

პაატა: რესტორნებიდან ჯიბედაცარიელებულები გამოვდივართ. მთელ ჩვენს ჯამაგირს იქ ვტოვებთ, მაგრამ პატივს ნამდვილად გვცემენ.

გოგა: იმიტომ არა, რომ გვცნობენ,

პაატა: „ჰოცა მამაჩემი გაიდაიცვალა, ჩვენმა მეგობრობამ აიბათ სწორედ მაშინ გაიდგა მყარად ფესვები. ახლა ეთი დღე მომშორებია გოგა გვეიდიდან".

უბრალოდ კარგად ვიქცევით. ცნობადობით რომ გვაჭმევ-გვასმევდნენ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჭყეფს!

პაატა: ფიქრობენ, ამათ ფულის მეტი რა აქვთ, გამოვლენ სცენაზე, გაიღრიჯებიან და ხელფასებს იღებენო. დაიწყებენ ხოლმე, რამე ლექსი გვითხარითო. ყველაზე მეტად იმ ანეკდოტების მოსმენა მაგიჟებს, რომლებზეც მეუბნებიან, არ გეცოდინებაო და ამ დროს მე 12 წლის წინ ვყვებოდი. იძულებული ვხდები, ვიმსახიობო და სიცილით გადავბეჟირდე. დიდი ხანია ახალი ანეკდოტი აღარ გამიგია.

— გოგა, ანეკდოტებზე თქვენ როგორ ხართ?

გოგა: ანეკდოტებს, სახელებს და ნომრებს ვერ ვიმახსოვრებ. ბევრი ქუჩის სახელი მერევა, რამე ღირსშესანიშნავი ადგილით უნდა მიმახვედრო, სადაა.

პაატა: ერთხელ ატყდა, ბავშვობის მეგობრები ვიკრიბებით და ამოდი, ჩემთან ერთად იყავიო. რადგან უნდა დამელია, ტაქსით წავედი, მძღოლმა ის ქუჩა არ იცოდა. გოგამ ძლივს აგვიხსნა, სად უნდა მივსულიყავით. მანქანიდან რომ გადმოვედი, ავიხედე და ჩემ ზემოთ ანძა არ არის? ვუთხარი, ბიჭო, გეთქვა, ანძასთან მოდი, მთელ თბილისზე წრეები რატომ მარტყმევინე-მეთქი. იცით, რა მიპასუხა? უი, ეს კი არ დამინახავსო.

გოგა: არადა მთელი ბავშვობა იქ მაქვს გატარებული.

— როგორი სიმთვრალე გაქვთ?

გოგა: სიმთვრალეში ორივე ბუნჩულა ვართ.

პაატა: მაგრამ ვაღიაროთ, რომ ამ ბუნჩულა ხალხს სიმთვრალეში მაგრადაც გვიჩხუბია, ძმაო!

გოგა: მაშინ ღვინო არ ვარგოდა და რა ჩვენი ბრალი იყო? ძალიან მოგვიშალეს ნერვები, ჩვენ არაფერ შუაში ვყოფილვართ. სიმთვრალის გამო ჩხუბს არასოდეს ვიწყებთ.

პაატა: კაცები ვართ და ღირსება გაგვაჩნია, მაგრამ ძირითადად ყველა გვიღიმის. მართლა ძალიან ცუდი სიმთვრალე უნდა გვქონდეს, რომ ვიღაცას ავუშარდეთ, რატომ გვიცინიო.

— საქეიფოდ რომელ ღვინოს ირჩევთ?

გოგა: თითქმის ყოველთვის კახურს. ხანდახან იმერულს და ქართლის ღვინოსაც შემოგვაშველებენ, მაგრამ კახური საქეიფოდ ყველას სჯობს.

პაატა: იმერულ ღვინოზე გულძმარვა მემართება, თორემ კარგია. იმერულ ჰურმარილზე კახური ღვინო მისწრებაა.

— ამდენ ქეიფს მუშაობასთან როგორ უთავსებთ?

გოგა: ძალიან ბევრს ვმუშაობთ, ორივე რამდენიმე ადგილას ვართ დასაქმებული და ეს განტვირთვა რომ არ იყოს, ცუდ დღეში ვიქნებოდით.

პაატა: სპექტაკლის შემდეგ გამოფიტულები ვართ და ამ დროს ერთი ბოთლი ცივი ლუდი გემრიელად მიდის. გოგას განსაკუთრებულად უყვარს. არაყი არ მიყვარს, არასოდეს მინდება, გოგას კი კონიაკი ურჩევნია.

გოგა: კარგი კონიაკი ძვირია და ამიტომ მაგისი ფუფუნება არ გვაქვს. ერთხელ რაჭაშიც მოხდება ჩვენი შეხვედრა.

პაატა: გამორიცხულია! მაღალმთიან რეგიონებს ვერ ვიტან, მაშინვე ამიწევს წნევა. მეშინია, ქვემოთ დაგელოდებით და ზემოდან მესროლეთ ლობიანები. თელავში ჩემთანაც ხშირად ჩავდივართ.

— რა საახლოესია თქვენს ცხოვრებაში?

გოგა: გასტროლებზე მივდივართ თურქეთსა და ფინეთში. ჩემი ცოლი (მსახიობი მაია დობორჯგინიძე. ავტ.) ახალი სპექტაკლის დადგმას იწყებს და მე და პაატა ერთად ვითამაშებთ. ვნახოთ, რა გამოვა.

პაატა: მე „კომედი არხზე" სერიალში გადასაღებად დამიძახეს. ალბათ ეთერში მალე გავალთ. სერიალი ჩვენს ყოველდღიურობას ასახავს. სცენარი ძალიან მომწონს. გადაღებები მომენატრა.

— გოგა, სერიალმა „შუა ქალაქში" პოპულარობა კი მოგიტანათ, მაგრამ დათოს პერსონაჟისგან თავის დაღწევა აშკარად გაგიჭირდათ. როცა სერიალში მუშაობას თანხმდებით, ალბათ ფიქრობთ მის უარყოფით შედეგებზეც.

გოგა: ხალხს შეუძლია თეატრში მოვიდეს და აბსოლუტურად განსხვავებულ როლებში გვნახოს.

პაატა: ისტორიას რომ გადავხედოთ, ცნობილი მსახიობები კონკრეტული როლებით უყვარდებათ. გოგა „გლადიატორში" რომ ვნახე, იმდენად მომეწონა, სხვა როლში ვერ აღვიქვამ.

გოგა: საქართველოში უკუღმართად ხდება. გვეუბნებიან, ფილმში შენი გადაღება გვინდა, მაგრამ პოპულარული ხარო.

პაატა: მაგის გამო სულ ვღადაობ. გაცვეთილი სახე ხარო, გვეუბნებიან.

გოგა: არადა უცხოეთში ფილმების ბიუჯეტს სწორედ პოპულარული მსახიობები ავსებენ. ქართველი რეჟისორების ასეთი მიდგომა არანაირ ლოგიკაში არ ჯდება.

✓ ქეთი დინოშვილი

ბალოტელის სკანდალური დაპირება

იტალიის ეროვნული ნაკრებისა და „მილანის" სკანდალურად ცნობილმა თავდამსხმელმა მარიო ბალოტელიმ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალური მატჩის წინ მადრიდის „რეალსა" და დორტმუნდის „ბორუსიას" შორის, განაცხადა, რომ მეგობარ გოგონას უფლებას მისცემს, მადრიდელი კლუბის ყველა მოთამაშესთან გაატაროს ღამე, თუ სამეფო კლუბი ფინალში გასვლას მოახერხებს.

მარიო ბალოტელი

საბედნიეროდ, მას თავისი სიტყვის ასრულება არ მოუწევს. მართალია, სამეფო კლუბმა განმეორებით შეხვედრაში მეტოქის დამარცხება მოახერხა (2:0), მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ფინალში გასასვლელად, ვინაიდან პირველი მატჩი მადრიდელებს 3 ბურთის სხვაობით ჰქონდათ წაგებული.

„რეალს" მესამე გოლიც რომ გაეტანა, რასთანაც გუნდი ძალიან ახლოს იყო, საინტერესოა, მარიო მართლა შეასრულებდა თუ არა თავის სიტყვას. ისე კი, მისი ექსცენტრული ხასიათიდან გამომდინარე, ასეთი საქციელი სულაც არ იქნებოდა გასაკვირი.

დეკუ დოპინგის მიღებაში ამხილეს

ლონდონის „ჩელსისა" და „ბარსელონას" ყოფილი ფეხბურთელი, „პორტუს" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, ბრაზილიური წარმოშობის პორტუგალიელი მოთამაშე დეკუ დოპინგის მიღებაშია ეჭვმიტანილი. პორტუგალიის ნაკრების ყოფილ მოთამაშეს დისკვალიფიკაცია ემუქრება, თუ მას აკრძალული პრეპარატების მოხმარებაში ამხელენ.

დეკუ

დოპინგ-ტესტმა, რომელიც დეკუს ჩაუტარეს, დადებითი შედეგი აჩვენა — სპორტსმენის სისხლში აკრძალული პრეპარატი აღმოაჩინეს.

ეს შემთხვევა პირველი არ არის მსოფლიო სპორტისა და, კერძოდ, ფეხბურთის ისტორიაში. არც ისე დიდი ხნის წინ ლენს არმსტრონგის სახელი, რომელიც სპორტის სამაგალითო სახედ გახლდათ აღიარებული, ერთ წუთში არარაობად იქცა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არმსტრონგმა საქვეყნოდ აღიარა თავისი დანაშაული და ამით ოდნავ მაინც გამოისწორა შერცხვენილი სახელი.

დოპინგი სპორტის მუდმივ პრობლემას წარმოადგენს. ამას ვერც ფეხბურთი გაექცა. დოპინგი არის საშუალება, რომელიც სპორტსმენს იმ ზღვრის გადალახვაში ეხმარება, რაც ბუნებამ ადამიანს დაუდო. ის ეხმარება მაშინ, როდესაც ორგანიზმს დიდი შედეგების მიღწევის რესურსი აღარ გააჩნია. ამფეტამინი, ნანდროლონი, ერითროპოეტინი და ასთმის საწინააღმდეგო საქვეყნოდ ცნობილი წამლები სპორტსმენებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

როგორ გავხდეთ ბედნიერი!

ყველანი ბედნიერებას ვესწრაფით, მაგრამ ყოველთვის რაღაც ხელს გვიშლის — პრობლემები, მარცხი, წვრილმანი უსიამოვნებები. როგორ ვისწავლოთ ბედნიერების შეგრძნების გამომუშავება?

ბედნიერება აქ და ახლა

ზოგჯერ გვეჩვენება, რომ ბედნიერება ჩვენთან სულ ახლოა: „ცოტას კიდევ მოვითმენ (წონაში დავიკლებ, დიდ სიყვარულს შევხვდები), ბოლოს ყველაფერი კარგად იქნება“. სამწუხაროდ, ფიქრები იმაზე, რომ ბედნიერება სადღაც მომავალშია, დიდი და მზაკვარი ილუზიაა. თუ ბედნიერების შეგრძნება ახლა არ გაქვთ, არც მომავალში გექნებათ. შეამჩნიეთ ყველაფერი ნათელი და კარგი, რაც დღეს გაქვთ და ნახავთ, რამდენად ბევრი საბაბი გაქვთ, თავი ბედნიერად იგრძნოთ. ყველაფერი, რითაც საკუთარ ცხოვრებას ვავსებთ — მეგობრების არჩევა, საყვარელი საქმე, გატაცებები, მოგზაურობები, ურთიერთობები მათთან, ვინც ჩვენთვის ძვირფასია და მზად არის, თავისი დრო ჩვენზე დაუნანებლად დახარჯოს — სწორედ ეს არის ბედნიერება.

ბედნიერება დეტალებში

ბევრი ადამიანი ელოდება, რომ „ბედნიერება“ უცბათ ციდან ჩამოცვივა, ამიტომ მას ეძებენ გლობალურ მოვლენებსა და ფანტასტიკურ მდგომარეობებში — გასაგიჟებელ სიყვარულში, მუდმივად ბედის წყალობაში, მიღწევებში, პრობლემების არქონაში. ეს არის ხაფანგი. შეიძლება იოცნებოთ და ვერასდროს მიაღწიოთ, სამაგიეროდ შეიძლება ერთი შეძლებისდაგვარი მიზნისკენ იმოძრაოთ და მცირე, მაგრამ რეალური გამარჯვება მოიპოვოთ.

ჩვენი არსებობა მოვლენების მუდმივი მონაცვლეობაა. არ არსებობს წარმატება მარცხის გარეშე. არ შეიძლება მხოლოდ სულ გვიხაროდეს და არასდროს ვტიროდეთ. ბედნიერება — ეს არ არის პრობლემებისა და უსიამოვნებების არარსებობა. ისინი ყველას აქვს. მთავარი ისაა, როგორ აღვიქვათ ისინი — როგორც საკუთარი უიღბლობის მაჩვენებელი, თუ როგორც ახალი ცხოვრებისეული გამოცდილება. ის ყოველთვის სასიხარულო და სასიამოვნო არ არის, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მეტად ფასეულია. გამოცდილება გვეხმარება შეცდომების გაცნობიერებაში, რომ ისინი აღარ გავიმეოროთ, გავიზარდოთ და რაღაც ახალი ვისწავლოთ. ნებისმიერი გამოცდილება რაღაცას გვაძლევს, რაღაცით გვამდიდრებს. მაგალითად, თუ დღეს მაღაზიაში ანგარიშში მოგატყუეს, ხვალ უფრო ყურადღებით იქნებით. თუ სამუშაოზე საწყენი შეცდომა დაუშვით, მაშასადამე, შემდეგში მას უკვე აღარ გააკეთებთ.

ბედნიერება თავად თქვენშია

ბედნიერების, ისევე როგორც თავის რწმენის, შეგრძნების გარედან მიღება შეუძლებელია. არავის შეუძლია, სხვა ბედნიერი გახადოს. ბედნიერება მხოლოდ შიგნიდან „იზრდება“. შინაგანი კომფორტი და ჰარმონია რომ იგრძნოთ, საკუთარი თავი ისეთი მიიღეთ, როგორიც ხართ. ისწავლეთ შინაგანად არამხოლოდ თავის დადანაშაულება, ასევე დაცვაც. შეცდომების დაშვების ნუ შეგეშინდებათ და ეცადეთ, პირადად თქვენთვის ყოველდღიურად რაღაც გააკეთოთ. ადამიანს ბედნიერს ხდის არა გარემოებები, არამედ ნიჭი და უნარი, სიხარული განიცადოს იმით, რაც აქვს. ამიტომ ბედნიერებას ნუ გამოედევნებით. ის ყოველთვის თქვენშია.

ბედნიერება ყველას ხვედრია

ბევრი იმ განწყობით ცხოვრობს, რომ ბედნიერება ძნელად მისაღწევია, ის უნდა „დაიმსახურო“, „სიმწრით მოიპოვო“, რომ ადამიანს უბრალოდ არ ეძლევა. ეს არასწორია. ცხოვრებაში ყველაზე კარგი რაც არის — ღიმილი, კოცნა, ჩახუტება, სიცილი, კარგი მოგონებები, ურთიერთობები, შეხვედრები — შეგვიძლია უსასყიდლოდ, ე.ი. მუქთად მივიღოთ. ბედნიერების არავითარი გასაღები არ არსებობს — კარი მუდამ ღიაა.

რა უნდა გავაკეთოთ, თავი ბედნიერად რომ ვიგრძნოთ?

იზრუნეთ თავზე, მოუსმინეთ მას და სულის მოთხოვნილებები დააკმაყოფილეთ.

დაინახეთ ყველაფერი კარგი, რაც ცხოვრებაშია (და ამისთვის სამყაროს მადლობა გადაუხადეთ).

შეკრიბეთ სირთულეების დაძლევის ბრძნული საშუალებები.

პოზიტიურად იაზროვნეთ, მაგრამ მთავარი — ცხოვრებით ტკბობა ისწავლეთ, რეალური ცხოვრებით და არა იმით, რომელსაც ოცნებებში ხედავთ და „მოსახვევის“ იქით ელოდებით.

ტოროლებისა და ბუების ჰარმონიული თანაცხოვრება

როგორ გამხნევდნენ ტოროლები?

როგორც წესი, დილით ადრე დგებიან, სამაგიეროდ სადილისთვის უკვე თვლემას ებრძვიან. როგორ ააწყონ თავიანთი დღე, სამუშაოზე თავის კანტურს რომ არ მოჰყვნენ და დღის ბოლომდე პროდუქტიულები და ენერგიულები დარჩნენ?

ძილი. ტოროლები ადვილად იძინებენ.

გამოფხიზლება. მათი ტვინი ყველაზე აქტიურია დილის 9 საათზე. დილის 6 საათზე საწოლიდან ადვილად დგებიან. მათთვის უმჯობესია დილიდან მწვანე ჩაი, რომელიც ამხნევებს და ზედმეტად არ აღაგზნებს, როგორც ყავა. ტოროლას ორგანიზმი დილიდანვე ითხოვს ენერგიას — კალორიულ საუზმეს.

სამუშაო დღე. ინტელექტუალური აქტივობის პირველი პიკი 9-13 საათზე მოდის, მეორე — 16 საათზე. მუშაობის დროს თვლემა რომ არ მოერიოთ, უნდა დალიონ მაგარი ლიმონიანი ჩაი ან მორსი.

თავისუფალი დრო. მეგობრებთან გვიანობამდე ჯდომა ტოროლასთვის ნამდვილი

გამოცდაა. ღამით არ ჭამოთ, მსუყე ვახშამი დაძინებას ხელს უშლის.

როგორ გაიღვიძოს ბუმ?

გამოკითხვის მონაცემებით, ადამიანთა უმეტესობას ბუები შეადგენენ. თუმცა საზოგადოება ტოროლების გრაფიკით ცხოვრობს, ვინაიდან სამუშაო 9-10 საათზე იწყება. როგორ იცხოვრონ ბუებმა ტოროლების სამყაროში?

ძილი. დილა საღამოდან დაგეგმეთ. განსაზღვრეთ, რამდენი დრო დაგჭირდებათ გამოსაძინებლად. მაშინ დაადგენთ საათს, როდის დაიძინოთ. ყველაფერი აუცილებელი წინასწარ მოამზადეთ, საჭირო ნივთების ძებნაში დილით აქეთ-იქით რომ არ ირბინოთ.

გამოფხიზლება. დაგეხმარებათ მაღვიძარა მელოდიის მზარდი ხმით — თავიდან აგაცილებთ სტრესს. როგორც კი გაიღვიძებთ, მაშინვე ადექით. სხვაგვარად შეიძლება ისევ დაგეძინოთ და სამუშაოზე დაიგვიანებთ. საუზმეს შეუდექით დავარცხნილი და სამუშაო სამოსში გამოწყობილი.

სამუშაო დღე. ბუ ყველაზე აქტიურია 13-14 საათზე, 18-20 საათზე და 23 საათიდან ღამის პირველ საათამდე.

კვება. ბევრი ბუ ჩივის, რომ დილით ჭამა არ შეუძლიათ. თავს ძალას ნუ დაატანთ. დილას საკმარისია რაიმე ცხელი დალიოთ, ხოლო საუზმე 11 საათზე გადასწიოთ. ივახშმეთ 21 საათზე იმ პირობით, რომ დასაძინებლად შუაღამეს დაწვებით.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

გენები თუ სიზარმაცე – რატომ არ ქრება კილოგრამები

ასურველი ფიგურის მიღწევაში ხშირად ხელს გვიშლის სტერეოტიპები და არასწორი ფსიქოლოგიური მითითებები. როგორ დავძლიოთ ისინი?

სტერეოტიპი: თუ ოჯახის ყველა წევრი მსუქანია, მაშასადამე, მემკვიდრეობა ცუდია და გახდომის მცდელობა უსარგებლოა.

სინამდვილე: ბევრ შემთხვევაში სიმსუქნე, რომელიც თაობიდან თაობაში გადადის, დაკავშირებულია არა გენეტიკასთან, არამედ ცხოვრების წესთან, რომელსაც ოჯახი იცავს. როგორც წესი, იქ უპირატესობას ანიჭებენ ცხიმიანს, მსუყე კერძებს, ბევრს მიირთმევენ, თავისუფალი დროის დივანზე გატარება უყვართ. სწორედ ზედმეტის ჭამა და უმოძრაობა იწვევს წონის აკრეფას. ასეთ ოჯახებში ბავშვები მოზარდობის ასაკშივე მსუქნები არიან. და უკვე ზრდასრულები „ტრადიციას“ თავიანთ ახალ ოჯახში აგრძელებენ.

ასეთ შემთხვევაში წონაში დაკლება შეიძლება, თუ კვებასთან დაკავშირებულ მავნე ჩვევებს დაგმობთ. რადიკალურად მოქმედება არ ღირს, თანდათან შეიცვალეთ. დასაწყისში მენიუში გაზარდეთ ბოსტნეულის რაოდენობა და ცხიმიანი პროდუქტების (სალა, მაიონეზი, სქელი სოუსები, ძეხვეული) მოხმარება მინიმუმამდე შეამცირეთ. შეწვის მაგივრად კერძები ორთქლზე მოამზადეთ ან მოშუშეთ.

სტერეოტიპი: თუ ადამიანი გახდომას რამდენჯერმე შეეცადა, მაგრამ ჩაეშალა, მაშასადამე, ნებისყოფა არ აქვს და წარმატებას ვერ მიაღწევს.

სინამდვილე: ბევრი დიეტოლოგის დაკვირვებით, დიეტების ჩაშლა სულაც არ არის განპირობებული ნებისყოფის არქონით. უბრალოდ, გახდომის მსურველი თავს მეტად მძიმე ჩარჩოებში აქცევს. ყოველდღიური წვრთნები, მშიერი დიეტები, უმკაცრესი აკრძალვები ტკბილზე, პურზე, ცხიმიანსა და მარილიანზე ასკეტურ თავგანწირვას აიძულებს. ხოლო ნებაყოფლობითი თავშეკავება შესაძლებელია მხოლოდ მოკლე დროში — ერთი-ორი კვირა. ამ დროის ზევით დიეტის ჩაშლა გარდაუვალია განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში, როდესაც საკვები ყველგან ხელმისაწვდომია. თავის დატანჯვა საჭირო არ არის. შეარჩიეთ ისეთი რაციონი, რომელსაც მთელი ცხოვრება ადვილად მიჰყვებით. მენიუში აუცილებლად უნდა შედიოდეს ყველა ჯგუფის პროდუქტი: ბოსტნეული და ხილი, მარცვლეული, რძის პროდუქტები, ხორცი და თევზი. არ ღირს ტკბილზე სამუდამოდ უარის თქმა. უბრალოდ ცოტა მიირთვით ძირითადი კვების შემდეგ და არა მის მაგივრად. აუცილებლად ჭამეთ სიამოვნებით. ეს დანაყრებას უზრუნველყოფს. რაც მთავარია, საჭმლისგან მორალურ დაკმაყოფილებას მიიღებთ.

სტერეოტიპი: წონაში რომ დაიკლოთ, სპორტდარბაზში რეგულარულად უნდა იაროთ. თუ მუშაობთ, ამისთვის დრო არ დაგრჩებათ.

სინამდვილე: ფიგურას დრო რომ დაუთმოთ, ამისთვის გეყოფათ თუ არა დრო, ეს პრიორიტეტების საკითხია. ძალიან ხშირად ადამიანი ათ წუთს პოულობს იმისთვის, რომ კოლეგებთან ჩაი ან ყავა დალიოს, მაგრამ იმდენივე დროს ვერ გამონახავს, ავტობუსის ერთი გაჩერება ფეხით რომ გაიაროს. სოციალურ ქსელში „ჯდომას“ ასწრებს, მაგრამ არ შეუძლია გრაფიკში მოკლე გასეირნება შეიტანოს. საღამოს ერთ საათს სერიალის ყურებას უთმობს, მაგრამ სახლში ვარჯიშისთვის დროს ვერ პოულობს. თუ გახდომა გსურთ, გააანალიზეთ, დროს რაზე ფლანგავთ. შეადგინეთ დღიური, ჩაწერეთ, რა გააკეთეთ და რამდენი დრო დაუთმეთ. ეს დაგეხმარებათ შეაფასოთ, რომელ საქმეზე შეგიძლიათ დროებით უარი თქვათ და ის ფიგურისთვის სასარგებლო ღონისძიებებით შეცვალოთ.

სტერეოტიპი: მსუქან ადამიანებს ნივთიერებათა ცვლა დარღვეული აქვთ. ასე რომ, დიეტა და ვარჯიში ბევრს არაფერს მისცემთ.

სინამდვილე: გაცვლითი დაავადებებით (მეტაბოლური სინდრომი, შაქრიანი დიაბეტი, ჰიპოფიზისა და ფარისებური ჯირკვლის მუშაობაში დარღვევები) განპირობებული სიმსუქნე მხოლოდ შემთხვევათა 5%-ში გვხვდება. ჯანმრთელი ადამიანი წონაში იმატებს არა ნივთიერებათა ცვლის პრობლემების გამო, არამედ არასაკმარისი ფიზიკური დატვირთვისა და ზედმეტის ჭამის შედეგად. ყოველი ჩვენგანის ორგანიზმი ენერგიას სხვადასხვაგვარად ხარჯავს — ვიღაც სწრაფად კარგავს ცხიმის დეპოს, სხვა — კუნთურ ქსოვილს. მაგრამ, როგორც წესი, გაცვლითი პროცესების სიჩქარე ყველას ორგანიზმში საკმარისია იმისთვის, რომ სწორი კვებისა და ფიზიკური აქტივობის ფონზე წონა თანდათან შემცირდეს.

ავიტამინოზი — როგორ შევივსოთ ვიტამინების დეფიციტი

თუ ხშირად სევდა გიპყრობთ, ძალის გამოლევას გრძნობთ და ხშირად ცივდებით, მაშასადამე, ვიტამინები გაკლიათ. პირველ რიგში, ვიტამინების დეფიციტით იტანჯებიან ადამიანები, რომლებსაც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები აწუხებთ ან ნივთიერებათა ცვლა დარღვეული აქვთ. ასეთი დაავადებების დროს მკვებავი კომპონენტების შეთვისება ირღვევა.

A ვიტამინის ნაკლებობის ნიშნები: კანი შრება და უხეშდება, იქერცლება, ტუჩის ბოლოებში ნახეთქები ჩნდება. ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარი ეცემა, ხშირად ცივდებით. მხედველობის სიმახვილე ქვეითდება, თვალების წინ ათინათი ჩნდება.

რჩევა: A ვიტამინის ნაკლებობის დროს ექიმები თევზის ქონს ნიშნავენ. პროდუქტებიდან რეკომენდებულია: ღვიძლი, სტაფილო, გარგარის ჩირი, კარაქი, ყველი კვერცხი, რძე, არაჟანი, ნაღები.

B ჯგუფის ვიტამინების ნაკლებობის ნიშნები: დაღლა, თავის ტკივილი, უგუნებობა, გულმავიწყობა, ყაბზობა, დერმატიტი, გამონაყარი, ქერტლი.

რჩევა: აფთიაქში შეიძინეთ ვიტამინური კომპლექსი, რომელშიB ჯგუფის ვიტამინები ყველაზე სრულად არის წარმოდგენილი. რაციონში ჩართეთ ხაჭო, ზღვის კომბოსტო, ბრინჯი, მწვანე ფოთლოვანი ბოსტნეული, ბანანი, თევზი, ყველი, ხორცი.

C ვიტამინის ნაკლებობის ნიშნები: ღრძილებიდან სისხლდენა, სხეულზე ჩალურჯებები, კანის სიფერმკრთალე და სიმშრალე, ინფექციების მიმართ წინააღმდეგობის დაქვეითება.

რჩევა: მენიუში შეიტანეთ შტოში, ასკილი, ციტრუსები, ვაშლი, შავი მოცხარი, კომბოსტო, ჭარხალი, ხახვი, ბარდა, წითელი წიწაკა, ქორფა მწვანილი.

D ვიტამინის დეფიციტის ნიშნები: უძილობა, პირსა და ყელში წვა, მხედველობის გაუარესება, დიარეა, ნაკაწრებისა და ჭრილობების ხანგრძლივი მოუშუშებლობა.

რჩევა: გამოიყენეთ კვერცხი, ღვიძლი, ცხიმიანი თევზი, რძე, ნაღები, არაჟანი.

E ვიტამინის ნაკლებობის ნიშნები: მომატებული ნევროზულობა, კუნთების სპაზმები, ხელებსა და ფეხებზე პიგმენტური ლაქები. ეს ვიტამინი აუცილებელია სწორი ნივთიერებათა ცვლისთვის, ორგანიზმის ანტიმჟანგავური აქტივობის ასამაღლებლად. ამიტომ მისი დეფიციტის დროს დაბერების პროცესი ჩქარდება.

რჩევა: გამოიყენეთ გაღვივებული მარცვლეული, გაუთლელი ბრინჯი, ბარდა, ნუში, არაქისი, არარაფინირებული მცენარეული ზეთი.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ჰონგ კონგში გიგანტური იხვი გამოჩნდა

ჰონგ კონგის ნავსადგურში 19 მეტრიანი რეზინის გასაბერი იხვი გამოჩნდა, რომელიც 2007 წლიდან მოყოლებული მოგზაურობს მსოფლიოს გარშემო. ჰოლანდიელი ხელოვანის, ფლორენტის ჰოფმანის ეს ქმნილება უფრო და უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოში. ჰოფმანი ცნობილია საბავშვო სათამაშოების დიდი ანალოგების შექმნით. ამ შემთხვევაში მისი მუზა პირველი შვილის სათამაშო — რეზინის იხვი გახდა.

ჰოფმანი გიგანტური რეზინის იხვით უკვე ათეულობით ქალაქს ესტუმრა მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე. ბოლო ქალაქი კი ჰონგ კონგი გახლავთ, სადაც იხვს დიდი დახვედრა მოუწყვეს. იხვი ჰონგ კონგის პორტს რამდენიმე დღეში დატოვებს.

ტერანგი, ომელესაც გახეცხვა-დაუთოება ახ სჭიდება

ქსოვილების კომპანია „ვულ ენდ პრინსის“ დამფუძნებელმა, ამერიკელმა მარკ ბიშოპმა, მეგობრებთან, კეიტი ელკსთან და მაიკლ მაჟორთან ერთად პერანგი შექმნა, რომელიც 100 დღიანი ხმარების შემთხვევაში გაუთოებასა და გარეცხვას არ საჭიროებს.

პერანგი მატყლისაა, არ იჭმუჭნება და რაც მთავარია, ოფლის სუნს შთანთქავს. ბიშოპმა ექსპერიმენტი უკვე ჩაატარა, მას პერანგი წვიმაში თუ ქარში 100 დღის განმავლობაში ეცვა და ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ გაურეცხავს და გაუუთოებია.

მარკის გათვლით, პერანგის გაყიდვიდან მიღებული მოგება 30.000 დოლარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოგებამ 278.000 დოლარი შეადგინა. აღებული თანხით კომპანია სხვადასხვა ფერისა და სტილის პერანგების შეკერვას გეგმავს, მაგრამ ტექნოლოგიის საიდუმლოების გამხელას არ აპირებენ. ახალი მოდელები გასაყიდად დეკემბრის ბოლოს გამოვა და, სავარაუდოდ, საცალო ფასი 98 დოლარი იქნება.

კაცი ტარაკნებით იკვებება

შოტლანდიაში მცხოვრები 63 წლის რობი მაკელტოში ტარაკნებით იკვებება. რობიმ მათი დაგემოვნება 5 წლის წინ დაიწყო. იმ პერიოდში მისი მეუღლე რამდენიმე დღით მივლინებაში იყო წასული, რაც სახლის სისუფთავეზე ისე აისახა, რომ დილით ტელევიზორის ყურებაში გართულმა რობიმ საუზმეს ტარაკანი შეაყოლა.

რობის თუ დავუჯერებთ, მსგავსი არომატული რამ არასოდეს გაუსინჯავს და გადაწყვიტა, კიდევ დაეგემოვნებინა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ასე ძალიან სწორედ ტარაკნის გემო მოეწონა.

ტარაკნების მოყვარულმა ისე გაითქვა სახელი, რომ თუ ვინმეს ეს დაუპატიჟებელი სტუმრები შეწუხებს, რობის ეძახიან და თან გასამრჯელოსაც უხდიან.

სადილი ღრუბლებში

იაპონიაში, კუნძულ ჰოკაიდოზე, მაღალ მთაზე, მდებარეობს ტერასა, სახელწოდებით „ღრუბლების ზღვა“. იქ მსურველები საბაგიროთი ადიან და ამაში 20 დოლარს იხდიან. ტერასა უამრავ ტურისტს იზიდავს, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ზაფხულობით იხსნება. ადმინისტრაცია სტუმრებს სადილითა და გემრიელი ყავით უმასპინძლდება.

ადგილობრივები სტუმრებს მზიან ამინდში მისვლას ურჩევენ, რადგან სხვა შემთხვევაში ტერიტორია ნისლითაა დაფარული და ასეთ პირობებში გადაადგილებაც კი შეუძლებელი ხდება.

კაცი, რომელსაც არასოდეს არაფერი ავიწყდება

ლოს ანჯელესში მცხოვრებ 58 წლის ბობ პოტრელს არამარტო ყველა მნიშვნელოვანი თარიღი და ტელეფონის ნომერი ახსოვს, არამედ ბოლო 53 წლის განმავლობაში მოსმენილი ყველა საუბრის შინაარსი, ასევე ყველა საფეხბურთო მატჩის ანგარიში, რაც კი უნახავს.

ასეთი მახსოვრობის ნიჭი ბობმა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას აღმოაჩინა. ტექსტის ერთხელ წაკითხვისას ის ზუსტად იმახსოვრებდა თითქმის რამდენიმე გვერდს ერთად. ბობი აცხადებს, რომ ამ ნიჭს დიდხანს ასაიდუმლოებდა, რომ გარშემომყოფებს მატყუარა არ ჰგონებოდათ. ეს საოცარი ადამიანი კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევრებმა მხოლოდ რამდენიმე თვის წინ აღმოაჩინეს.

Cyan Magenta Yellow Black

საქორწინო კაბა განქორწინების დოკუმენტებით

ინგლისის სამხრეთით მდებარე სარეის საგრაფოში მცხოვრებმა 15 წლის დემი ბარსმა საოცნებო საპატარძლო კაბა

განქორწინების დოკუმენტებით შეკერა. გოგონას ამისათვის ზუსტად 15.000 განქორწინების ქაღალდი დასჭირდა. სამუშაოს დასრულებისთანავე კი კაბის ფოტოსურათი „ფეისბუქში“ საკუთარ გვერდზე ატვირთა, რათა იტალიაში მცხოვრები ბიძაშვილისთვის თავისი ნახელავი ეჩვენებინა.

კაბას საოცარი გამოხმაურება მოჰყვა — 1 საათში სურათი 40.000 ადამიანმა ნახა. ნორჩმა დიზაინერმა კი მომავალი პატარძლებისაგან უამრავი შეკვეთა მიიღო.

კვერცხი 45.000 დოლარად

„კრისტის“ აუქციონზე მსოფლიოში ყველაზე დიდი კვერცხი 45.000 დოლარად გაიყიდა. მისი სიმაღლე 30,5 სანტიმეტრია, სიგანე კი 20 სანტიმეტრი. მკვლევრების მტკიცებით, ეს დედამიწის არსებობის ისტორიაში ყველაზე დიდი კვერცხია და ის კუნძულ მადაგასკარზე მცხოვრებ გიგანტურ ფრინველს ეკუთვნის, რომელიც გარეგნულად სირაქლემას ჰგავდა, ოღონდ მისი სიმაღლე 5 მეტრს აღწევდა.

მეცნიერთა აზრით, ეს ფრინველი მე-13-17 საუკუნეებში გადაშენდა. არქეოლოგებმა გაქვავებული კვერცხი მე-20 საუკუნის დასაწყისში აღმოაჩინეს, აუქციონზე კი ახლახან გაიტანეს. ექსპერტთა მტკიცებით, სინამდვილეში მისი ფასი ბევრად მეტია.

დინოზავრი ბუშტებით

ამერიკელმა ხელოვანმა ლარი მორისმა საჰაერო ბუშტებით 6 მეტრიანი დინოზავრი შექმნა, რომელიც რეალურს ისე

ჰგავს, რომ ის ვირჯინიის შტატში ბუნების ისტორიის მუზეუმში განათავსეს.

ბუშტების დინოზავრის შესაქმნელად ლარის ზუსტად 4 დღე და რამდენიმე მეგობარი დასჭირდა. დინოზავრის სანახავად მუზეუმს ყოველდღიურად ათჯერ მეტი მნახველი სტუმრობს, ვიდრე მანამდე.

მოდელი ფრანგულ თოჯინას დაემსგავსა

იაპონელი მოდელი ვანილა ჩამუ ცოტა ხნის წინ ინტერნეტ-სენსაციად იქცა. მან დაახლოებით 100.000 დოლარი დახარჯა პლასტიკურ ოპერაციებში, რომელთა წყალობითაც ფრანგულ თოჯინას დაემსგავსა. ვანილას განცხადებით, ეს მისი ცხოვრების მთავარი მიზანი იყო.

ვანილა უახლოეს მომავალშიც აპირებს პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას, ამჯერად — სიმაღლეში მოსამატებლად. მოდელი, რომელიც ასაკს მკაცრად ასაიდუმლოებს, აცხადებს, რომ პირველი პლასტიკური ოპერაცია 19 წლისამ გაიკეთა. ამჯამად ვანილა ჩამუ იაპონიაში ყველაზე პოპულარული მოდელი და მომღერალია.

ეს იცოდით?

- როდესაც მაჯის საათის რეკლამას უჩვენებენ, მასზე ყოველთვის 10:10 საათია. ეს უბრალოდ სარეკლამო ატრიბუტია და ღიმილს განასახიერებს.
- ჟურნალი „ლაივი“ პირველი გამოცემა იყო, რომელმაც წელიწადში 100 მილიონი დოლარი გამოიმუშავა რეკლამებით.
- პოკერის თამაშს საფუძველი ევროპაში ჩაეყარა.

მსოფლიოში ყველაზე ხმამაღლა მყეფარი ძაღლი

ავსტრალიაში მცხოვრები 6 წლის ძაღლი, სახელად ჩარლი, ყველაზე მაღალ ხმაზე ყეფს და გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნშიც სწორედ ამ ტიტულით შევიდა. ჩარლი იშვიათად ყეფს, მაგრამ თუ დაიწყებს, გარშემომყოფებს სხვა აღარაფერი ესმით.

ვეტერინარების თქმით, ჩარლის ყეფა ვერტმფრენის ხმაურზე უფრო მაღალია და 113,1 დეციბელის ტოლია.

Cyan Magenta Yellow Black

განსაზღვრეთ თქვენი ფსიქოლოგიური ასაკი

თუ ტესტის შეკითხვას აბსოლუტურად ეთანხმებით, დაიწერეთ 4 ქულა, თუ ნაწილობრივ — 3 ქულა, თუ იშვიათად — 2 ქულა, თუ საერთოდ არ ეთანხმებით — 1 ქულა.

1. ფიქრობთ, რომ კარგი იუმორი გაქვთ.
2. ინტუიცია არასოდეს გღალატობთ, ყოველთვის გესმით, რას გულისხმობს საუბრისას ადამიანი.
3. იმედი გაქვთ, რომ მომავალში ბევრი კარგი რამ გელოდებათ.
4. თვლით, რომ ადამიანებს თქვენთან ურთიერთობა სიამოვნებთ.
5. თქვენთვის შეიძლება მოსაწონი იყოს ისეთი ადამიანიც კი, რომელსაც აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულებები აქვს.
6. გიყვართ ბავშვები.
7. გიყვართ რთული პრობლემების გადაჭრა.
8. როცა რაიმე საქმის წამოწყებას აპირებთ, ცდილობთ, ის მაქსიმალურად კარგად შეასრულოთ.
9. ყოველთვის გაინტერესებთ მოვლენების გამომწვევი მიზეზები.
10. სამუშაოს გარდა, სხვა საინტერესო საქმიანობითაც ხართ დაკავებული.
11. თვლით, რომ ნებისმიერი ცვლილება სიკეთის მომტანია.
12. თქვენს სამუშაოს ადამიანებისთვის სარგებლობა მოაქვს.
13. გიყვართ ოცნება.
14. როცა საყვარელ მუსიკას უსმენთ, ხასიათი მკვეთრად გიუმჯობესდებათ.
15. ესწრაფით ახალ ნაცნობობას.
16. როგორც წესი, პროცესებს არ ნებდებით.
17. იუმორს ყოველთვის იუმორითვე ხვდებით.
18. ერთი ახლობელი ადამიანი მაინც გყავთ, რომელსაც შეგიძლიათ ყველაფერი მოუყვეთ.
19. ფიზიკური, აქტიური ცხოვრებისაგან სიამოვნებას იღებთ.
20. გიყვართ მოგზაურობა.
21. გსურთ, ისწავლოთ ის, რაც არ იცით.
22. ყოველთვის ცდილობთ, ფორმაში იყოთ და ეს კარგად გამოგდით.
23. არ აძლევთ თავს იმის უფლებას, რომ წვრილმანებზე ნერვები მოიშალოთ.
24. მოგწონთ ის დრო, რომელშიც ცხოვრობთ.
25. ფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ გაქვთ შანსი, თქვენი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოთ.

შედეგები:

50 ქულამდე —გარშემომყოფები თვლიან, რომ ცხოვრების დიდი გამოცდილება გაქვთ, ბევრი რამ გინახავთ და იცით. ცოტა არ იყოს, ნაადრევია ასეთი დასკვნების გაკეთება, რადგან ჯერ ყველაფერი წინ გაქვთ. ცხოვრება ხომ გრძელდება. ფსიქოლოგიური ასაკით კი ახალგაზრდა ბრძანდებით.

50-დან 75 ქულამდე —ადრეულ ასაკში გადატანილმა სტრესმა და ფიზიკურმა შრომამ დიდი გამოცდილება შეგძინათ. შეიძლება ითქვას, ფსიქოლოგიურად საშუალო ასაკის ხართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელი ჩაიქნიოთ და ოპტიმიზმსა და აქტიურ ცხოვრებაზე უარი თქვათ.

75 ქულაზე მეტი —მიუხედავად ასაკისა, საკუთარი თავის დიდი რწმენა გაქვთ და ოპტიმიზმი გამოძრავებთ. კომუნიკაბელური, კეთილგანწყობილი, კონტაქტური ბრძანდებით. ასეთი განწყობა კი ახალგაზრდულ სულს ხანგრძლივად შეგინარჩუნებთ.

ჯულია რობერტსის დიეტა

ჯულია რობერტსი წელიწადში მხოლოდ რამდენჯერმე მიმართავს დიეტას. როგორც მსახიობი ირწმუნება, ეს დიეტა ხელს უწყობს სახის კანის გაახალგაზრდავებას, აჯანსაღებს ორგანიზმს და ნატურალური ამინომჟავებით ამარაგებს.

გაღვიძებისთანავე: 350 მლ მინერალური წყალი.

საუზმე: 100 გრ მოხარშული ორაგული, 150-200 გრ ჰერკულესის ფაფა (წყალზე მომზადებული), მწვანე ვაშლი, 350 მლ მინერალური წყალი.

მეორე საუზმე: 250 გრ მოხარშული ორაგული, მწვანე სალათა ზეითუნის ზეთითა და ლიმონის წვენით, 350 მლ ნატურალური წყალი.

სადილი: 50 გრ მოხარშული ქათმის მკერდი, 4 ცალი ნიგოზი, მწვანე ვაშლი, 350 მლ მინერალური წყალი.

სამხარი: 250 გრ მოხარშული ორაგული, მწვანე სალათა (ზეითუნის ზეთითა და ლიმონის წვენით), 350 მლ მინერალური წყალი.

ძილის წინ: 50 გრ მოხარშული ქათმის ხორცი, 4 ცალი ნიგოზი, მწვანე ვაშლი, 350 მლ მინერალური წყალი.

ჯარტოფილის დიეტა

ჯულია ხშირად იცავს ასევე კარტოფილის დიეტასაც. იგი ძალიან გემრიელია და სწრაფად ხდება წონის დაკლება. ჯულია ირწმუნება, რომ სწორედ ეს დიეტა ეხმარება ორგანიზმს შლაკებისგან გაწმენდაში და სახის კანს ნათელ ფერს აძლევს.

საუზმე: ჭვავის პურის ბუტერბროდი ხაჭოთი და ახალი ბოსტნეულით.

სადილი: კარტოფილის სალათა (მოხარშული კარტოფილი, პომიდორი და ხახვი), 50 გრ უცხიმო იოგურტი.

სამხარი: 2-3 ცალი კარტოფილის ორცხობილა.

შიგადაშიგ: სტაფილო, ბოლოკი ან გახეხილი ვაშლის სალათა უცხიმო იოგურტთან ერთად.

სუდოკუ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

	5			6				8
4					2		3	
		9	7					1
	6			9			7	
	2	3				8		
8					1	9	4	
		1		3			6	
			2				5	
7					4			9

№ 2

8				2	9			4
		3				1		
	7		6				5	
6	5			3				
		1	4	8		9	2	
		4			7			3
9				7				
			1			2		8
	2	5						6

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

Cyan Magenta Yellow Black

რომელი ჯიშის კატა გჭირდებათ?

1. რა სიხშირით ალაგებთ საკუთარ ოთახს?

ა) წელიწადში ერთხელ — 0

ბ) თვეში ერთხელ — 6

გ) ნახევარ წელიწადში ერთხელ — 4

დ) კვირაში ერთხელ — 2

2. კატა რომ გყავდეთ, რამდენჯერად კვებაზე გეყოლებოდათ?

ა) რამდენსაც მომთხოვდა — 2

ბ) დღეში ორჯერ — 4

გ) რამდენსაც ჩავთვლიდი საჭიროდ — 0

დ) დღეში ერთხელ — 6

3. კატისთვის სახლის ყიდვა რომ გჭირდებოდეთ, როგორს შეიძენდით?

ა) მყუდრო, თბილ და ფუმფულა სახლს — 2

ბ) სახლის გარეშეც იოლას გავა — 0

გ) სახლს ჩემი ხელით გავუკეთებდი — 4

დ) კომპაქტურს, მოხერხებულს, რომ შიგ თავი მშვიდად იგრძნოს — 6

4. როგორ მოიქცევით, თუ თქვენმა კატამ ბუნებრივი მოთხოვნილება თავისი ტუალეტის გარეთ დაიკმაყოფილა?

ა) ფანჯრების საწმენდ სითხეს შევასხურებ და ვუჩვენებ, სად არის მისი ადგილი — 6

ბ) მაშინვე ტუალეტში ჩავსვამ და რამდენჯერმე ქვიშაში ცხვირს ჩავაყოფინებ — 2

გ) გავუბრაზდები — 4

დ) სახლიდან გავაგდებ — 0

5. როგორ საკვებს ამჯობინებდით თქვენი ფისუნიასთვის?

ა) მშრალ საკვებს — 4

ბ) ძირითადად მისთვის განკუთვნილ საკვებს, შიგადაშიგ კი რძით, თევზით, მოხარშული ხორცით გავანებივრებდი — 2

გ) მრავალფეროვან საკვებს — 6

დ) იმას ვაჭმევდი, რასაც მე ვჭამ — 0

6. თქვენმა ფუმფულა მეგობარმა დილის 6 საათზე გაგაღვიძათ კნავილით, რას იზამთ?

ა) მოვეფერები, ვაჭმევ, ვეთამაშები, ძილს კი აღარ შევიბრუნებ — 4

ბ) სახლიდან გავაგდებ — 0

გ) შევეკითხები, რა უნდა — 6

დ) ვაჭმევ, მოვეფერები და ისევ დავიძინებ — 2

7. კატას ბეწვის ცვენის პერიოდი აქვს, თქვენ...

ა) გავკრიჭავ — 4

ბ) ეს ბუნებრივი მოვლენაა, ვეცდები, სახლში სისუფთავე დავიცვა და დღეში რამდენჯერმე დავალაგო — 2

გ) არასოდეს ვიყოლიებ გრძელბეწვიან კატას — 0

დ) კატას ხწირ-ხშირად დავვარცხნი — 6

8. თქვენი აზრით, როგორი კატა გჭირდებათ?

ა) რომელიც ხელს არ შემიშლის — 0

ბ) აქტიური, თამაში რომ უყვარს — 4

გ) კარგი, არცთუ ისე ზარმაცი — 6

დ) ნაზი, ალერსიანი, ფუმფულა, რბილი — 2

შედეგები:

0-12 ქულა — თქვენთვის ყველაზე შესაფერისი პიტეომოლდია, უბეწვო სფინქსი. მაგრამ სანამ კატას შეიძენთ, კარგად დაფიქრდით, ნამდვილად გჭირდებათ ის? როგორი უპრეტენზიოც უნდა იყოს თქვენი სფინქსი, მას ყურადღება, სიყვარული, ჭამა, მოვლა სჭირდება. ტესტის შედეგებით თუ ვიმსჯელეთ, თქვენ მის მოსავლელად ნერვები არ გეყოფათ. ყოველი წვრილმანი უსიამოვნების გამო კი ცხოველის გარეთ გაგდება არაფრით შეიძლება.

13-25 ქულა — თქვენ სპარსული კატის პატრონის როლში იდეალური იქნებოდით. ის ფუმფულაა, ფაფუკი, მაგრამ ბეწვი სცვივა. იშვიათად, რომ სპარსულ კატებს ზედმეტი აქტიურობა და თამაში უყვარდეთ. ისინი უპირატესობას დღეში 20 საათიან ძილს ანიჭებენ. მათ ძალიან უყვართ ცივ, წვიმიან ამინდში სავარძელში პატრონის გვერდით თბილად ჯდომა და ტელევიზორის „ყურება“. არ დაგავიწყდეთ, რომ სპარსულ კატას ბეწვი ყოველდღიურად უნდა დავარცხნოთ, ხშირად დაალაგოთ სახლი. თუ მართლაც სპარსული ჯიშის კატის შეძენა გაქვთ გადაწყვეტილი, გირჩევთ, მამალი შეარჩიოთ.

26-37 ქულა — თქვენ ინგლისური ჯიშის კატა შეგეფერებათ. ის მოკლებეწვიანია, ძალიან აქტიური, ხალისიანი და გიყდება თამაშზე. ინგლისური კატა საკმაოდ სუფთაა, მის გამო სახლის ხშირი დალაგება არაა საჭირო. ინგლისურ კატებს მოფერებით სახლის დეკორსაც უწოდებენ.

38-48 ქულა —ციმბირული ჯიშის კატა შეგეფერებათ. ის არცთუ ისე ზარმაცია, თამაშიც უყვარს და არც ბეწვი სცვივა მაინცდამაინც. მის გვერდით არც მოიწყენთ და არც ზედმეტად დაიღლებით.

ტესტი ქალებისათვის

როგორია თქვენთვის იდეალური მამაკაცი?

1. რომელ ცხოველს აირჩევდით?

ა) კატას

ბ) ძაღლს

გ) ცხენს

დ) პუმას

2. რომელი ფრინველი მოგწონთ?

ა) არწივი

ბ) ძერა

გ) ყვავი

დ) მტრედი

ე) მიმინო

3. რომელი სპორტი მოგწონთ?

ა) კალათბურთი

ბ) ფეხბურთი

გ) რაგბი

დ) მძლეოსნობა

4. წარმოიდგინეთ თქვენი შინაური ცხოველი, კატა ან ძაღლი, რა ფერის ბეწვი ექნება?

ა) თეთრი

ბ) შავი

გ) არ აქვს ბეწვი

დ) წითელი

პასუხები:

თქვენი იდეალური მამაკაცის თვალის ფერი:

კატა — ცისფერი;

ძაღლი — მწვანე;

ცხენი — ყავისფერი;

პუმა — შავი.

თმის ფერი:

არწივი — ყავისფერი;

ძერა — ქერა;

მტრედი — მუქი ყავისფერი;

ყვავი — შავი;

მიმინო — ჟღალი.

აღნაგობა:

კალათბურთი — მაღალი;

ფეხბურთი — დაბალი;

რაგბი — მსუქანი;

მძლეოსნობა — კუნთებიანი.

თმის სიგრძე:

თეთრი — საშუალო;

შავი — მოკლე;

არ აქვს — მელოტი;

ჟღალი — გრძელი.

Cyan Magenta Yellow Black

მასაჟი ნამლების ნაცვლად

ჯანმრთელობის გამაგრების ერთ-ერთი საუკეთესო და ყველასათვის ხელმისაწვდომი საშუალება მასაჟია. ის მრავალი დაავადების, მათ შორის ხერხემალთან დაკავშირებულის, მკურნალობაში ეხმარება. მარტივი მასაჟის ათვისება ყველას შეუძლია, რათა თავსა და ახლობლებს გაუკეთოს.

ხელის გადასმა. სწორედ ამით იწყება და მთავრდება მასაჟის ნებისმიერი სეანსი. ის თვითშეგრძნების გაუმჯობესებას ეხმარება. ეს ილეთი ხელისგულის მთელი ზედაპირით ან თითებით კანზე ზედმეტი დაწოლის გარეშე სრულდება.

დაზელა. ეს უფრო ღრმა ზემოქმედებაა. ის კანის ზედა ფენას კარგად ათბობს, მის სისხლით მომარაგებასა და კვებას აუმჯობესებს. ეს ძირითადი მეთოდია ცელულიტისა და ჭარბი წონის დროს. დაზელა ხელისგულებით, თითების ბოლოებით სრულდება. ერთ მონაკვეთზე არაუმეტეს 10 წამისა შეჩერდით.

დაზელა შემდეგ ეტაპზე არამხოლოდ კანს, ასევე კუნთებსაც მოიცავს. კანი ხელით ჩაბღუჯეთ, აჭიმეთ, დაიჭირეთ, გაჭიმეთ, ხელისგულებით მისწი-მოსწიეთ. დაზელა უსიამოვნო რომ არ იყოს, მკვეთრ მოძრაობებს ნუ გააკეთებთ.

აჭიმი. ხელის გადასმის მსგავსი ილეთია, მაგრამ კანსა და კუნთებზე უფრო ენერგიული ზეწოლით სრულდება. თქვენი ამოცანაა, კანი წინ წასწიოთ. წარმოიდგინეთ, თითქოს ცომს აბრტყელებთ, მაგრამ არა — საგორავით, არამედ ხელისგულებით. მოძრაობა უნდა იყოს ნელი და რიტმული. იმოძრავეთ ხელისგულიდან მხრებისკენ, ხერხემლიდან წელისა და მკერდისკენ.

მნიშვნელოვანი წესები

მასაჟმა რეალური სარგებლობა რომ მოგიტანოთ, რამდენიმე მნიშვნელოვანი წესი დაიცავით:

1. ილეთები არ უნდა იყოს ძლიერ მტკივნეული. თუ ზემოქმედება დისკომფორტს იწვევს, სარგებლობის მომტანი არ არის.

2. სწრაფი, მკვეთრი, წყვეტილი მოძრაობები უსიამოვნოა. ეცადეთ, ხელებმა სხეულზე განუწყვეტლივ, რიტმულად იმოძრაოს, ხოლო ილეთი ერთიდან მეორეში ნარნარად უნდა გადავიდეს.

3. მოსადუნებლად და დასამშვიდებლად ყველა მოძრაობა უნდა იყოს ნარნარი, ხანგრძლივი. ხოლო, თუ თქვენი ამოცანა ტონუსის მომატება და გამხნევებაა, მაშინ გამოიყენეთ ხანმოკლე და ენერგიული მოძრაობები (ვიბრაციული და დარტყმითი ტექნიკა).

4. არ დაგავიწყდეთ ხელების კარგად დაბანა. ფრჩხილები დაიჭერით და ქლიბით დაიმუშავეთ. ხელის კანი კრემებით დაირბილეთ და ხელისგული გაითბეთ. ხელი უნდა იყოს რბილი და თბილი.

5. მასაჟის დროს ყურადღების კონცენტრაცია მხოლოდ მასზე მოახდინეთ. მასაჟი არამხოლოდ ტექნიკა, ასევე დადებითი ენერგია, პოზიტიური განწყობაა განკურნებისკენ.

6. მოძრაობის მიმართულება ასეთია: ხელისა და ფეხის თითებიდან მხრებისკენ და საჯდომისკენ, წელიდან მხრებისკენ, ხოლო მკერდის მიდამოში ლავიწისკენ და იღლიისკენ.

ხოდის ახის მასაჟი საზიანო

მიუხედავად იმისა, რომ მასაჟი გაჯანსაღების ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ტექნიკაა, მაინც გააჩნია ზოგიერთი უკუჩვენება, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია:

1. მასაჟი არ შეიძლება კანის ინფექციური დაავადებების, კანის ნებისმიერი დაზიანების — ჭრილობა, წყლული, გამონაყარის დროს. სხვაგვარად ინფექციას მთელ სხეულზე გაავრცელებთ.

2. მაღალი ტემპერატურა და ციებით მიმდინარე ნებისმიერი მწვავე დაავადება.

3. გულისა და სისხლძარღვთა დაავადებები გამწვავების ფაზაში, ავთვისებიანი სიმსივნე, თრომბოფლებიტი და თრომბოზი.

4. ქალური დაავადებები.

5. ვარიკოზი. ფეხებისა და წელის დაზელა არ შეიძლება.

ხომეული ზეთი შევარჩიოთ?

მასაჟის დროს ხელებმა უკეთესად რომ ისრიალოს, ნებისმიერი მცენარეული ზეთი გამოიყენეთ. თითოეულ მათგანს თავისი უპირატესობა და ნაკლოვანება გააჩნია.

მზესუმზირის — ყველაზე ხელმისაწვდომი ვარიანტია, კანს კარგად არბილებს, მაგრამ ძლიერ ბლანტია და შეიძლება გაღიზიანება გამოიწვიოს.

ზეითუნის — ხელს უწყობს კანის უჯრედების მიერ ულტრაიისფერი სხივების შთანთქმას, ნამზეურს აუმჯობესებს, ჭრილობას აშუშებს, მაგრამ საკმაოდ მწებვარე და მძიმეა.

ქუნჯუტის (შირბახტის) — კარგად ათბობს, ენდოკრინულ სისტემაზე სასიკეთოდ მოქმედებს, შეშუპებას, კუნთების ტკივილს აქრობს, სასარგებლოა თმისთვის, მაგრამ ბლანტია, ძლიერი არომატი აქვს, რომელიც ყველას არ მოსწონს.

ატმის —თავისი თვისებებით ნუშის ზეთთან ახლოა. ნაოჭებს კარგად ასწორებს, შესანიშნავია ბავშვის მასაჟისთვის.

ყურძნის წიპწების — კანის ელასტიკურობას აუმჯობესებს, ცხიმის კვალს არ ტოვებს.

მდოგვის — კუნთების დაძაბულობას კარგად აქრობს. სასარგებლოა ფილტვების დაავადებების დროს. ჭრილობას აშუშებს, წონაში კლებას ეხმარება, მაგრამ შეიძლება კანის გაღიზიანება გამოიწვიოს.

აბუსალათინის — კანქვეშა ფენაში ღრმად იჭრება, ტოქსინები გამოჰყავს, თმის ზრდას აუმჯობესებს, ჭრილობას აშუშებს, მაგრამ ძალიან ცხიმიანია.

სასნიაფო დახმარების ნეტიღები

აკუპრესურა მასაჟის განსაკუთრებული სახესხვაობაა. სამკურნალო ეფექტი კანის განსაკუთრებულ წერტილებზე ზემოქმედებისას მიიღწევა.

მაღალი არტერიული წნევა — წერტილები ყურების უკან, კეფის ორივე ბორცვზე; მუხლის სახსრების ქვედა კიდეზე შიგნითა მხრიდან.

თავის ტკივილი — წერტილები ცხვირის ნესტოებიდან მარჯვნივ და მარცხნივ, წარბებს შორის ცხვირის ფუძეზე; თხემის შუა ნაწილზე; კისერსა და მხრებს შორის ღრმულში.

ჰაიმორიტი, სურდო — წერტილები წარბებისა და ცხვირის ფუძის შეერთების ადგილზე; ცხვირისა და ზედა ტუჩის შუა ღრმულში; ცხვირის მარჯვენა და მარცხენა ნესტოს კიდეზე.

კბილის ტკივილი — წერტილები ქვედა ყბის ზედა ღრმულში; საჩვენებელი და ცერა თითის ძვლების შეერთების შუა ადგილას; მაჯაზე, სადაც პულსი ისინჯება.

რყევა, გულისრევა — წერტილები განლაგებულია მაჯაზე იმ ადგილას, სადაც ჩვეულებრივ მიზანშეწონილია ხელის საათის სამაჯურის შეკვრა.

მხნეობა ყავის გარეშე

როგორ მოიქცეთ სამსახურში, თუ საწერ მაგიდასთან ზიხართ და თვლემა გეძალებათ? ფინჯან ყავას ნუ წაეტანებით. უმჯობესია გამამხნევებელი მასაჟი გაიკეთოთ, რომელიც ტონუსს დაგიბრუნებთ და ყურადღების კონცენტრაციაში დაგეხმარებათ.

ენერგიულად დაისრისეთ ხელის თითები; გამთბარი ხელები სახეზე ზევით-ქვევით დაისვით 5 წამის განმავლობაში; თავის თხემზე თითების ბოლოებით აკაკუნეთ, როგორც დოლზე; ხელები მუშტად შეკარით, მაგრამ არ დაჭიმოთ. მუშტები გადაისვით წინამხრის შიგა და გარე მხარეს; ცერა თითით თავის ქალის ხერხემალთან შეერთების ადგილას ღრმული იპოვეთ და სამის დათვლაში თითებით დააწექით. აუშვით, ღრმად ჩაისუნთქეთ და ისე დააწექით; გაშლილი ხელისგული ფეხებს წინიდან, გვერდიდან და უკნიდან მიარტყით, ქვევიდან ზევით იმოძრავეთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

გვჰასუხობს ექიმი

— 12 წლის მოზარდი ღამე ისველებს. რისი ბრალია?

— უნებლიე შარდვა არის თუ არა შარდსასქესო ორგანოების პათოლოგიით გამოწვეული, მხოლოდ გამოკვლევა დაადგენს, რასაც ნამდვილად გირჩევთ. ამ ასაკში ბავშვებში უნებლიე შარდვა იშვიათობა არ არის, მაგრამ ეს არ უნდა ჩაითვალოს ბუნებრივ მოვლენად. პირველ რიგში, მოაწესრიგეთ ბავშვის ძილი. თუ ძალიან გვიან იძინებს, შეიძლება ღამით ვერ ფხიზლდება და ეს იწვევს შარდის შეუკავებლობას. ძილის წინ სითხის მიცემა შეზღუდეთ, მიეცით ტკბილი საკვები, რაც ღამით ღრმა ძილს შეუშლის ხელს. გირჩევთ კონსულტაციისთვის პედიატრს მიმართოთ.

— წონაში დაკაკელი, მაგრამ ქოლესტერინი ისევ მაღალი მაქვს. რა გავაკეთო? ვარ 47 წლის ქალი.

— წონაში დაკლება ქოლესტერინის დონის დაწევის გარანტი არ არის, თუ შესაბამისი მკურნალობა არ ჩატარდა. თუ სვამდით რომელიმე მედიკამენტს ქოლესტერინის დონის დასაწევად და შეწყვიტეთ, არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ თვითნებურად. აუცილებლად მიმართეთ ექიმს. ქოლესტერინის აწევა-დაწევა სიგამხდრე-სიმსუქნეზე არ არის დამოკიდებული, შეიძლება გამხდარ ადამიანსაც მაღალი ჰქონდეს.

— ფეხი მაქვს გასიებული, ზამთარში ვიტკინე და მას შემდეგ მტკივა. სახლის პირობებში რა გავაკეთო? ექიმთან ვიყავი და მითხრა, ნაღრძობაა.

— სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევებში ტკივილი დიდხანს რჩება. გირჩევთ, ძილის წინ დაიფინოთ კომბოსტოს ფოთოლი და დილამდე შეიხვიეთ, შესიება ჩაცხრება და ტკივილიც შეგიმსუბუქდებათ.

— ვიტანჯები თავის ტკივილით. ექიმმა თავის ტვინის არტერიის მომატებული სპაზმი დამიდგინა. იკურნება თუ არა ეს დაავადება?

— ნებისმიერი სპაზმის მოხსნა შეიძლება, თუ სწორი მკურნალობა ჩატარდება. პირველ რიგში, სპაზმის წარმოშობის მიზეზი უნდა მოიძებნოს და მოიხსნას. გირჩევთ, არტერიული წნევის მონიტორინგი აწარმოოთ. წნევა ყოველდღე, დილის საათებში, ერთსა და იმავე დროს გაიზომეთ. შეიძლება კომპიუტერული კვლევა იყოს საჭირო ზუსტი დიაგნოზის დასასმელად. მიმართეთ ნევროპათოლოგს.

— ვარ 55 წლის მამაკაცი. მაწუხებს ზურგისა და მკერდის არეში ჩხვლეტა. იწყება მარცხენა ბეჭის არეში, გადადის ზურგში. შეიძლება, ეს „მარილების“ ბრალი იყოს?

— რა თქმა უნდა, შეიძლება, ოსტეოქონდროზის ბრალი იყოს, მაგრამ მისი ზერელედ დადგენა დაუშვებელია. მიმართეთ ნევროპათოლოგს, რომ გამოირიცხოს ვეგეტონევროზი, რომელსაც ზოგჯერ აქვს მსგავსი სიმპტომები.

— ჩემს სამი თვის გოგონას აქვს გამონაყარი, ალერგიულია. ექიმმა დაუნიშნა ფენისტილი. შეიძლება, ამ ასაკში დღეში სამჯერ მივცე?

— შეგიძლიათ მისცეთ დღეში სამჯერ 10-10 წვეთი. პარალელურად ფენისტილის გელის გამოყენებაც სასურველია, თუ ამჩნევთ, რომ ბავშვს ალერგიული გამონაყარი ძალიან აწუხებს.

— ვარ 45 წლის მამაკაცი. წონაში ძალიან მოვიმატე. მასწავლეს დიეტა სისხლის ჯგუფის მიხედვით, რამდენად ეფექტურია?

— მივესალმები მხოლოდ დიეტოლოგის მიერ დანიშნულ დიეტას, რადგან სიმსუქნე ისეთივე პათოლოგიაა და ისევე სჭირდება გამომწვევი მიზეზის დადგენა, როგორც სხვა ყველა პათოლოგიას. თუ დიეტა ექიმმა გირჩიათ, დაიცავით, სხვა შემთხვევაში შეიძლება უკუშედეგი მიიღოთ.

— ვარ 34 წლის, თითქმის ექვსი თვის ორსული. ბოლო ორი კვირაა მაქვს მაღალი წნევა. გინეკოლოგმა ნიფედიპინი გამომიწერა. ნაყოფს არ ავნებს?

— ორსულობის დროს წნევის დასარეგულირებლად ნიფედიპინი საუკეთესო საშუალებაა, ოღონდ ენის ქვეშ დაიდეთ. აქვს ძალიან კარგი მოქმედება, საშვილოსნოს ტონუსს დაბლა სწევს. ასე რომ, მიიღეთ ნაყოფს ნამდვილად არ ავნებს.

— ყურებში მაქვს ქაფილი. რისგან შეიძლება იყოს გამოწვეული?

— მსგავსი სიმპტომი ყურის მრავალმა პათოლოგიამ შეიძლება გამოიწვიოს, მათ შორის — სოკოვანმა დაავადებამაც. თვითნებური მკურნალობით შეიძლება სმენა დაგიქვეითდეთ. არ გირჩევთ ანთების საწინააღმდეგო ან ანტიმიკოზური საშუალებების გამოყენებას. აუცილებლად მიმართეთ სპეციალისტს.

— როგორ მიყიღო ლიმონი ჰიპერტონიის დასაწევად?

— უნდა მიიღოთ ყოველგვარი სიტკბოს გარეშე. გნებავთ კანიანად, გნებავთ უკანოდ. შეგიძლიათ მიიღოთ დღის ნებისმიერ მონაკვეთში, კვებამდე და კვების შემდეგაც.

— რა სიმპტომები აქვს უშაქრო დიაბეტს და რა ანალიზი უნდა გავიკეთო მის დასადგენად?

— უშაქრო დიაბეტის დროსაც პაციენტს აქვს გაძლიერებული მოთხოვნილება წყალზე და ასევე დიდი რაოდენობით გამოყოფს მას. ავადმყოფს აწუხებს უძილობა, ნერვული აშლილობები. მას იწვევს ჰიპოფიზის ჰორმონის, ვაზოპრესინის გამოყოფის დარღვევა. გამოკვლევის დროს საჭიროა სისხლში ამ ჰორმონის კონტროლი. დაავადების სწორი დიაგნოსტირებისათვის თავის ტვინის ტომოგრაფიული კვლევაც აუცილებელია.

— როგორ ვუმკურნალო სოკოთი დაავადებულ ფრჩხილს?

— სოკოთი დაავადებული ფრჩხილის სამკურნალოდ საჭიროა ანტიმიკოზური თერაპიის ჩატარება. მკურნალობის თანამედროვე მეთოდები იძლევა საშუალებას, დერმატოლოგიურ ლაბორატორიაში ჩატარდეს ფრჩხილის ანაფხეკის ანალიზი და მკურნალობაც ისე დაინიშნოს, რომ შედეგმა არ დააყოვნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება მიიღოთ ძლიერი პრეპარატები, მაგრამ შედეგი არ გქონდეთ. სანამ სპეციალისტს მიმართავთ, გირჩევთ, ფრჩხილზე წაისვათ იოდი, შემდეგ კი კლოტრიმაზოლის მალამო, რითაც დროებით შეაჩერებთ პროცესის შორსწასვლასა და გართულებას.

— 13 წლის გოგონა ძალიან ნერვიულია. ვის მივმართოთ?

— მიმართეთ ბავშვთა ნევროპათოლოგს. არ არის გამორიცხული, რომ ენდოკრინოლოგ-გინეკოლოგის კონსულტაციაც გახდეს საჭირო.

— ვარ 34 წლის ქალი. მეორე მშობიარობის შემდეგ დამიდგინეს კვანძოვანი მასტოპათია. ინტერნეტში ამოვიკითხე, რომ კარგია ოროვანდის ნაყენი, როგორ მოვამზადო ან სად ვიშოვო?

— ოროვანდი შეგიძლიათ შეიძინოთ ფიტოაფთიაქში. ოროვანდის ფესვებს დაასხით წყალი და ადუღეთ 10 წუთი.

მკურნალი წვენები

ახალგამოწურული წვენების დახმარებით შეიძლება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა თავიდან აიცილოთ. მათში ბევრია ვიტამინები და ენზიმები, რომლებიც შლაკებისა და ტოქსინების გამოდენას ხელს უწყობენ. დღეში საკმარისია ერთი ჭიქა წვენი, რომელიც უმჯობესია, ძირითად კვებას შორის 2-3 მიღებაზე დალიოთ.

ათეროსკლეროზი. მკურნალობა დაიწყეთ წვენების ნარევით. რაციონში დაუმატეთ სტაფილოს წვენი (8 წილი), ნიახურის (4 წილი), ოხრახუშის (2 წილი) და ისპანახის (3 წილი). ასევე მეტად სასარგებლოა სტაფილოს (8 წილი), ჭარხლის (3 წილი) და ნიახურის (5 წილი) ნარევი.

ართრიტი. რაც შეიძლება ხშირად დალიეთ გრეიპფრუტის წვენი. ასევე ეხმარება ნიახურის სუფთა წვენი. არანაკლებ სასარგებლოა სტაფილოს (10 წილი) და ისპანახის (6 წილი) წვენების ნარევი ან სტაფილოს (9 წილი) და ნიახურის (7 წილი) ნარევი.

ასთმა. პირშუშხას ფესვების ნაყენს ერთი ლიმონის წვენი დაუმატეთ (100 გრამ პირშუშხაზე ერთი ლიმონი). თუ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები არ გაწუხებთ, სტაფილოს (1 წილი) და ბოლოკის (5 წილი) წვენების ნარევი დალიეთ.

ანემია. ამ შემთხვევაში სასარგებლოა როგორც სტაფილოს სუფთა წვენი, ასევე სტაფილოს წვენის (13 წილი) და ჭარხლის (1 წილი) ნარევი. გაითვალისწინეთ, სტაფილოს წვენის მომზადებისას ღეროფოჩი გამოიყენეთ.

ბრონქიტი. დაგეხმარებათ იგივე წვენები სტაფილოსა და ისპანახის, ასევე სტაფილოს (12 წილი) და ბაბუაწვერას (4 წილი) წვენების ნარევი.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.

1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.

Cyan Magenta Yellow Black





1. საკიდარი ქვაბი; 2. მართლმსაჯულების სინონიმი; 3. ბერძნული ანბანის ასო; 4. სვანების ქალღმერთი; 5. აეროპორტი პარიზში; 6. ჟორჟ სანდის რომანი; 7. პერანგი; 8. მთათა სისტემა აზიაში; 9. ტოლგვერდა ოთხკუთხედი; 10. ბალახეული მცენარე თეთრი ყვავილით; 11. „... იტყვის ხალხი“; 12. დილის ჰანგი; 13. საჭმელი სოკო; 14. ქართული ასო ჭ-ს სახელი; 15. კანის ერთგვარი დაავადება; 16. დასვენების დღე; 17. ერთგვარი სამკაული; 18. სასახლის ინტრიგან კარისკაცთა ჯგუფი ესპანეთში; 19. ხანში შესული; 20. ... კალნინში; 21. უმაღლეს სასულიერო პირთა თავსარქმელი; 22. კამეჩის ხმიანობა; 23. ოლიმპიური თამაშები; 24. ტყისპირა შხამიანი ბუჩქი; 25. მნათე; 26. მდინარის ღრმა ადგილი, სადაც წყალი ტრიალებს; 27. ზოგ ფეთქებად ნივთიერებათა საერთო სახელი; 28. სახოტბო ლექსი; 29. წესრიგის დამცველი მცირე პოლიციური რაზმი; 30. ქორწინების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 31. თაღი; 32. ინგლისელი ასტრონომი; 33. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 34. ქალაქი კვიპროსში; 35. მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ყვავის; 36. მსუბუქი კომედია, ვოდევილი; 37. ნიშადურის სპირტში შემავალი გაზი; 38. ჭადრაკის ფიგურა; 39. კინოფესტივალების ქალაქი საფრანგეთში; 40. ბილიარდის ჯოხი; 41. მუხის ნაყოფი; 42. სიკვდილით დასჯა დახრჩობით ესპანეთში; 43. ... მეღვინეთუხუცესი; 44. ბატონო ინგლისურად; 45. ბაბილონის მეფის ნაბონიდის შვილი; 46. ღამის ფრინველი; 47. დასამტკიცებელი დებულება ლოგიკაში; 48. ქალის ერთგვარი ზედატანი; 49. მცირე გადასატანი რადიოსადგური; 50. ვარხვი; 51. მკვახე ყურძენი; 52. კოცნა; 53. ბედი; 54. იუპიტერის თანამგზავრი; 55. ნაბიჯი ბალეტში; 56. უნგრელი კომპოზიტორი; 57. ბაღჩეული კულტურა; 58. ქალაქის გარკვეული ნაწილი; 59. მუსაიფი; 60. სამიანი ნარდში; 61. ბიბლიური პერსონაჟი; 62. ახალზელანდიური უფრთო ფრინველი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. იყო; 2. ალღო; 3. ამლაყი; 4. ნიდაო; 5. მი; 6. ოლღა; 7. დებიტი; 8. ივ; 9. აჯამი; 10. კვოტა; 11. ნოე; 12. ტრიადა; 13. კვართი; 14. ჰიპოპოტამი; 15. ინფანტი; 16. ტოტემი; 17. ფონდი; 18. ეტოო; 19. თომას; 20. პირანია; 21. დიკა; 22. ასტარტე; 23. საკე; 24. სირ; 25. ბილინგვა; 26. სნო; 27. ელი; 28. პრადო; 29. ტუია; 30. იდეა; 31. ლამბდა; 32. იიპე; 33. ვედიზმი; 34. ლი; 35. პასტა; 36. სე; 37. ტვირთი; 38. ლემა; 39. ნიტრო; 40. კანოე; 41. ონი; 42. ტონგა; 43. აკვა; 44. „რომა“; 45. აკოლადა; 46. გრინგო; 47. ასხი; 48. „სვანი“; 49. მოპედი; 50. კრიკეტი; 51. ალასკა; 52. ბე; 53. ხემი; 54. ინსაიდი; 55. გუნო; 56. ლიე; 57. იო; 58. ედგარ; 59. ბეზმენი; 60. ბრაჰე; 61. სოლ; 62. ერბო; 63. ბრინზა; 64. ენა; 65. სმენა; 66. პეკანი; 67. აკინი; 68. ინა. **სურათებზე:** ჯინჯერ სპაისი; ჯონ ბონ ჯოვი; ჰარი ოლდმენი; სუზან ოსბორნი.

ჯოდი: ზიგოტა

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი

1. ქვედა ყბა
2. სოფელი ლეჩხუმში
3. შემხვედრი დარტყმა კრივში
4. ზურგჩანთა
5. ბუს მსგავსი ფრინველი
6. მაუგლის მეგობარი პითონი
7. ფირნიში
8. მთის მოცხარი
9. მომცრო საზიდარი
10. სატვირთო გემი
11. ... ამუნდსენი
12. ხალხური სამსიმიანი საკრავი
13. რუსული ავტომარკა
14. სუსტი არაყი
15. მეფის მხლეებლები
16. უბის წიგნაკი
17. ... ლამა
18. „... დაიდარდო“
19. ... კლინტონი
20. ტურგენევის მოთხრობა
21. მზის სისტემის პლანეტა
22. სასწორის თეფში
23. სარწყავი არხი
24. ყვავილი

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ინსინუაცია; 2. ნო; 3. კალანდა; 4. უოლტ; 5. ტაუ; 6. ყაზალი; 7. პა; 8. პალმა; 9. აბულია; 10. პიტნა; 11. მა; 12. ლაპორი; 13. მადამ; 14. პასტილა; 15. ლუსტრა; 16. ამონალი; 17. სკა; 18. კალა; 19. რა; 20. სპა; 21. ია; 22. ლიტანია; 23. ლა. **სურათებზე:** ბრაჰმა; ვიშნუ; ლაქშმი; შივა.

Cyan Magenta Yellow Black

ყავა და შოკოლადი – დეპრესიის მიზეზი?

„დეპრესიულ“ პროდუქტებს შორის პირველ ადგილზეა ყავა. დიახ, ეს სასმელი ამხნევებს, ძალას მატებს, აფხიზლებს, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მისგან მიღებული გამამხნევებელი ეფექტი ყავაზე მიჩვევასა და დამოკიდებულებას იწვევს. დილით ფინჯანი ყავის შემდეგ ეიფორიას დაღლის შეგრძნება, ნევროზულობა და გაღიზიანებულობა ცვლის. განწყობის ასეთი სხვაობა უკიდურესად მავნეა ნერვული სისტემისთვის, ყავა და დეპრესია — მეგობრებია.

მეორე პროდუქტი, რომლის ბოროტად გამოყენებამ შეიძლება ასევე დეპრესიის პროვოცირება მოახდინოს, ეს არის შოკოლადი. რაც უფრო ხშირად ვჭამთ ტკბილს, მით უფრო მეტი გვჭირდება, რათა ნაღვლიანი ფიქრები დავთრგუნოთ. ამგვარად ადამიანი ერთგვარ ხაფანგში ექცევა: შაქრის გარეშე გამხნევება უჭირს, ხოლო დესერტის ბოროტად გამოყენებით, დიდი რისკია ჯანმრთელობისა და ფიგურის გაფუჭების. მაგრამ „სწორი“ შოკოლადი მცირე დოზებით პრობლემას ჭრის. შავ შოკოლადში წარმოდგენილია მატონიზირებელი თეობრომინი. მაგრამ გახსოვდეთ, მხნეობისთვის საჭიროა შოკოლადი, რომელიც 70%-ზე მეტ კაკაოს შეიცავს. თეთრ შოკოლადში თეობრომინი საერთოდ არ არის. ვიტამინი E, რომელიც ასევე შედის შოკოლადის შემადგენლობაში, თავისუფალ რადიკალებს ანეიტრალებს, ხოლო რიბოფლავინი (B2) ბედნიერების ჰორმონის — სეროტონინის გამომუშავებას ხელს უწყობს. გაითვალისწინეთ ისიც, რომ შოკოლადი მაღალკალორიულია, ამიტომ ზომას ნუ გადახვალთ. დღის პირველ ნახევარში დასაშვებია 20-30 გრამი შავი შოკოლადი.

სპორტისთვის საუკეთესო დრო საღამოა

ამერიკელმა ექიმ-ენდოკრინოლოგებმა სპეციალური გამოკვლევა ჩაატარეს და ასეთ დასკვნამდე მივიდნენ, ყველაზე უფრო სასარგებლოა ფიზიკულტურით დაკავდეთ არა დილით, არამედ

საღამოს, სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ. ექსპერიმენტში მონაწილე 20-30 წლის 140 ჯანმრთელი ადამიანი 5 ჯგუფად დაყვეს. ყველა ჯგუფი ერთი და იგივე სავარჯიშოების კომპლექსს ასრულებდა დღის სხვადასხვა დროს. გაირკვა, რომ მაჩვენებლები იმ პირებში, რომლებიც საღამოს ვარჯიშობდნენ, ორჯერ უკეთესი იყო მათთან შედარებით, ვინც ფიზიკულტურით დილას და საღამოს იყო დაკავებული.

როდის გვჭირდება კალციუმი

როგორც წესი, მოზრდილი ადამიანის ორგანიზმი 1-1,25 კგ კალციუმს შეიცავს, აქედან 99% თავმოყრილია ჩონჩხსა და კბილებში. 20 წლამდე ჩვენი ძვლები ინტენსიურად იზრდება, შემდეგ კი თანდათან სიმტკიცეს კარგავს. ქალებში მენოპაუზის შემდეგ ძვლები სიმკვრივეს კიდევ უფრო სწრაფად კარგავს. ოსტეოპოროზი რომ არ განვითარდეს, საჭიროა კალციუმის მარაგის მუდმივად შევსება, განსაკუთრებით 20-დან 35 წლამდე. ამას ხელს უწყობს რძის პროდუქტები და კალციუმის შემცველი მზა პრეპარატები.

ვეხმარებით დაღლილ ფეხებს

სამწუხაროდ, ლამაზი ფეხსაცმელი ყოველთვის კომფორტული არ არის. მაღალ ქუსლებზე, ვიწრო ფეხსაცმლის, მძიმე ჩანთების ტარების შემდეგ ან უბრალოდ სამუშაოზე ხანგრძლივად ფეხზე დგომის გამო, დაღლილი ფეხები გვტკივა. ფეხებში სისხლის მიმოქცევა რომ გაუმჯობესდეს და დაღლა გაქრეს, სამკურნალო აბაზანა მოამზადეთ. სალბის დაქუცმაცებულ ბალახს 2 ჭიქა მდუღარე დაასხით, 15 წუთი დადგით. ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი ნახევარი ლიმონის ცედრა. სალბისა და ლიმონის ნარევი თასში ან ვედროში ჩაუშვით და ჩვეულებრივი წყალი ჩაუმატეთ.

სუნი ბავშვობიდან მოდის

ზოგჯერ ვერ ვიხსენებთ, ესა თუ ის სუნი ჩვენთვის ნაცნობი საიდან არის, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ ოდესღაც შევიგრძენით. ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, რომ ის ბავშვობის მოგონებებიდან მოდის.

ცხოვრების პირველ წელს ბავშვი სუნს ბევრად უფრო მკვეთრად, მძაფრად გრძნობს, ვიდრე მოზრდილი და მეხსიერების „ბეღელში“ გულმოდგინედ ინახავს ყველაფერს, რაც დედასთან არის დაკავშირებული. სუნი, რომელიც დედას ასდის, თუნდაც ეს თამბაქოს იყოს, მიჩნეულია სასიამოვნოდ. ასაკის მატებასთან ერთად, არომატების კოლექციონერობის უნარი თანდათან ქრება. ძაღლებისგან განსხვავებით, ყოველწლიურად ყნოსვის რეცეპტორების გარკვეულ რაოდენობას ვკარგავთ. ისინი უბრალოდ ატროფირდებიან.

ჭკვიანი აზრები

„უმცირესი ნიჭი და მადლი — სიმდიდრეა, უდიდესი — სიბრძნე“.

ლეონარდო

„ყველაზე უტყუარი ნიშანი უმაღლესი ღირსებისა შურის არქონაა“.

ლაროშფუკო

„რამდენი ადამიანი დამუნჯდებოდა ამქვეყნად, აკრძალული რომ იყოს თავის ქება და სხვისი ძაგება“.

ბალზაკი

„კეთილისმქნელ კაცს მტერი თავის დღეში არ მოაკლდება“.

მანდელი

„შურიანი კაცის ღონე ცილისწამებაა“.

სვეტური

„მეტისმეტი გულახდილობა ისეთივე უმართებულობაა, როგორიც ტანთ გახდა და გაშიშვლება“.

ბეკონი

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ქართული ანეკდოტები

— თქვენი ცოლი მახთლა ჰეგისოჰია?

— დიახ, ჩემო ბატონო.

— ახლა სპექტაჯლზე მუშაობს?

— ახა, ჯეჰჯეჰობით ოჯახში დგამს სცენებს.

— თინიკო, კარგად დაისვენე კურორტზე?

— არა, მამაკაცები არ იყვნენ საკმარისად და ბევრმა ვერ დავისვენეთ. ისე, კურორტი არ იყო ცუდი.

❖ ❖ ❖

— მამა, ბავშვი როგორ იბადება?

— როგორ, შვილო და ჯერ გამოდის თავი, მერე ხელები, მერე ფეხები...

— აუ, რა მაგარია!.. კი მაგრამ მერე ამ ყველაფერს სად აწყობენ?

❖ ❖ ❖

მიხოს ცოლი სამსახურიდან სახლში მივიდა დაღლილი. სახელდახელოდ წაიხემსა, მერე ცხვარ-ძროხას მოუარა, ვახშამი გაამზადა, ბავშვებს გაკვეთილები გამოჰკითხა და გვიან, როგორც იქნა, შეგორდა ლოგინში.

— გადმობრუნდი, ღამის სმენა დაგეწყო, მარო, — წასჩურჩულა ქმარმა.

❖ ❖ ❖

— ამ დილით ერთმა დეიდამ მითხრა, ხელს რომ აწერდე, ის დროა, თორემ დაიღუპებიო, — ეუბნება ლიკა დაქალს.

— დედის დამ?

— არა, გინეკოლოგმა.

— შვილო, ჰამდენჯეჰ გითხაჰ, თავში ჩაქუჩ ნუ იჩტყამ-მეთქი.

— ჰათა, მამი, ძიღ გიფჰითხობ, ჰო?

❖ ❖ ❖

იმერლები ტყეში ნადირობენ. გამოუხტათ დათვი. ორივე თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, დათვი მისდევთ. ბოლოს ერთს გაახსენდა, რომ თოფი ჰქონდა, გადმოიღო, ესროლა და მოკლა.

— მოსაკლავი ეგ კი არა, შენ ხარ! — უთხრა მეორემ.

— რატომ ვითომ?

— რა გეჩქარებოდა, რომ ესროლე. გვერბინა ზესტაფონამდე და იქ მოგვეკლა. რა ათრევს ახლა მაგას?!

❖ ❖ ❖

ქალი ტელევიზორის ხელოსანთან რეკავს:

— ტელევიზორი გამიფუჭდა და თუ შეიძლება, მობრძანდით.

— რა დაემართა, ქალბატონო?

— ხმა დაეკარგა.

— და როგორ მოხდა ეს?

— რა ვიცი, ვიჯექი, ვუყურებდი, თან საქსოვი ჩხირით ყურს ვიჩიჩქნიდი. ჩხაკ და ხმა დაეკარგა!

❖ ❖ ❖

რაჭველი მეტროში შევიდა. დგას ესკალატორზე და მაგრად უჭერს ხელს მოძრავ სახელურს.

— გამატარეთ, თუ შეიძლება, — ეუბნება ვიღაცა უკნიდან.

— გაგატარებ, მარა ჯერ მითხარი, „ახმეტელი“ ამ მხარეზეა? — ეკითხება რაჭველი.

— არა, მეორე მხარეზე.

— კაი მაშინ, — მეორე სახელურს ჩაებღაუჭა რაჭველი.

❖ ❖ ❖

— რატომ გაქვს მთელი ხელი დასვრილი და ორი თითი სუფთა?

— ორი თითით სტვენას ვსწავლობ.

❖ ❖ ❖

— თუ გინდათ, რომ ქალების ყაყან-ჭორაობა შეაჩეროთ, არსებობს მხოლოდ ერთადერთი, მაგრამ ათასჯერ გამოცდილი და უტყუარი მეთოდი — შეეკითხეთ მათ, რომელია მათ შორის ყველაზე ხნიერი.

❖ ❖ ❖

— რა მოუვიდა შენს ფოტოაპარატს? გუშინ იყიდე და უკვე დამტვრეულია.

— სიდედრს გადავუღე სურათი და...

❖ ❖ ❖

— ეჰ, ფულში და სიმდიდრეში არაა ბედნიერება... შენც ხომ გინახავს სერიალი „მდიდრებიც ტირიან“?

— მართალია, მაგრამ ვფიქრობ, რომ, თუ ტირილია, ისევ მერსედესში ჯობია, ვიდრე მეტროში.

❖ ❖ ❖

— შეჯიბრი ჩავატარეთ ბიჭებმა, ვინ მეტ არაყს დალევდა... გესმის, ქალო?

— გასაგებია. მეორე ადგილზე ვინ გავიდა?

— ჰა ძაღლი დავჯაჰგე, ჰა ძაღლი... — ცჩემღად იღვჩება ჯაცი.

— ჰა იყო ამნაიჩი? — ეკითხება მეზობელი.

— ძაან ჭკვიანი იყო, ნამეტანი...

— ჰა იცოდა ამისთანა?

— ყველაფეჩი იცოდა, ჰაც ჯი ადამიანებმა ვიცით.

— მოუცადე ანა და დაგიჩეკავს მობიღეჩზე, აქ ვაჩო...

❖ ❖ ❖

ტიპი მკითხავთან მივიდა.

— ა, ეს თქვენ ხართ ოთხი შვილის მამა?

— არა, მე ექვსი შვილის მამა ვარ.

— გეგონოს!



— ჯიკვი შესანიშნავი სპორტია, ძალიან მიყვარს.

— აღბათ მოჯიკვე ბიძანებით.

— ახა, ყბა-სახის ქირურგი ვარ.

სვანმა ოქროს თევზი დაიჭირა.

— თუ გამიშვებ, ჰასაც ინატრებ, შეგისრულებ, — უთხრა ოქროს თევზმა.

— მინდა, ყოველდღე დაბადების დღე მქონდეს, — ინატრა სვანმა.

ოქროს თევზმა სურვილი შეასრულა. სვანი ოთ თვეში დაბერდა და მოკვდა.

✓ შეკრიბა
მურმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები

Cyan Magenta Yellow Black

რეიმონდ ჩენდლერი

ოქროს თევზები

დასაწყისი №19

ძველ დაისი ჩემს ოთახში ლუდს ვსვამდით და ერთმანეთს უხმოდ ვზვერავდით. სიჩუმე მან დაარღვია.

— ქეციანი თავად რატომ არ მოვიდა?

— მკვდარია და როგორ მოვიდოდა? — ვაჯახე პირდაპირ.

— ეს როგორ მოხდა? — ჩურჩულით შემეკითხა.

— მოკლედ რომ გითხრა, მან არ თქვა, სად იყო მოხუცი, ამიტომ ადგნენ და მოკლეს, ქუსლები დაუუთოეს.

— სულ რამდენი ხართ? ანუ შენ გგულისხმობ.

— რაკი ქეციანი აღარაა, სამნი, თუ, რა თქმა უნდა, კონკურენტებს ვაჯობებთ.

— ანუ იმათ, ვინც ქეციანი გაასაღა?

— ჰო.

— მოყევი, როგორ გამოიყურებიან.

მეც შეძლებისდაგვარად აღვწერე რაშ მედერი და კეროლ დონოვანი, ბოლოს კი დავამატე:

— ერთად მაგრები არიან.

— ჩვენ ახლა მანქანით ვესტპორტში წავალთ, მოხუც უოლ საიპთან, ოღონდ, ადრე რომ ახსენე, ოქროს თევზებით გული არ გაუწყალო.

— მარგალიტები მაგასთანაა?

— აბა, რა ვიცი.

— კარგი. მაინც წავიდეთ. ბოლოს და ბოლოს, აკვარიუმი და ოქროს თევზები მეც მაინტერესებს.

— ეშმაკი კაცია, სიფრთხილე გვმართებს, — შენიშნა დაისმა და წამოდგა.

ის იყო, კარი გამოვაღე, რომ ოთახში ორნი შემოცვივდნენ და პისტოლეტებმომარჯვებულებმა გვიყვირეს:

— შეჩერდით, თორემ ადგილზე გაგათავებთ!

ორნი, ალბათ ხვდებით, ვინც იყვნენ: გაიძვერა ადვოკატი რაშ მედერი და მისი მეგობარი ლამაზმანი, მის კეროლ დონოვანი, პირველს რომ არაფერში ჩამოუვარდებოდა და იქნებ მასზე სასტიკიც იყო. მარგალიტებზე მონადირენი, ცხადია, მე ამედევნენ და აკი დამეწივნენ კიდეც.

დეტალებით რომ არ გადაგღალოთ, მოკლედ მოგახსენებთ: ჩვენი შეხლა-შემოხლა იმით დამთავრდა, რომ მის კეროლ დონოვანი სააბაზანოში ჩავკეტე, მისი დაჭრილი მეგობარი იატაკზე ეგდო, არ ინძრეოდა და მგონი, აღარც სუნთქავდა, საბრალო დაისი კი ამქვეყნად აღარ იყო.

რაც შემეხება მე, ბრძოლას საღსალამათი გადავურჩი, გარეთ გამოვვარდი, ჩემს მანქანაში მოვკალათდი და გეზი წყნარი ოკეანისკენ, კერძოდ კი ვესტპორტისკენ ავიღე, სადაც, ჩემი ვარაუდით, ოქროს თევზების მოყვარული უოლ საიპის მოძებნა არ უნდა გამჭირვებოდა.

მანქანა იმ კოტეჯის წინ გავაჩერე, რომლის ფასადსაც შემდეგი აბრა ამშვენებდა:

„საუზმე, სადილი, ვახშამი“

ჩია, ჭორფლიანი კაცი ორ შავ დედალს აპურებდა და ჩემკენ მხოლოდ მანქანის კარის ხმამ გამოახედა, როცა მივაჯახუნე და მისკენ გავემართე.

— საუზმე მზადაა?

— მაგას ჩემი ცოლი განაგებს, — წვრილი ხმით მაუწყა მან, — ერბოკვერცხი ლორით, სხვა არაფერი.

ჩვენ სახლში შევედით და მასპინძლის მითითებულ მაგიდას მივუსხედით, საიდანაც გარეთა ხედი კარგად მოჩანდა.

— კალვადოსზე რას იტყვით? — შემეკითხა მასპინძელი, რომელსაც ცოლისთვის ბრძანება უკვე გაცემული ჰქონდა.

— ეს ფრანგული ვაშლის ღვინო ადრე გამისინჯავს, — მოვიწონე თავი, — ნაკლებად ათრობს, თუმცა სასიამოვნო დასალევია. ასე რომ...

— გასაგებია, — მომიჭრა მასპინძელმა, ადგა, წავიდა და მალევე დაბრუნდა უკან ჭიქებითა და ბოთლით შეიარაღებული.

— შორიდან ხართ? — შემეკითხა და ჭიქები ღვინით შეავსო, — ალბათ სიეტლიდან, ისეთი კარგი კოსტიუმი გაცვიათ.

— ჰო, — დავეთანხმე.

— რაზე შეწუხებულხართ?

— ოქროს თევზებს ვყიდულობ. როგორც გავიგე, აქ ერთ მოხუცს თურმე მთელი კოლექცია აქვს. ზოგიერთი ახალი სახეობა კი თავად გამოუყვანია.

ამ დროს უკანა კარი გაიღო და ჩასუქებულმა ქალმა გამოიხედა:

— ერბოკვერცხი წაიღე.

ჩია წამოხტა და ქალის ბრძანება სწრაფად შეასრულა. მე ჭამას შევუდექი, მან კი კალვადოსი გადაჰკრა და ფანჯრისკენ გამახედა:

— აი, იმ გორაზე რომ მოთეთრო სახლი დგას, ხომ ხედავ?

— ვხედავ.

— ჰოდა, მოხუცი უოლესიც იქ ცხოვრობს, — თქვა და ქირქილით დაამატა, — ამ მხარეში ოქროს თევზებით მის გარდა არავინ ერთობა.

აღარც ჩია მაინტერესებდა, აღარც მისი ცოლი და აღარც საჭმელ-სასმელი. სწრაფად წამოვდექი, დანახარჯზე ორჯერ მეტი გადავიხადე და იქაურობას გავეცალე.

ოთეთრო სახლს მალე მივადექი, მანქანიდან გადმოვედი, ჭიშკარი შევაღე და ყვავისფერკაბიან ქალს, ყვავილნარს რომ რწყავდა, თავაზიანად მივმართე:

— მაპატიეთ... მისტერ უოლესი აქ ცხოვრობს?

ქალს მშვიდი, სასიამოვნო სახე და მტკიცე გამოხედვა ჰქონდა.

— დიახ, რა გნებავთ? — ის ნაკლებად ჰგავდა იმ კაცის ცოლს, მატარებელი რომ გაძარცვა.

— მე... ოქროს თევზების მოყვარული ვარ... როგორც გავიგე, თქვენი მეუღლე ამ საქმის დიდი სპეციალისტია, ამიტომ მასთან გასაუბრება მინდოდა.

ქალი წამით ჩაფიქრდა, მერე კი ღიმილით მომიგო:

— მაღლაა. კიბით ახვალთ.

— გმადლობთ, — დავუბრუნე ღიმილი, ყვავილნარს ფრთხილად ავუარე გვერდი და იმ კაცის სახლში შევედი, რომელმაც ოდესღაც ლინდერის მარგალიტები მოიპარა.

დიდი ოთახი სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის აკვარიუმებით იყო სავსე, მათში მოცურავე ეგზოტიკური, ფერადფერადი თევზების აღწერა კი ნამდვილად ბევრ დროს წამართმევდა, ამიტომ აქ არ შევუდგები.

სკამზე ჩამომჯდარმა გამხდარმა მამაკაცმა თავისი უსიცოცხლო თვალები მომაპყრო და შემეკითხა:

— თევზები გაინტერესებთ?

— არც ისე, — გავაქნიე თავი, — ეს მხოლოდ საბაბია. მისტერ საიპ, მე შორიდან ჩამოვედი, თქვენ რომ მენახეთ.

მან ტუჩები გაილოკა და რბილი, დაღლილი ხმით მომმართა:

— პატივცემულო, მე უოლესი ვარ და არა საიპი.

— მაგრამ ჩემთვის საიპი ხართ.

— მისმინე, მეძებარო! მე ამნისტია თავად პრეზიდენტისგან მივიღე, ამიტომ ყველამ თავი დამანებოს! მეყო, რაც გადავიტანე! რომელ ერთს უნდა გაგიმეოროთ, არანაირი მარგალიტები არ მაქვს-მეთქი? მოდი, გადაჩხრიკე, თუ რამეს ნახავ, შენი იყოს!

ერთხანს ჩუმად ვიყავით, მერე აუჩქარებლად დავიწყე:

— შენ ერთი შეცდომა დაუშვი. ლივენვორტის ციხეში მარდოსთან ერთად იჯექი, მეტსახელად ქეციანი ერქვა. გახსოვს?

— ჰო, — მცირე პაუზის შემდეგ მომიგო საიპმა, — მერე?

— შენ მას მოუყევი, მოპარული მარგალიტები რომ გადამალე.

— ალბათ გავეხუმრე.

— არც ისე დიდი ხნის წინ ამ მხარეში ქეციანი და მისი მეგობარი დაისი იყვნენ. პირველმა შენ გიცნო და მარგალიტებზე ფულის გაკეთება გადაწყვიტა, მაგრამ კოკაინზე იჯდა და მალე ფეხები გაფშიკა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, შენი ამბავი სხვებმაც გაიგეს, მათ შორის თაღლითებმაც, რომლებიც ნამდვილად არ მოგასვენებენ და შეიძლება მაგრადაც გაგაცურონ, თუ, ცხადია, მოკვლას გადაურჩი. მე კი შენთან პატიოსანი, კარგი წინადადება მაქვს.

— შენ რომელი დაჯგუფებიდან ხარ? — მოულოდნელად შემეკითხა საიპი, — თავიდან მეძებარი მეგონე, ახლა კი ცოტა დავიბენი.

— სადაზღვევო კომპანიიდან, — მივუგე უყოყმანოდ, — მოკლედ, პირობა ასეთია: მთელი ჯილდოდან ანუ 25 ათასიდან 5 იმ ქალისაა, ვინც ინფორმაცია მომაწოდა, 10 ჩემია, 10 კი შენი. გაწყობს?

— ერთი შეხედვით სახარბიელო წინადადებაა, — რბილად თქვა მან, — მცირე დეტალი რომ არა.

— რას გულისხმობ?

Cyan Magenta Yellow Black

— არანაირი მარგალიტები არ გამაჩნია.

ანაზდად გარედან სწრაფი ნაბიჯების ხმა მოისმა და ოთახში სამნი შემოვიდნენ.

ᲗᲐᲕᲘ

პირველი მისის საიპი იყო, მის უკან კი მრისხანე კეროლ დონოვანი, თავისი შეუბრალებელი ხელით რევოლვერი რომ მიებჯინა ქალის ზურგზე. ბოლოს მედერი შემოქანდა. ის მთვრალი იყო, რის გამოც გაბედულს ჰგავდა და თავისი „სმიტი და ვესონიც“ კი მომიშვირა ქირქილით.

კეროლმა მისის საიპს უბიძგა და გვერდზე მიაგდო, ოჯახის უფროსი კი გაშტერებული დარჩა ქალიშვილის სილამაზით და მგონი, მომარჯვებული კოლტიც გადაავიწყდა, სწრაფად რომ დააძრო ნაბიჯების გაგონებაზე.

— მამიკო, — მიუბრუნდა მას კეროლი, — შენი კოლტი ახლავე აქედან მოაშორე! აბა, ჩქარა!

საიპი დაემორჩილა: თავისი იარაღი იატაკზე მოისროლა.

— რაშ, შენ ახლა ამას მიმიხედე, — მიმართა ქალიშვილმა ადვოკატს, — მე კი...

კეროლმა სათქმელი აღარ დაასრულა, ისე დამიმიზნა კოლტი, მედერმა კი თავისი იარაღი ახლა საიპს მიუშვირა.

ქალიშვილმა გამიღიმა, ოღონდ ამ ღიმილს სასიამოვნოს ვერ დავარქმევდი.

— აბა, ფარაონო, რას იტყვი? ნომერი არ გამოგივიდა?

პასუხად მუშტი მოვიქნიე და ისე ვგლიჯე კეროლს ყბაში, რომ ერთი იარდით უკან გადავარდა, მისმა რევოლვერმა კი გაისროლა. ქალიშვილი შეტორტმანდა, ოღონდ იატაკს მას შემდეგ დაენარცხა, როცა ზურგში მისის საიპის მიერ ქმრის კოლტით ნასროლი ტყვია მოხვდა, თანაც ორჯერ.

ამან მედერი გაახელა და საიპს ორჯერ დაახალა. მოხუცი, ჯერ ისევ მომღიმარი, იატაკზე ჩაიკეცა. მე ჩემი ნაგანი დავაძრე და მედერს ფეხებში ვესროლე, მერე მივვარდი და ვიდრე აკვნესდებოდა, ხელბორკილი დავადე. ქმრის კოლტი გამოვართვი მისის საიპსაც და ისიც იატაკზე დავაგდე, შემდეგ ძირს დაყრილი რევოლვერები ფეხით გვერდზე გავყარე.



უცებ სტვენისმაგვარი ხმა მომესმა. ეს საიპი იყო, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ბოლოს თავს ძალა დაატანა და, ცოლის მკლავებზე თავმიდებულმა, სუსტი, სტვენანარევი ჩურჩულით ორი სიტყვა ამოსცრა:

— ტელესკოპები... ტელესკოპები.

თქვა და თავი გვერდზე გადაეკიდა, სული განუტევა.

ᲗᲐᲕᲘ

ვიდრე მედერს ფეხის ჭრილობას ცხვირსახოცით ვუხვევდი, ის შეშლილი თვალებით შემომცქეროდა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ, როცა ჩამოსახრჩობად წაიყვანდნენ, ძლიერ იკოჭლებდა.

ქვევით ჩავედი და ვერანდაზე გავჩერდი. სახლის წინ ორი მანქანა იდგა. სროლის ხმა რომ ვინმეს გაეგონა, ახლა აქ ასეთი სიწყნარე არ იქნებოდა.

ისევ მაღლა ავედი. არც ერთი აკვარიუმი დაზიანებული არ იყო. თევზები მომწვანო წყალში მშვიდად დაცურავდნენ და მედერის კვნესა სულაც არ ანაღვლებდათ.

კუთხეში ათგალონიანი აკვარიუმი იდგა შავი ჩინური ტელესკოპებით. უოლ საიპის ბოლო სიტყვები გამახსენდა და აკვარიუმს მივუახლოვდი. შიგ ოთხი დიდი თევზი დაცურავდა, ორი თავისუფლად და ყველანაირი მიმართულებით, დანარჩენი ორი კი ფსკერს თითქმის დაყრდნობოდა, თითქოს მაღლა ამოცურვა ეზარებათ ან არ შეუძლიათო. საინტერესოა, რატომ?

თავში ერთმა აზრმა გამიელვა და მაშინვე მისი გადამოწმება გადავწყვიტე. იქვე გრძელტარიანი ჩოგანბადე შევნიშნე, ხელი წავავლე და ექსპერიმენტის ჩასატარებლად მოვემზადე.

პირველ რიგში, ხელები დავიკაპიწე, მერე ჩოგანბადით ერთ-ერთი „ყოჩაღი“ ტელესკოპი ამოვიღე, სწრაფად გავსინჯე და უკან დავაბრუნე. მერე ქვედა, უფრო დაბდურა თევზი ამოვიყვანე და როცა მუცელზე ხელი გადავუსვი, საეჭვო სიმკვრივე აღმოვაჩინე.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ქვედა თევზები, უოლ საიპის წარმატებული ოპერაციის წყალობით, ზემოხსენებულ მარგალიტებს ინახავდნენ, ოღონდ როდემდე შეძლებდნენ მათ ტარებას თუნდაც უძრავ მდგომარეობაში, ძნელი სათქმელია.

შემდგომი ოპერაციები, მარგალიტისმატარებელ ტელესკოპებს რომ ჩავუტარე, ბინძური სამუშაო იყო და მათზე ათ წუთამდე დავხარჯე. სამაგიეროდ, შედეგით კმაყოფილი დავრჩი — ორი მარგალიტი კარგად გავრეცხე, ცხვირსახოცში გავახვიე და კოსტიუმის შიგა ჯიბეში შევინახე. შემდეგ ქვევით ჩავედი და სატელეფონო აპარატის სახელური დავატრიალე.

— გისმენთ, — მომესმა გოგონას ხმა.

— ვესტპორტიდან ვრეკავ, მისტერ უოლესის სახლიდან. აქ ცუდი რაღაცა მოხდა. ჩვენ ექიმი გვჭირდება, ასევე პოლიციაც. შეგიძლიათ დაგვეხმაროთ?

— მისტერ უოლეს, ექიმის გამოგზავნას შევეცდები, მაგრამ ამას დრო დასჭირდება. რაც შეეხება პოლიციას, ვესტპორტში უბნის პოლისმენია. გამოვიძახო?

— დიახ, თუ შეიძლება, — მივუგე და ყურმილი დავკიდე.

ᲗᲐᲕᲘ

უკვე ვერანდაზე მდგარ ჭრიალა საქანელა-სავარძელში ვიჯექი და სიგარეტს ვაბოლებდი, როცა სახლიდან მისის საიპი გამოვიდა, მომიახლოვდა, სხვა სავარძელში მოკალათდა, შემომხედა და წყნარად თქვა:

— თქვენ, მგონი, დეტექტივი უნდა იყოთ.

— დიახ. იმ კომპანიას წარმოვადგენ, ლინდერის მარგალიტები რომ დაზღვია.

— მეგონა, აქ სიმშვიდეს მოიპოვებდა... არავინ შეაწუხებდა... თავშესაფარს იპოვიდა, — ჩაილაპარაკა ქალმა, — იცით, ვიდრე ამას შეძლებდა, ათობით თევზი დახოცა... ამგვარი იდეები ჩემთვის ყოველთვის მიუღებელი იყო... ხომ გახსოვთ ბიბლიური იგავი განტევების ვაცის შესახებ? ამ საბრალო ცხოველს ადამიანური ცოდვები აჰკიდეს, მერე კი უდაბნოში გააგდეს. ეს ოქროს თევზებიც განტევების ვაცის როლში აღმოჩნდნენ, — ქალმა წამით შეისვენა, გამიღიმა და განაგრძო,

— იცით, საბრალო უოლის ოდესღაც მართლა ჰქონდა ნამდვილი მარგალიტები, მაგრამ, სამწუხაროდ, ციხიდან გამოსვლის შემდეგ აიდაჰოში იმ ადგილს ვერ მიაგნო, სადაც ისინი ჩამარხა.

— რა თქვით? — შევძახე თავზარდაცემულმა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოვიღე და მეორე ხელისგულზე დავბერტყე, — მაშ, ესენი ყალბია?

— სამწუხაროდ, კი. შიგნით მხოლოდ თეთრი ცვილია, მეტი არაფერი. გარედან კი, რომ იბზინოს, რაღაცას უსვამენ. ისე, მაინც ლამაზებია, არა? თუმცა ნამდვილი მარგალიტი საერთოდ არ მინახავს.

— სად იყიდა?

— მგონი, სიეტლში. იქ ამზადებენო რაღაცა მეთოდით. სახელი დამავიწყდა.

— ესენი რაღაში სჭირდებოდა?

— არც კი ვიცი. საერთოდ მოსწონდა ბრჭყვიალა რაღაცეები, — ქალი ღიმილად დადნა.

— მე კი მეგონა... თუმცა ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს...

— მისტერ... ამის თქმა მეუხერხულება, მაგრამ... ჩემი ქმარი ძალიან მიყვარდა... ამიტომ თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს.

— ბრძანეთ.

— იქნებ ეს ყალბი მარგალიტები დამიტოვოთ, ჰა? ჩემი უოლის მოსაგონებლად... როცა დავხედავ, გამახსენდება ხოლმე მასთან გატარებული წლები...

— მაშ, სამახსოვროდ, ხომ? — წამოვდექი და გზას გავხედე: ადგილობრივი პოლისმენის შავი „ფორდი“ ნელა მოუყვებოდა აღმართს.

— ჰო... რაღაში გჭირდებათ ყალბი...

ჩემი საპასუხო რეაქცია მკაცრიც იყო და დამცინავიც:

— ჰო, რა თქმა უნდა, ყალბი აღარ გამოგვადგება. თქვენ კი, ქალბატონო, მაგარი მსახიობი ყოფილხართ და მე სულელმაც კინაღამ დაგიჯერეთ! თქვენ კოლტს შესანიშნავად ხმარობთ, სიბრალულის გრძნობა კი საერთოდ არ გაგაჩნიათ! ეს ქვები რომ ყალბი იყოს, თქვენს მომაკვდავ ქმარს საერთოდ არ დასცდებოდა „ტელესკოპები, ტელესკოპები“!

ქალი ერთხანს გაქვავებული იდგა, მერე სახე სიბრაზისგან აუჭარხლდა, თვალები ზიზღით აევსო, წამოდგა, შემომაფურთხა, სწრაფად შევარდა სახლში და კარი შეიჯახუნა...

სახე ცხვირსახოცით მოვიწმინდე და გამეღიმა.

ბოროტი ადამიანების უზრდელი გამოხდომები აღარ მაღიზიანებდა. მთავარი ჩემთვის მიზანი იყო, რომელსაც მივაღწიე, სხვა ყველაფერი კი აღარ მაინტერესებდა.

დასასრული

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი

Cyan Magenta Yellow Black

თინათინ ბონი

www.facebook.com/Tinatinbonney

ეიფორია

დასაწყისი №7-19

მესამე ნაწილი

ცოცხალი მაგალითი

დღევანდელი ჩემი სიმღერაა „Bermuda - Locket“. მაცვია სანდროს მაისური და სახლს ვულაგებ. თვითონ წასულია მაღაზიაში. ვშიშობ, არ შევეჩვიო ამ მდგომარეობას. ძალიან კარგად ვარ. კარზე ზარია. ალბათ სანდრო დაბრუნდა. ვაღებ კარს და შემოდის თამარა.

— ასეც ვიცოდი, — მეუბნება ღიმილით.

— გამარჯობა, — ვეუბნები და ვკოცნი.

— სად არის mio figlio?

— მაღაზიაშია გასული. ყავას დაგალევინებთ.

— არა, ხელს არ შეგიშლით. ტელეფონს არ პასუხობდა და მაგიტომ შემოვუარე.

თამარა მიდის და კარს ვკეტავ. დამავიწყდა, მეთქვა, რომ ფული უნდა დავუბრუნო. ნუ, ისედაც ხომ იცის, რომ არ დავხარჯავდი იმ ფულს. დროა, სიმღერა შევცვალო. ვრთავ Milo Greene-ის ალბომს. ძალიან მიყვარს „1975“, „Whats the Matter“ და „Perfectly Aligned“. ცოტა „გრუზი“ სიმღერებია. ვერ ვიგებ, მთავარ ბიჭს ელანდება ის გოგო, რომელიც უყვარს თუ მართლა გადახდა ყველაფერი თავს. ყველა კლიპი ერთი დიდი ისტორიის ნაწილია. ვაგრძელებ დალაგებას. ვერ ვიკავებ თავს და უჯრებში ვიხედები. დიდი არაფერი. ვინაცვლებ სანდროს გარდერობის ოთახში. იქ, სადაც პერანგები უკიდია, ფეხსაცმლის ყუთი დევს და შიგნით ქვითრები ყრია. სულ ძირში დაძველებული წერილი დევს. ვჯდები იატაკზე და ვიწყებ კითხვას.

„ჩემო სანდრო, ვიცი ეს ჩემი ბოლო წერილია, იმიტომ, რომ ამ ურთიერთობის გაგრძელება არ შეიძლება. შენ გინდოდა, გცოდნოდა ჩემი ცხოვრების ისტორია და მე გიამბობ მას, მაგრამ ამის შემდეგ მე შენთვის აღარ ვიარსებებ, ისევე როგორც შენ ჩემთვის. მგონი, იმის შეხსენება, თუ რატომ, საჭირო არ იქნება.

დავიბადე საკმაოდ შეძლებულ ოჯახში და ამიტომაც გაჭირვების ყოველი წელიწადი მწარედ მახსოვს. ბრილიანტებით სავსე მუჭიდან მტკივნეულად გადავედით ძველ, გაქექილ „ინსპექტორებზე“. ეს ყველაფერი იყო და დიდი კვალიც დატოვა. მახსოვს ბედნიერი წამები, როდესაც ნავთის ქურას შემოვუხსდებოდით მთელი ოჯახი და ვსაუბრობდით, ვიცინოდით და, შეიძლება ითქვას, ბედნიერებიც ვიყავით, მაგრამ ამ ყველაფერს მაინც სდევდა უიმედობა. ბავშვობაში მეგონა, რომ გავიზრდებოდი, ვინმე ცნობილი რეჟისორი აღმომაჩენდა. ვიჯექი, ვკითხულობდი წიგნებს და გმირების ცხოვრებით ვსაზრდოობდი. ცნობილი რეჟისორი კი არ მოდიოდა.

14 წლის ვიყავი, დედაჩემმა ბოლო ძვირფასეულობა რომ გაყიდა და გამომიშვა გაცვლითი პროგრამით იტალიაში, რათა მე აქ მესწავლა. „აი, ახლა ნამდვილად ყველაფერი შეიცვლება“, — ვფიქრობდი მე. ამ ნაბიჯმა მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრება შეცვალა, თუმცა ამის გასაანალიზებლად დამჭირდა წლები. იტალია დამეხმარა იმაში, რომ მომხსნოდა ხალხთან ურთიერთობის კომპლექსი. იყო დრო, პირველი მივდიოდი დაბადების დღეზე, რათა ხალხით სავსე ოთახში არ შევსულიყავი, ახლა კი ნებისმიერი ღონისძიებისას სიამოვნებით ვიმყოფებოდი ყურადღების ცენტრში. გავხდი დამოუკიდებელი. ფინანსურად საკმაოდ შეზღუდული ვიყავი და ამიტომაც ძირითად დროს საკუთარ თავზე მუშაობას ვუთმობდი.

სანამ წამოვიდოდი, მეგონა, რომ აქ დამხვდებოდა მილიონერების ოჯახი, რომლებიც ჩემზე გაგიჟდებოდნენ, უნივერსიტეტს დამიფინანსებდნენ და ცხოვრებას ამიწყობდნენ. ასე არ მოხდა. ოჯახი, რომელშიც მოვხვდი, საშუალო ფენას წარმოადგენდა და ჩემთვის კი არა, თავისი შვილებისთვის ძლივს ჰქონდათ. პირველი ღამე საშინლად გადავიტანე. ვიჯექი და ვტიროდი. სახლში წასვლაც კი გადავწყვიტე, როდესაც ოჯახის მეგობარმა დამირეკა და მითხრა, რომ მომინახულებდა. მასთან საუბარმა გადაწყვეტილება შემაცვლევინა. მან მირჩია, რომ არ მეჩქარა, ქვეყანა დამეთვალიერებინა და თუ არ მომეწონებოდა, წასვლას ყოველთვის მოვასწრებდი. ეს რჩევა დღემდე მადგება. როდესაც რაიმე შანსი გეძლევა, გამოიყენე იგი და არასდროს ინანო. ნებისმიერი გამოცდილება შენ სასარგებლოდ შეიძლება გამოიყენო.

წელიწადმა სწრაფად გაირბინა და სახლში დაბრუნების დრო დადგა. იტალიაში დარჩა ოცნებები, სიმპათიები და იმედები. მე შევეჩეხე რეალობას და დეგრადირებაც დავიწყე. სწავლაში გონება არ მიჭრიდა, თეატრალურის მსურველი იურიდიულზე აღმოვჩნდი. პირველ კურსზევე დავიწყე სამსახური სასტუმროში. მალევე გადავედი სამშენებლო კომპანიაში მდივნად და ვიყავი ყველაზე უბედური ადამიანი. მაგ დროისათვის უკვე შეყვარებული, უფრო სწორად, საქმრო მყავდა. ცხოვრება მიედინებოდა და არაფერი სასიხარულო არ ხდებოდა. ჩემი საქმრო ძალიან კარგი პიროვნება იყო და, როგორც მეგობარი, ყოველთვის გვერდში მედგა, მაგრამ იყო ჩვენ შორის ერთი დიდი განსხვავება, იგი საოცარი რეალისტი იყო, მე კი უკიდეგანო მეოცნებე ვიყავი. იმაზეც კი ვერ ვთანხმდებოდით, სად უნდა დაგვეკიდა ჭაღი. მაგ დროს უკვე ვმუშაობდი, ხელფასსაც არა უშავდა. თითქოს ცხოვრება გამოსწორების გზაზე იყო, მაგრამ ერთდროულად ჩემს ყოველდღიურობაში შემოვიდა სამი ახალი სიტყვა: კიბო, პოლიტიკა და კრედიტი.

ახალი წლების პერიოდში დედაჩემს მკერდის ტკივილი დაეწყო და დიაგნოზიც უცებ დადგინდა — კიბო. მაგ პერიოდშივე ჩემი საქმრო პოლიტიკაში ჩაერთო. იმდენად ცუდად ვგრძნობდი თავს, რომ არაფერი მინდოდა. ეს ყალბი ბედნიერება, რომელიც უნდა გამომეხატა, როცა ოჯახში უბედურება მქონდა, შიგნიდან მჭამდა. მე ვუყურებდი საყვარელ ადამიანს ტელევიზორში, ვიღიმოდი ჟურნალების ფოტოგრაფებისთვის, ამ დროს კი გული მიკვდებოდა. დედაჩემი, ულამაზესი ქალი, სიკეთისა და სითბოს განსახიერება, ჩემ თვალწინ კარგავდა ფორმას და გონებას. მკურნალობას, რომელიც თუნდაც დღეებით გაუხანგრძლივებდა სიცოცხლეს, ათასები სჭირდებოდა.

დედა გარდაიცვალა. გავიდა დრო, სულის ტკივილი სტაბილური და ასატანი გახდა. მე ისევ იმ სამსახურში დავდიოდი, ისევ ის კაცი მყავდა გვერდით. ნელ-ნელა შევწყვიტე ზედმეტად სახლიდან გასვლა, ჩავჯექი ვალებში და მეზიზღებოდა საკუთარი თავი. მე ვიყავი ის, რისიც ყოველთვის მეშინოდა — წარუმატებელი ყველაფერში. მე მაქვს ცხოვრებაში მიზნები და სურვილები, რომლებსაც ნაბიჯ-ნაბიჯ ვახორციელებ. დღევანდელ დღეს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი სურვილების ნაწილს უკვე მივაღწიე. ყოველთვის მინდოდა, იტალიაში მეცხოვრა და ვცხოვრობ! წელს ზაფხულში გავხსენით კაფე, რომელსაც ოჯახურად ვმართავთ. მინდოდა უცხოელი მეუღლე, რომელსაც ვეყვარებოდი ისეთი, როგორიც ვარ და მუდამ ყველაზე სასურველ ქალად მაგრძნობინებდა თავს — მყავს. ეს ჩამონათვალი გრძელდება და გრძელდება. კაფე ამუშავდა და ახლა დავფიქრდი, რომ იურისტის კარიერა აქ, მილანში გავაგრძელო, ამიტომაც დავჯექი და დავიწყე ფიქრი, როგორი სამუშაო მინდა მე? ანაზღაურება რომ იყოს მაღალი, პოზიცია რომ იყოს მმართველობითი დონის, მივლინებები რომ მიწევდეს უცხოეთში, უფროსი რომ მყავდეს კარგი, უცხოელი სტუმრები რომ ჩამოდიოდნენ და საქმიან სადილებზე დავდიოდეთ. კიდევ ბევრი წვრილმანია. ამას ყველაფერს მაშინ ახერხებ, როდესაც საკუთარ თავთან კომფორტში იმყოფები. მოკლედ, დავუბრუნდები ისევ წარსულს.

ჩემი და ჩემი საქმროს ურთიერთობა გრძელდებოდა 10 წელიწადი. იყო ბედნიერი დღეები, იყო საოცრად მძიმეც. ჩვენ კარგი მეგობრები ვიყავით, მაგრამ ცოლ-ქმრის ამპლუაში ნამდვილად წარუმატებლები ვიქნებოდით. ყველაზე რთულ მომენტებში, როდესაც ჩვენი დაშორების მორიგი მცდელობა კრახით და ცრემლებით მთავრდებოდა, ვოცნებობდი, რომ მას შეხვედროდა ადამიანი, რომელიც გააბედნიერებდა, რადგან მე ნამდვილად არ ვიყავი ეს ადამიანი. 10 წლის თავზე საბოლოოდ დავასრულეთ ჩვენი ურთიერთობა. ჩვენი დაშორების შემდეგ თითქოს პირველად ჩავისუნთქე ღრმად. იყო ტკივილიც.

დაშორებიდან დაახლოებით 6 თვის თავზე წამოვედი მილანში ძველი მეგობრების სანახავად. იქიდან დაბრუნებული მივხვდი, რომ მინდოდა, ისეთი სიყვარული შემხვედროდა, ფილმებში როგორსაც ვხედავდი. მე მართლაც შემხვდა ჩემი მეუღლე. რომელიც ძალიან მიყვარს.

ჩემო სანდრო, შენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ! იცი, რასაც ვგრძნობ შენ მიმართ და გთხოვ, მიიღე ჩემი გადაწყვეტილება. მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ, რომ ბავშვი ავიყვანოთ და ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ის, რაც ჩემსა და შენს შორის იყო, ტკბილ მოგონებად დარჩება. გკოცნი“.

ვკეცავ წერილს და ვათავსებ იქ, სადაც იყო. ნეტა, ვისი დაწერილია ან რა ხდებოდა მათ შორის? იმდენად ძველი წერილია, რომ 7-8 წლის მაინც უნდა იყოს. ნუთუ ეს ის დროა, სანდრომ რომ

Cyan Magenta Yellow Black

ლოლა მიატოვა? ახლა შევიჭამ თავს ამაზე ფიქრით. თუმცა ალბათ მოვა დრო და სანდრო მომიყვება ყველაფერს. მესმის კარის ხმა. ტყვიასავით გავრბივარ სანდროს გარდერობის ოთახიდან და, ვითომ არაფერი, ვწვები საწოლზე.

— ისვენებ? — სანდრო საწოლზე ჩემ გვერდით ეცემა.

— აჰა, — ვეუბნები უმანკო ღიმილით.

— გინდა, გვიან კინოში წავიდეთ?

— რატომაც არა, — ვეხუტები და კისერზე ვაბჯენ ცხვირს.

სანდრო მიხუტებს და თვალებს ხუჭავს. როგორ მაინტერესებს, ვისი წერილია ის, რაც წავიკითხე და რა ურთიერთობა ჰქონდათ. ნუთუ სანდროს ჩემამდეც ჰყვარებია ვინმე ასე მაგრად? ან სანდროს თუ მიუწერია მისთვის წერილი? ლენა, გეყოფა! მორჩი მისი წარსულის ქექვას. თავის დროზე ამ ფიქრებმა დაგღუპა. ან იქნებ იმ ქალს გარეგნობით ვგავარ და იმიტომ ვყავარ აკვიატებული? ამის გაფიქრებაც არ მინდა! ვიცი, ეს ისევ „გრეი“ ამომიხტა, მაგის გავლენაა, ვბოდავ რაღაცეებს.



— სანდრო... — არ მასვენებს გამჩენი.

— რა იყო?

— შენი პირველი დიდი სიყვარული ვინ იყო?

— რამდენად დიდი?

— აი, ძალიან, ძალიან!

— ნატალია.

— ვინ ნატალია? — თვალებს ვჭყიტავ.

— ერთი გათხოვილი ქალი, რომელიც მილანში გავიცანი.

— და რა იყო თქვენ შორის?

— მოკლე რომანი.

— მე მეგონა, ჩემამდე არავინ გყვარებია.

— ლენა, რატომ ედრები ყველა ქალს ჩემს ცხოვრებაში? მე შენამდე ასე არავინ მყვარებია. მე არ მითქვამს, რომ საერთოდ არასდროს მყვარებია და თანაც მე მასთან, რასაც ჰქვია ურთიერთობა, არ მქონია. შენთან კი ურთიერთობის აწყობას ვცდილობ, რაც გაგიცანი.

— და ახლა გაქვს მის მიმართ რაიმე ემოციები?

— ლენა, ეს იყო ასი წლის... მოიცა, მოიცა! — სანდრო მწევს და თვალებში მიყურებს.

— რა იყო? — ვეკითხები და ვცდილობ, არაფერი შემატყოს.

— ისევ ჩემს რაღაცეებში იქექებოდი?

— რა სიტყვაა ეს „ქექვა“!

— ლენა, ნატალიას წერილი წაიკითხე? — ტონი ეცვლება.

— შეიძლება წავიკითხე, — ვაი, როგორ მომხვდება.

— შენ ამის უფლება არ გქონდა! — სანდრო ტონს უწევს.

— ნუ მიყვირი! — მიცრემლიანდება თვალები.

სანდრო საწოლიდან დგება და წრეზე იწყებს სიარულს.

— რა, აწი სულ ასე უნდა ვიყოთ? სახლიდან ვერ უნდა წავიდე, რომ ჩემს ნივთებში არ იძრომიალო? რა გაინტერესებს, მკითხე და გეტყვი! ერთხელ და სამუდამოდ გავიაროთ ეს თემა. ჩემი ქალები გაინტერესებს? მამაჩემი? ჩემი ფული?

კიდე კაი, ფული ახსენა, მიზეზი მაქვს, რომ გავითამაშო წყენა.

— სანდრო, ეს როგორ მითხარი? — ვეუბნები აცრემლებული თვალებით და ბალიშში ვრგავ თავს.

სანდრო გვერდით მიწვება და კისერში მკოცნის.

— ლენ, ხო იცი, რომ ეგ არ მიგულისხმია, ნუ იბუტები!

შვებას ვგრძნობ. ყურადღება გადატანილია. სანდრო ცდილობს, გადმომაბრუნოს, მე კი მკვდრის მოჭიდებით მაქვს ჩახუტებული ბალიში. ხუთწუთიანი წვალების შემდეგ ვუშვებ ბალიშს ხელს და ვაძლევ საშუალებას სანდროს, რომ მომესიყვარულოს. გადავრჩი!

შევდივართ კინო „რუსთაველში“. გადატენილია ხალხით. აბა, მეტი რა უნდა აკეთო საღამოს თბილისში? სანდრო ბილეთებს ყიდულობს და ავდივართ ზემოთ. გოგოებს, რომლებიც მაშტერდებიან, ოფიციალურად ვაიგნორებ. დროა, ასე ვიქცეოდე. ადრეც უნდა მივმხვდარიყავი ამას.

— მე პოპკორნს ვიყიდი და შენ მიდი, დაჯექი.

ძალიან დიდი რიგია და მეზარება დგომა, თორემ დაველოდები. ვაძლევ კარში მდგარ გოგონას ბილეთს და შევდივარ დიდ დარბაზში. ვჯდები ჩემს ადგილზე. იმედია, კარგი ფილმია.

— ლენკაააა! — მესმის კივილი და ვიღაცა მდორბლავს.

როცა ხელს მიშვებს, ვახერხებ, შევათვალიერო და ვხედავ ჩემს ძველ მეგობარს, მანჩოს. ჯგუფელები ვიყავით და ერთ დროს მართლაც ძალიან კარგად ვიყავით.

— მანჩო, როგორ გამიხარდა. სად ხარ, რას შვრები?

— გოგო, რა ვიცი, ვმუშაობ და ვარ. მარკეტინგს კაი ხანია შევეშვი, ბუღალტერიაა ახლა ჩემი საქმე.

— კი მაგრამ, ეს როგორ მოხდა?

— რა ვიცი. მივხვდი, რომ ვერ ვშოულობდი მაგ მიმართულებით სამსახურს. ახლა კარგად ვარ.

— გოგო, ძალიან მიხარია.

— შენ რას შვრები?

— მე ისევ მარკეტინგში ვარ. ვერ შევეშვი. ბევრი სამსახური შევიცვალე, მაგრამ ამჯერად, მგონი, შევრჩები აქ.

— სად ხარ?

— იტალიურ სამკაულებში.

— აუ, ძალიან მაგარია, გოგო.

— პირადში? ქმარს გასცილდი, ხომ შენ?

— კი, იყო ეგეთი, — თბილისში ყველამ ყველაფერი იცის.

— ცუდია, რომ დავიკარგეთ, არც შენს მეუღლეს ვიცნობდი.

— არა უშავს, აწი აღვადგინოთ, — ვეუბნები ალალად.

— აუცილებლად.

— შენკენ რა ხდება პირად ამბებში?

— გოგო, ახლა ისეთი არაფერი, მაგრამ ცოტა ხნის წინ ერთ ბიჭთან დავდიოდი, ეს იყო რაღაც.

— ხოო? — საინტერესოა, მიყვარს ასეთი ისტორიები.

— რაღაც ზეკაცი იყო, ლენ. გინდა გარეგნობით, გინდა ფინანსურად, — ამბობს და ჩურჩულით ამატებს, — და საწოლში ხომ საერთოდ!

— მერე რა მოხდა?

— რაც ხდება ხოლმე, დაიკარგა.

— ცუდია.

— ცხოვრებაა ეს, ლენ, მაგრამ ისეთი კარგი იყო მასთან, რომ ღირდა, რა.

— ლენ, აიღე, — მესმის სანდროს ხმა.

ვტრიალდები, რომ პოპკორნი გამოვართვა.

— სანდრო, გაიცანი ჩემი მეგობარი... — ახლა მანჩოს ვუბრუნდები, მას კი ფერი არ ადევს.

არა! არა! არა! სანდროა ის ბიჭი. პირი მიშრება. შუქი ქრება და სანდრო თავს არ იწუხებს მანჩოთი. შეიძლება იმდენი ჰყავდა უკვე, რომ ვეღარც ცნობს. მანჩოს მკვდარ სახეს სიბნელეშიც კი ვხედავ. დიდი მუჭებით ვიტენი პოპკორნს პირში. იწყება კინო.

— მარანძანა, დარჩა ამ ქალაქში ვინმე, შენ რომ არ გაგეფინა? — ვკითხულობ პოპკორნით სავსე პირით.

— რა? — მეკითხება სანდრო.

— უყურე კინოს! — ვეუბნები და განვაგრძობ პოპკორნთან ბრძოლას.

აქეთ ჩემი კაცი ზის, იქით ჩემი მეგობარი, შუაში მე, როგორც შვეიცარიული ყველი ბუტერბროდში. ცოცხალი მაგალითი იმისა, რომ სანდროს ქალები ყველგან არიან, ყველგან. ჩემს მეგობრებშიც კი. ნეტა, ჩემს დაქალებშიც ხომ არა? შანსი არაა! ამას არ იკადრებდა. თუმცა ისე გავამწარე და იქნებ... ლენა, გეყოფა! იტენე ეგ პოპკორნი და უყურე კინოს. რაც იყო, იყო. მთავარია, აღარ მოხდეს აწი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Cyan Magenta Yellow Black

„აბა, მანამდე რა იყო? სიმართლე ისაა, რომ არც არაფერი. მიდიოდა ცხოვრება ხან ბილიკით, ხან ტრასით, ხან შუკა-შუკა, ხან შარა-შარა, ხან გაკვალულზე, ხან გაუკვალავზე... ახლა იმ ბილიკის დრო იყო, მოულოდნელად რომ გამოჩნდება, სადაც არ ელი, სწორედ იქ გადაიყრის ბალახს, ამოანათებს დაბურულ მწვანეში, თან ისე მაცდუნებლად ამოანათებს, რომც არ გინდოდეს, მაინც ამ ახალი ბილიკით გინდება წასვლა. რა იცი, სად მიდის, რა იცი, სად მიგიყვანს, რომელ წერტილთან გაწყდება“...

ჩაამთავრებდა ამ შესავალს, რომ არა ნეო და ნეოს „ზარი ახლობელთან“.

აი, ეს ზარია, ბოლოსმომღები, საგულდაგულოდ დახვეული ფიქრის გორგლის დამშლელი და ამბურდავი. რეკავს უდროო დროს — დილასაც, შუადღისასაც, ღამითაც, შუაღამისასაც... რეკავს, როცა მას უნდა და არა იმას, ვისთანაც რეკავს.

— ოო, დამამთავრებინე რა, დამამთავრებინე ეს წინადადება, თორემ ვერაფერს ვეღარ დავწერ! მოვდივარ, ჰო, მოვდი-ვარ! აიღე ხელი მაგ ღილაკიდან, ბოლოს და ბოლოს! — დაიყვირა თავისთვის, კლავიატურას ხელი დაარტყა. რას ერჩოდა. წამოდგა და კარი გააღო.

— სახლში არ იყავი? — ჰკითხა ნეომ.

„ვერ არის ეს! ვერ არის, ვერ არის! — გაიფიქრა ყვირილით, — სახლში თუ არა ვარ, კარი როგორ გავაღე?! ამას თავისი ექსპერიმენტის ნაწილი ხომ არ ვგონივარ? მაგალითად, სპირიტიზმის დროს გამოძახებული ცოცხალი ადამიანი მიცვალებულთათვის — ბრრრ... რა ჭკუაზე უნდა იყო, ეს რომ წარმოიდგინო: სხედან მიცვალებულები და შენ, ცოცხალს, გიძახებენ თეფშით ან მათლაფით, ჰო, კიდევ მაკრატლით“.

ეს სულ აღარ ახსოვდა, რამ გაახსენა? მაკრატელზე თოკით მიმაგრებული წიგნი და მისი ტრიალი... და სამფეხა მაგიდა? იმერელ აზნაურს რომ ჰგავდა და აკაკუნებდა და აკაკუნებდა ხან ერთ ფეხს, ხან მეორეს, ხან მესამეს, ხან სამივეს ერთად... და ამის გახსენებაზე სიცილი აუტყდა, დაავიწყდა, რომ გაბრაზებული იყო, წარბ და კოპშეკრული, ნერვებმოშლილი უდროოდ მოსული სტუმრისგან და:

— შემოდი, შემოდი, ახლავე, — უთხრა ნეოს, სწრაფად გავარდა, ტექსტი აკრიფა და დაიმახსოვრა. ესეც ასე, მომავალი ბლოგის ან სტატიის თემაც მოინიშნა, გადასარევი ამბავი იქნება: ბავშვობის ცრურწმენები, ძველი და ახალი რიტუალები.

ნეომ მაშინვე ლეპტოპში შეყო ცხვირი, რა თქმა უნდა, დაუკითხავად, საერთოდ, გრძელი ცხვირი აქვს, ყურებიც, სხვათა შორის, თვალებიც... მოკლედ, წითელქუდას მგელს ჰგავს.

ნეო, ნეო, რატომ გაქვს ასეთი გრძელი ცხვირი?

ნეო, ნეო, რატომ გაქვს ასეთი დიდი ყურები?

ნეო, ნეო, რატომ გაქვს ასეთი დიდი თვალები?

იმიტომ, რომ ყველაფერი დაინახოს, ყველაფერი მოისმინოს, ყველაფერი იცოდეს და მერე სულელები გააბრიყვოს თავისი ენციკლოპედიური ცოდნით მათი პირადი ცხოვრების შესახებ. რა ძნელი ასატანია ამ კატეგორიის ხალხი, მით უმეტეს, თუ გამუდმებით გიკაკუნებენ კარზე, შენს ცხოვრებაშიც შემოდიან, შენს სიმყუდროვეში და შენს სახლს — ციხესიმაგრეს გამუდმებით უჩიჩქნიან კედელს ჭუჭრუტანისთვის.

ტატას კი სულაც არ უნდა, ვინმე მის ცხოვრებაში, მის სახლში იჭვრიტებოდეს, თავად არავის საქმეში ყოფს ცხვირს, საკუთარი პირადი ცხოვრებით ტკბება. ძღივს ააწყო მოზაიკასავით, ყველა ფერს თავისი ადგილი მიუჩინა. ამ მოზაიკაზე საყვარელი საქმეცაა და საყვარელი ადამიანიც. ტატა ინტერვიუსთვის მივიდა მასთან, მივიდა და ფაქტობრივად ვეღარც წამოვიდა. უფრო სწორად, წამოვიდა და წამოიყვანა. მართალია, ჯერჯერობით მუდმივად ერთად არ ცხოვრობენ, მაგრამ ვახო ხშირად რჩება მასთან. ახლა კი ეს ნეო თავისი მუდმივი ვიზიტებით...

— ახლა რაშია საქმე, — ნეომ ლეპტოპს თვალი მოაშორა და ახლა ტატა განგმირა მზერით და იდუმალი ხმით, — შენ ხომ იცი, მე ყველაფერი შემიძლია?

— კი, ვიცი, — ზრდილობის გამო დაუქნია თავი ტატამ. არაფერიც არ იცის, საერთოდ არ სჯერა ნეოს ზებუნებრივი ნიჭის, მაგრამ ასეთებს უნდა დაეთანხმო და მოერიდო. რა იცი, რა ხდება, ვაითუ მართლა შეუძლიათ, ცხოვრება შეგიცვალონ.

— არა, მართლა ხომ გჯერა ჩემი? — ჰკითხა ისევ ნეომ, დაეჭვების საფუძველი მაინც ჰქონდა.

— აუ, კარგი რა, მოდი, თუ გინდა, ყავა დალიე, კითხვა-პასუხის ხასიათზე არ ვარ, — უთხრა და სამზარეულოში გავიდა.

— რამე მოხდა? — მაშინვე დაიგრძელა ყური ნეომ.

— არა, საქმე მაქვს და არ მცალია, — ცოტა არ იყოს, უხეშად უპასუხა, — რაღაც გინდოდა, ხომ?

მეტი რა ექნა, მიახვედრა, შენთვის არ მცალიაო, მაგრამ ნეომ ვითომ ვერ გაიგო:

— ახლა რაშია საქმე, შენ ხომ ბევრს იცნობ, არა?

— მეე? — გაიკვირვა ტატამ. „რა ამის საქმეა, ბევრს ვიცნობ თუ ცოტას. ამას კარი საერთოდ არ უნდა გავუღო, დღეიდან ასეც ვიზამ... თუ შევძელი“.

— ჰო, შენ, — ნეომ ახლა სამზარეულოს მოავლო თვალი, საინტერესო ვერაფერი აღმოაჩინა. ტატას სამზარეულო ისეთივე იყო, როგორც გუშინ, გუშინწინ, იმის წინ — სუფთა.

— ყავა გინდა? — უგულოდ ჰკითხა ტატამ და ყავადანი აიღო თაროდან.

— ვაიმე, შენ რაღაც გჭირს ნამდვილად, — თავი გადააქნია ნეომ, — შემოდი ერთი ჩემთან, გამოგილოცავ.

— რა მჭირს, რა გამოლოცვა? — გაბრაზდა ტატა.

— ეს რა არის? ყავა არაა? — ნეომ ხელი ცხვირთან მიუტანა.

ტატამ ახლა შეამჩნია, ნეო თავისი ყავის ჭიქით შემოსულიყო, თავისი სიგარეტით, სანთებელით, მობილურით...

„აუჰ, ეს დილის რიტუალით მოსულა, — გაიფიქრა ტატამ და უფრო მეტად გაბრაზდა, — ყავა, მობილური, სიგარეტი... ეს იგი, კარგა ხანს მომიწევს მოსმენა. ჯანდაბას, დაიცალოს, რომ საღამოს აღარ შემოვიდეს, არანაირი სურვილი არ მაქვს, ვახო ნახოს აქ. საერთოდ, ნეტავ ეს ქალი როგორ და როდის უნდა მოვიშორო?“

— კარგი, ჩემთვის მოვიდუღებ, — უფრო უგულოდ უთხრა და გაზქურა აანთო.

— ტატა, რაღაც მინდა, გთხოვო, — ნეო სკამზე ჩამოჯდა, სიგარეტს მოუკიდა, — ახლა რაშია საქმე და...

— გისმენ, — ცივად მიუტრიალდა ტატა.

— რეკლამა უნდა გამიკეთო, — უთხრა ნეომ და თვალებში ჩააშტერდა, — შენ ხომ იცი, მე რა შემიძლია?

— მეე? რა რეკლამა, ნეო? შენ რა, მართლა გჯერა, რომ ადამიანებს შველი?! — ტატამ თავი შეიკავა, ყავადანი რომ არ დაეხეთქებინა გაზქურაზე. „ვერ ვიტან, ვერ ვიტან ასეთ ადამიანებს, ყოვლისშემძლეობაზე რომ აქვთ პრეტენზია! რამდენის უფლებას აძლევს თავს ეს უტიფარი ქალი?!“

— რას ჰქვია, მჯერა?! მჯერა კი არა, უფრო მეტიც, — ახლა ნეო გაბრაზდა.

ნეტავ მართლა თუ სჯეროდა, რასაც ამბობდა, შეიძლება სჯეროდა კიდეც.

ადრე, ძალიან ადრე, ტატამაც ღამის დაიჯერა ასეთების. მაშინ ეგონა, რომ რთული პერიოდი ჰქონდა, შეყვარებულს დაშორდა. იჯდა და ტიროდა, თავის თავს დასტიროდა.

„იდიოტი არ ვიყავი?“ — გაიფიქრა ახლა.

მაშინაც მეგობარს გაჰყვა. იარა, იარა მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით და ბედნიერი მომავლის იმედით მიადგა ერთ პატარა სახლს. სახლში ჯადოქარი არა, მაგრამ მკითხავი ცხოვრობდა, რომელმაც ტატა კულტურულად განძარცვა ფულის კუპიურებისგან, საყურეებისგან, ბეჭდისგან, ყელსაბამისგან... მერე ტატას მიერ პარკში სათუთად ჩადებული ჩვეულებრივი, პატარა ბოქლომი გამოართვა (ბოქლომი ტატამ წინა დღეს შეიძინა სწორედ ამ დღისთვის), შეულოცა და უკან დაუბრუნა მდინარეში ხელუკუღმა გადასაგდებად. ბოქლომი, რა თქმა უნდა, ტატას ჩაკეტილი ბედის სიმბოლო იყო. ესეც წამოვიდა დამშვიდებული, ისევ იარა, იარა, მტკვარს მიადგა და ბოქლომი ხელუკუღმა გადააგდო იმ იმედით, რომ მეორე დღესვე იმ შეყვარებულს გონება გაუნათდებოდა, მოვარდებოდა, დაავლებდა ბედგახსნილ ტატას ხელს და ცოლად მოიყვანდა. მეორე დღეს შეყვარებულმა მართლაც მოიყვანა ცოლი, ოღონდ ტატა არა, ვიღაც სულ სხვა.

— კი მაგრამ შენი ბედის ბოქლომი გადააგდე თუ იმ გოგოსი? — ჰკითხა მეგობარმა, როცა ტატა ტრაგიკული სახით და დასიებული თვალებით იჯდა საწოლზე და ფაქტობრივად სამძიმარს იღებდა.

— რა ვიცი, ასე გამოვიდა, მე კი ჩემი

Cyan Magenta Yellow Black

მეგონა და... — ცრემლები გადმოყარა ტატამ. ნეტავ რა ატირებდა, ან როგორ იცლიდა ასეთი სისულელეებისთვის, რატომ იცლიდა?..

იმის მერე დიდი დრო გავიდა, მკითხავებისკენ აღარც მიუხედავს. მიჰყვებოდა დროის დინებას, ხან კარგად, ხან ცუდად, ხან შეყვარებული, ხან უსიყვარულოდ. ახლა შეყვარებული იყო, ყოველ შემთხვევაში, ფიქრობდა, რომ ძალიან უყვარდა ვახო.

— ტატა, შენ გელაპარაკები, — ვეღარ მოითმინა ნეომ, — წამოდი, წამოდი, ერთი, ჩემთან, ჯერ მარტო რამდენი სერტიფიკატი მაქვს, უნდა განახო, რამდენი დიპლომი: ექსტრასენსთა საერთაშორისო საზოგადოების ასოცირებული პროფესორის, ოკულტისტთა სიმპოზიუმის მუდმივი მონაწილის, თეთრ მაგთა ორგანიზაციის საპატიო წევრის... ასეთებს ჰაერზე კი არ იძლევიან, ჩემო კარგო, ყველაფერი ჩემი ნიჭის დამსახურებაა.

„ერთი ცოცხი აკლია და ეგაა, ნამდვილი ჯადოქარი იქნება“, — გაიფიქრა ტატამ.

— შენ ხომ იცი, სახელიც რატომ დავირქვი ასე? — ისევ იდუმალი ხმით ჰკითხა ნეომ, — სინამდვილეში ხომ იცი, რაც მქვია?

— საიდან უნდა ვიცოდე, ნეო? — გაეცინა ტატას, — ან რა ისეთი სახელი შენ გქვია.

— მე სინამდვილეში ნელი მქვია, ჩემო კარგო, — სიგარეტი ჩააქრო ნეომ, — მაგრამ მე ასეთი ჩვეულებრივი სახელი არ შემეფერება. ნეო, ხომ იცი, რასაც ნიშნავს, ახალს, განახლებულს...

— მერე? — ვერ მიხვდა ტატა, — შენ რა შუაში ხარ?

— მე ახალ სიტყვას ვამბობ ჩემს სფეროში, სრულიად განსხვავებულს, — შეთქმულივით ჩაიჩურჩულა ნეომ.

„ეუჰ, ამას სულ გაურეკია“, — გაიფიქრა ტატამ.

— ეგ რა მითხარი! — შეიცხადასავით მერე, თავი შეიკავა, რომ გულიანად არ გაეცინა, — უკაცრავად, თუ ვერ მივხვდი, ხომ იცი, მე, შენგან განსხვავებით, ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ, ძალიან ჩვეულებრივი, ყოველგვარი რეგალიების და სხვისი მომავლის განჭვრეტის გარეშე. სხვისი კი არა, ნეტავ, ჩემი მომავალი დამანახა...

— არა უშავს, ეგ არაფერი, — დაამშვიდა ნეომ, — შენ რეკლამა გამიკეთე და ისეთ ბედს გწევ...

„ასე მარტივად თუ აგვარებს, საკუთარ თავს ვერ მიხედავს? ქმარი ამას არ ჰყავს და შვილი, სახლი ამას არ აქვს და კარი... ვაიმე, რა დავაშავე, რაღა ჩემს ცხვირწინ იქირავა ბინა!.. ჯანდაბას, რამეს მოვუფიქრებ, არ გადამეკიდოს“, — ხელი ჩაიქნია ტატამ და გაჰყვა.

წარსულში ნელის, ახლა კი ნეოს, ნეომკითხავს, ნეომისანს, ნეოექსტრასენსს, ნეომაგს კედლები ჩარჩოებში ჩასმული გაურკვეველი სერტიფიკატებით და იქვე, ხატებით ჰქონდა სავსე.

„ღმერთო, მაპატიე“, — გაიფიქრა ტატამ, კედელს თვალი მოარიდა.

— დაჯექი ახლა, — ნეომ დივანზე ანიშნა, — და დააკვირდი ჩემს ურთიერთობას ადამიანებთან, ნახე, მათ საიდუმლოს როგორ ვხსნი, როგორ ვეხმარები... ადვილი კი არაა, ჩემო კარგო, მთელი მათი უარყოფითი აურა ჩემზე გადმოდის მერე.

— ჯადოსაც ხსნი, არა? — ირონია ვეღარ შეიკავა ტატამ.

— რას ჰქვია, ჯადოსაც ვხსნი?! ეგ ხომ ჩემი პირდაპირი მოვალეობაა. ადამიანები ჯადოსგან გავათავისუფლო, ბედნიერი ცხოვრების შესაძლებლობა მივცე...

„აი, ამასთან რომ მოხვალ ბედის ასაწყობად და ჯადოს მოსახსნელად, რა უნდა იყო, ვინ უნდა იყო, ან მე რა მინდა აქ, რა რეკლამა, რის რეკლამა?! ამას რომ რეკლამის მსგავსი ტექსტი დავუწერო, დიდი განსხვავება აღარ იქნება ჩვენ ორს შორის. ადექი ახლა, ტატა და წადი აქედან!“

— ნეო, იცი, რა, — ის იყო, წასვლა დააპირა, რომ კარზე ზარი დარეკეს.

— აი, ნახავ ახლა, შენი თვალით ნახავ, რა საჭირო ვარ ადამიანებისთვის, — თვალები გაუბრწყინდა ნეოს, კარის გასაღებად წავიდა.

ცოტა ხანში ოთახში ასაკოვან ქალბატონს შემოუძღვა. ქალმა სულ ერთი წამით შეხედა ტატას, როგორც ჩანს, ნეოს თანაშემწედ ჩათვალა, ყურადღება აღარ მიუქცევია, მაგიდას მიუჯდა და მაშინვე დაიწყო:

— უნდა მიშველოთ, ნეო, რაც მე თქვენ შესახებ გამიგია, ღმერთმა ყველა სიკეთე მოგცეთ. ციცინომ მირჩია თქვენთან მოსვლა.

— აბა, ციცინო? — შეიფერა ნეომ.

— ციცინო, აი, სიძეს რომ საყვარელი ჰყავდა და ოჯახი ლამის დაუნგრია, თქვენ უშველეთ და გადაარჩინეთ.

— რა ვიცი, ვერ ვიხსენებ. იცით, რამდენი ოჯახი გადავარჩინე დანგრევას? — უფრო შეიფერა ნეომ, — კარგი, აბა, თქვენ რა გაწუხებთ, ის მითხარით. შვილის გამო იქნებით მოსული.

„შვილის გამო იქნება, აბა რა, — თავისთვის გაიფიქრა ტატამ, — იმ ასაკში აღარაა, ქმრის გამო იყოს მოსული და...“

— როგორ მიხვდით? — აღფრთოვანდა ქალი, — შვილის გამო ვარ, შვილის გამო. მეღუპება და უნდა მიშველოთ, თქვენი იმედი მაქვს! ერთადერთი შვილი მყავს, განათლებული, წესიერი, ახლა გარეგნობა? თვალს ვერ მოწყვეტ. ჰოდა, ეგ ღუპავს, ხან ვინ აეკიდება, ხან ვინ, ხან ვინ ცდილობს მის ხელში ჩაგდებას, ხან — ვინ. ძლივს მოვძებნე ერთი კარგი გოგო, ჩემი ბიჭის შესაფერისი. ამან კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, გამომიცხადა, ჩემს საქმეში ნუ ერევიო. ვაიმე, როგორ არ ჩავერიო, როგორ არ ჩავერიო, დედა ვარ, მე არ ვიცი, ჩემს ბიჭს რა უნდა და როგორ უნდა?!

— მესმის თქვენი, მესმის, — მზრუნველად უთხრა ნეომ და ტატასკენ გააპარა თვალი, ხომ ხედავ, ჩემ იქით გზა არ აქვსო.

— ჰოდა, რომ გესმით, იმიტომაც მოვედი, უნდა მიშველოთ, — ამოიოხრა ქალმა, მერე ნეოსკენ გადაიხარა, ხმას დაუწია, — ვიღაც ჰყავს გადაკიდებული ჩემს ბიჭს, აჭმევს რაღაცას.

— კი, ასეა, — მაშინვე დაეთანხმა ნეო, ყოვლისმცოდნე სახე მიიღო.

— აი, თქვენც მიხვდით ხომ? — გაიხარა ქალმა, — მეც ვიცი. არა, სახეზე კი არ ვიცნობ, ვერ მივაკვლიე ჯერ, მაგრამ სხვა ყველაფერი ვიცი. უნდა მიშველოთ, ის ქალი უნდა ჩამოაშოროთ ჩემს ბიჭს და მე ვიცი პატივისცემა, უკმაყოფილო არ დარჩებით.

— ყველაფერი კარგად იქნება. აბა, მე რისთვის ვარ, ადამიანებს თუ ხელი არ გავუმართე, — მოწყალედ უთხრა ნეომ.

„უნდა წავიდე, მეტის ატანა აღარ შემიძლია, რა მინდა აქ?!“. ტატა წამოდგა:

— წავედი მე, საქმე მაქვს, — უხეშად უთხრა ნეოს.

— ვაიმე, ტატა, ცოტა ხნით იყავი, ჩემო კარგო, ხომ იცი, მეც საქმე მაქვს შენთან, აი, ამ ქალბატონს გავისტუმრებ და...

— ნეო მიხვდა, რომ ტატას ვეღარ გააჩერებდა და ხმაში თხოვნა გაურია.

— ტატა? — მოხედა ქალმა, დააკვირდა, — ტატა გქვიათ?

— დიახ, — ქალსაც უხეშად მიმართა ტატამ.

— უიმე, რა დამთხვევაა, იმ ქალსაც ტატა ჰქვია, — გადახედა ნეოს.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — ტატას სული შეეხუთა, კარისკენ წავიდა.

— და ჟურნალისტი ხართ? — ვერ მოისვენა ქალმა.

— დიახ, — გაუკვირდა ტატას.

— ვაიმე... — ჩაილაპარაკა ქალმა, — და ვახოსაც იცნობთ, არა?

— რა გინდათ? — ხმას აუწია ტატამ და უცებ მიხვდა: „ეს თუ ჩემი ვახოს დედაა!..“

— რა მინდა და, — წამოხტა უცებ ქალი, — ჩემს ბიჭს თავი დაანებე, თორემ!.. — და სრულიად მოულოდნელად ხელში ჩაბღუჯული ჩანთა აჰკრა.

— რას აკეთებთ, ქალბატონო, — წამოხტა ნეო და ქალს ხელები დაუჭირა. ტატამ თვალი მოჰკრა ნეოს სახეს: კმაყოფილი იყო, ბედნიერი, რომ რაღაც ახალი გაიგო, რაღაც საიდუმლო, რომელსაც უმალავდნენ, რომელიც მისი კი არა, სხვისი ცხოვრების ნაწილი იყო, მაგრამ მერე რა, ხომ გაიგო?!

— აი, ჩემი ფეხით მომიყვანა თქვენთან სამართალმა. ეს არის, ჩემს ბიჭს რომ გონი აურია, თან რა ბიჭი მყავს, ეს იმას შეეფერება?! — გახსნა თავისი ჩანთა, ნერვულად იქექა, სურათები ამოაფრიალა, მაგიდაზე დაყარა, — აბა, ნახეთ! აბა, ნახეთ! ამისთანა ბიჭმა ეს უნდა მომიყვანოს სახლში?!

— თქვენი ბიჭია? მართლა გადასარევი შვილი გყოლიათ, — სურათებს დახედა ნეომ, მერე ტატასკენ გააპარა დამცინავი მზერა, ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკა, — მე კი თავიდანვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე, მაგრამ როგორ ვიტყოდი, ისეთი აურა დადგა ოთახში, რომ...

ტატას ფოტოებისკენ გაექცა თვალი: „ოღონდ ის არა, ოღონდ ის არა...“ მერე ერთ-ერთი ფოტო ხელში აიღო:

— ეს არის, არა, თქვენი შვილი?

— ვითომ არ იცნობს, — წამოიძახა ქალმა.

— არა, ნამდვილად არ ვიცნობ, პირველად ვხედავ, — უთხრა ტატამ, — აი, რაც გააკეთეთ, იმაზე პასუხი შემიძლია მოგთხოვოთ, თუმცა ამჯერად თავს შევიკავებ, — მერე ნეოს მიუტრიალდა, — რა გულთმისანი ყოფილხარ, ნეო, მაშინვე მიხვდი, არა? ოთახში ცუდი აურა დადგა. ჰმ, მართალია, ოღონდ არა ჩემგან, ძვირფასო, მე არაფერ შუაში ვარ, შენდა სამწუხაროდ, იმედი უნდა გაგიცრუო, — შეტრიალდა და კარი გაიჯახუნა.

სახლში შესულმა ღრმად ამოისუნთქა, იქნებ იმიტომ, რომ ფოტოდან მართლაც სრულიად უცნობი ადამიანი უმზერდა, ან იქნებ იმიტომ, რომ ახლა მიზეზი ჰქონდა, ნეოსთვის სამუდამოდ გადაეკეტა თავისი ციხესიმაგრის კარი, იქნებ ორივე ერთად, ვინ იცის.

Cyan Magenta Yellow Black

sms-ები გამოაგზავნეთ ოთხშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადა **შაბათი, 18 მაისი 17 საათი.**

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. სამეგობროდ და შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე ქალს, ვარ 29 წლის,სიმპათიური და სპორტული აღნაგობის. 558934484

2. სამეგობროდ გავიცნობ 30-45 წლამდე ქალს. 555937379. ბაჩი

3. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე, ბათუმელ, ქობულეთელ ან იმერელ, მხოლოდ ქვრივ ქალს, ვარ 38 წლის, სიმპათიური მამაკაცი, იმერეთიდან. 557994113. ჯონი

4. გავიცნობ თბილისში მყოფ ლამაზ, სერიოზულ და ჩამოყალიბებულ გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ წესიერი, 22 წლის ბიჭი. 557167797. დათო

5. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ გოგოს. ვარ სამსახურით და მანქანით უზრუნველყოფილი. 557765060

6. ვარ 24 წლის, წყნარი და თბილი ბიჭი, ვცხოვრობ თბილისში. სამეგობროდ გავიცნობ 40 წლამდე ყურადღებიან ქალს. 555260117. გიორგი

7. გავიცნობ მხოლოდ ბათუმელ, განათხოვარ, 40 წლამდე ქალს. ვარ 33 წლის, ბათუმელი, მაღალი, სიმპათიური მამაკაცი. 557578412. გიორგი

8. ვარ 30 წლის, ვცხოვრობ თბილისში, შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, სიმპათიურ ქალს. 555488044. თემური

9. შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-დან 45 წლამდე თბილისში მცხოვრებ ნორმალური გარეგნობის ქალს. ვარ 30 წლის, სიმპათიური, უცოლო მამაკაცი. 558169751

10. სამეგობროდ გავიცნობ გოგოს. 558340819

11. გავიცნობ ფუმფულა ქალს სამეგობროდ. 599801018

12. ვარ 30 წლის, თბილისელი, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ 16-36 წლამდე ლამაზ გოგოს, რომელსაც ალერსი და ყურადღება აკლია. 593973884

13. ვარ 35/180/70, კარგი აღნაგობის, სიმპათიური, დასაქმებული, თბილისელი მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე, სადა გარეგნობის, თბილისელ ქალს. 557704587

14. გავიცნობ 23-დან 40 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ ათლეტური აღნაგობის მამაკაცი. 557678872

15. გავიცნობ თბილისელ, მატერიალურად დამოუკიდებელ გამხდარ ქალს, თბილი და სასიყვარულო ურთიერთობისთვის. ვარ 48 წლის მამაკაცი. 555161421

16. გავიცნობ 20-40 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, სასურველია თბილისთან ახლოს მცხოვრები. 593365034. გია

17. გავიცნობ ოდნავ ჩასხმულ 38 წლის ქალს შეხვედრებისთვის. 551216131. ანრი

18. ვარ 35 წლის მამაკაცი, მაღალი, კარგი გარეგნობის. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისელ, 35 წლამდე გოგოს. 593050806

19. ვარ მაღალი, სიმპათიური მამაკაცი, ფარული და ხანგრძლივი ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისელ, თბილ და ვნებიან გოგონას 35 წლამდე. 593050806

20. ვარ ბინიანი და მანქანიანი, ფინანსურად უზრუნველყოფილი 30 წლის თბილისელი მამაკაცი, გავიცნობ თბილისელ, თბილ და გათხოვილ, 35 წლამდე ქალს. 557330883

21. ვარ 27 წლის, მაქვს ჩემი ბიზნესი, ვცხოვრობ თბილისში მარტო. გავიცნობ გოგოს, თუნდაც განათხოვარს, თბილისში მცხოვრებს. 593160340

22. ვარ 53 წლის, თბილისელი, ოჯახიანი მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ ნებისმიერი წლოვანების თბილისელ ქალს, ვისაც აქვს შეხვედრის ადგილი. 558459635

23. ვარ 39 წლის, სიმპათიური, კარგი ხასიათის, თბილისელი მამაკაცი, ცოლს გაცილებული. ვიმეგობრებ თბილისში მცხოვრებ ქალთან. 555639450

24. შეხვედრებისთვის გავიცნობ სერიოზულ ქალს, სასურველია თბილისელი. ვარ 29 წლის. 557240429. ნიკა

25. ვარ სიმპათიური, თბილისელი, გავიცნობ სიმპათიურ გოგოს შეხვედრებისთვის. 593135572. დათო

26. ვარ 35/195/80, სიმპათიური, თბილისელი მამაკაცი, გავიცნობ 45 წლამდე არამსუქან, სიმპათიურ, თბილისში მარტო მცხოვრებ ქალს შეხვედრებისთვის. 595102101. იკა

27. გავიცნობ 35-40 წლამდე თბილისელ ქალს შეხვედრებისთვის. 555562562

28. გავიცნობ 25-დან 45 წლამდე ქალს, ვარ ყურადღებიანი და თბილი ადამიანი. 557292742

29. ვარ 40 წლის, თბილისელი მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ ქალს. 555650016

30. ვარ თბილისელი, სიმპათიური 30 წლის მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ მხოლოდ თბილისში მცხოვრებ 20-დან 40 წლამდე ქალს. 599977827. სანდრო

31. გავიცნობ კახეთში მცხოვრებ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 27 წლის. 514040343. გიორგი

32. ვარ 42 წლის, წესიერი მამაკაცი, ვცხოვრობ თბილისში, ხანგრძლივი შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილ, მოსიყვარულე ქალს, სასურველია ჰქონდეს შეხვედრის ადგილი. 555133084

33. გავიცნობ 30 წლამდე, თბილისში მყოფ გოგოს სერიოზული ურთიერთობისთვის. 598283640. გიორგი

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 53 წლის, განათლებული, დასაქმებული, ცოლს გაცილებული, ვცხოვრობ თბილისში. გავიცნობ 38-45 წლამდე, თბილისში მცხოვრებ, განათლებულ, დასაქმებულ, ქორწინებაში არმყოფ, ოჯახის მოყვარულ ქალს. 593521117

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ 25-დან 32 წლამდე ქალს. ვარ 35 წლის, თბილისელი მამაკაცი. 555555202

3. ვარ 45 წლის, თბილისელი, არაპრეტენზიული, სანდო, თბილი ბუნების მამაკაცი. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ 33 წლის ქალიშვილ, სერიოზულ, მშვიდი ბუნების პიროვნებას. 558215498

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 28-36 წლამდე გოგოს სამეგრელოდან. 555258471

5. ვარ 27 წლის, მაქვს ჩემი ბიზნესი, ვცხოვრობ თბილისში, გავიცნობ გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით, თუნდაც განათხოვარს, თბილისში მცხოვრებს. 593160340

. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე წესიერ გოგოს. 557426362

გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 60/160/98, ფიზიკური ნაკლით, გავიცნობ თბილისელ, შეძლებულ მამაკაცს ოჯახის შექმნის მიზნით. 555970564

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ წესიერ, დასაქმებულ და საკუთარი ჭერის მქონე 48 წლამდე მამაკაცს. ვარ 42 წლის, დასაოჯახებელი, კარგი მეოჯახე გოგო. 599458749

3. ვარ 56 წლის ქალი, ქმარს გაცილებული, მსურს შევქმნა ოჯახი. გავიცნობ 50-60 წლამდე თბილისელ მამაკაცს, ქართველს, სიმპათიურს. 595764050

გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

18. სამეგობროდ გავიცნობ შეძლებულ, ჭკვიან მამაკაცს, ვინც გვერდით დამიდგება. ვარ მარტოხელა ქალი. 555613568

2. ვარ 43 წლის ქალი. სამეგობროდ გავიცნობ 54-დან 60 წლამდე, ერთგულ და სანდო მამაკაცს. 558143975

მიყვახხარ, მენატრები

კ. 2. ს. 81. შოთიკო, იმ დღეს სასამართლოზე დედაშენმა ისეთი კონცერტი გამიმართა, დაცვა ამშვიდებდა. საშინლად შემრცხვა, ყველას გასაგონად ფოიეში დამიწყო ლანძღვა, სანამ შენს ხელშია, ასე იქნებაო. მე მეტი არ შემიძლია, არც მოვალ იქ და მოკლედ, დავიღალე, დედაშენთან ომს ვერ გავმართავ, უნდა დავშორდეთ. ეკა

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ ჰაიმე ან გაუმხიროთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 18 მაისის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნებისმიერ, ჰომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბონენტისადმი მინერილი ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

←10

ლოდ დღეს სხვა ხელისუფლებაა. ისინი მოვიდნენ ჩვენს სუფრასთან და ჩხუბიც ჩვენს სუფრასთან დაიწყო. ჩვენ არსად გავსულვართ, არც გვიცეკვია. რაც შეეხება რესტორანში დამონტაჟებულ კამერებს, რესტორნის მფლობელები ამბობენ, რომ პრეზიდენტის წასვლის შემდეგ მათი ჩართვა ვერ მოასწრეს.

— ნაციონალებმა თქვეს, რომ თქვენი სუფრიდან სხვადასხვა პოლიტიკური შინაარსის რეპლიკებით ამკობდით და კონფლიქტიც ამ ნიადაგზე წარმოიშვა.

— ჩვენ მათ სუფრასთან არ მივსულვართ. ზღაპრებს იგონებენ? თუ მართლები არიან, რაში დასჭირდათ ტყუილები, რომ ჩვენ პოლიტპატიმრები ვიყავით? პოლიტპატიმრები არასოდეს ვყოფილვართ, არც ნასამართლევი და არც რომელიმე პარტიის წევრი. ჩვენი ცემა უნდოდათ, მაგრამ ვერ მოგვერივნენ და ამაზე გაგიჟდნენ. მადლობა ღმერთს, რომ პატრული მოვიდა. ეს რომ წინა ხელისუფლების დროს მომხდარიყო, თქვენ კიდევ სამ გირგვლიანს მიიღებდით. გიგა ბოკერიას ბავშვობიდან ვიცნობ. ტუტუცია, როცა ჩემზე ამბობს, პოლიტპატიმარი და კრიმინალი იყოო.

— თქვენ ნასვამი არ იყავით?

— კი, როგორ არა. მანამდე ჩვენს მეგობართან მწვადები გეახელით. ნასვამი ვიყავი.

— ჯაშაძის თქმით, მათი მისამართით იგინებოდით.

— კარგი, რა! ეგენი არ იგინებოდნენ და არაფერი ხდებოდა?! როგორ არ რცხვენიათ, რომ ამბობენ, ერთმა გოგომ და ორმა ბიჭმა გვცემესო?! ჩვენ ისინი მოვიგერიეთ და თან მაგრად. სადუნიშვილიც უზრდელია და თაკო სალაყაიაც! ჯამჭურჭელს ისროდნენ. ამ ტუტუც, უზრდელ დედაკაცებზე ლაპარაკი არ მინდა! მხოლოდ ერთი, ვიღაც უცხო გოგო ცდილობდა, ჩემსა და თავდამსხმელ ბიჭებს შორის ჩამდგარიყო. სადუნიშვილის კომენტარი წავიკითხე. მათ მარტო ვერაზე და ვაკეში კი არა, საერთოდ, ქალაქში არ აქვთ თავი გამოსაყოფი. ნაციონალები ყველგან სათავისო, სასკანდალო სიტუაციას ეძებენ და უნდათ, ყველაფერს პოლიტიკური სარჩული დაუდონ!

■ ნიკა მელია

ნიკა მელია: „ეს ჩხუბი ჩვენგან გამომდინარე არ ყოფილა. დათო საყვარელიძესაც გაშველებისას მოხვდა თავში რაღაც და გიორგი ვაშაძესაც. ყველა, ვინც იქ იყო, ხვდებოდა, რომ ისინი ძალიან ნასვამები იყვნენ. მათ ნებისმიერთან მოუვიდოდათ კონფლიქტი".

— თქვენ რითი სართ დაკავებული, რას საქმიანობთ?

— ამჟამად უმუშევარი ვარ. ბადრი პატარკაციშვილის დროს ტელეკომპანია „იმედის" კომერციული დირექტორი ვიყავი. მანამდე „პირველ არხზე" ზაზა შენგელიას თანაშემწე გახლდით, 16 წლიდან ვმუშაობდი იქ. ასევე, ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის პიარმენეჯერიც ვიყავი.

■

„სარკე" ინციდენტის ერთ-ერთ მთავარ გმირს, მთაწმინდის რაიონის გამგებელ ნიკა მელიას ესაუბრა.

ნიკა მელია: დაახლოებით ხუთი წუთის მისული ვიყავი, ჩემს მეგობრებს შევუერთდი. სულ ხუთნი გახლდით. უკვე თითქმის ყველა მაგიდა დაკავებული იყო. ვისაც ვიცნობდი, მივესალმე, ვისაც არ ვიცნობდი, არც შემიმჩნევია. პირველი სართულიდან მეორეზე ვაპირებდი ასვლას, სადაც გიორგი ვაშაძე და დათო საყვარელიძე ისხდნენ. გასვლისას გვერდითა სუფრიდან ვიღაცამ ხელით გამაჩერა და მკითხა, ვიყავი თუ არა მთაწმინდის რაიონის გამგებელი. რა თქმა უნდა, ვუპასუხე. თავიდან მეგონა, რომ ეს კეთილგანწყობილი საუბარი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას არაადეკვატური შეკითხვები ჰქონდა. თვალშისაცემი იყო, რომ ფაქტობრივად პათოლოგიურ სიმთვრალეში იყვნენ გადასული. დამშვიდობებისას ამ კაცს მხარზე ხელი თავაზიანად დავადე. მან კი, მხარზე ხელს რატომ მადებო და ეს ყველაფერი ამას მოჰყვა. სრულიად ტრივიალური და, ჩემდა სამწუხაროდ, პროვოკაციული სიტუაცია აღმოჩნდა.

— ეს დიალოგი თქვენსა და მამუკა ბაკურიას შორის იყო?

— არა. მის მეგობარსა და ჩემ შორის. სხვა სუფრის წევრებმაც სცადეს სიტუაციის განმუხტვა. ვიმეორებ, რომ ისინი ძალიან ნასვამები იყვნენ.

— თქვენ?

— არა. სხვათა შორის, გიორგი ვაშაძე და დათო საყვარელიძეც ამ სიტუაციის ჩაცხრობას შეეცადნენ, რა დროსაც მათ დაზიანებები მიიღეს.

— მანანა გიორგობიანი ამბობს, რომ მათ მაგიდასთან რამდენჯერმე მიხვედით, შეურაცხყოფა მიაყენეთ.

— არა, ეს სასაცილოა. ხუთი წუთის მისული ვიყავი და რომც მდომებოდა, ფიზიკურად ვერ მივიდოდი რამდენჯერმე. ყველა მაგიდა დაკავებული იყო და ისინი არც შემინიშნავს. იმ ადამიანმა მაშინ გამაჩერა, როცა მეორე სართულზე ავდიოდი.

— გიორგობიანის თქმით, ვიღაც დაბალი, მელოტი მამაკაცი გახლდათ, რომელმაც მას ყბაში მუშტი ორჯერ მოარტყა. ვინ იყო ის კაცი?

— არავისთან ერთად არ ვიყავი, მარტო მივედი.

— თქვენი შელაპარაკება პოლიტიკურ თემაზე არ ყოფილა?

— ეს სრულიად ტრივიალური და არაადეკვატური სიტუაცია გახლდათ — ნასვამი კაცის არაფრისმომცემი, არალოგიკური კითხვები ჩემი მისამართით. გარიდება ვცადე, მაგრამ მხარზე ხელი რომ დავადე, ეს სკანდალური გამოხდომა დაიწყო, ხელი რატომ დამადეო. ქალბატონი გიორგობიანი ძალიან ნასვამი იყო, სამწუხაროდ, მამაკაცებზე მეტადაც კი. არ უნდა უარყოს, რომ ორჯერ თუ სამჯერ მე თვითონ წამოვაყენე ფეხზე, სიმთვრალისგან ძირს ვარდებოდა.

— ვინ დაარტყა მას, არ დაგინახავთ?

— გიორგობიანი ვიღაც ქალბატონთან, რომელიც ჩვენი სუფრის წევრი არ იყო, იატაკზე იყო დანარცხებული და მათ შორის ხელჩართული ჩხუბი მიდიოდა. აი, ლალი მოროშკინას შემთხვევის ანალოგი იყო. ვვარაუდობ, რომ ეს დაზიანება იმან მიაყენა. დაიწყო ყვირილი, რომ მას ხელი დაარტყეს, რაზეც ბაკურია აღშფოთდა. ბაკურიასთვის ხელი არავის დაურტყამს და არც მას დაურტყამს ვინმესთვის. ამას ჩხუბს ვერც დავარქმევ. იქ მყოფთა 89 პროცენტი სიტუაციის განმუხტვას ცდილობდა. სამწუხაროდ, ამ ყველაფრით მეორე მხარემ ბოროტად ისარგებლა.

— ძალიან მთვრალებმა ასეთი ძლიერი დაზიანების მოყენება როგორ შეძლეს? თან თქვენ უფრო მეტნი იყავით.

— ეს ჩხუბი ჩვენგან გამომდინარე არ ყოფილა. დათო საყვარელიძესაც გაშველებისას მოხვდა თავში რაღაც და გიორგი ვაშაძესაც. ყველა, ვინც იქ იყო, ხვდებოდა, რომ ისინი ძალიან ნასვამები იყვნენ. მათ ნებისმიერთან მოუვიდოდათ კონფლიქტი. მათ, და განსაკუთრებით ამ ქალბატონმა, ინციდენტს პოლიტიკური ელფერი შესძინეს. გიორგობიანი ამაყობს ამ ყველაფრით, განსაკუთრებით სოციალურ ქსელებში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს პოლიტიკური ნიშნით მოხდა. მამუკა ბაკურია ამბობდა, „ქართული ოცნების" აქტივისტი ვარო. დარწმუნებული ვიყავით, რომ იქ კამერები მუშაობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გათიშული აღმოჩნდა. სათვალთვალო კამერა ჩართული რომ ყოფილიყო, ყველაფერი ცხადი იქნებოდა. ნებისმიერ პირს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა აქვს. საბედნიეროდ, ეს პასუხისმგებლობა ჩვენ გამოვიჩინეთ, მეორე მხარემ კი ვერ შეძლო.

— იქ ნაცმოძრაობის სხვა წევრებიც ქეიფობდნენ. ისინი არ დაგეხმარნენ ჩხუბის დროს?

— ყველა, ვინც იქ იყო, სიტუაციის განმუხტვას ცდილობდა. რამდენადაც გავარკვიე, ამ ქალბატონის შემთხვევაში მსგავსი რამ პირველი არ ყოფილა.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

■ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ

„ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐᲡ ᲐᲩᲔᲠᲔᲑᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ — ᲓᲐᲛᲡᲯᲔᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ!“

ᲠᲝ�გᲝᲠ ᲐᲛᲝᲕᲘᲪᲜᲝᲗ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲗ ᲨᲔᲜᲘᲦᲑᲣᲚᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲝᲑᲐ ᲐᲜ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲓ ᲜᲐᲭᲐᲓᲐᲒᲔᲑᲘ ᲢᲧᲣᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲮᲨᲘᲠᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ? ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲒᲕᲘᲠᲩᲔᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲐ. ᲠᲝ�გᲝᲠ ᲒᲐᲕᲛᲘᲯᲜᲝᲗ ᲑᲝᲠᲝᲢᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲑᲘ, ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ, **ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ** (ᲡᲮᲘᲠᲢᲚᲐᲫᲔ) ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ.

— ᲛᲐᲛᲐᲝ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲦᲘᲠᲘᲛᲔ, ᲠᲐᲪ ᲑᲐᲕᲨᲕᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲓ ᲐᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲡ?

— ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲗᲐᲛᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ ᲧᲐᲚᲘᲑᲓᲔᲑᲐ. ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲡᲣᲠᲗ, ᲑᲐᲕᲨᲘ ᲘᲡᲔ ᲐᲦᲠᲐᲠᲓᲝᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲐ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲒᲐᲠᲔᲛᲛᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲙᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲐᲓ ᲐᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲖᲐᲠᲓᲝᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ. ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ: ᲝᲯᲐᲮᲨᲘᲪ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘᲪ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲨᲘᲪ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲑᲐᲕᲨᲘ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ, ᲛᲘᲡ ᲒᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲦᲕᲗᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲔᲑᲘ ᲘᲜᲔᲠᲒᲔᲑᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲯ ᲔᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ.

— ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲒᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲝᲠᲡᲐᲐ.

— ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛᲥᲕᲔᲧᲜᲘᲣᲠᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ ᲖᲔᲠᲔᲚᲔᲓ ᲣᲓᲒᲔᲑᲐ. ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ ᲤᲐᲠᲓᲝᲑᲘᲗᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲪᲜᲔᲑᲐᲐ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ „ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ“ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ. ᲐᲡᲔ ᲘᲨᲚᲔᲑᲐ ᲦᲖᲕᲐᲠᲘ ᲡᲘᲪᲠᲣᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲐᲡᲔ ᲔᲑᲜᲔᲕᲐ ᲒᲖᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ „ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚ“ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲢᲧᲣᲘᲚ-ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲔᲠᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲐᲛ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲖᲜᲐᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲜᲔᲑᲡᲘᲗ ᲗᲣ ᲣᲜᲔᲑᲚᲘᲔᲗ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ.

ᲐᲗᲔᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲭᲠᲐᲛ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲣᲙᲣᲚᲛᲐ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲐᲓ ᲐᲬᲔᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲛᲣᲮᲠᲣᲭᲔᲑᲡ. ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘᲐ. ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲐ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲡᲘᲡᲐᲕᲡᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲠᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲐ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲑᲠᲫᲜᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲕᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲠᲘ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲡᲐᲖᲠᲓᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲡ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ. ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲐᲠᲕᲧᲝᲗ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲛᲧᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲬᲝᲕᲘᲚ „ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ“ ᲰᲘᲞᲝ�თᲔᲖᲔᲑᲡ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲔᲜᲓᲝᲗ?

ᲦᲕᲗᲘᲣᲠᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘᲐ. ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲤᲐᲠᲓᲝᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲐᲜᲣ ᲓᲐᲘᲙᲐᲠ�გᲐ ᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲠᲣᲩᲔᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲔᲪᲐᲚᲐᲗ ᲛᲧᲐᲠᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲘ. ᲗᲣ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲔᲤᲣᲓᲔᲗ

„ᲰᲐᲢᲝᲛ ᲐᲰ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲦᲝᲪᲕᲐ? ᲰᲐᲢᲝᲛ ᲐᲰ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲮᲐᲢᲔᲑᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ? ᲰᲐᲢᲝᲛ ᲐᲦᲐᲠ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲦᲕᲗᲝ ᲡᲯᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ? ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲐᲰ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲘᲛ ᲛᲐᲕᲜᲔ ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ ᲛᲐᲗᲖᲔ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ ᲪᲝᲓᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲐᲡ ᲔᲬᲔᲕᲐ“.

ᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲐ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲡᲘᲡᲐᲕᲡᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲠᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲐ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲑᲠᲫᲜᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲕᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ — ᲓᲐᲛᲡᲯᲔᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ! ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲖᲔ ᲐᲦᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ — ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲖᲔ „ᲨᲔᲛᲝᲡᲙᲣᲞᲔᲑᲣᲚᲘ“ Ე.Წ. ᲡᲥᲔᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲦᲠᲓᲐ. ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲙᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲪᲔᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ: ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲘᲙᲠᲫᲐᲚᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ? ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ? ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲦᲝᲪᲕᲐ? ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲮᲐᲢᲔᲑᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲗ? ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲦᲐᲠ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲦᲕᲗᲝ ᲡᲯᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ? ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲘᲛ ᲛᲐᲕᲜᲔ ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ ᲛᲐᲗᲖᲔ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ ᲪᲝᲓᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲐᲡ ᲔᲬᲔᲕᲐ.

ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲓᲐᲪ ᲙᲘ ᲡᲐᲦᲓᲔᲑᲐ ᲛᲙᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ, ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡ, ᲣᲠᲪᲮᲕᲐ ᲡᲪᲔᲜᲔᲑᲘᲡ, ᲑᲘᲚᲬᲡᲘᲗᲧᲕᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲕᲐ. ᲣᲙᲕᲔ ᲛᲣᲚᲢᲤᲘᲚᲛᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲗᲣ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ, ᲖᲠᲓᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲪ ᲙᲘ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲣᲠᲩᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ, ᲛᲙᲚᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲫᲐᲚᲐᲓᲔ, ᲯᲐᲓᲝᲥᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲐ ᲛᲐᲗᲨᲘ. ᲐᲡᲔᲗ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ. ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲢᲔᲕᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲛ ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲖᲘᲐᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ.

ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲜᲐᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲡᲝᲑᲐ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲝᲑᲐ. ᲕᲘᲠᲩᲣᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲙᲚᲐᲕᲔᲜ, ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲔᲜ ᲐᲜ ᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲜ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲡ, ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲡ... ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲕᲘᲙᲘᲕᲘᲠᲡ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲐᲥᲕᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐᲝ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲡ ᲕᲐᲬᲓᲘᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ? ᲜᲘᲐᲦᲕᲐᲠᲘᲕᲘᲗ ᲛᲝᲔᲓᲘᲜᲔᲑᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ Ე.Წ. ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲐᲗᲗᲖᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲪᲘᲐᲜ — ᲠᲝᲒᲝᲠ ᲡᲐᲪᲕᲚᲔᲑᲡ ᲘᲪᲕᲐᲛᲔᲜ, ᲡᲐᲓ ᲒᲐᲔᲠᲗᲜᲔᲜ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲕᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘ ᲓᲐᲐᲠᲘᲒᲔᲑᲓᲐ. ᲘᲥᲛᲜᲑᲐ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ“, Ე.Წ. ᲠᲔᲐᲚᲘᲗᲘ ᲨᲝᲣᲔᲑᲘᲡ „ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ“, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ, ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲔᲑᲘ, ᲢᲝᲞᲛᲝᲓᲔᲚᲔᲑᲘ. ᲔᲠᲗᲛᲐ ᲣᲠᲪᲮᲕᲛᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲮᲔᲓᲛᲐ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲧᲝᲤᲐᲫᲪᲔᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲛᲐ ᲓᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ — ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲕᲘᲓᲔᲗ, ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲒᲐᲕᲨᲘᲨᲕᲚᲓᲘᲗ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ?! ᲡᲐᲓ ᲒᲐᲥᲠᲜᲔᲜ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ? ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲕᲐᲡ�წᲐᲕᲚᲘᲐᲜ ᲓᲦᲔᲓᲐᲦᲐᲛ ᲭᲙᲣᲐᲡ ᲪᲠᲣ ᲙᲐᲪᲘᲜ? ᲡᲐᲓ ᲒᲐᲥᲠᲐ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ, ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲬᲘᲙᲕᲚᲝ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲩᲔᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ? ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲜᲔᲠᲒᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲡᲐᲕᲡᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ? ᲜᲣᲗᲣ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲧᲝᲚᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ?

ᲓᲐᲕᲡᲕᲐᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ᲠᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐᲛᲐ? ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲐᲛᲝᲐ�პᲐᲠᲔᲑ! ᲛᲐᲗ ᲐᲠ ᲡᲯᲔᲠᲐᲗ „ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ“ ᲓᲘᲚᲔᲢᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ, ᲪᲠᲣ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒ-ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ, ᲐᲠᲐᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ. ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲖᲔ ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲔᲜ, ᲣᲮᲔᲨᲝᲑᲐᲖᲔ ᲣᲮᲔᲨᲝᲑᲘᲗ, ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐᲖᲔ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲗ.

ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲨᲔ-

Cyan Magenta Yellow Black

უძლებელია. ეს დეგრადაციას იწვევს. თუ ეს ბედოვლათობით ხდება, დროზე უნდა გამოვფხიზლდეთ, რეალური ბერკეტები შევიმუშაოთ, თორემ დავიღუპებით. ზნეობრივი კატასტროფა დემოგრაფიულ კატასტროფას იწვევს, რაც, სამწუხაროდ, უკვე სახეზეა. ქრისტიანული პედაგოგიკა ამბობს, რომ ყველანი ცოდვილები ვართ და ცოდვისგან თავდაცვა უნდა ვისწავლოთ. ამისთვის კი საჭიროა, ვისწავლოთ ჩვენი თავის მართვა. ადამიანი მაშინ არის თავისუფალი, როცა შეუძლია საკუთარი სურვილების და ქმედებების მართვა სინდისის ხმით. როდესაც ამ ყველაფერს სწორად გაიაზრებს და ღვთის სიყვარულიდან გამომდინარე შეეცდება, პასუხისმგებელი იყოს ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს, მოყვასის წინაშე, იგი განმტკიცდება სულიერად. სწორედ ღვთაებრივი ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა არის ყველაზე დიდი დამცავი მექანიზმი მავნე ზეგავლენისგან.

— რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ღვთისაგან დაშორებულმა ცოდნამ?

— ცოდნა კომპიუტერსაც აქვს, მაგრამ ის, რაც არ ექნება მას, არის აღზრდა, სულიერება. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს, რომ კაცობრიობა უფრო და უფრო შორდება ღმერთს. დღევანდელი „ცივილიზებული" ადამიანის მსოფლმხედველობა ღვთის შემეცნებისადმი ზერელე მიდგომით, ფსევდომეცნიერული ფილოსოფიებისა და „მეცნიერული" ზღაპრებისადმი (ჰიპოთეზებისადმი) გადაჭარბებული ინტერესითა და რწმენით გამოირჩევა. ასეთებს ძლიერ აინტერესებთ ასტროლოგია, ამოუცნობი მფრინავი ობიექტები, აღმოსავლური მედიტაციები, მაგები და ექსტრასენსები, ბილწი ფილმები. არ აღელვებთ ჭეშმარიტების სა-

„წმინდა წერილში მკაფიოდაა ნაწინასწარმეტყველები უღვთოდ „განვითარებული" კაცობრიობის აღსასრული. არც ერთ „იზმს" არ მოუტანია ხალხისთვის სასიკეთო შედეგი. ღვთისგან გაუცხოებული კაცობრიობა სწრაფი დეგრადაციისა და საშინელი კატაკლიზმების წინაშე სრულიად უსუსური აღმოჩნდება. რაც უნდა საზოგადოებრივი ფორმაციები შევქმნათ და ვცვალოთ, შედეგი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ ილუზიებით სამოთხეს ვერ დავამყარებთ. ჭეშმარიტი გზა არის ღვთის მცნებებით ცხოვრება, პასუხისმგებლობის გაცნობიერება ღვთის, ოჯახის, სამშობლოსა და მსოფლიოს ხალხების წინაშე.

უფალმა შეგვიქმნა სამოთხე და ადამიანში ამქვეყნიური ცხოვრების საბოლოო მიზანი სამოთხეში დამკვიდრებაა, სადაც სუფევს ბედნიერება, ჭეშმარიტება და თავისუფლება. აღზრდის მთავარი მიმართულებაც სწორედ ეს უნდა იყოს — ზეციური სამოთხის შენება და არა მიწიერის. ეროვნული სულისკვეთების გაღვიძებაც ამ ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია. როგორც ოჯახი სჭირდება ადამიანს თავისი ფასეულობებისა და ღირებულებების შესანარჩუნებლად, ასევე სჭირდება ეროვნული ღირებულებები, რომლის გარემოშიც ცხოვრობს გარკვეული საზოგადოება. უფალმა ადამიანს სამშობლო მისცა, რათა გაუცხოებულად არ იგრძნოს თავი და თავისი დამოკიდებულება ჰქონდეს რაღაც ერთობისადმი, რომელსაც ერი ჰქვია. ეროვნული სახელმწიფო კი ერის დამცავი მექანიზმია.

— გლობალიზაცია გარდაუვალი პროცესია, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ეს პროცესი მონსტრად არ უნდა დავსახოთ. რაც უფრო გაიზარდა ტექნოლოგიური შესაძლებლობები, მით უფრო სწრაფი გახდა ურთიერთობები. ამას თავისი დადებითი და უარყოფითი შედეგები მოაქვს. დადებითი ის არის, რომ, ვთქვათ, მრავალი ქვეყნის კულტურის გაცნობის შესაძლებლობა გვაქვს, უარყოფითი კი ის არის, რომ გარკვეულწილად შეიძლება მოხდეს ეროვნული ნიველირება. ეკლესიური სწავლებით, დადგება დრო, როდესაც ერთიანი მსოფლიო ერთ მმართველს დაემორჩილება. მეორე მხრივ, ღმერთმა ადამიანს მისცა სამშობლო, თავისი განვითარების გარკვეული არეალი და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, ამ სამყაროში ჩვენი თვითმყოფადობა შევინარჩუნოთ. უნდა გვქონდეს ჩვენი ეროვნული ინტერესები, რომლებიც გლობალიზაციის პრიორიტეტებთან იქნება შერწყმული.

ჩვენ მივესალმებით გლობალიზაციის ჯანსაღ გაგებას, როდესაც ამ მრავალფეროვნების ერთიანობაში თვითმყოფადობა გამოვლინდება, სადაც დაცული იქნება თითოეული ერი და პიროვნება. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ლამაზია სამყარო, მაგრამ მისი მმართველი შეიძლება იყოს მხოლოდ უფალი. წარმტაცი და მრავალფეროვანი სამყაროს შექმნის იდეა დედამიწაზე სამოთხის შექმნის უტოპიური, ადამიანური გეგმაა. ასეთი იყო, მაგალითად, კომუნიზმი.

წმინდა წერილში მკაფიოდაა ნაწინასწარმეტყველები უღვთოდ „განვითარებული" კაცობრიობის აღსასრული. არც ერთ „იზმს" არ მოუტანია ხალხისთვის სასიკეთო შედეგი. ღვთისგან გაუცხოებული კაცობრიობა სწრაფი დეგრადაციისა და საშინელი კატაკლიზმების წინაშე სრულიად უსუსური აღმოჩნდება. რაც უნდა საზოგადოებრივი ფორმაციები შევქმნათ და ვცვალოთ, შედეგი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ ილუზიებით სამოთხეს ვერ დავამყარებთ. ჭეშმარიტი გზა არის ღვთის მცნებებით ცხოვრება, პასუხისმგებლობის გაცნობიერება ღვთის, ოჯახის, სამშობლოსა და მსოფლიოს ხალხების წინაშე.

უფალმა შეგვიქმნა სამოთხე და ადამიანში ამქვეყნიური ცხოვრების საბოლოო მიზანი სამოთხეში დამკვიდრებაა, სადაც სუფევს ბედნიერება, ჭეშმარიტება და თავისუფლება. აღზრდის მთავარი მიმართულებაც სწორედ ეს უნდა იყოს — ზეციური სამოთხის შენება და არა მიწიერის. ეროვნული სულისკვეთების გაღვიძებაც ამ ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია. როგორც ოჯახი სჭირდება ადამიანს თავისი ფასეულობებისა და ღირებულებების შესანარჩუნებლად, ასევე სჭირდება ეროვნული ღირებულებები, რომლის გარემოშიც ცხოვრობს გარკვეული საზოგადოება. უფალმა ადამიანს სამშობლო მისცა, რათა გაუცხოებულად არ იგრძნოს თავი და თავისი დამოკიდებულება ჰქონდეს რაღაც ერთობისადმი, რომელსაც ერი ჰქვია. ეროვნული სახელმწიფო კი ერის დამცავი მექანიზმია.

— სქესობრივ აღზრდას შეეხეთ. რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ასეთ „განათლებას"?

— სქესობრივი აღზრდა პრაქტიკულად არის მავანთა იდეოლოგიური კონცეფცია, რომელთაც სურთ, ბავშვი მაქსიმალურად დააშორონ ღმერთს, უბიძგონ მას ცოდვისკენ და არა — თავისუფლებისკენ. თავისთავად, გარკვეულ ასაკში ბავშვი აქტიურდება. უჩნდება ინტერესი, რომელზეც პასუხს ითხოვს, მაგრამ ხდება, რომ ეს საკითხი არ არის საჯაროდ განსახილველი და ყველასთან სათქმელი. აქ გავლენა უნდა იქონიოს მშობელმა, მოძღვარმა. მათ დელიკატურად უნდა მიაწოდონ ამის შესახებ ინფორმაცია. კი არ უნდა გაუხსნან ბავშვს ფიზიოლოგიური მომენტები, არამედ უნდა დაანახონ, თუ რა არის ცოდვისკენ მისწრაფება და მადლი; უნდა

„სქესობრივი აღზრდით სუსტ, ბავშვი დააშორონ ღმერთს, უბიძგონ მას ცოდვისკენ და არა — თავისუფლებისკენ. ბავშვს უჩნდება ინტერესი, რომელზეც პასუხს ითხოვს. მშობელმა, მოძღვარმა დელიკატურად უნდა მიაწოდონ ამის შესახებ ინფორმაცია. უნდა აუხსნან, რაოდენ მნიშვნელოვანია თავშეკავება, რომ ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს აყოლილი ადამიანი პირუტყვს ემსგავსება."

აუხსნან, რაოდენ მნიშვნელოვანია თავშეკავება, რომ ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს აყოლილი ადამიანი პირუტყვს ემსგავსება. სქესობრივი აღზრდა უნდა წარიმართოს დელიკატურად და არა — საჯაროდ, გაკვეთილების სახით.

ზოგიერთს სურს, თავისი შვილი „უკომპლექსო" აღიზარდოს, რადგან ეს კარგი ჰგონია, არადა ფაქტობრივად ეს უზნეობისთვის თავისუფლების მინიჭებაა, რასაც საბოლოოდ ადამიანის დეგრადაცია მოჰყვება.

— როგორ უნდა დაბალანსოს აღმზრდელმა სიყვარული და სიმკაცრე?

— ნათქვამია: შვილი აკვნიდან უნდა გაზარდო. თავნება ბავშვი ოჯახის უბედურებაა. იგი ხშირად მონსტრად ყალიბდება. მშობელმა უნდა გაარჩიოს, რა არის ბავშვური გამოვლინება, არცოდნით გამოწვეული შეცდომები, რის გამოც არ ღირს ბავშვის მკაცრად დასჯა. როდესაც ბავშვი გააზრებულად ჩადის უმსგავს საქციელს, მაშინ უნდა დაისაჯოს, იგივე რომ აღარ გაიმეოროს. არ შეიძლება ბავშვისთვის თავისუფლების მინიჭება მანამ, სანამ იგი ჩამოუყალიბებელია, არ იცის, რა არის კარგი და რა — ცუდი. როცა გაიზრდება და ცხოვრების ანბანს გაიგებს, საღვთო სიბრძნესაც ეზიარება, თავად გააკეთებს არჩევანს. მხოლოდ სრულწლოვანს შეუძლია განკარგოს თავისი სულიერი ცხოვრება. მანამდე კი მშობლის სარწმუნოებას უნდა გაჰყვეს. მშობელმა უნდა აღზარდოს იგი წესიერ და ღვთისმოშიშ ადამიანად.

✓ **მანანა ნოდია**

Cyan Magenta Yellow Black

მამა გიორგი: „წლევანდელი საღვთო ლიტანიობა ნამდვილი საოცრება იყო!“

■ დეკანოზი გიორგი (დადუნაშვილი)

დეკანოზი გიორგი (დადუნაშვილი) 30 წელია სასულიერო პირის მძიმე ჯვარს ატარებს. მღვდლად იმ პერიოდში ეკურთხა, როცა საზოგადოების დიდი ნაწილი ათეისტი გახლდათ. სასულიერო პირები სოფელ-სოფელ დადიოდნენ და ხალხს მდინარეებში ნათლავდნენ. მათი გზა იყო ეკლიანი და მოლიპული. მამა გიორგი ამბობს, რომ სასულიერო პირის ცხოვრება მუდამ ასეთია — დაბრკოლებებით სავსე, მაგრამ უფლის რწმენა ყველაფერს აძლებინებთ.

მამა გიორგი 13 წელია წმინდა მართალ ლაზარეს აღდგინების ეკლესიის წინამძღვარია. ეს ლამაზი ტაძარი კინოსტუდიის ეზოში დგას და ის კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ ააშენა. დეკანოზ გიორგის ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში შევხვდით. ის გახარებული იყო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის ლიტანიობაზე მრევლის სიმრავლით. გვითხრა, რომ 30 წლის განმავლობაში, რაც მღვდელია, მსგავსი რამ არ ახსოვს. ჩვენთან საუბარიც სწორედ ამ ემოციის გაზიარებით დაიწყო:

— წლევანდელი სააღდგომო ლიტანიობა ნამდვილი საოცრება იყო. ჩვენს ეკლესიას მრევლი არასდროს აკლია, მაგრამ წელს ღამისთევას ადამიანთა განსაკუთრებული რაოდენობა ესწრებოდა. თანაც, სულ სხვა სულისკვეთება იყო. სანთელი არ ჩამქრალა, ჰაერი არ იძვროდა. არ მახსოვს ისეთი წელიწადი, ლიტანიობაზე სანთელი არ ჩამქრალიყოს. ხან წვიმა გვიშლიდა ხელს, ხანაც ქარი. წელს კი ამინდიც საოცარი დაემთხვა და ეს ლიტანიობა ყველასგან გამორჩეული იყო. ყველა გაკვირვებული ამბობდა, ამდენი ადამიანი არასდროს გვინახავსო. ყველგან ბრძოლა და ყველგან შემოტევებია და ამიტომ ხალხს ეს ერთი გზაღა დარჩა — ეკლესიაში სიარული. უფალს უნდა მივენდოთ და ის წაგვიყვანს ჭეშმარიტების გზაზე.

— მამაო, როგორი იყო თქვენი ცხოვრება მანამდე, სანამ საეკლესიო ცხოვრებას დაიწყებდით?

— ჩვეულებრივი, განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. ქუთაისში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი გვარის ძირი გელათიდან არის, ჩვენ გელათის ყმები ვიყავით. იქ რამდენიმე ოჯახიღა დარჩა ამ გვარის წარმომადგენელი, რადგან ძალიან გაბნეულები ვართ. ჩვენი წინაპრების უმეტესობა სასულიერო პირი იყო. ტაძარში ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში დავდიოდი. ბებია (დედის დედა) ძალიან მორწმუნე ქალი გახლდათ და ეკლესიური ცხოვრება მეც მაინტერესებდა. მე და ჩემი და-ძმა ტაძარში დავყავდით, ლოცვებს გვასწავლიდა. სხვათა შორის, ბებიას ძველი რუსული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, რუსული ენის პედაგოგი იყო. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახურში წავედი. ორი წლის განმავლობაში ე.წ. რუსულ ჯარში, ბელორუსიაში ვიმსახურე. ჯარიდან რომ ჩამოვედი, ცოლი მოვიყვანე და შვილები გამიჩნდა. ამის მერე ეკლესიის გზას დავადექი და სასულიერო სემინარიაში ჩავბარე.

მეორე კურსზე ვიყავი, უწმინდესმა და უნეტარესმა მღვდლად რომ მაკურთხა. მაშინ საკმაოდ ახალგაზრდა, 29 წლის გახლდით. აგერ უკვე 30 წელია მოძღვარი ვარ. 1990 წელს გელათის აკადემია გაიხსნა და ისიც დავამთავრე. ვერ გეტყვით, რამ განაპირობა, რომ სასულიერო გზას დავადექი. ყველაფერი უფლის ნებით ხდება და ზეცაში წყდება. იგი მოუწოდებს ადამიანებს, რა უნდა გააკეთონ.

— როდესაც მღვდლობა გადაწყვიტეთ, მეუღლე როგორ შეხვდა თქვენს არჩევანს?

— ისიც მღვდლის შვილია და ამიტომ მისთვის ეს ყველაფერი უცხო არ ყოფილა. მამამისი — გიორგი ჟორჟოლიანი წმინდა გიორგის სახე-ლობის ტაძრის წინამძღვარი იყო. ჩემი მეუღლის ძმაც მღვდელია.

— გადაწყვეტილების მიღებაზე დიდხანს იფიქრეთ?

— საკმაოდ. მაშინ რთული პერიოდი იყო. სასულიერო პირების მიმართ არაჯანსაღი დამოკიდებულება ჰქონდათ, გვდევნიდნენ. თუმცა მაინც ვახერხებდით ჩვენი საქმის კეთებას და საქართველოს სხვადასხვა ეკლესია-მონასტრის მოლოცვას. ჩემს სასულიერო ცხოვრებაში გამორჩეული იყო წმინდა ნინოს გზაზე სიარული, რომელიც 1991 წელს მიმდინარეობდა და მეც ვიყავი მასში ჩართული. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ფარავნის ტბასთან, ღია ცის ქვეშ წირვა ჩაატარა. დაგვლოცა და ჩვენც შევუდექით წმინდა ნინოს გზას. 45 დღის განმავლობაში მივდიოდით. მცხეთამდე ფეხით ვიარეთ. ჯერ დიდ ქალაქებში ჩავდიოდით, სადაც ღამეს ვათევდით, დილით წირვას ვატარებდით და მერე სოფლებში შევდიოდით. უამრავ ნათლობას და ჯვრისწერას ვატარებდით, ხალხს მდინარეში ვნათლავდით.

ზოგიერთ სოფელში არც კი გვიშვებდნენ. იმ დროს სხვადასხვა სექტები იყო მოძალებული. ისინი ხელს გვიშლიდნენ, რადგან თავიანთი მიმდევრების დაკარგვა არ უნდოდათ. იცოდნენ, რომ ჩვენ მოსახლეობას ჭეშმარიტების გზაზე დავაყენებდით და ამიტომ არ გვიშვებდნენ. როდესაც ადამიანი ეშმაკის ხელშია, მასთან ბრძოლა ძნელია. მცხეთაში რომ ჩამოვედით, მისი უწმინდესობა იქაც დაგვხვდა, დაგვლოცა და გვაკურთხა.

— რთული პერიოდი გამოგიცლიათ.

— მოძღვრობა, როგორც იმერლები იტყვიან, მოლიპული და ეკლიანი გზაა. არ იცი, სად გადავარდები. ამ 30 წლის განმავლობაში სირთულეც ბევრი შეხვედრია... არ არის იოლი საქმე, მაგრამ უფალი მეხმარება ყველა დაბრკოლების გადალახვაში. თუკი რამე რჩევა მინდა ან განსაცდელში ვარ, ჩემს სულიერ მამასთან, უწმინდესთან და უნეტარესთან მივდივარ ხოლმე. ის ჩვენს ტაძარში თითქმის ყოველ წელიწადში ერთხელ მოდის და წირვას ატარებს. თუკი რამე ჯილდო მაქვს, ყველა მისი მოცემულია. ორი ჯვრით დაჯილდოებული დეკანოზი ვარ.

— წმინდა მართალ ლაზარეს აღდგინების ტაძარში მოსვლამდე რომელ ეკლესიებში მსახურობდით?

— სიონის საკათედრო ტაძარში მაკურთხეს და 2 თვე იქ ვიმსახურე, შემდეგ კი დიდუბის ღვთისმშობლის შობის ტაძარში მესამე მღვდლად დამნიშნეს. ოჯახური პირობების გამო ქუთაისში გადავედი და 14 წელი იქ ვიმსახურე. ბაგრატის ტაძრის გვერდით, არქიელის გორაზე, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ვიყავი. გელათის აკადემიის დამთავრების შემდეგ ლექტორი ვიყავი. რამდენიმე კურსდამთავრებული აგვარჩიეს და კატეხიზმოს ვასწავლიდით. ჩვენ ახალგახსნილი აკადემიის პირველი ლექტორები ვიყავით. ქუთაისიდან ჩამოსვლისთანავე კი ეგრევე ამ ტაძრის წინამძღვარი გავხდი.

> „ზოგიერთ სოფელში არც ჯი გვიშვებდნენ. სექტანტები ხელს გვიშლიდნენ, რადგან თავიანთი მიმდევრების დაკარგვა არ უნდოდათ. იცოდნენ, რომ მოსახლეობას ჭეშმარიტების გზაზე დავაყენებდით. როდესაც ადამიანი ეშმაკის ხელშია, მასთან ბრძოლა ძნელია“.

> „მოძღვრობა მოლიპული და ეკლიანი გზაა. არ იცი, სად გადავარდები. უფალი მეხმარება ყველა დაბრკოლების გადალახვაში. თუკი რამე რჩევა მინდა ან განსაცდელში ვარ, ჩემს სულიერ მამასთან, უწმინდესთან და უნეტარესთან მივდივარ ხოლმე“.

წმინდა მართალ ლაზარეს აღდგინების ტაძარი რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ ააშენა, იკურთხა და წინამძღვრად მე ამარჩიეს. ეკლესიის ფრესკებს რაც შეეხება, ჩემი იდეის მიხედვით მოიხატა. ტაძარი 2001 წლის 14 იანვარს გაიხსნა. ეს სიმბოლურია, რადგან ახალი საუკუნის დასაწყისში გაიხსნა და იმედია, რომ ეს საუკუნე მთელი ქართული ერის აღდგინების დასაწყისიც იქნება.

— მრევლთან ურთიერთობაში როგორი ხართ?

— ზოგს მკაცრი ვგონივარ, მაგრამ, როდესაც გამესაუბრებიან, მერე ხვდებიან, რომ სულაც არ ვარ ასეთი. როდესაც ჩვენი ეკლესია გაიხსნა, ახლომახლო ტაძრები არსად იყო და მთელი ხალხი აქ დადიოდა. სოფელ დიღომში იყო ერთი მოქმედი ეკლესია და ერთიც დიდუბეში. ნათლობებს, პანაშვიდებს, ჯვრისწერებს — ყველაფერს ჩვენ ვატარებდით. ღვთის მადლით, ახლა ეკლესიები მომრავლდა, მათ შორის ჩვენს უბანშიც.

— თქვენს ოჯახზეც გვიამბეთ.

— ჩემი მეუღლე ქეთევან ჟორჟოლიანი დიასახლისია. ფოფოდიაა და ეს არის მისი ძირითადი საქმიანობა. ჩემი აზრით, მღვდლის ცოლმა არ უნდა იმუშაოს. უფალი იმდენს მაინც მოგვცემს, რომ თავი გავიტანოთ. ოჯახს ბევრი მზრუნველობა სჭირდება. უფროსი ქალიშვილი 38 წლის არის. ბიოლოგიის სამეცნიერო დოქტორია გენეტიკის განხრით. მეორე ქალიშვილი პროფესიით ისტორიკოსია. ის ქუთაისშია გათხოვილი და ორი ბიჭი ჰყავს.

— ჩვენს მკითხველს რას უსურვებთ?

— სასოებას, სიყვარულსა და რწმენას, რადგან ეს სამი რამ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ყველაფერი წარმავალია, სიყვარული კი რჩება. ის გადაარჩენს და გაამთლიანებს ქვეყანასაც.

✓ თეონა კენჭიაშვილი

Cyan Magenta Yellow Black

მკურნალობა გემოთი

ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ტკბილეულის და საკონდიტრო ნაწარმის მოყვარულები მიდრეკილი არიან რომანტიზმისადმი. მარილიანი დელიკატესები ძირითადად ხელოვან, შემოქმედ ადამიანებს უყვართ, ხოლო ისინი, ვინც უპირატესობას მჟავე და ცხარე კერძებს ანიჭებენ, კრიტიკული აზროვნების უნარით გამოირჩევიან. ეს ადამიანები ასევე საოცრად მიამიტები და გულწრფელები არიან.

ენაზე არსებული გემოს რეცეპტორების წყალობით, ვახერხებთ, მწარე ტკბილისგან განვასხვავოთ, მჟავე — მარილიანისგან. სწორედ ამის საფუძველზე განვითარდა ძველი ინდური მკურნალობის მეთოდი, რომელსაც „მკურნალობა გემოთი“ ეწოდებოდა.

ადამიანის ენა გაჯერებულია რეფლექსური ზონებით, რომლებიც დაკავშირებულია ყველა ორგანოს მუშაობასთან. როცა ორგანიზმში ცვლილებები მიმდინარეობს, წარმოიშვება სიგნალები, რომლებიც კონკრეტული გემოს საკვებს გვთხოვს.

მარილიანი ხელს უწყობს მონელების პროცესს, ამძაფრებს მადას, ორგანიზმში წყალს აკავებს, ხსნის მუცლის შებერილობას.

მჟავე აფერხებს დიარეას, ხელს უწყობს ჭრილობების შეხორცებას.

ტკბილი სისხლძარღვებს აფართოებს, ამიტომ სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დროს.

მწარეს ანთების საწინააღმდეგო თვისება აქვს, ახდენს თირკმლების მუშაობის ნორმალიზებას, ორგანიზმს შლაკებისგან ასუფთავებს და ხელს უწყობს ცხიმების წვას.

ცხარე საკვები მომნელებელ სისტემას ასტიმულირებს და ანტიმიკრობული აქტივობა ახასიათებს.

ეს იცოდით?

❖ რომან „ბეჭდების მბრძანებლის“ ავტორი ჯონ რონალდ რუელ ტოლკიენი სააბაზანოში იძინებდა, რომ ხვრინვით ცოლი არ შეეწუხებინა.

❖ ცნობილი ინგლისელი მწერლის, დეტექტივების ავტორ აგატა კრისტის ორგანიზმში მიმდინარე დარღვევების გამო ხელით წერა არ შეეძლო. ყველა მისი ნაწარმოები კარნახით დაიწერა.

ზამთრის შემდეგ ბავშვის ორგანიზმს მიხმარება სჭირდება

გაზაფხულის დაწყებისთანავე მშობლის ვალია, ზამთრის შემდეგ ბავშვის ორგანიზმი სათანადოდ გამოაფხიზლოს და გონივრულად გამოიყენოს მზის სხივები.

გაზაფხული წელიწადის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და სასიამოვნო დროა, რომელიც ხანგრძლივი ზამთრის შემდეგ განსაკუთრებით გვიხარია როგორც უფროსებს, ისე ბავშვებს. ეს ის პერიოდია, როდესაც პატარას ორგანიზმი დასუსტებულია და საჭიროებს დამატებით ვიტამინებს, ენერგიისა და ძალების აღდგენას. ბავშვებმა ყველაფერი ეს ოპტიმალურად რომ მიიღონ, საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი რჩევის გათვალისწინება.

კარგია, თუ თბილ ამინდში პატარას სასეირნოდ გაიყვანთ და სუფთა ჰაერზე დააძინებთ. მთავარია, ამინდის შესაფერისად ჩააცვათ, რადგან ამ პერიოდში გაციების ალბათობა დიდია. თუ ბავშვი უკვე მოზრდილია, სეირნობის გარდა, მასთან ერთად სუფთა ჰაერზეც უნდა ითამაშოთ. ძალიან კარგია ამ პერიოდში ორგანიზმის გამაძლიერებელი ვიტამინების კომპლექსის დალევა, მაგრამ მისი შერჩევა აუცილებლად კვალიფიციურ პედიატრს უნდა მიანდოთ.

მნიშვნელოვანია ბავშვის ორაგანიზმის გაძლიერება-გაკაჟებაც. ამისათვის კარგია თაფლი, ნიგოზი, ლიმონი და ალოე ერთად დააბლენდეროთ და დღეში 1 სუფრის კოვზი მისცეთ შვილს.

მარტი ყველაზე საშიში თვეა გაციების თვალსაზრისით. როგორც დაკვირვებებით დადგინდა, ამ პერიოდში მსუბუქი გაციება შეიძლება დაგვირგვინდეს ანგინით, ოტიტით, ჰაიმორიტით, ბრონქიტით, განსაკუთრებით, თუ თქვენი შვილის ორგანიზმი დასუსტებულია. მსგავსი უსიამოვნება თავიდან რომ აიცილოთ, კარგი იქნება, თუ ყოველდღიურად ბავშვს სასუნთქი სისტემის ვარჯიშებით მოაძლიერებთ.

დააყენეთ სწორად, ფეხები — მხრების პარალელურად და ხელები — წინ. ამ პოზიციაში რამდენჯერმე კარგად ჩაისუნთქოს და ამოისუნთქოს ისე, რომ ჩასუნთქვისას მხრები მაღლა აწიოს, ამოსუნთქვისას პირიქით — დაბლა ჩამოწიოს. სავარჯიშო რამდენჯერმე გაიმეორეთ.

ერთი მხარი მაღლა ასწიოს და ჩაისუნთქოს, მეორე მხარი დაბლა ჩამოსწიოს და ამოისუნთქოს.

ძალიან კარგია თავის წრიული ვარჯიშები — ჯერ ერთი მიმართულებით, შემდეგ — მეორე მხარეს.

მთავარია, ასეთი ვარჯიშები რეგულარული ხასიათის იყოს და არა — პერიოდული. ამ შემთხვევაში შედეგი ნამდვილად ექნება.

ბავშვის ორგანიზმის გაკაჟებისთვის საუკეთესოა სპორტზე ტარება, რომლის სახეობის შერჩევა, პირველ რიგში, დამოკიდებულია ასაკზე. ზოგადად ყველა ასაკის ბავშვისათვის ძალიან კარგია ცურვა. ის გაკაჟებაშიც დაეხმარება და იმუნიტეტსაც გაუძლიერებს.

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ბავშვები, რომლებიც კარგი გუნებაგანწყობით გამოირჩევიან, ნაკლებად ავადმყოფობენ და მათი გამოჯანმრთელების პროცესიც აღვილად მიმდინარეობს. ამიტომ ყველა მშობელმა უნდა იზრუნოს შვილების განწყობის ამაღლებაზე და შესაბამისად — ჯანმრთელობაზეც.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

თავსატეხი

იპოვე განსხვავება



გაიფერადეთ

Cyan Magenta Yellow Black

ფარშევრებული ყაბაყი ყველით

მასალა:

ყაბაყი — 2 ცალი
ყველი — 200-300 გ
საფანელი — 4 ს.კ.
მცენარეული ზეთი, არაჟანი, ნიორი, მარილი, — გემოვნებით

მომზადება: ყაბაყი გარეცხეთ, შუაზე გაჭერით და კოვზით გული ამოაჭერით. ამოჭრილი გულები დაჭერით და ზეთმოსხმულ ტაფაში შეწვით. შეაზავეთ მარილით.

ყველი გახეხეთ, დაუმატეთ დაჭყლეტილი ნიორი და საფანელი. ყველის ნაზავს დაუმატეთ შემწვარი ყაბაყი და მოურიეთ.

მიღებული მასით ამოავსეთ გულამოღებული ყაბაყები (ნახევრად). დაალაგეთ ზეთმოსმულ ფირფიტაზე. თითოეულ ყაბაყს ზემოდან წაუსვით არაჟანი და შედგით წინასწარ 180 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში. აცხვეთ 1 საათის განმავლობაში.

ბრინჯი ალმოსავლეთად

მასალა:

ბრინჯი (მოხარშული) — 200 გ
ქათმის თეთრი ხორცი — 250 გ
ბარდა, ხახვი, ხორბლის ღვიები, ახალი წითელი ლობიო — 250-300 გ
სოიას სოუსი — 100 მლ
წითელი ხახვი — 1 თავი
ნიორი — 1 კბილი
პომიდვრის პიურე — 2-3 ს.კ.
ზეთი — გემოვნებით

მომზადება: ქვაბში ზეთი და სოიას სოუსი ჩაასხით და შეათბეთ. ჩაყარეთ ბოსტნეული და მაღალ ცეცხლზე 5-8 წუთი შუშეთ, შემდეგ ალს დაუწიეთ, დაუმატეთ 4 ს.კ. პომიდვრის პიურე და მოურიეთ. ნიორი დაჭყლიტეთ, ხახვი კუბიკებად დაჭერით და ქვაბს ჩაუმატეთ.

ცალკე ტაფაში კუბებად დაჭრილი ქათმის ფილე შებრაწეთ ზეთში. შეაზავეთ მარილით და სოიას სოუსით.

მოხარშული, გაგრილებული ბრინჯი ბოსტნეულს დააყარეთ, მოურიეთ და ალს აუწიეთ. შემდეგ ჩაუმატეთ ქათმის ფილე და ფრთხილად მოურიეთ.

ბანანის ტორტი

მასალა:

შედედებული რძე — 400 გ
ბანანი — 3 ცალი
შოკოლადის ორცხობილა — 1 შეკვრა
ნაღები — 300 მლ
მუქი შოკოლადი — 50 გ
კარაქი (გამდნარი) — 3 ს.კ.

მომზადება: ქვაბში 3/4-ზე წყალი ჩაასხით, დადგით ცეცხლზე და წამოადუღეთ. ჩადეთ შედედებული რძე და 2 საათი ადუღეთ. შემდეგ ამოიღეთ და გააგრილეთ.

შოკოლადის ორცხობილა დაფშვენით და ჯამში ჩაყარეთ, დაასხით გამდნარი კარაქი და მოურიეთ. მიღებული მასა თანაბრად გადაანაწილეთ ბისკვიტის გამოსაცხობ ფორმაში. 15 წუთით მაცივარში შედგით.

ბანანი გაფცქვენით, თხელ ნაჭრებად დაჭერით და ფორმაში ჩადებულ ცომს მოაყარეთ, ზემოდან მოასხით მოხარშული, შედედებული რძე და ფორმა ისევ მაცივარში შედგით 20 წუთით.

ნაღები მიქსერით ათქვიფეთ და თანაბრად გადაანაწილეთ ფორმაში. ისევ მაცივარში შედგით 20 წუთით.

შოკოლადი გახეხეთ და ტორტს ზემოდან მოაყარეთ. როცა ტორტი კარგად გაცივდება, ფორმიდან ამოიღეთ და დაჭერით.

სატაცურის სალათი

მასალა:

სატაცური — 900 გ
მარილი — 1/2 ს.კ.
მოხარშული კვერცხი — 2 ცალი
ძმარი — 3 ს.კ.
ზეითუნის ზეთი — 4 ს.კ.
პილპილი — გემოვნებით

მომზადება: ქვაბში მარილწყალი წამოადუღეთ, ჩაყარეთ სატაცური და ცეცხლზე დარბილებამდე გააჩერეთ. გადაიტანეთ ცხაურზე, გადაავლეთ ცივი წყალი და დაწრიტეთ. მოხარშული კვერცხის ცილა და გული გააცალკევეთ და მსხვილად დაჭერით.

ჯამში შეურიეთ ძმარი, მარილი და პილპილი, დაუმატეთ სატაცური და მოურიეთ. შემდეგ დაუმატეთ კვერცხის ცილა, გული და კარგად გადაურიეთ. შეგიძლიათ სალათის ფოთლებით გააფორმოთ.

სპაგეტის ცივი სალათი

მასალა:

სპაგეტი — 450 გ
სალათის სოუსი — 250 მლ
ძმარი — 1/4 ჭიქა
ხახვი — 1 ცალი
ძეხვი — 250 გ
სოკო — 100 გ
პომიდორი (მრგვლად დაჭრილი) — 500 გ
ზეთისხილი (უკურკო) — 80 გ
გახეხილი პარმეზანი — 2 ჭიქა
მარილი, სანელებლები — გემოვნებით

მომზადება: ქვაბში მარილწყალი წამოადუღეთ, ჩაყარეთ სპაგეტი და 8-10 წუთი ხარშეთ. მომზადებულ სპაგეტს ცივი წყალი გადაავლეთ და დაწრიტეთ.

სპაგეტის სოუსი და ძმარი მოასხით, დაუმატეთ აკეპილი ხახვი, კუბიკებად დაჭრილი ძეხვი, სოკო, პომიდორი, ზეთისხილი, სანელებლები და პარმეზანი, აურიეთ და რამდენიმე საათით მაცივარში შედგით.

Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

მძივი ტყავის ნაკუწებით

ასეთი მძივის დამზადება ძალიან მარტივია და არც დიდ დროს და ფინანსებს მოითხოვს. მისი მასალა სახლშიც შეიძლება აღმოგაჩნდეთ. დაგჭირდებათ: 5 ცალი საშუალო ან დიდი ზომის მძივი, ტყავის ნაკუწები, ტყავის თასმა, თასმის შესაკრავი.

დავჭრათ ტყავის ნაკუწები ასიმეტრიულად. ავაცვათ თასმაზე მძივი, გამოვკვანძოთ თასმა ორივე მხრიდან. გავხვრიტოთ ტყავის ნაკუწები სადგისით და მძივის შემდეგ ავაცვათ. თასმა ისევ გამოვკვანძოთ და მონაცვლეობით გავაგრძელოთ მასზე მძივების და ტყავის ნაკუწების აცმა. როცა დავამთავრებთ, თასმას თავსა და ბოლოში გავუკეთოთ საკიდი. თუ საკიდი არ გაქვთ, მაშინ უბრალოდ გამოკვანძეთ თასმის ორივე ბოლო, ოღონდ გაითვალისწინეთ: ასეთ დროს თასმა გრძელი უნდა იყოს, რომ მისი გახსნა აღარ დაგჭირდეთ.

სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!

✓ ლელა ცუცქირიძე





წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

7	6	2	5	4	1	8	3	9
3	5	4	6	9	8	2	1	7
1	8	9	7	3	2	6	5	4
6	2	1	3	8	9	7	4	5
4	9	8	2	5	7	1	6	3
5	3	7	4	1	6	9	8	2
8	1	5	9	2	3	4	7	6
9	4	6	8	7	5	3	2	1
2	7	3	1	6	4	5	9	8

№ 2

3	7	2	1	5	4	9	6	8
1	6	5	8	2	9	3	4	7
8	9	4	6	3	7	1	2	5
5	2	9	4	7	3	8	1	6
7	4	8	2	1	6	5	9	3
6	1	3	9	8	5	4	7	2
2	3	1	7	8	6	6	5	9
4	8	6	5	9	2	7	3	1
9	5	7	3	6	1	2	8	4

ეს იცოდით?

❖ კუბაში განათლების მიღება აბსოლუტურად უფასოა, ისე როგორც საბჭოთა კავშირში იყო. აბიტურიენტებმა, რომელთაც უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა სურთ, აუცილებლად უნდა ჩააბარონ სამი საგანი — კუბის ისტორია, მათემატიკა და ესპანური ენა.

❖ დანიაში თუ ადამიანის სამსახურიდან დათხოვნა უნდათ, კანონი ხელმძღვანელებს ავალდებულებს, თანამშრომელი ამის შესახებ 2 თვით ადრე გააფრთხილონ.

❖ არგენტინელ გენერალ ხოსე დე სან მარტინს, რომელმაც ესპანური არმია დაამარცხა და დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი, არგენტინელ ლენინს უწოდებენ.

❖ ჰილარი კლინტონი აშშ-ის ერთადერთი პირველი ლედი იყო, რომელსაც ასპირანტურა ჰქონდა დამთავრებული.

❖ ამერიკის პრეზიდენტების უმრავლესობა ანგლიკანური რელიგიის მიმდევარია.

❖ ერთხელ ცნობილმა მხატვარმა პიკასომ დურგალს ხისგან ავეჯის დამზადება სთხოვა და წინასწარ აუხსნა, რა სჭირდებოდა. მერე კი ერთი ხელის მოსმით ესკიზიც დაუხატა და ჰკითხა, სამუშაოში რამდენი გადაგიხადოთო. „არაფერი, — უპასუხა დურგალმა, — უბრალოდ, მაგ ესკიზს ხელი მოაწერეთ“.

❖ საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტის ერთ-ერთი სასმისი ცნობილი იტალიელი ავანტიურისტის, კალიოსტროს თავის ქალისგან იყო დამზადებული.

Cyan Magenta Yellow Black

მიშელ და ბარაკ ობამების ვარსკვლავური ვახშამი

კონან ო'ბრაიენი და მიშელ ობამა

ბარაკ ობამა

ვაშინგტონში, თეთრ სახლში ყოველწლიური ვახშამი გაიმართა, რომელსაც ბარაკ და მიშელ ობამები მასპინძლობენ. ამ ვახშამზე პოპულარულ ადამიანებს იწვევენ. წელს სტუმრების სიაში მოხვდნენ ნიკოლ კიდმანი, ირინა შეიკი, კეტი პერი, სტივენ სპილბერგი და ბევრი სხვა ვარსკვლავი. ვახშამზე ბარაკ ობამა ყველაზე მხიარულად გამოიყურებოდა და სტუმრებს თავისი იუმორით ანებივრებდა. სცენაზე ის რეპის ფონზე ავიდა და არა ამერიკის ჰიმნის თანხლებით. შემდეგ სტუმრებსაც მიმართა — როგორ მოგეწონათ ჩემი ახალი მუსიკა საქმიანი გამოსვლებისთვისო.

ამერიკის პირველი პირი უჩვეულოდ გულწრფელი იყო, მაგალითად, აღიარა, რომ აპრილში ერთ-ერთი გამოსვლისას კალიფორნიის შტატის გენერალური პროკურორის, კამალე ჰარისის მიმართ გამოთქმულმა კომპლიმენტმა ოჯახში პრობლემები შეუქმნა.

— ერთ-ერთ ჩემს გამოსვლაში ვთქვი, რომ კამალე ყველაზე მომხიბვლელი გენპროკურორია ქვეყანაში. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა პრობლემები მქონდა, როცა სახლში დავბრუნდი. მიშელს კომპლიმენტები მოსწონს მხოლოდ მაშინ, როცა მისი მისამართით ვაკეთებ, — აღიარა ამერიკის პრეზიდენტმა.

ნიკოლ კიდმანი

ირინა შეიკი

კეტი პერი

ობამამ სტუმრებთან გახუმრებაც გადაწყვიტა და განაცხადა, რომ სტივენ სპილბერგი ფილმს იღებს ამერიკის მოქმედ პრეზიდენტზე, სადაც მის როლს დენიელ დეი ლუისი ითამაშებს. ამ ინფორმაციამ ბევრი შოკში ჩააგდო და ეს სახეზეც შეეტყოთ.

ამერიკის პირველ ლედის ამ საღამოს მონიკა ლულიერის შავი ელეგანტური კაბა ეცვა. ირინა შეიკი, რომელიც დოლჩე და გაბანას მაქმანებიან კაბაში იწონებდა თავს, შეყვარებულის, კრიშტიანუ რონალდუს გარეშე მივიდა. პრინციპში, ის საღამოზე არც არავის დაუპატიჟია. ქმრის გარეშე იმყოფებოდა ნიკოლ კიდმანიც, რომელსაც ემილიო პუჩის ნაცრისფერ-მოცისფრო კაბა ეცვა.

ვახშმის მთავარი პრინციპი ის გახლდათ, რომ ამერიკის პირველი პირის ოჯახი შოუბიზნესს, პოლიტიკას და მოდას ერთმანეთისგან არ გამიჯნავს.

ვარსკვლავების ყველაზე გაბედული კოსტიუმები


მადონა

ენი ჰეტეუეი

ნიუ იორკში კოსტიუმების ინსტიტუტის ყოველწლიური მიღება გაიმართა. საღამოს დრესკოდი პანკი იყო. სტუმრებმა ყველაზე თამამი სტილი აირჩიეს. მადონა, ჯენიფერ ლოპესი, უმა თურმანი, გვინეტ პელტროუ, ბიონსე და ბევრი სხვა ვარსკვლავი საღამოზე ისეთი ჩაცმულები მივიდნენ, რომ მათი ამოცნობა ჭირდა კიდეც.

კრისტენ სტიუარტი

წვეულების სტუმრებს ამერიკულ ჟურნალ „ვოგის“ მთავარი რედაქტორი ანა ვინტური მასპინძლობდა, რომელმაც დრესკოდი არაფრად ჩააგდო და ყვავილოვანი პრინტის შანელის კაბა არჩია. ყვავილების თემა გააგრძელა კიმ კარდაშიანმაც, რომელიც წვეულებაზე კენი უესტთან ერთად მივიდა. სხვათა შორის, ორსულ კარდაშიანს ჩაცმულობა დაუწუნეს და ყვავილოვანი კოშმარი უწოდეს.

54 წლის მადონამ ახალგაზრდობის წლები გაიხსენა — დახეული წინდები, შავი პარიკი, მოკლე შორტები და ბადე-ბლუზონი ეცვა. მოკრძალებულმა ენი ჰეტეუეიმ ამპლუა შეიცვალა და საღამოზე დიზაინერ ვალენტინოსთან ერთად მივიდა ნახევრად გამჭვირვალე შავ კაბაში, თან ქერა თმას გაუკეთა პრეზენტაცია. ბიონსემ კი დრესკოდი თავისებურად აღიქვა და წვეულებაზე ჟივანშის შავი, ბაროკოს სტილის კაბით გამოცხადდა. კრისტენ სტიუარტმა პანკი ვამპირთან გააიგივა და სტელა მაკარტნის წითელი კომბინეზონი აირჩია.

გამორჩეულად შოკისმომგვრელი სარა ჯესიკა პარკერის კოსტიუმი აღმოჩნდა, რომელმაც ყველაზე მეტი მოწონებაც დაიმსახურა და ყველაზე მეტი კრიტიკაც.

ბიონსე

სარა ჯესიკა პარკერი

ანა ვინტური


კიმ კარდაშიანი და კენი უესტი

მხოლოდ სილქნეტის
ინტერნეტ აბონენტებისთვის

ნოუთბუქები

უპრეცედენტოდ დაბალ ფასად!

699 ~~ლარი~~
579 ლარი
დანაზოგი: 120 ლარი
acer

640 ~~ლარი~~
550 ლარი
დანაზოგი: 90 ლარი
ASUS

• ყველა ნოუთბუქზე ვრცელდება 1 წლიანი გარანტია
• ისარგებლეთ სილქნეტის ანტივირუსით სპეციალურ ფასად

ტექნიკური უზრუნველყოფა
მაღაზია "კამარა სისტემს"
ალ. ყაზბეგის გამზ. 19

ტექნიკური უზრუნველყოფა
მაღაზია "ულტრა"
ღვინის აღმართი 23, ალ.ყაზბეგის.9

2 100 100

www.silknet.com

ოპტიკური ტექნოლოგიები